

အုပါန်တရာ့သမဂၢဒၢ

**Ivane Javakhishvili
Tbilisi State University**

Faculty of Humanities

STUDIES IN HUMANITIES

Annual

I

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარული კვლევები

წელიწდეული

I



UDC(უაკ)050.8(479.22)

ჸ-952

სარედაქციო საბჭო: ზაზა ალექსიძე, ვინფრიდ ბოედერი (გერმანია), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ოოსტ გიპერტი (გერმანია), რისმაგ გორდეზანი, რუსუდან ენუქიძე, დარეჯან თვალთვაძე, ენტონი ისტ-მონდი (დიდი ბრიტანეთი), მარიამ ლორთქიფანიძე, ჰიროტაკე მაედა (იაპონია), ორინე მელიქიშვილი, დამანა მელიქიშვილი, ორმა რატიანი, აპოლონ სილაგაძე, ბერნარ უტიე (საფრანგეთი), აკაკი ყულიჯანიშვილი, მზექალა შანიძე, კარლ შმიდტი (დიდი ბრიტანეთი), ქეთევან ჭკუასელი, ელგუჯა ხინთიბიძე, გოჩა ჯაფარიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზაზა სხირტლაძე (რედაქტორი), გიული შაბაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), მანანა რუსიეშვილი, დარეჯან გარდავაძე, რამაზ ჭილაია.

EDITORIAL COUNCIL: Zaza Aleksidze, Vinfried Boeder (Germany), David Braun (Great Britain), Ketevan Chkuaseli, Antony Eastmond (Great Britain), Rusudan Enukidze, Jost Gippert (Germany), Rismag Gordeziani, Gocha Japaridze, Elguja Khintibidze, Akaki Kulidjanishvili, Mariam Lortkipanidze, Hirotake Maeda (Japan), Irine Melikishvili, Damana Melikishvili, Irma Ratiani, Mzekala Shanidze, Carl Schmidt (Great Britain), Apolon Silagadze, Darejan Tvaltvadze, Bernard Outtier (France).

EDITORIAL BOARD: Zaza Skhirtladze (Editor), Giuli Shabashvili (Executive Secretary), Manana Rusieshvili, Ramaz Chilaia, Darejan Gardavadze.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISBN 978-9941-13-165-3

შინაარსი

ფილოსოფია

ლელა ალექსიძე

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის
კომენტარებში

11

ლერი მჭედლიშვილი

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის
ლოგიკური ნაწილის კომენტარი

30

აკაკი ყულიჯანიშვილი

ხელოვანის წარმომადგენლობის საკითხისათვის

47

აღმოსავლეთმცოდნეობა

აპოლონ სილაგაძე

სალექსო ფორმათა კვალიფიკაციის საკითხისათვის
(არაბული მასალის მაგალითზე)

59

თამთა ფარულავა

თავმდაბლობის სიბრძნისათვის საადის თხზულებებში

68

ფილოლოგია

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები

81

იოსტ გიპერტი

წმინდა ეკატერინეს მონასტერში წაპოვნი ახალი
ხელნაწერი, ნაწილი I

103

დამანა მელიქიშვილი

პროკლე დიადიხოსის ონტოლოგიური სტრუქტურის
ცნება-ტერმინთა გაგება და გადმოცემა იოანე პეტრინთან

123

ენათმეცნიერება

ლეილა გეგუჩაძე

პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური
კვალიფიკაციისათვის ქართულში 141

ნანა გოგოლაშვილი

ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმა 150

კავკასიოლოგია

ცირა ბარამიძე

ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები
(ისტორია და თანამედროვეობა) 167

თეიმურაზ გვანცელაძე

აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს ერთი თავისებური
მოდელის საკითხისათვის 178

ლიტერატურა

ნანა გოგოლაშვილი

წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება
მარიამ მაგდალინელსა და მენელსაცხებლე დედებთან 187

კახაბერ ლორია

კნუტ ჰამსუნის ერთი პიესის ინტერპრეტაციისათვის
ქართულ და დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში 205

მანანა გელაშვილი

ფოლკნერის პერსონაჟები და დროის პრობლემა 222

რეცენზიები

პუბლიკაცია 233

ქრონიკა 261

ქრონიკა 273

Contents

Philosophy

Lela Alexidze

Ancient Philosophy in the Scholia on Corpus Dionysiacum 11

Leri Mchedlishvili

Comments on the Logical Part of the First Chapter of
“Ganmartebai” (Explanations) by Joane Petritsi 30

Akaki Kulidjanashvili

Towards the Problem of Representation of Art 47

Apollon Silagadze

Towards the Qualification of Metric Forms
(On the material of the Arabic Verse) 59

Tamta Parulava

Towards the Wisdom of Obedience in the Works by Saadi 68

Philology

Zaza Aleksidze, Dali Chitunashvili

Unknown Fragments of the Ancient Georgian Gospels 81

Jost Gippert

New Manuscript Finds in St. Catherine’s Monastery, Part I 103

Damana Melikishvili

Understanding and Transmission of Notions and Terms of
Proclus Diadochus’ Ontological Structure in Ioane Petritsi 123

Linguistics

Leila Geguchadze

On the Syntactic Qualification of Paronomasia in Georgian 141

Nana Gogolashvili	
The Hermeneutic Paradigm of a Text	150
Tsira Baramidze	
Issues of Functioning of Lezgian Languages (History and Modern Reality)	167
Teimuraz Gvantseladze	
Towards the Problem of Specific Subjunctive Mood Model in the Abkhazian Verb	178
Literature	
Nana Gonjilashvili	
Symbolic Attitude of St. Nino and Twelve Maids towards the Women Anointing Oil	187
Kakhaber Loria	
Towards the interpretation of a play by Knut Hamsun in Georgian and Western Literary Criticism	205
Manana Gelashvili	
Faulkner's Characters and the Problem of Time	222
References	233
Publications	261
Main Events	273

ଓইଲୋସନ୍ତୁରା

ლელა ალექსიძე

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომები სხვადასხვა ენაზე მრავალჯერ ითარგმნა და განიმარტა. უძველესი კომენტარი, ერთ-ერთი ტრადიციის თანახმად, მაქსიმე აღმსარებელისა (VII ს.) და გერმანოზ I კონსტანტინეპოლელ პატრიარქს მიეწერება (VII-VIII ს.). ამავე კომენტარების ავტორად, ბერძნული და სირიული წყაროების მიხედვით, დასახელებული იყო იოანე სკითოპოლელი (VI ს.). კომენტარების ავტორობას მიაწერდნენ აგრეთვე იოანე მაქსენტიოსს, გიორგი სკითოპოლელს, დიონისე ალექსანდრიელს (ყველა VI ს.), ანდრეას (კრეტელს? – VII-VIII ს.), ქრისტეფორე დიაკონს, იოანე იტალოსს (XI ს.), გერმანოზ II კონსტანტინეპოლელს (XIII ს.). მაგრამ მათი ავტორობა, ისევე როგორც გერმანოზ I-ისა, მეცნიერულად არ დადასტურდა.¹

ქართული ტრადიცია ავტორებად წმ. მაქსიმესა და გერმანოზს აღიარებს. მათი სახელები აღნიშნულია სქოლიოების დასახწყისში, ურთიერთ-მონაცემებით (ერთი სქოლიოს ავტორად მაქსიმეა დასახელებული, მეორისა – გერმანოზი და ა. შ.). ეს აღნიშვნები არეოპაგიტული კორპუსის პირველი წიგნის (ქართულ თარგმანში I წიგნი „სალმრთოთა სახელთათვე“ არის) პირველ ექვს თავშია მოცემული. სხვა სქოლიოებში ავტორი არ არის დასახელებული.

ჰ. უ. ფონ ბალთაზარის გამოკვლევის თანახმად, სქოლიოების ძირითადი ავტორი იოანე სკითოპოლელი უნდა ყოფილიყო, წმ. მაქსიმე კი მცირე მოცულობის მინანერები შეადგინა.²

მოცემულ ნაშრომში ანტიკურ ფილოსოფიას არეოპაგიტული კორ-

¹ B. R. Suchla, Die sogenannten Maximus-Scholien des Corpus Dionysiacum Areopagiticum, *Nachrichten der Akademie der Wissenschaften in Göttingen, I, Philologisch-Historische Klasse*, 2 (1980).

² H. U. von Balthasar, Das Scholienwerk des Johannes von Scythopolis, *Scholastik*, 15 (1940), S. 16-38.

ლელა ალექსიძე

პუსის კომენტარებში განვიხილავ ისე, როგორც ეს ქართულ ხელნაწერებშია მოცემული, განურჩევლად იმისა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ამა თუ იმ სქოლიოს რეალური ავტორი: იოანე სკითოპოლელი, მაქსიმე ალმარებელი თუ კიდევ სხვა ავტორი.³

კომენტატორის მიზანი შესავალშივეა განსაზღვრული: არეოპაგიტული წიგნების ორთოდოქსულობის დასაბუთება და იმის ჩვენება, თუ როგორ გარდაქმნის წმ. დიონისე წარმართთა და ერეტიკოსთა შეხედულებებს ქრისტიანულ ჭეშმარიტებად.⁴ წმ. დიონისეს, სქოლიასტის თანახმად, მთელი წარმართული ფილოსოფიის ქრისტიანულ მოძღვრებად გარდაქმნა ჰქონდა განზრახული.⁵

როგორ ასაბუთებს კომენტატორი დიონისე არეოპაგელის „სრულ მართლმადიდებლობას“? ის აღნიშნავს ხოლმე, რომ არსებობს გარკვეული მსგავსება დიონისესა და წარმართ ფილოსოფოსთა გამოხატვის ფორმათა შორის. სქოლიასტის აზრით, დიონისე იორთოდოქსულ ღვთისმეტყველებას ზოგჯერ წარმართული ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი ენით გამოხატავდა.

„საღმრთოთა სახელთათვს“ კომენტარებში სქოლიასტი განმარტავს ტერმინს „ღმერთები“, რომელსაც დიონისე არეოპაგელი ხშირად ხმარობდა. „საღმრთოთა სახელთათვს“ დართულ იმ კომენტარში, რომე-

³ ლ. ალექსიძე, ანტიკურობა და ქრისტიანობა: ბერძნული ფილოსოფია იოანე პეტრინისა და (ფს.) მაქსიმე ალმარებლის კომენტარებში (დისერტაცია) (თბილისი, 1997), გვ. 144-189.

⁴ H. U. von Balthasar, Das Scholienwerk des Johannes von Scythopolis, გვ. 26.

⁵ H. U. von Balthasar, Das Scholienwerk des Johannes von Scythopolis, გვ. 24; I. P. Sheldon-Williams, The Reaction against Proclus (John of Scythopolis), *The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy*, ed. A. H. Armstrong (Cambridge, At the University Press 1970), pp. 473-477; E. des Places, La théologie negative du Pseudo-Denys, ses antécédents platoniciens et son influence au seuil du Moyen Age, *Studia Patristica*, vol. XVII in three parts, ed. by E. A. Livingstone (Oxford, New York, Toronto, Sydney, Paris, Frankfurt, Pergamon Press 1982), p. 88; B. R. Suchla, Verteidigung eines platonischen Denkmodells einer christlichen Welt, *Nachrichten der Akademie der Wissenschaften in Göttingen*, I, Philologisch-Historische Klasse, 14 (1995).

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

ლიც ქართულ ტრადიციაში მაქსიმე აღმსარებელს მიეწერება, ნათქვამია: „’ღმერთმთავრობა’ ითქუმის სამგუამოვნისა და ერთარსისა ღმრთებისათვს, რომელი მთავრობს ღმერთთა ზედა, რომელ არიან მის მიერ მადლით მიმღებელნი განღმრთობისანი ანგელოზნი და სულნი წმიდათანი. ამათ ზედა მთავრობს წმიდა სამება, ვითარცა მხოლოდ ბუნებით ღმერთი, დაუწყებელი და დაუსრულებელი, ხოლო ანგელოზთა და წმიდათა მისგან მიუღიეს დაბადებულება და მადლით⁶ განღმრთობა⁷.“ „მრავალღმერთობა“ განმარტებულია „საღმრთოთა სახელთათვს“ 2:14 კომენტარში, რომელიც გერმანოზს მიეწერება. კომენტატორი იმოწმებს წმ. დიონისეს სიტყვებს: „დაღაცათუ მრავალ არიან ღმერთნი და უფალნი, გარნა ეგრეთცა ერთ არს ჭეშმარიტი ღმერთი⁸, და თავად განაგრძობს: „’ერთღმრთება⁹’ უწოდს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ხოლო ‘მრავალღმერთ’ სახელდებულ მათ, რომელთა ჭეშმარიტისა და ბუნებით ერთღმრთებისაგან წმიდისა სამებისა მადლით და დამბადებელობით მიუღიერების განმღრთობა¹⁰.“⁹

„ღმერთების“ განმარტებასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიკოლოზ მეთონელის შეპირისპირება არეოპაგიტული კორპუსის კომენტატორებთან.¹⁰ ნიკოლოზ მეთონელს სიტყვა „ღმერთები“ პოლითეიზმის გამოხატულებად მიაჩნია. ამ მხრივ ის აკრიტიკებს პროკლეს და წინააღმდეგობას ხედავს პროკლესა და დიონისე არეოპაგელის მოძღვრებათა შორის მაშინაც, როცა ასეთი წინააღმდეგობა რეალურად არ არსებობს. მისგან განსხვავებით, დიონისე არეოპაგელის კომენტატორებს არ ეუ-

⁶ ჩვენს ხელთ არსებული ბერძნული ტექსტის თანახმად, „ზიარებით“. *Patrologiae cursus completus, Series Graeca*, ed. J.-P. Migne IV:I, 188a (შემდგომში – PG).

⁷ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ხეც), ხელნაწერი A-110, გვ. 9.

⁸ ეს არის შემოკლებული ციტატა არეოპაგელიდან, რომელიც, თავის მხრივ, I კორ. 8, 5-ს იმოწმებდა.

⁹ ხეც, A-110, გვ. 9; შდრ. S. Thomas Aquinatis in Beati Dionysii De Divinis Nominibus Expositio (Taurini-Romae 1950), p. 69.

¹⁰ ლ. ალექსიძე, პროკლეს „კავშირნის“ 122-ე თავის ნიკოლოზ მეთონელისეული ინტერპრეტაცია. მაცნე, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის სერია, 1990, №3, გვ. 20-22.

ლელა ალექსიძე

ხერხულებოდათ სიტყვა „ღმერთის“ მრავლობით რიცხვში ხმარება; მათ-თვის „ღმერთა“ სიმრავლე არ გამორიცხავდა (პირიქით, გულისხმობდა!) უზეშთაესი ღმერთის, სამგვამოვნისა და ერთარსების, არსებობას.

სიტყვით „ღმერთი“ ნეოპლატონიკოსები აღნიშნავდნენ გონებას, სულს, ანგელოზებს, დემონებს და სხვა. ნიკოლოზ მეთონელისთვის ესეც მიუღებელი იყო: მისი აზრით, შემოქმედი ერთია, არ შეიძლება გონებაზე ან სულზე როგორც საწყისებზე ლაპარაკი: ღმერთი თავად არის მათი შემოქმედი. ამ აზრს სხვა ქრისტიანი ღვთისმეტყველებიც იზიარებდნენ, მათ შორის დიონისე არეოპაგელი და მისი კომენტატორები. „საღმრთ. სახ.“ 1:1-ის კომენტარში დიონისე არეოპაგელი წერს: „რამეთუ ვითარ-იგი ჯეროვან არს რწმუნება ყოვლად ბრძნისა და უჭეშმარიტესისა ღმრთის-მეტყველებისა, შემსგავსებულად თითოეულისა გონებათა გამოუცხადების და ეჩუუნების ღმერთი“. მკითხველი ამ ნათქვამს საგანგებოდ, ალბათ, არც ჩაუფიქრდებოდა, კომენტარის ავტორს (იგი გერმანოზად არის მოხსენიებული) „გონებათა“-ზე რომ არ გაემახვილებინა ყურადღება. ამ შემთხვევაშიც კომენტატორი მოწმობს არეოპაგიტული ენის დამოკიდებულებას „გარეშეთა ფილოსოფოსთა“ ენაზე: „არა ხოლო კაცთათვს იტყვს ‘საზომისაებრსა გამოცხადებასა’, არამედ ანგელოზთათვსცა, რომელთა ჩუეულ არს ‘გონებად’ წოდებად, მსგავსად სიტყვსა ვიეთმე გარეშეთა ფილოსოფოსთასა, რომელი ზეცისა წესთა ‘გონებად’ იტყვან, რამეთუ ყოვლად გონება არს არსება მათი“.¹¹

მაშასადამე, „გერმანოზი“ აღნიშნავს, რომ დიონისე არეოპაგელი, ისევე როგორც წარმართი ფილოსოფოსები, რომლებიც ზეციური კანონ-ზომიერების გამომხატველ ძალებს „გონებას“ უწოდებდნენ (ესაა პლატონური ხაზი ფილოსოფიაში, რომელიც დემიურგს „გონებად“ განსაზღვრავს), ხმარობს ამ სიტყვას ანგელოზთა აღსანიშნავად, რადგან ტრადიციის გამო „ჩუეულ არს“. „მაქსიმეს“ კომენტარის თანახმად, ანგელოზი, ღვთისაგან მადლით განლმრთობილი, თავადაც ღმერთად იწოდება. „გონების“ ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით „ზეცათა მღდელობისთვს“ 1:2-ის კომენტარშიც: „წარმართინცა ფილოსოფოსი ‘გონება’ უწოდენ საცნაურთა მათ, ესე იგი არს ანგელოზებრთა ძალთა, რამეთუ ყოვლად ყოველი თითოეულისა მათისა გონება არს, და არსებასა მათსა ყოველსა სახედ მათდა აქუს გონება ცხოველი, არსება-ქმნული“.¹²

¹¹ ხეც, A-110, გვ. 10.

¹² იქვე, გვ. 199.

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

ამგვარად, არეოპაგიტული კორპუსის კომენტატორები აღიარებდნენ და თვითონვე მიუთითებდნენ, რომ წმ. დიონისე „გარეშე ფილოსოფოსთა“ ტერმინებს ხმარობს ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასთან მათი ბუნებრივი შეთანხმების საფუძველზე: ღმერთის ქმნილებათა შორის ანგელოზი დიონისე არეოპაგელის მიერ „ღმერთებადაც“ იწოდებან (როგორც ღვთიურობის მადლით მიმდებნი) და „გონებებადაც“ (როგორც არსებით გონებად მყოფნი). ყოველივე ეს ნეოპლატონური ტრადიციის ფორმალურად და ნაწილობრივ შინაარსობლივად ადეკვატური გამოხატულება იყო.

თუ რატომ ეწოდება ზეციურ ძალებს „გონება“, სქოლიასტი „საიდუმლოდ ღმრთისმეტყუელებისათვს“ 1:1-ის კომენტარშიც განმარტავს: „ხოლო ‘უთუალოდ გონებად’ უწოდს ზეცისა ძალთა, რამეთუ არა წორციელითა თუალითა აღსავსეობისათვს ეწოდების მათ მრავალთუალ, არამედ რამეთუ ყოველი არსებად მათი ცხოველ გონებად არს და მარადის მხედველობისათვს უმახვილეს და უმართლმხედველეს ყოვლისავე თუალისასა“.¹³

ფილოსოფიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემა არეოპაგიტულ კორპუსსა და მის სქოლიობში საღვთო ნების („ნებათა“) საკითხია. „საღვთო ნებებს“ დიონისე არეოპაგელი და მისი კომენტატორები უწოდებდნენ იმ ზეკოსმიურ, იდეალურ პრინციპებს – ნუმუშებს, რომელთა მიხედვით ღმერთმა ჩვენი ხილული სამყარო შექმნა. პლატონურ ტრადიციაში ისინი „ტიმაიოსის“ ფილოსოფიური მითის კოსმიური პარადიგმის იდენტური არიან, რომლის მიხედვით დემიურგი გრძნობად, მატერიალურ კოსმოსს ქმნის. ამ თემის განხილვისას დიონისე არეოპაგელი და მისი სქოლიასტი, ერთი მხრივ, პლატონურ ტრადიციას იცავენ, მეორე მხრივ კი ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელ ელემენტს წარმოაჩენენ, რადგან ხაზს უსვამენ, რომ „პარადიგმები“ („იგავნი“) ღმერთის აზრები და მისი ნებანი არიან, რაც მიგვანიშნებს, რომ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა ღმერთის არსებით და, ამდენად, აუცილებლობით კი არ იყო განპირობებული, არამედ მისი ნებით, რომელიც არსებაზე არ დაიყვანება.¹⁴

¹³ ხეც, A-110, გვ. 403.

¹⁴ ლ. ალექსიძე, საღვთო ნებანი, ანუ „იგავნი“ არეოპაგიტული კორპუსის

ლელა ალექსიძე

სქოლიასტი, თავისი დროისა და უფრო ადრეული ხანის ეკლესიის მა-
მათა მსგავსად, აკრიტიკებს მანიქეველებსა და, მათთან ერთად, იმ წარ-
მართ (ბერძენ) ფილოსოფოსებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ სამყაროში
ორი საწყისი არსებობს: კეთილი და ბოროტი. ამიტომ იგი ასაბუთებს,
რომ წმ. დიონისეს თანახმად, ეშმაკიც ბუნებით ბოროტნი არ არიან:
„საღმრთ. სახ.“ 4:22-ის „გერმანოზის“ კომენტარი ასეთია: „შეისწავე, ვი-
თარმედ ‘ხრწნილება’ უწოდს ბრალეულად და შეუწყობლად და უწესოდ
ალძრვასა ბუნებისასა [...] ხოლო ან სიტყვათა ამით დიდი დიონოსი ელენთა
და მანიქეველთა თქეუმულსა დაპჴსნის, ვითარმედ არცა ეშმაკი ბუნებით
ბოროტ არიან. ამისსა შემდგომად მათ მიერვე წინადადებულსა საძიებ-
ელსა შემოიღებს და თვთ აღქსნის და იტყვს პირველად ამას, ვითარმედ:
ეშმაკი ვერ განიხრწნიან არსებასა, რამეთუ არსებანი ვითარ-იგი არს-
ქმნულ არიან, მის წესისაგან არა მიიწევიან უარსო-ყოფად“.¹⁵

კომენტარში დიდი ყურადღება ექცევა მატერიის („ნივთის“) თე-
მას, მისი „არა-არსობის“, „ბოროტებისა“ თუ „საჭიროების“ საკითხებს.
„საღმრთ. სახ.“ 4:18-ს „გერმანოზი“ ასე განმარტავს: „ვინათგან თქუა,
ვითარმედ არა-არსებაცა სურის ვითამე კეთილისათვს და მის შორის ნე-
ბავს ყოფად, რომელი ესე ზემოცა ეთქუა, დალაცათუ წარმართთა სწავ-
ლულებისა შჯულთა თარგმანებს. რამეთუ წარმართთა მიმართ და მა-
ნიქეველთა, ბოროტისა წვალებისა წინამძღვართა, მბრძოლ არს სიტყუად
მისი [...] ამისთვის არა-არსი უსახო არს და უარსებო, მხოლოდ სიტყვა
ოდენ სახილველი, ვინათგა არა-არსება ‘უსახოდ ნივთად’ სახელ-სდვეს
ძუელთა. ხოლო ‘არა-არს’ ენოდების ნივთსა არა თუ რამეთუ ყოვლად
არარად არს, არამედ რამეთუ არა არს. რამეთუ არსთა არსება ღმერთი
არს, და იგი თვთსახიერება არს. არა-არსისგანვე უკუე არსად ღმრთისა
მიერ მოყვანებულ არს ნივთიცა“.¹⁶

არსისა და არა-არსის თემას სქოლიასტი „საიდუმლოდ ღმრთისმეტყუე-
ლებისათვს“ 1:1-ის კომენტარშიც ეხება. ის აღნიშნავს, რომ წარმართი
ფილოსოფოსები („ძუელნი იგი კაცნი“) გრძნობად, ნივთიერ საგნებს

კომენტარებში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX
(2001), გვ. 342-350.

¹⁵ ხეც, A-110, გვ. 95; PG 4, 288-289a.

¹⁶ ხეც, A-110, გვ. 78; PG 4, 272ad.

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

არა-არსს უწოდებდნენ, როგორც მარადცვლადსა და არამყარს, ხოლო გონებით საწვდომს („საცნაურო“) „არსს“ უწოდებდნენ, როგორც მარადიულებსა და უცვლელებს. აქვე კომენტატორი „სწავლული არცოდნის“ საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ ღვთისაკენ ზეაღსვლა არცოდნით („უცნაურებით“) ხდება: „ხოლო ძუელნი იგი კაცნი გრძნობადთა ამათ ‘არა-არსად’ უწოდდეს, ვითარცა მარადის ყოვლისავე შეცვალებისა მომღებელთა და არა მარადის მასვე და ერთსა ზედა მყოფთა და უკუდავთა და არა შეცვალებელთა არსებისა მათისათა წამებათა შემოქმედისა მათისათა. ესევე სიტყუანი მრავალგზის წარგვერიან ‘საღმრთოთა სახელთა’ წიგნსა ზედა და კუალად მრავალგზის მეხუთესა თავსა შინა, თუ ვითარ უცნაურებითა იქმნების აღყვანებაზ ღმრთისა მიმართ, და აქაცა გეპოვოს შემდგომად მცირედისა“.¹⁷

ამავე თემას სქოლიასტი „საღმრთ. სახ.“ 4:9-ის კომენტარშიც ეხება. აქაც ბოროტის უარსობაზეა ლაპარაკი. კომენტარის ავტორად „მაქსიმე“ არის დასახელებული: „ამისთვის სიტყვასაებრ დიდისა ბასილისსა, არცა დაუბადებელ არს ბოროტი, რათამცა ღმრთისა თანა დაუსაბამო იყოს სიტყვასაებრ მწვალებელთახსა, არცა კუალად დაბადებულ არს, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი ღმერთსა დაუბადებიან, და იგი თავადი სახიერ არს და კეთილ და სახიერისგან ბოროტისა დაბადებაზ შეუძლებელ არს. არამედ უგუამო და უკუანასკნელ შემოსრულ არს ბოროტი შემთხუევით მოკლებითა კეთილისათა, და არა ბუნებით ქონებითა გუამოვნებისათა, არამედ თვთმფლობელად დაბადებულნი რაოდენცა კეთილისაგან მოაკლ-დებოდინ, ეგოდენ ბოროტი შემოვალს მათ ზედა, ვითარცა თუალსა ხედ-ვისაგან დაკლებულსა ზესიბრმე“.¹⁸

პირველსაანყისის, დასაბამის თემას სქოლიასტი ხშირად ეხება. „საღ-მრთ. სახ.“ 4:21-ის კომენტარში „მაქსიმე“ განმარტავს, თუ რატომ არ შეიძლება, მანიქეველთა შეხედულებისაგან განსხვავებით, ორობა იყოს დასაბამი: „უწინარეს ყოფადისა მის მძღვარისა სენისა მანიქეველთახსა კეთილად იღუნის შემზადებად წამლისა, რაჟამს თქუას, ვითარმედ ყოვე-ლი ორობაზ არა დასაბამი არს, არამედ ერთობაზ არს დასაბამ ყოვლისა ორობისა. ხოლო მანიქეველნი არსთა დასაბამად წვალებენ ურთიერთას

¹⁷ ხეც, A-110, გვ. 404.

¹⁸ იქვე, გვ. 81.

ლელა ალექსიძე

წინააღმდეგომთა; არამედ ამას წინააღუდგების წელოვნებად მრიცხუელ-თავ, რომელი რაჟამს განყოფასა რიცხუთა სიმრავლისასა შეასრულებ-დენ, ერთსა დასდებენ დასაბამად ყოვლისა რიცხვსა, ხოლო ორობასა შემსრულებელ-ჰყოფენ. რამეთუ უკუეთუ მარტივ და ერთ არს დასაბამი ყოვლისა ნათესავისავ, ვითარ ორობად იყოს დასაბამ ყოველთა? რამეთუ არა მარტივი დასაბამი არს ორობად, არამედ შეზავებული. და ვითარ იწოდოს დასაბამ, რამეთუ პირველ შეზავებულისა ამის ორობისა დასა-ბამისა უსაკუთრეს დასაბამ-ყოფად ჯერ-არს ერთი. და რაჟამს ერთი და ერთი შეკრბენ, მაშინდა შეისრულების ორი, ვითარცა ცხად არს, ვითარ-მედ ყოვლად დაუმტკიცებელ არს შჯულისდებად უწესოდ ორთა დასაბამ-თა ყოფისად¹⁹.

„საღმრთ. სახ.“ 4:20-ის კომენტარში „მაქსიმე“ აღნიშნავს, რომ წმ. დიონისეს შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ბოროტების შესახებ წარმართა მოძღვრების უარყოფა იყო: „ღვთაებრივი დიონისეს მიზანი მრავალნაირად ცხადია: იგი ზოგიერთი ელინის შეხედულებას ებრძვის ბოროტების შესახებ, როცა ამბობს, რომ ბოროტება არსი არ არის“.²⁰

ეს ადგილი ჩემს თარგმანში მოვიტანე, რადგან ეფრემ მცირესთან „ელინები“ (ანუ „წარმართნი“) გამოტოვებულია. სრულად მომყავს ეს სქოლიო ეფრემის თარგმანში: „მრავლით კერძო ცხად არს მიზეზი სი-ტყუათა დიდისა დიონოსისთავ, რამეთუ ვიეთსამე მოგონებასა მბრძოლ ექმნების ბოროტისათვს და იტყვს, ვითარმედ: არსებითი სიბოროტე არა სადა არს, რამთამცა ყოვლად მოკლებითა კეთილისაგან ყოვლად უნანი-ლო იყო სახიერებისაგან, რომელი-ესე ყოვლად არა სადა იპოების არ-ცალა თვით ნივთსა მას შინა უსახოსა, რამეთუ ყოველივე ღმრთისა მიერ დაბადებულ არს, დაღაცათუ უკუანასკნელი და მცირე რამე კერძოა აქუს სახიერებისა მისისაგან“.²¹

„საღმრთ. სახ.“ 4:27-ის კომენტარში „მაქსიმე“ განმარტავს, რომ ბოროტება, ზოგიერთი ფილოსოფოსის შეხედულებისაგან განსხვავებით (აქ, შესაძლოა, პლატონი და პლატონიკოსები იგულისხმებიან), ნივთისა და ხორცის იგივეობრივი არ არის; უხორცონიც ხომ ცოდავენ, მაგა-

¹⁹ ხეც, A-112, გვ. 92.

²⁰ PG IV:281-284.

²¹ ხეც, A-110, გვ. 89.

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

ლითად ეშმაკნი: „ვინათგან ვიეთნიმე ფილოსოფოსთაგანნი იტყვან, ვითარმედ პირუტყუებრისაგან კერძოესა სულისა ნივთსა და ჭორცსა თანა აღრეულისა მიგარდების სულსა ზედა ბოროტის-მოქმედება, ვითარცა ზემოცა გვთქუამს. ამისთვის ყოვლად შუენიერად აღჰქისნის საძიებელსა ამას საღმრთო დიონოსი უჭირცოთა მათგან და ყოვლად არა ზიართა ჭორციელობისათა, რომელი თვინიერ ჭორცთა ცოდვენ მოკლებითა კეთილისათა, ვითარ-იგი არიან ეშმაკნი, რომელთა თანა თვინიერ ჭორცთა არს სიბოროტე“.²²

ნივთი (ანუ მატერია) რომ ბოროტი არ არის, ამას ეხება „გერმანოზის“ ვრცელი კომენტარიც „საღმრთ. სახ.“ 4:28-ისა. კომენტატორი თითქოს ეთანხმება წარმართ ფილოსოფოსებს იმაში, რომ ნივთი არა-არსია და უსახოა, მხოლოდ შესაძლებლობაა, ე. ი. პოტენციაა („ძალი“) და არაა აქტუალობა, „მოქმედება“ (ენერგია). ამასთანავე იგი უარყოფს ზოგიერთი ფილოსოფოსის შეხედულებას, რომლის თანახმად მატერია თავისი არარსობის გამო ბოროტია: „არა-არსად“ უკუე იტყვან ნივთსა გარეშენი ესევითარითა მიზეზისათვის, რამეთუ იტყვან, ვითარმედ არს, რომელ არს საცნაურთა შორის შემკობილებათა, პირველისა მისგან ზეშთაარსისა არსისა ქმნეულ არს. ხოლო ვინათგან იგი თავადი ზეშთა არსებისა არს, მის მიერ ეწოდა ‘სხუად არსად’ ჭეშმარიტისა მის არსისა უქუემოესაა. რამეთუ არსი იგი, რომელსა იტყვან ნივთად უჭირცოთა, სიტყვთ ხოლო სახილველად სახელ-სდებენ მას, რომელსა-იგი სახელცა იტყვან და ცხოველადცა, ვითარცა თანამოკიდულსა საცნაურთა არსებათასა. ხოლო გრძნობადთა შორისსა ამას ნივთსა ვითარცა უქუეგანესაა ყოველთა საცნაურთასა არცა სახედ იტყვან, არცა თვთცხორებად [...]. ამისთვის არა იტყვან მას ‘არს-ყოფად’, არამედ ‘არა-არს ყოფად’ [...] ვინათგან უკუე არარად არსთაგანად სახედ და რომელობად იტყვან მას, არამედ მხოლოდ ძალ ამათდა, ესე იგი არს, შესაძლებელ სახედ და ვითარებად მოყვანებად, სამართლად არა-არს არს სიტყვსაებრ ამათისა, რამეთუ არა აქუს თავსა შორის თვესა მოქმედება. ამისთვის უსახო არს და ურომელო და არა არს და ვითარცა ამათ ყოველთაგან უღლონოსა ‘ბოროტ’ ეწოდა. ამათ ყოველთა სიტყუათა აღჰქისნის დიდი დიონოსი და იტყვს, ვითარ ბოროტის-მოქმედი იქმნას ნივთი, რომელი ყოვლად არა-მქონებელ არს

²² ხეც, A-110, გვ. 101.

ლელა ალექსიძე

მოქმედებისა. რამეთუ ვერ-მქონებელი მოქმედებისაა ვერცა შემთხუევად რას შემძლებელი იგი თვისაგან მარტო არს. ხოლო უკუეთუ ‘არა-არს’ ითქუმის იგი, ვითარცა ყოვლად არა-არსი, ამისთვის არცა ბოროტ არს, არცა კეთილ. ხოლო უკუეთუ არს რამე, ანუ ღმრთისაგან არს, ანუ თავით თვისით, ანუ სხვა დასაბამისაგან და ეგრეთვე იყოს ღმერთიცა. ხოლო უკუეთუ საჭირო არს ნივთი, ვითარცა აღმავსებელი სავსებასა სოფლისასა, ვითარ ბოროტ იყოს ნივთი? რამეთუ განსაზღვრებად საჭიროება ესე არს, რათა სამარადისო იყოს ჭეშმარიტებით ვითარცა სარგებელისაა, ვითარ-იგი არს სათნოებად მარგებელ, რამეთუ სხუად არს ბოროტი და სხუა საჭირო. დაწინიდეს რად [დიონისე] მოგონებასა მათსა, რომელი იტყვან ბოროტ-ყოფასა ნივთისასა, იტყვს, ვითარმედ: ვერ უკუე ქუეყანით მიწისაგანსა ბუნებასა ნერგთა და ცხოველთასა ზრდის და შობს ნივთი? რამეთუ ყოველი მიწისაგანნი ნივთისაგან და სახისა არიან. ან უკუეთუ თვით-ბოროტი ვითარ შობდეს და ზრდიდეს და არა მყის განხრნიდეს და განიხრნებოდის? რამეთუ ესე არს გუარი ბოროტისაა. ვინათგან უკუე ვიეთნიმე წარმართთა ფილოსოფოსთაგანი ამისთვის იტყვან არა-გახრნასა ცათა და ვარსკულავთასა, რამეთუ უნ-მიდესისა ნივთისაგან არსო ქმნულებად მათი. ხოლო უმახლობელესთა განხრნადთა გუამთასა უზრქესისა ნივთისაგან იტყვან შექმნულად. ან უკუე საჭირო არს უკუანასკნელისა და უდარესად დაბადებულისათვის შემთხუევად ესევითარისაა. ამისთვის განიხრნებიან უქუემოესნი და და-უდგრომელობენ ვერ-შეძლებითა თავთა შორის თვისთა მდგომარეობისა და დამტკიცებისათა, ვითარ-იგი არიან ცად და ვარსკულავნი. ხოლო უკუეთუ საჭირო არს მათდა ესრეთ ყოფად, ვითარ აქუნდეს საჭიროობა-სა თანა ბოროტიცა ნივთსა თავსა შორის თვისსა სიტყვაებრ თქუენისა? ამისთვის არა სადმე ბოროტ არს ნივთი“.²³

ვინ შეიძლება ეგულისხმა კომენტატორს, როცა იმ წარმართული მოძღვრების შესახებ მსჯელობდა, რომელიც სამყაროში ორ საწყისს ალიარებდა? აქ შეიძლება სოკრატემდელი ფილოსოფოსები და პოეტებიც იგულისხმებოდნენ (პომეროსი, პესიოდე, პითაგორა, პერაკლიტე, პარ-მენიდე, ემპედოკლე, ანაქსაგორა), თავად პლატონი და არისტოტელე, აგრეთვე სტოელები. ასე განიმარტებოდა გვიანანტიკურ და ადრექრის-

²³ ხეც, A-110, გვ. 102.

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

ტიანულ ხანაში მათი კოსმოლოგიები.²⁴ შეიძლება, სქოლიასტს ნეოპლატონური მოძღვრება ჰქონდა მხედველობაში; განსაკუთრებით შესამჩნევია მსგავსებები შემეცნების საკითხთა დახასიათებაში. შესაძლოა ისიც, რომ სქოლიასტმა თავად განმარტა ერთ-ერთი ანტიკური მოძღვრება ნეოპლატონურ ყაიდაზე. თუმცა, ანტიკური ნეოპლატონიზმისთვის უცხო იყო მატერიის არარსად წოდება აბსოლუტური მნიშვნელობით და მისი ბოროტებად მიჩნევა (გამონაკლისია პლოტინი, და მასთანაც ეს საკითხი ცალსახად არ არის გადაჭრილი). აღსანიშნავია ისიც, რომ ნეოპლატონიკოსები, ეკლესიის მამათა და ამ შემთხვევაში დიონისე არეოპაგელის კომენტატორების მსგავსად, თვითონ აკრიტიკებდნენ მანიქერიზმს ორი საწყისის შესახებ მათი მოძღვრების გამო.²⁵ ვინც არ უნდა ეგულისხმა სქოლიასტს „ნარმართ ფილოსოფოსებში“, მას სურდა ხაზი გაესვა იმისთვის, რომ სამყაროში მხოლოდ ერთი საწყისი არსებობს. მსგავსი კომენტარი ახლავს „საღმრთ. სახ.“ 4:30 და 11:5-ს.²⁶

„საღმრთოთა სახელთათვს“ სქოლიოებში დიდი ადგილი ეთმობა პირველსაწყისის (თუ პირველსაწყისთა) შესახებ მსჯელობას. ტექსტის 11:1-ის კომენტარში ნათქვამია, რომ ზოგიერთი წარმართი ფილოსოფოსის თანახმად, ყველაფერი იშვა წინააღმდეგობისა და ბრძოლისაგან, ხოლო სხვების მიხედვით – სიყვარულისა და პარმონიისგან. პირველ შემთხვევაში, შესაძლოა, ჰერაკლიტე იგულისხმებოდეს, მეორეში – ემ-პედოკლე და პითაგორელები: „დიდთა სახიერთა წარმართთა მათ ფილოსოფოსთასა მამხილებელ იქმნების ან და კეთილად მსახურებისა მიმართ მიუძღვის მათ, რამეთუ მრავალნი მათგანნი განიწვალებიან ურთიერთას და რომელნიმე წინააღმდეგომობისა და მბრძოლობისა წდომისა და წყობისა იტყვან შობასა ყოველთასა, ხოლო რომელნიმე მხოლოდ ერთჯმობისაგან ოდენ და მეგობრობისა აზმნობენ დაბადებასა ყოველთასა და არცა ერთნი ამათგანნი ზრახვენ ლირსად ლმრთისა [ანუ ლმერთს სათანადო პატივს არ სცემენ, – ლ. ა.]. ამისთვის დიდი ესე მოძღუარი მათსა მას

²⁴ J. Pépin, *Théologie cosmique et théologie chrétienne* (Paris, 1964), p. 102.

²⁵ C. Andresen, *Antike und Christentum: Die gemeinsame Abwehrfront von Christen und Neuplatonikern gegen den Manichäismus, Theologische Realenzyklopädie* (Berlin-New York), Bd. III (1978), S. 69-70.

²⁶ PG IV: 301c; 397d.

ლელა ალექსიძე

სახელთმოქმედებასა მართლმეტყუელებად შესცვალებს და განაცხადებს ღმრთისა ყოველთა დამბადებელობასა და შემაერთებელობასა“.²⁷

არეოპაგიტული კორპუსის სქოლიობის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა ხორცით აღდგომა. მასთან დაკავშირებულია შემეცნების საფეხურების აღწერა და დახასიათება, აგრეთვე ე. წ. „სულელი სიბრძნის“ თემა, რომელიც გულისხმობს „სისულელეს“ ანუ უძლურებას, ნაკლს ჩვენთან, ადამიანებთან მიმართებაში, ხოლო ღმერთთან მიმართებაში კი მისი სიბრძნის გამოხატულებას.

ის, რაც წარმართებს და მწვალებლებს „სისულელედ“ მიაჩნდათ, მაგალითად, ღმერთის ხორციელი ვნება, სინამდვილეში ზეგონითი ღვთიური ჭეშმარიტებაა. „სულელ სიბრძნეს“ სქოლიასტი ლაკონურად განმარტავს „საღმრთ. სახ.“ 7:1-ის კომენტარში: „სულელად სიბრძნედ‘ უწოდს საღმრთოსა მას სიბრძნესა, რომელსა ვერცა ერთი კაცობრივთა სიბრძნეთაგანი შეუძლებდეს მინდომად. და ამითვე გულისწყმის-ყოფითა ‘უსიტყოდ’ და ‘უგონებოდ’ იტყვს მას, რომელსა ვერცა ერთი კაცობრივთა გონებათა გინა სიტყუათაგანი გამოსთარგმანებს სახესა და ღონესა მინთომისა მისისასა“.²⁸ ხორცით აღდგომის საკითხთან დაკავშირებით სქოლიასტი „საეკლესიოდა მღდელომთავრობისათვეს“ 7:2-ის კომენტარში აკრიტიკებს პლატონიკოსებს, გნოსტიკოსებსა და ორიგენეს, რომლებიც „შემდგომად სიკუდილისა წორცთა არღარა ყოფასა იტყვან, ვითარმედ უკუე არღარა კუალად ეგებიან იგინი მასვე აგებულებასა, ვითარ-იგი იყვნეს, რამეთუ ესე არს, რომელ-იგი იტყვან, ვითარმედ არა ღირს არს ნივთიერი რამე რახთამცა თანასაუკუნობდა სულისა, ხოლო სულისასა ოდენ მარტოდ იტყვან უკუდავყოფასა“.²⁹

მე-7 ეპისტოლეს კომენტარში სქოლიასტი განმარტავს გამოთქმას „სიბრძნე ღმრთისა“: „ხოლო ‘სიბრძნედ ღმრთისა’ უწოდს წარმართთასა სიბრძნესა, რამეთუ ღმრთისა მიერ მოცემულ იყო მათდა“.³⁰ აქვე სქო-

²⁷ ხეც, A-110, გვ. 171; PG IV: 392b.

²⁸ ხეც, A-110, გვ. 171. ლ. ალექსიძე, ხორცით აღდგომა, ‘სულელი სიბრძნე’ და შემეცნების საფეხურები არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში, მრავალთაგო, ფილოლოგიურ-ისტორიული ძეგანი, XVIII (1999), გვ. 265-273.

²⁹ ხეც, A-110, გვ. 386; PG IV: 173-176.

³⁰ ხეც, A-110, გვ. 422.

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

ლიასტი გვამცნობს, როგორია ფილოსოფიის ანტიკური გაგება. ის „არსთა ცნობაში“ მდგომარეობს: „’არსთა ცნობად’ უწოდს შეზავებულსა მას წესსა მოძრავობისათვს ზეცისათასა და ხედვასა სხუათა მათ აგებულთა ნაწილებისასა ერთისა მისებრ საზღურისა ფილოსოფოსობისასა, რომელი იგი ‘არსთა ცნობასა’ იტყვს ჭეშმარიტებად მეცნიერებად. ხოლო წმაჲ იგი მოციქულისა კორინთელთა მიმართ ამასვე იტყვს, ვინათგან ‘სიბრძნითა მით ღმრთისათა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თვისითა ღმრთი’ (I კორ. 1:21). ესე იგი არს, ხილულისა ამისგან შეწყობილებისა და განწესებისა დაბადებულთასა, რამეთუ ‘არსთა ცნობა’ სიბრძნისმოყუარებად ითქუმის და აღსარებულ არს წარმართთა შორის ფილოსოფოსთა, ვითარმედ ყოველთა განწესებად ყოველთა მიზეზისა ღმრთისა მიერ იპყრობების, ვინათცა ამის მიერ ღირს არს ცნობად ყოვლისავე საზღუარისდამდებელისა ღმრთისა“.³¹

ეს იყო რამდენიმე მაგალითი არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებიდან, რომლებიც ანტიკურ ფილოსოფიას შეეხება. სქოლიასტი აღნიშნავს წმ. დიონისეს განსწავლულობას ანტიკურობის სფეროში, მიუთითებს მსგავსებას არეოპაგიტული ღვთისმეტყველების ენასა და წარმართი ფილოსოფოსების გამოხატვის ფორმებს შორის. ის ხშირად უპირისპირებს წმ. დიონისეს მოძღვრებას ანტიკურ ფილოსოფიას და ამ უკანასკნელს ქრისტიანულ ერესებს უკავშირებს.³² უმეტეს შემთხვევაში ძნელია გადამჭრელი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ ვის გულისხმობდა ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში არეოპაგიტული კორპუსის სქოლიასტი, როცა წარმართ ფილოსოფოსებს ახსენებდა. ძნელია იმიტომ, რომ კომენტატორი ფილოსოფოსებს საკუთარი სახელებით კი არ მოიხსენიებდა, არამედ მათ მხოლოდ „გარეშეთ“, „წარმართებს“ ან „ძუელთ“ უწოდებდა. იდენტიფიკაციას ისიც აძნელებს, რომ სქოლიასტის თანამედროვენი (ისევე როგორც მისი წინამორბედები) სხვადასხვა ბერძენ ფილოსოფოსს ხშირად ერთსა და იმავე თეორიებს მიაწერდნენ. ანტიკური ფილოსოფიისადმი სქოლიასტის მიმართების საკითხი ჩვენთვის თავისთავად საინ-

³¹ ხეც, A-110, გვ. 422.

³² ფონ ივანკას თანახმად, ელინურ-ანტიკური აზროვნების ძირითადი ტენდენციები შემდგომში თავისებურად ერესებში განაგრძობდნენ განვითარებას. E. von Ivánka, *Hellenisches und Christliches im Frühbyzantinischen Geistesleben* (Wien, 1948), S. 7-8.

ლელა ალექსიძე

ტერესოა იმიტომაც, რომ გვინდა ვიცოდეთ, რა იცოდნენ ეფრემ მცირის თანამედროვე ქართველმა მკითხველებმა ანტიკური ფილოსოფიის შესახებ. ამ კუთხით ტექსტის ისტორიის (ვგულისხმობ არა მარტო ქართულ თარგმანს, არამედ ბერძნულ და სხვე ვერსიებსაც) შესწავლა ბევრის მომცემია: ის საშუალებას მოგვცემს გავიცოთ, ანტიკური ფილოსოფიის რომელი ცნებები აღარ ესმოდათ გადამწერებს, რას გამოტოვებდნენ ხოლმე თავდაპირველ ტექსტში და რას ცვლიდნენ, რა იყო მათთვის მხოლოდ ზოგადად ღირებული და რა აინტერესებდათ უფრო დეტალურად და ზუსტად. სქოლიოებზე მუშაობას ისიც ართულებს, რომ ჯერჯერობით არ გაგვაჩინია ბერძნული ტექსტის სრულყოფილი და კრიტიკული გამოცემა.³³ ეფრემ მცირის თარგმანის გაუთვალისწინებლად ის ვერც იქნება სრულყოფილი.

ბიბლიოგრაფია

References

Primary sources:

- Tbilisi National Center of Manuscripts, MS A-110.
- A. Tschumburidze, ed., *Commentaria Theologica Hiberico-Graeca De Angelicis Virtutibus. Textum Hibericum*, Tbilisi, 2001 (in Georgian).
- S. I. Enukaschvili, ed., Petrus Iberus. Pseudo-Dionysius Areopagita. *Opera. Versio Iberica ab Ephrem Mcire confecta* (Tbilissiis, 1961) (in Georgian).
- A. D. Angelou, ed., Nicholas of Methone, *Refutation of Proclus 'Elements of Theology'* (Athens-Leiden, 1984).
- Patrologiae cursus completus, Series Graeca, ed. J.-P. Migne, T. III, IV.
- P. Rorem, J.C. Lamoreaux, *John of Scythopolis and the Dionysian Corpus*.

³³ ბეატე რევინა ზუხლას მომავალი გამოცემა აკადემიური ნამდვილად იქნება, მაგრამ სრულყოფილებას, რამდენადაც ვიცი, მიზნად არ ისახავს, რადგან ძირითადად მხოლოდ უძველეს ხელნაწერებს დაეყრდნობა და ზოგიერთ უფრო გვიანდელ ვერსიას და ძველ თარგმანს არ გაითვალისწინებს, რაც, თავისთავად, ქართული ტექსტის წყაროთა დადგენისთვის შემაფერხებელი ფაქტია.

ანტიკური ფილოსოფია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში

Annotating the Areopagite (Oxford, 1988).

S. Thomas Aquinatis in *Beati Dionysii De Divinis Nominibus Expositio*
(Taurini-Romae, 1950).

Secondary literature:

- L. Alexidze, Nicholas of Methone on the 122th Chapter of Proclus' 'Elements of Theology', *Matsne, Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Series of Philosophy and Psychology*, 1990, N3, pp. 19-29 (in Georgian).
- L. Alexidze, *Antiquity and Christianity: Ancient Greek Philosophy in the Commentaries of Ioane Petritsi and (Pseudo) Maxomus Confessor* (Dissertation) (Tbilisi, 1997) (in Georgian).
- L. Alexidze, The Resurrection of Body, Docta ignorantia, and the Degrees of Knowledge in the Commentaries on the Corpus Dionysiacum Areopagiticum, *Mravaltavi, Philological-Historical Researches*, XVIII (Tbilissi, 1999), pp. 265-273 (in Georgian).
- L. Alexidze, The Divine Will (the "Paradigms") in the Commentaries on the Corpus Dionysiacum Areopagiticum, *Mravaltavi, Philological-Historical researches*, XIX (2001), pp. 342-350 (in Georgian).
- C. Andresen, Antike und Christentum: Die gemeinsame Abwehrfront von Christen und Neuplatonikern gegen den Manichäismus. *Theologische Realenzyklopädie* (Hrsg. von G. Krause und O. Müller) (Berlin-New York), Bd. III (1978), S. 63-70.
- H. U. von Balthasar, Das Scholienwerk des Johannes von Scythopolis, *Scholastik*, 15 (1940).
- H. H. von Balthasar, *Kosmische Liturgie. Das Weltbild Maximus' des Bekenners* (Einsiedeln, Trier) 1988.
- E. von Ivánka, *Hellenisches und Christliches im Frühbyzantinischen Geistesleben* (Wien, 1948).
- J. Pépin, *Théologie cosmique et théologie chrétienne* (Paris, 1964).
- É. des Places, La théologie negative du Pseudo-Denys, ses antécédents platoniciens et son influence au seuil du Moyen Âge. *Studia Patristica*, vol. XVII in three parts, ed. by E. A. Livingstone (Oxford, New York, Toronto, Sydney, Paris, Frankfurt, 1982).
- I. P. Sheldon-Williams, The Reaction against Proclus (John of Scythopo-

- lis), *The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy*; ed. A. H. Armstrong (Cambridge, 1970), pp. 473-477.
- B. R. Suchla, Die sogenannten Maximus-Scholien des Corpus Dionysiacum Areopagiticum, *Nachrichten der Akademie der Wissenschaften in Göttingen*, I, Philologisch-Historische Klasse, 1980, 3.
- B. R. Suchla, Verteidigung eines platonischen Denkmodells einer christlichen Welt, *Nachrichten der Akademie der Wissenschaften in Göttingen*, I, Philologisch-Historische Klasse, 1995, 1.

Lela Alexidze

Ancient Philosophy in the Scholia on Corpus Dionysiacum

The present article deals with the philosophical problems in the oldest scholia (VI-VII c.) of the Corpus of Pseudo-Dionysius the Areopagite. The main issues discussed are those questions that were posed in ancient Greek philosophy and echoed in patristics.

The discussion is based upon the old Georgian version of Dionysian Corpus and its scholia, translated by Ephrem Mtsire in the eleventh century. There are quite a lot of differences between the Greek text of the scholia as it is edited in *Patrologia Graeca* and the Georgian translation. Therefore, until the publication of a complete critical Greek text, it is difficult to identify the direct Greek original of this translation.

The authors of the scholia are named in one part of the Georgian version of the Corpus (only in the *Divine Names*, in the first six chapters): Maximus the Confessor and Germanus I, the Patriarch of Constantinople. In the Georgian version John of Scythopolis is not mentioned at all unlike the oldest Greek manuscripts as well as the Syriac version of the Corpus. Even today modern scholarship cannot give a definite answer concerning the question regarding authorship of the scholia, though it is commonly accepted that the main author of the scholia was John of Scythopolis with a lesser part having been written by Maximus Confessor. Exactly which parts of the scholion belong to each author remains unknown. The given paper views the philosophical issues of the scholia thematically, without identifying the author(s).

The scholia are important for the study of interpretation and critique of ancient Greek philosophy by the Christian thinkers of the sixth-seventh centuries and, through them, by the Georgian translator in the eleventh century. They let us, the modern reader, ask and reflect on the following questions: How did Christian commentators of the early post-antique period (sixth-seventh centuries) interpret Greek philosophers? Did they try to show the existing resemblance between their theories and those of Pseudo-Dionysius or did they want to express mainly dissemblance between them? How did the Georgian translator in the eleventh century understand all these references? Did he translate exactly, or did he omit some passages concerning the Greek philosophy, which perhaps were uninteresting for the Georgian reader? How correctly did he understand Greek philosophical concepts and how exactly did he translate them?

The purpose of the author of the scholia was to prove the orthodoxy of the Corpus and to show, how Dionysius 'restored to truth the false teaching of the Greek philosophy.' The scholiast had to demonstrate the orthodoxy of Dionysius and, at the same time, he had to convince the reader that the Dionysian theology did not depend on the Greek (pagan) philosophy. The scholiast tried to demonstrate the orthodoxy of Dionysian works and the essential differences in their resolution of similar problems by Dionysius and Greek philosophers without hiding the resemblances between them. The scholiast certified that Dionysius sometimes used expressions as used by Greek philosophers, though at the same time he proved that in some cases, in spite of terminological similarities, there was an essential difference between them.

Philosophically, the scholia on the *Divine Names* are the richest. The scholiast often mentions pagan philosophers and stresses that Dionysius was accustomed to expressing Christian truth by means of pagan philosophic language. In this regard, he defines the term "gods", frequently used by Pseudo-Dionysius. According to the scholiast, Dionysius often calls angels "intelligences", like other philosophers, who use the term "intelligence" to express the rules of the heavens, for their essence is "intelligence". In other cases the scholiast of the Corpus admitted that Dionysius used the terms of other philosophers naturally combining these with Christian theology. For example, the angels created by God are called "gods" by Dionysius (as they are the receivers of the divine grace), and they are also called "intelligences" (as representing intel-

ligence in their essence). All this was formally and essentially the expression of the Neo-Platonic tradition.

One of the most interesting philosophic themes of the Corpus and its scholia is the divine will (“wills”). Dionysius the Areopagite and his scholiast use the term “divine wills” to those supra-cosmic, ideal principles – the patterns (paradigms) according to which God created the visible world. In the Platonic tradition they are identical to the ideal cosmic paradigm in Plato’s *Timaeus*, according to which the Demiurge created the material cosmos. When discussing this issue, Pseudo-Dionysius and his scholiast(s) stick to the Platonic tradition, on the one hand, and, on the other, they reveal the element characteristic of Christian theory, as they underline the cosmic paradigms as being God’s wills; that means, ideas and paradigms are not self-subsistent beings, they are rather the thoughts and the will of God. With this, they point out that the creation of the world by God was not conditioned by God’s essence or any other necessity, but it was the divine will which cannot be equaled to His essence.

Like the theologians of his epoch or earlier times, the scholiast criticises the Manicheans and those pagan (Greek) philosophers who considered that there were originally two primordial principles in the world: the good and the evil. Therefore, he concluded that, according to Dionysius the Areopagite, the demons are not evil by nature; they are not generated as evils, they just became evil. The natural good is unchangeable in the demons, though they do not wish to turn towards the good. This issue is connected to the theme of matter: in a certain sense, it is “non-essential”, not “evil” but “necessary”; matter is called the ‘footstool’ of God and it also has a share in the good. According to the scholiast, the opinion of ancient Greek philosophers on matter is partially acceptable and partially unacceptable.

The themes of non-essentiality and the non-evil nature of matter are interlinked with the issue of evil and its non-essentiality in general. According to the scholiast, one of the main goals of Dionysius the Areopagite was to reject the theories of the ancient Greek philosophers on evil as he understood them. That is why he proved that evil is not essential and there is no essence of evil. Evil does not naturally exist and is without subsistence, it is not called a being or not-being. It is perishable for itself; it is accidental. And even that which is evil participates in goodness. Even those, who do something bad,

think that they are doing good. That is why they have a share in the good. Evil enters a being accidentally, like blindness covers an eye that cannot see well any more. The evil can have a positive result: the perishable can give birth to another being, like an egg which gives birth to a bird. The scholiast explained that, unlike the opinions of certain philosophers (here Plato and his adherents may be considered), evil is not analogous to matter or flesh, as those who have no flesh also commit sins, for example the devil.

One of the central issues of the Dionysian Corpus is the resurrection of the body which was unacceptable for the ancient Greek philosophers and for Simon Magus either, because they thought that the resurrection of the body was contrary to nature. According to the scholiast, since nothing is contrary to God, nothing can be contrary to nature. In the scholia the question of the resurrection of the body is closely linked to the discussion of philosophic issues like the degrees of knowledge and “foolish wisdom”, which means “foolishness” or weakness, disability with regard to human beings, whereas it is an expression of wisdom with regard to God. According to the scholiast, what was considered “foolish” by the pagans and heretics, e.g. the corporeal passion of God is in fact a supra-reasonable divine truth.

In most cases it is difficult to answer namely who was meant by the scholiast of the Dionysian Corpus in each concrete case while mentioning the pagan philosophers. This is hard, as when discussing this or that problem, the scholiast makes no mention of the philosophers’ names and only uses the terms “externals”, “pagans”, or “ancients”. The identification of the philosophers is difficult also because the contemporaries of the scholiast (like his predecessors) usually ascribed one and the same theory to various Greek philosophers. Sometimes the criticism of heresies is used by the scholiast also with regard to the antique philosophers. The attitude of the scholiast towards ancient Greek philosophers is worth special study. It is also worth learning in detail, how adequately the Georgian translator understood the terms, concepts and ideas of ancient Greek philosophy. Such a study largely requires the complete critical editions of the Greek original text and its old Georgian version. Therefore, it is very important to elaborate such editions.

ლერი მჭედლიშვილი

იოანე პეტრიწის „განმარტებას“ პირველი თავის ლოგიკური ნაწილის კომენტარი

სტატიაში ახსნილია იოანე პეტრიწის შრომის „განმარტება პროკლე-სთვას და დადობობისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვეს“ პირველ თავში მოტანილი ნახაზი-დიაგრამა და მითითებულია მისი შესაძლო წყარო. თუმცა ეს არ ეხება არც პროკლე-პეტრიწის მიმართებას და არც პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებებს, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია, პეტრიწის ტექსტის ადეკვატური გაგებისათვის მას გარკვეული ღირებულება ჰქონდეს.

მხედველობაში გვაქვს „განმარტებას“ პირველი თავის პირველი სამი აბზაცი შ. ნუცუბიძისა და ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით,¹ სადაც პეტრიწი ცდილობს განმარტოს, როგორ, რა ხერხით ასაბუთებს პროკლე დებულებას – „ყოველი სიმრავლე ეზიარების რათავე ერთსა?“ („განმარტებას“ დ. მელიქიშვილისეულ ახალქართულ ვერსიაში მას შეესაბამება პირველი თავის პირველი შვიდი აბზაცი²).

ეჭვი არ არის, რომ ტექსტის მითითებული ფრაგმენტის პირველი თხუთმეტი სტრიქონი აღნერს აპაგოგიური დასაბუთების მეთოდს. აღნერის ოდნავ თავისუფალი რეკონსტუქცია ასეთი შეიძლება იყოს: ჩამოაყალიბე დასასაბუთებელი დებულება (წინჩამოსაგდებელი სიტყვა, პროვლიმა), იგივე თეზისი; სილოგიზმებით (თანაშესიტყვის იძულებითი კანონებით) დაარღვიე მისი უარყოფა, საწინააღმდეგო (წინაგამწყო), იგივე ანტითეზისი, კერძოდ, უჩვენე, როგორი შეუძლებელი შედეგები (უჯერობა) მოსდევს მას; ამის საფუძველზე ძალგიძს დასასაბუთებელ დებულებაზე – „მაშასადამე, ასეა“ („ესრეთ ვიდრემე“). უშუალოდ ამის შემ-


¹ იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II (ტფილისი, 1937), გვ. 10-11.

² იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე და დადობობის „დმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, თანამდედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა (თბილისი, 1999), გვ. 9-11.

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი

დეგ პეტრინი გამოყოფს დასაბუთების სტრუქტურის ელემენტებს: თეზი-სი (წინჩამოსაგდებელი სიტყვა, პროვლიმა), საბუთები, ანუ არგუმენტები (საწმართა აღმოჩენისათა); გამოყვანა, ჩვენება (დაკაზმვა, კატასკევი), იგივე დემონსტრაცია; და დანასკვი (თანგასავალი, სკმპერაზმა), რომელ-იც ემთხვევა თეზის (ჩამონათვალში შეტანილია მხოლოდ პირდაპირი დასაბუთების ელემენტები, აპაგოგიურში დამატებით სირთულეს ჰქმნის ანტითეზისი და მასთან დაკავშირებული ნაბიჯები).

ყოველივე ამის შემდეგ პეტრინი ასკვინის – „ესე მცირედთა შემოისაზ-ლვრა კანონი არისტოტელის ‘ორლანოისა’“ და საილუსტრაციოდ გვთავა-ზობს ნახევარნრეებისაგან შედგენილ დიაგრამას, რომელზეც გარკვეული წესით დატანილია აბსოლუტური ზოგადი ტერმინები: არსება, ცხოველი, კაცი; უკვდავი, თვითმიმდრეები (ე. ი. თვითმოძრავი), სული; და, სქოლას-ტიკურ გამოთქმას თუ ვიხმართ, სინკატეგორემატული სიტყვები: ყოველი და ნუუმე.



არისტოტელეს ლოგიკური ტრაქტატების კრებულში „ორგანონში“ ბევრი რამ არის ისეთი, რასაც კანონი შეიძლება ეწოდოს, მაგრამ დიაგრა-მაზე წარნერილი სიტყვები, მათი თანმიმდევრობა, მარტივი კატეგორიუ-ლი წინადადების „პირველ ანალიტიკაში“ მიღებული სტანდარტი – წინა-დადების დასაწყისში პრედიკატი, სუბიექტი ბოლოში, და თვითონ პეტრი-ნის კომენტარი – საშუალო „აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კიდურთა“, „ხედავა, ვითარ თანამესაშუალეობითა ცხოველისათა ალიარა არსებად კაცისად?“ – გვეხმარება დიაგრამაზე წარნერილი სიტყვები წავი-კითხოთ როგორც აზრიანი მთლიანობა. კერძოდ, ზემო ორ წახევარნრეში ჩაწერილი ორი სტრიქონი უნდა წავიკითხოთ შემდეგნაირად:

თუ არსება მიეწერება (ეკუთვნის) ყოველ ცხოველს
და ცხოველი – ყოველ კაცს,
მაშინ არსება მიეწერება ყოველ კაცს;

ლერი მჭედლიშვილი

ამის მსგავსად, ქვემო ორი სტრიქონი – ასე:

თუ უკვდავი მიეწერება ყოველ თვითმოძრავს,
და თვითმოძრავი – ყოველ სულს,
მაშინ უკვდავი მიეწერება ყოველ სულს.

თუ ჩანტრის არისტოტელეს შემდეგ შემუშავებულ ყაიდას გამოვიყენებთ,
ეს დასკვნები ასე უნდა წარმოვადგინოთ:

ყოველი ცხოველი არის არსება
ყოველი ადამიანი არის ცხოველი

ყოველი ადამიანი არის არსება

ყოველი თვითმოძრავი არის უკვდავი
ყოველი სული არის თვითმოძრავი

ყოველი სული არის უკვდავი

ასეთი წაკითხვა გვიჩვენებს, რომ დიაგრამაზე გაკეთებული წარწერის მეოთხე სტრიქონში მარჯვენა ნახევარნრეში, ნაცვლად სიტყვებისა „თვით მიმდრევისათვის“, უნდა ეწეროს სიტყვა „სულისათვის“ (ეს, ალბათ, გადამწერთა ლაფსუსია).


ამრიგად, დიაგრამაზე წარწერილია კატეგორიული სილოგიზმის | ფიგურის ერთი და იმავე მოდუსის ორი სხვადასხვა ეგზემპლარი, მოდუსისა, რომელსაც შუა საუკუნეებში, სავარაუდოდ, პეტრე ეპანელმა (1224-1277), Barbara უწოდეს.

დიაგრამის პეტრინისული ტერმინოლოგიური კომენტარის პირველი პუნქტი – „ხოლო ამას პირველსა საზღვარსა ეწოდების პროტასი, კიდე“, სავარაუდოა, რომ უზუსტობას შეიცავს, თუკი სიტყვებს „საზღვარი“ და „პროტასი“ (ბერძნ. πρότασις) იყენებს იმავე აზრით, რომლითაც ისინი სილოგიზმების თეორიაში გამოიყენებოდა. მართლაც, „საზღვარი“ (ბერძნ. ὄρος) „პირველ ანალიტიკაში“ გამოყენებული მნიშვნელობით (მისი ლათინური შესატყვისია terminus) არის ის, რასაც დღესაც ტერმინს ვუწოდებთ, პრიტასი კი ნიშნავს წინადადებას, დებულებას, სილოგისტიკურ კონტექსტში – წანამძღვარს. ამიტომ, ცხადია, პეტრინის მიერ მოტანილი მაგალითის ფარგლებშიც შეუძლებელია საზღვარი იყოს პროტაზისი, საზღვარი მხოლოდ მისი შემადგენელი ელემენტია. რატომ იყენებდა არის-

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი

ტოტელე სიტყვა ‘όρος-ს („საზღვარს“) ასეთი, ერთი შეხედვით უცნაური, მნიშვნელობით, იოლი ასახსნელია. კატეგორიული წინადადების ზემოთ ხსენებულ სტანდარტულ ჩანაწერში, მაგალითად, „უკვდავი მიენერება ყოველ თვითმოძრავს“, ტემინები მისი კიდეებია, საზღვრებია.³

ახლა, თუ მოტანილ სილოგიზმებში ზოგადი ტერმინების განსხვავებისგან განყენებას გავაკეთებთ და მათ ადგილებს ასოებით მოვნიშნავთ, იოლად დავინახავთ, რომ ერთი დიაგრამა მოტანილი და ის ორჯერ, სხვადასხვანაირად არის ტერმინებით შევსებული (ასოების გამოყენება ტერმინების ადგილების მისათითებლად არის აგრეთვე ერთ-ერთი არის-ტოტელური სტანდარტი: „პირველ ანალიტიკაში“ ვერ ვნახულობთ სწორი მოდუსის ვერც ერთ კონკრეტულ მაგალითს, ისინი, ყველა, ფორმულების სახით არის ჩანაწერილი; არისტოტელე კონკრეტულ ტერმინებს იყენებს მხოლოდ კონტრმაგალითებში – კონსტრუქციებში, რომელთა გამოყენებითაც არღვევს არასწორ მოდუსებს):⁴



როგორ უკავშირდება დიაგრამაზე ჩანაწერილი კატეგორიული სილოგიზმები იმას, რაზედაც მანამდე იყო მსჯელობა ტექსტში? რის საილუსტრაციოდ მოაქვს ისინი ავტორს? არისტოტელური სილოგიზმი ვიწრო გაგებით – არა დედუქცია საერთოდ, არამედ კატეგორიული სილოგიზმი – არ შეიძლება იყოს აპაგოგიური დასაბუთების მაგალითი, რადგან აპაგოგიური დასაბუთება შეუძლებელია წარმოვადგინოთ კატეგორიული სილოგიზმის რომელიმე მოდუსის სახით, ის უფრო ზოგადია და აქვს გამოყენების უფრო ფართო არე, ვიდრე კატეგორიულ სილოგიზმს; აპაგოგიური დასაბუთება წინადადებათა (პროპოზიციული) ლოგიკის კონსტრუქციაა ისევე, როგორც გამოყვანადობის ტრანზიტულობის თვისება – წანამძღვართა შედეგთა შედეგი თვითონაა ამ წანამძღვართა შედეგი;

³ Я. Лукасевич, *Аристотелевская силогистика с точки зрения современной формальной логики* (Москва, 1959), стр. 36-37.

⁴ იქვე, გვ. 41-45.

ლერი მჭედლიშვილი

არისტოტელე ორივე მათგანს იყენებს არასრულყოფილი მოდუსების სრულყოფილ მოდუსებზე დაყვანისათვის, მაგრამ თვითონ მას ეს მეთოდები არ გამოუკვლევია, ისინი კვლევის ობიექტად სტოელთა ლოგიკაში იქცა. მაშინ იქნებ ისინი პირდაპირი დასაბუთების ილუსტრაცია? არისტოტელეს მიხედვით, არის არა უბრალოდ სილოგიზმი, არამედ მეცნიერული სილოგიზმი,⁵ სილოგიზმი, რომლის წანამძღვრები აუცილებლობითაა ჭეშმარიტი,⁶ ფილოსოფებმა,⁷ პეტრინის ტექსტში კი ამგვარ რაიმეზე მითითება არ გვაქვს. ვვარაუდობთ, რომ პეტრინს თავისი მაგალითები მართებულად ესმოდა როგორც გამოყვანის, დემონსტრაციის (დაკაზმვის, კატესკევის) საშუალება, მის ამ ფუნქციაზე მიუთითებს ის თავის დასაწყისში და სწორედ ამის საილუსტრაციოდ აწვდის ის მათ მკითხველს (მსმენელს).

კი მაგრამ, ბუნებრივად დგება კითხვა: თავად ნახაზი რას გულისხმობს? მხოლოდ გრაფიკული ჩუქურთმაა, თუ რაიმეს ნიშნავს? იქნებ ის სილოგიზმების მთელი თეორიის დალაგებაა, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს,⁸ ან იქნებ ის მხოლოდ Barbara-ს წარმოგვიდგენს თვალსაჩინოდ, ანდა მთლიანად | ფიგურას? ჯერჯერობით ამ კითხვებზე კარგად მოტივირებული პასუხის გაცემა არ ძალგვიძს, რადგან ყველაფერი, რაც ვიცით მის შესახებ, ამოვიკითხეთ და დავადგინეთ მასზე წარწერილი სიტყვებიდან ისე, რომ თვითონ ნახაზი არ გამოგვიყენებია.

ტექსტი კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას გვაძლევს. პეტრინი მოტანილ დიაგრამას უწოდებს სქიმას ანუ ნაკვეთს. ეს ტერმინი (ბერძნ. σχῆμα) „პირველ ანალიტიკაში“ გამოყენებულია კატეგორიული სილოგიზმების თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნების გამოსახატავად; მას მოგვიანებით ლათინური figura შეუსაბამეს, და ასე დამკვიდრდა ის ლოგიკაში. რათა მოდუსის ფორმალური ჩანაწერიდან მივიღოთ იმ ფიგურის ჩანაწერი, რომელსაც ეს მოდუსი ეკუთვნის, უნდა გამოვტოვოთ ყველა სინკატეგორემატული სიტყვა და მოვნიშნოთ (მაგალითად,

⁵ არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, I:2, 71b 13.


⁶ იქვე, I:4, 73a 23.

⁷ არისტოტელე, ტოპიკა, VIII:11, 162a 15.


⁸ იოანე პეტრინი, შრომები, ტ. II, გვ. 8.

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი

ასოებით) მხოლოდ ტერმინების ადგილები წანამძღვრებსა და დანასკვში, რადგან ფიგურა მხოლოდ ტერმინთა ადგილმდებარეობით განისაზღვრება. გამოდის, რომ პეტრინის დიაგრამა, გათავისუფლებული მატერიის-გან, ზოგადად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:



ან კიდევ უფრო მარტივად ასე:



რადგანაც დანასკვში ერთმანეთთან შეერთებულია კიდეებზე მდგომი (კიდური) ტერმინები A და Γ, ხოლო მიღებული დიაგრამის მეორე სტრიქონიდან მათი გამოტოვების შემდეგ ეს ინფორმაცია არ იკარგება.

ახლა კი თითქოს შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დიაგრამით წარმოდგენილია კატეგორიული სილოგიზმების | ფიგურა. მაგრამ არა. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ საფუძვლიანად, როდესაც გვეცოდინება, როგორია დიაგრამები სხვა ფიგურებისათვის, გვეცოდინება, როგორ დიაგრამას დახაზავდა პეტრინი, საილუსტრაციოდ ნებისმიერი სხვა ფიგურის მოდუსები რომ აეღო. უნდა გაირკვეს აგრეთვე, დიაგრამა პეტრინის თავისებური ან ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია,⁹ როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, თუ სხვა წყაროებიც გვაწვდის სილოგიზმების მსგავს წარმოდგენებს.

ფიგურა არისტოტელესთანაც და გვიანდელი ტრადიციის მიხედ-


⁹ И. Петрици, *Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха (Вступительная статья и примечания Г. В. Тевзадзе)* (Москва, 1984), стр. 245; д. მელიქშვილი, დასკვნა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძველ ქართულში, მაცნე, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის სერია, 1987, N1, გვ. 56; მისივე, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან (თბილისი, 1999), გვ. 15.

ლერი მჭედლიშვილი

ვითაც, როგორც უკვე ითქვა, არის ტერმინების განლაგების წესი სილოგიზმში. „პირველი ანალიტიკის“ სისტემატურ ნაწილში, კერძოდ, იქ, სადაც ასერტორული სილოგისტიკაა გადმოცემული, არისტოტელე სილოგიზმებს სამ ფიგურად ყოფს და მათ განიხილავს. პოსტარისტოტელური ტრადიციის მიხედვით კი არსებობს ოთხი ფიგურა და მიღებულია მათი ორგანზომილებიანი ჩანერა, რასაც, თუკი ტერმინების მიმდევრობას წანამდლვრებსა და დანასკვში ავიღებთ არისტოტელური პარადიგმის მიხედვით – ჯერ პრედიკატი, შემდეგ სუბიექტი – ასეთი სახე ექნება:

I.	P – M	II.	M – P	III.	P – M	IV.	M – P
	M – S		M – S		S – M		S – M
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
	P – S		P – S		P – S		P – S

თუ არსებობს შეთანხმება, რომ პრედიკატი უნდა შედიოდეს პირველ წანამდლვარში, ხოლო სუბიექტი – მეორეში, ასეთ შეთანხმებას კი წამდვილად იცავდნენ სილოგიზმების თეორეტიკოსები, მარტივი გადათვლა გვიჩვენებს, რომ სხვაგვარი შესაძლებლობა მართლაც არ არსებობს. წანამდლვრებში ტერმინთა განლაგებას გარკვეული დიაგრამებითაც გამოხატავდნენ:



(იგულისხმება, რომ ტეხილის ზემო და ქვემო ბოლოები აღნიშნავენ შესაბამისად დანასკვის პრედიკატსა და სუბიექტს). ძნელი წარმოსადგენია, რომ პეტრინის რკალური დიაგრამა მიღებული იყოს ასოების მითითებული კონფიგურაციების ან ამ ტეხილი დიაგრამების ტრანსფორმაციით.

არისტოტელეს სამი ფიგურა ზემოთ მითითებულ პირველ სამ ფიგურას ემთხვევა. IV ფიგურის ხუთივე მოდუსი, უფრო ზუსტად, მათი ტოლფასი I ფიგურის ე. წ. შექცეული მოდუსები, არისტოტელეს შემჩნეული ჰქონდა და უჩვენა კიდევაც მათი მართებულობა,¹⁰ მაგრამ თეორიაში მათ ადგილი არ მიუჩინა. პერიპატეტიკულ სკოლაში უკვე არისტოტელეს დროს დაიწყო დისკუსია ამ „მიუსაფარი“ მოდუსების სტატუსზე,

¹⁰ არისტოტელე, პირველი ანალიტიკა, I:7 და II:1.

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი

რაც ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ამ მოდუსების ცალკე, არაარისტო-ტელურ IV ფიგურად გაერთიანებით. სავარაუდოდ, არაპა ფილოსოფოს ავეროესისგან (იბნ-რუმდისგან) (1126-1198) იღებს სათავეს შემდგომში ფართოდ გავრცელებული რწმენა, რომ IV ფიგურის ავტორია რომაელი ექიმი და ფილოსოფოსი კლავდიუს გალენუსი (128-199); ამ რწმენის საპირისპიროდ, თვითონ გალენუსი თავის შრომაში „დიალექტიკის შესავალი“, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში იქნა ნაპოვნი და გამოცემული, ამტკიცებს IV ფიგურის არსებობის შეუძლებლობას. მიუხედავად ამისა, ავეროესის აზრს ამის შემდეგაც მთელი საუკუნის მანძილზე უკრიტიკოდ იმეორებდნენ. მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში შეცდომა ნათელყო და მისი წყაროები გამოავლინა ი. ლუკასევიჩმა.¹¹

ორი თვალსაზრისი არსებობს იმაზე, თუ რატომ არ გვაქვს არისტოტელესთან IV ფიგურა. ი. ლუკასევიჩსა და ი. მ. ბოხენსკის მიაჩნიათ, რომ მას ეს ფიგურა მხედველობიდან გამორჩა, გამოეპარა, რომ მან ამ საკითხში დაუშვა დასანანი შეცდომა,¹² და თუმცა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც „პირველი ანალიტიკის“ სისტემატური ნაწილი უკვე დაწერილი იყო, მიაგნო ახალი კონფიგურაციის მოდუსებს, დრო აღარ ეყო იმისათვის, რომ ყოველივე ეს ერთიანობაში გაეაზრებინა. მეორე თვალსაზრისს ვხვდებით უ. და მ. ნილებთან და გ. პატციგთან.¹³ მათი ძირითადი იდეა ისაა, რომ არისტოტელეს მხედველობიდან კი არ გამორჩა IV ფიგურა, ის მისთვის „უხილავი“ იყო და ვერც დაინახავდა მას და ვერც გაითვალისწინებდა, რადგან ის სილოგიზმების ფიგურებად დაყოფას გვიანდელისგან განსხვავებული ხერხით აკეთებდა და ასეთი ხერხით კლასიფიკირებისას წარმოიშობა სამი შესაძლებლობა და მას მათგან არც ერთი არა აქვს გამოტოვებული. შემდეგი თაობის ლოგიკოსებმა კი მოძებნეს უფრო ფაქიზი პრინციპი დაყოფისათვის და გამოვიდა ოთხი შესაძლებლობა.

შევნიშნოთ, რომ კითხვა – რატომ გამორჩა არისტოტელეს IV ფიგურა? – უადგილოა, თუკი ჩვენი ინტერესის საგანია სილოგისტიკა, რო-

¹¹ Я. Лукасевич, *Аристотелевская силогистика с точки зрения современной формальной логики*, გვ. 80-85.

¹² იქვე, გვ. 62-67.

¹³ W. Kneale, M. Kneale, *The Development of Logic* (Oxford, 1962), pp. 71-72; G. Patzig, *Aristotle's Theory of the Syllogism* (Dordrecht, 1968), p. 126.

ლერი მჭედლიშვილი

გორც ლოგიკური თეორია: ეს თეორია რომ მთლიანად იყოს მოცემული, საკმარისია მხოლოდ პირველი ფიგურა (და უკუქცევისა და დაპირისპირების კანონები), უფრო მეტიც, I ფიგურის მხოლოდ ზოგადდანასკვებიანი მიღუსები Barbara და Celarent-იც კი, რადგან მათზე დაიყვანება ყველა სხვა მართებული სილოგისტიკური დებულება – Darii და Ferio (ეს თვითონ არისტოტელემ უჩვენა), IV ფიგურის მოდუსები, ყველა ფიგურის შექცეული მოდუსები, ყოველნაირი პოლისილოგიზმები – სორიტები, კასკადები და ა. შ. მოკლედ, არისტოტელეს, მითითებულის გარდა, ყველაფერი რომ გამოეტოვებინა, მთლიანი თეორია აგებული იქნებოდა. ამავე დროს, თუ თეორიის გამოყენება გვაქვს მხედველობაში, თეორემების (სილოგისტიკის შემთხვევაში, სხვა მოდუსების) დამტკიცება, თეორიის გაშლა, ცხადია, უმნიშვნელო საქმე არ არის, ის გვიჩვენებს თეორიის ძალასა და ნაყოფიერებას და აღნიშნული კითხვა რელევანტურია, თუმცა არ არის აუცილებელი, ეს საქმე მთლიანად თეორიის შემქმნელმა დაასრულოს.

ახლა მეორე თვალსაზრისზე გავამახვილებთ ყურადღებას იმის გამო, რომ მასთან დაკავშირებით გავეცნობით ფაქტებს, რომლებიც პეტრინის ზემოთ განხილულ დიაგრამას ჰქონენ ნათელს.

როგორც სილოგიზმის პირველი იდეა, ისე დიდი, საშუალო და მცირე ტერმინების განსაზღვრებები დიაირეზისზე პლატონური მოძღვრებიდან იღებს სათავეს, მაგრამ ეს განსაზღვრებები მორგებული იყო მხოლოდ ჭეშმარიტნანამძღვრიან Barbara-ზე. ამიტომ არისტოტელე იძულებული იყო ხელახლა განესაზღვრა ეს ცნებები სხვა ფიგურებისთვის. საბოლოო სახით მისი კონცეფცია, გარკვეული აზრით, არათანმიმდევრული, ჩამოყალიბებულია „პირველი ანალიტიკის“ პირველი წიგნის 23-ე და 32-ე თავებში. ეს თავები იყო საფუძველი იოანე ფილოპონუსის (დაახლ. 490-575) განსაზღვრებებისა, რომლებიც გაზიარებულ იქნა ტრადიციულ ლოგიკაში: საშუალოა ტერმინი, რომელიც ორივე წანამძღვარში გვხვდება, დიდი ტერმინი დანასკვის პრედიკატია, ხოლო მცირე – მისი სუბიექტი. იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უკავია საშუალო ტერმინს წანამძღვრებში, განისაზღვრება ფიგურა. წანამძღვრებისა და დანასკვების ცალ-ცალკე სტრიქონებში ჩაწერისას მივიღებთ ერთმანეთისგან განსხვავებულ ოთხ ფიგურას; ეს ფიგურები ზემოთაა მითითებული.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. არისტოტელეს სილოგიზმის სტრუქტურა წარმოდგენილი ჰქონდა ტერმინების წრფივად დალაგებული (ერთგანზომილებიანი) სამეულის სახით – (A, B, Γ). ამ

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი


სამი ტერმინიდან თითოეული, როგორც პრედიკატი, შეიძლება დაწყვილდეს მის მარჯვნივ მდებარე ნებისმიერ ტერმინთან, როგორც სუბიექტთან, და შექმნას კატეგორიული წინადადება; ტერმინთა მითითებული სამეულიდან ამ გზით სამი წინადადება შეიძლება შედგეს: A – B, A – Γ, B – Γ; ნებისმიერ ფიგურაში მათგან ორი წანამდლვარია, ერთი – დანასკვი. თუკი ამ პირობებს გავითვალისწინებთ, იოლად დავინახავთ, რომ ფიგურების რიცხვი ზუსტად სამია. რათა ნათელი იყოს, რომ არისტოტელე მართლაც ასე მსჯელობდა, გავიმეოროთ მისი ბჭობა „პირველი ანალიტიკის“ პირველი წიგნის 23-ე თავიდან: თუკი გვსურს დავასაბუთოთ, რომ A გამოითქმის ან არ გამოითქმის Γ-ზე, საშუალოდ უნდა ავიღოთ B, ეს კი სამნაირად არის შესაძლებელი: (A, B, Γ) – A პრედიკატია B-სთვის, B კი – Γ-სთვის (I ფიგურა), (B, A, Γ) – B პრედიკატია A-სთვისაც და Γ-სთვისაც (II ფიგურა), (A, Γ, B) – A-ც და Γ-ც პრედიკატებია B-სთვის (III ფიგურა). შესაძლებლობათა ასეთი ანალიზი და გათვლა უფრო ტლანქია, კიდევ ტრადიციული, მაგრამ ანალიზის მოცემული კონცეფციის ჩარჩოში არც ერთი შესაძლებლობა გამოტოვებული არ არის. ალბათ, ეს ჰქონდა კლავდიუს გალენუსს მხედველობაში, როდესაც IV ფიგურის არსებობის შეუძლებლობას ამტკიცებდა.

სილოგიზმის ორგანზომილებიანი ჩანაწერიდან ცალსახად იყითხება ფიგურაც და ყოველი ტერმინის სახეობაც – დიდი ტერმინია ის, საშუალო თუ მცირე, რადგან ჩანაწერში მითითებულია, რომლებია წანამძლვრები და რომელი დანასკვი. ამის კიდევ უფრო გასაადვილებლად შემოილეს საგანგებოდ შერჩეული ასოების P, M და S-ის ხმარება შესაბამისად დიდი, საშუალო და მცირე ტერმინების ალსანიშნავად. ამისგან განსხვავებით არისტოტელური ერთგანზომილებიანი ჩანაწერიდან დამატებითი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ცალსახად ამგვარი ცნობების ამოკითხვა. არისტოტელემ ამ სიძნელის მოვლა სცადა: ფიგურებში იგი ტერმინების ალსანიშნავად იყენებს ტერმინების სხვადასხვა სამეულებს (A, B, Γ)-ს პირველ ფიგურაში, (M, N, Ξ)-ს – მეორეში და (P, R, Σ)-ს – მესამეში. ამავე დროს ამ სამეულების ყოველი გამოყენებისას პირველ ფიგურაში ეს ასოები ალნიშნავენ შესაბამისად დიდ, საშუალო და მცირე ტერმინებს, მეორეში – საშუალოს, დიდსა და მცირეს, ხოლო მესამეში – დიდს, მცირესა და საშუალოს. ზუსტად ასეთი თანმიმდევრობით იღებს ის ტერმინთა სამეულებსაც კონტრმაგალითებისათვის თითოეულ ფიგურაში. არისტო-

ლერი მჭედლიშვილი


ტელეს მეთოდი პრაქტიკულად ძალიან მოუხერხებელი იყო: სილოგიზმის მისეული სქემატური ჩანაწერიდან რომ ამოვიკითხოთ ინფორმაცია ტერ-მინებზე, უნდა ვიცოდეთ ფიგურა, ხოლო ფიგურის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ამ ფიგურისათვის შერჩეული ასოების ცოდნა. ამდენის დამახ-სოვრება კი ყოველი დროის მკითხველს სიძნელის წინაშე დააყენებდა.

ცხადია, იქნებოდა ფიგურების ერთგანზომილებიან ჩანაწერებში და-მატებითი ინფორმაციის შეტანის (კოდირების) ცდები. ერთი ასეთი ცდის შესახებ ცნობას გვაწვდიან უ. და მ. ნილები ზემოთ მითითებულ შრომა-ში.¹⁴ ამ ცნობის თანახმად „პირველი ანალიტიკის“ ამონიუს ჰერმიასისეულ (დაახლ. 435-520) კომენტარში (Ammonius. In Aristotelis Analyticorum Priorum Librum I Commentarium. Ed. M. Wallies, C. I. G. iy (yi), p. x.) I, II და III ფიგურების წარმოსადგენად გამოყენებულია დიაგრამები:



დიაგრამებზე ზედა რკალები აერთებენ ტერმინებს ისე, როგორც ისინი უკავშირდებიან ერთმანეთს წანამძღვრებში (მათ თითო წვერო საერთო აქვთ და ის აღნიშნავს საშუალო ტერმინს), ქვედა რკალი ტერ-მინების შეერთება დანასკვში.

შესაძლებელია იყო სხვა ცდებიც (ამონიუსის ეს კომენტარი წიგნში დასახელებულია როგორც ასეთი ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო). მა-გრამ დავაკვირდეთ ამონიუსის დიაგრამებს. იოლი მისახვედრია, რომ ქვედა რკალები ამ დიაგრამებზე ჭარბია – ინფორმაცია, რომელსაც ისინი გვაწვდიან, იკითხება მაშინაც, თუ დიაგრამებზე მხოლოდ ზედა რკალებს დავტოვებთ:




¹⁴ W. Kneale, M. Kneale, *The Development of Logic* (Oxford, 1962), pp. 71-72.

იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი

როგორც ვხედავთ, ქვედა რკალით ყველა შემთხვევაში ერთმანეთს უკავშირდებოდა ის ტერმინები, რომლებიც არ იყვნენ შეერთებული ზედა რკალით. ტერმინთა ასეთი წყვილი თითოეულ დიაგრამაზე ერთადერთია და, მაშასადამე, ინფორმაცია დანასკვში შეერთებული ტერმინების შესახებ ცალსახად იკითხება უქვედარკალო დიაგრამებიდანაც. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი უქვედარკალო დიაგრამებსაც იყენებდა.

განა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ დარჩენილი რკალები ასოებს მაინცადამაინც ზემოდან აქვს დასმული? არა, ამ რკალების პოზიციას – ასოების ზემოთ თუ ასოების ქვემოთ – არავითარი ინფორმაციული დატვირთვა არა აქვს – ისინი ხომ მხოლოდ იმ ტერმინებს აერთებენ, რომლებიც წანამძღვრებში არიან დაკავშირებული. სწორედ ამიტომაც შესაძლებელია, ზოგიერთს რკალები ქვემოდანაც ეკეთებინა. მაშინ დიაგრამებს ასეთი სახე ექნებოდა:



ვუბრუნდებით პეტრინს. შეხედეთ, პირველი დიაგრამა პეტრინის ტექსტში მოტანილს ემთხვევა. აი ახლა კი მოსაზრება, რომ „განმარტებას“ პირველ თავში მოცემული დიაგრამა კატეგორიული სილოგიზმის I ფიგურაა, მყარ ნიადაგზე დგება: ვიცით იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს დიაგრამას – ეს არის ფიგურის წრფივი ჩანაწერი, და ვიცით, როგორია ამ იდეაზე დაფუძნებული დიაგრამები II და III ფიგურებისთვის. ამავე დროს გაცემულია პასუხი დიაგრამასთან დაკავშირებით ზემოთ დასმულ ყველა კითხვაზე.

გარკვეული გრაფიკული სურათი „განმარტებას“ მეორე თავშიც გვხვდება. ჩვენი კომენტარი ბუნებრივად წამოჭრის კითხვას – რას უნდა ნიშნავდეს „განმარტებას“ მეორე თავში მოცემული წარწერებიანი ნახაზი? ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ეს დიაგრამა ამოვარდნილია მეორე თავის კონტექსტიდან.

ლერი მჭედლიშვილი

ბიბლიოგრაფია

References


- Aristotle: 1) *Prior Analytics*, 2) *Posterior Analytics*, 3) *Topics*.
- Ioane Petritsi, *Interpretation of the "Elementatio Theologica" of Proclus*, edited by Sh. Nutsubidze and S. Kaukhchishvili (Opera II) (Tbilisi, 1937) (in Old Georgian).
- Ioane Petritsi, *Interpretation of the "Elementatio Theologica" of Proclus Diadochus, translated into modern Georgian, with an introduction and annotations by D. Melikishvili* (Tbilisi, 1999) (in Georgian).
- Ioane Petritsi, *Overview of Philosophy of Plato and Proclus Diadochus. Translated from Old Georgian by I. Pantskhava; edited by G. Tevzadse, N. Natadze; introduction and comments by G. Tevzadse* (Moscow, 1984) (in Russian).
- T. Iremadze, "Joane Petritsi", *The Stanford Encyclopaedia of Philosophy* (2008); edited by Edward N. Zalta, URL = <http://plato.stanford.edu/archives/fall2008/entries/joane-petrizi/>
- W. Kneale, M. Kneale, *The Development of Logic* (Oxford, 1962).
- J. Łukasiewicz, *Aristotle's Syllogistic from the Standpoint of Modern Formal Logic*, second edition (Oxford, 1957) (in Russian).
- D. Melikishvili, The Terminology Connected with Argumentation and Proof in Old Georgian, *Matsne, Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Series of Philosophy and Psychology*, 1987, N1 (in Georgian).
- D. Melikishvili, *From the History of Old Georgian Philosophical and Theological Terminology* (Tbilisi, 1999) (in Georgian).
- G. Patzig, *Aristotle's Theory of the Syllogism* (Dordrecht, 1968).

Leri Mchedlishvili

Comments on the Logical Part of the First Chapter of "Ganmartebai" (Explanations) by Joane Petritsi

This paper explains the diagram below which was used to illustrate the law of Aristotle's "Organon" in the first chapter of "Interpretation of Proclus Diadochus and Platonic Philosophy", written by the 12th century Georgian

იოანე პეტრიწის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი philosopher Joane Petricti. The possible source of this diagram is also mentioned.



The order of the words on the diagram, the standard adopted in the "Prior Analytics" of formulating simple categorical sentences – the predicate at the beginning of the sentence, the subject at the end and Petrizi's comment itself help to read the words on the diagram as two different examples of the same moods of the first figure of the categorical syllogism, termed as BARBARA in the Middle Ages. Namely, the two lines in the upper two hemispheres should be read as follows:


If creature belongs (is ascribed) to every animate,

If animate belongs to every man,

Then creature belongs to every man.

- or as inference of the same content according to the standards of traditional logic (Below the two lines are read similarly).

If in these syllogisms we don't make abstraction between general terms and mark their places with characters, it will be easy to see that it is one and the same diagram and it is twice filled with terms differently: (the usage of characters in order to point the places of terms is also Aristotle's standard).




Naturally, there arises a question, what is the diagram itself? Is it only a graphic ornament or does it have any meaning? Maybe it is the order of the entire theory of syllogisms? Maybe it is used to illustrate Barbara or the entire figure I? It should also be explained whether the diagram is the original cre-

ლერი მჭედლიშვილი

ation of Petrizi or other sources also provide similar syllogisms. So far there are no answers to these questions, as what is read from the diagram is read without using the drawing itself.

This diagram was called by Petrizi “a scheme” or “a spot” (Greek σχῆμα). This is one of the main concepts of Aristotle’s theory on syllogisms and its Latin analogue is Figura. The figure of syllogism is defined by the order of terms in it. Thus, Petrizi’s diagram can generally be represented as follows:



(At the edges of the diagram there are the so-called edge-terms – predicate A and subject). In order to confirm this assumption, it is necessary to understand what the diagrams for other figures are, namely, what diagrams would have been drawn by Petritsi.

Aristotle divides the syllogisms into three figures. According to post-Aristotelian tradition, there are four figures and their two-dimensional expression is as follows:

I.	P – M	II.	M – P	III.	P – M	IV.	M – P
	M – S		M – S		S – M		S – M
-----		-----		-----		-----	
	P – S		P – S		P – S		P – S

It is hard to imagine that Petrizi’s hoop diagram was received by any transformation of this configuration of characters.

The three figures of Aristotle coincide with the above-mentioned first three figures. Aristotle had noticed the reversed modes of figure I equivalent to all the five modes of figure IV and he demonstrated their correctness, but did not allocate a separate place for these in his theory. The discussion of this issue in the Peripatetic school took place after Aristotle and ended in their joining under a separate figure IV.

Opinions vary on the issue of absence of figure IV in Aristotle’s works. According to W. Kneale, M. Kneale and Patzig, Aristotle did not overlook figure IV, it was “invisible” for him and this was natural, as he divided syllo-


იოანე პეტრინის „განმარტებას“ პირველი თავის კომენტარი

gisms into figures in a different way than it was done later. During such classification three possibilities emerge, and Aristotle did not miss any of these.

The final elaboration of Aristotle's concept is given in Chapters 23 and 32 of the first volume of "Prior Analytics". The structure of syllogisms is represented in triads of terms (one-dimensional) - (A,B,C). Out of the three terms, each, as a predicate, can be paired to any term on its right, as a subject, and form a categorical sentence. The triad of terms may form three sentences: A-B, A-C, B-C. In any figure two of these are premises and the third is the conclusion. If we take into account these conditions, it will be easy to see that the number of figures is exactly three.

Out of the two-dimensional reflection of figures, if certain agreements are made on the use of characters, it is easy to read the figures and the types of terms – whether large, middle-sized or small. It is impossible to read these data from one-dimensional reflection without additional information. Aristotle tried to overcome this difficulty, but his method proved to be rather impractical.

Naturally, there must have been attempts to introduce additional information (codes) in the one-dimensional reflections. Kneale and Kneale inform about one such attempt. According to this information, in Ammonius Hermias's comment on "Prior Analytics" (about 435-520) (Ammonius. In Aristotelis Analyticorum Priorum Librum I Commentarium. Ed. M. Wallies, C.I.G.iy (yi), p.x), the following diagrams are used to represent figures I, II and III:




The upper hoops on these diagrams unite the terms exactly as they are connected in the premisses (they have common edges which denote medium terms), the lower hoop represents the juncture of terms in the conclusion.

There may have been other attempts (Ammonius's comment is mentioned as one of the sources of information). However, if we observe Ammonius's diagrams, it will be easy to guess that here the lower hoops are excessive – the information they provide is read even if only the upper hoops remain on the diagram, as the lower ones join the terms not united by the upper

ლერი მჭედლიშვილი

ones. Such pairs of terms are unique in each diagram. Thus, it is possible that some scholars also used diagrams without the lower hoops.

Does it matter if the remaining hoops are drawn above the characters? No, the position of the hoops – whether above or below the characters – bears no information. They just unite the terms that are joined in the premises. So, it is possible that some scholars used lower hoops. In this case, the diagrams would be represented as follows:



Going back to Petrizi, the first diagram coincides with the diagram given in Petrizi's text. Now the assumption that the diagram in the first chapter of "Interpretation" is Figure I of categorical syllogism stands upon firm ground: we know the idea which forms the basis to this diagram – this is a linear representation of the Figure; and we also know what the diagrams based on this idea for figures II and III are like. At the same time, answers are given to all the above-mentioned questions that arose in connection with the diagram.

აკაკი ყულიჯანიშვილი

ხელოვანის წარმომადგენლობის საკითხისათვის

შემოქმედების არსის გაგებას მჭიდროდ უკავშირდება საკითხი ხელოვანის წარმომადგენლობის შესახებ, ვის წარმოადგენს ხელოვანი თავისი შემოქმედებით, თავისთავიდან გამოჰყავს მას ქმნილების შინაარსი თუ გარემოდან, სოციალური ცხოვრებიდან, ერის, კაცობრიობის ყოფიერებიდან. ამ საკითხზე ფილოსოფიური აზრის ისტორიაში კონცეფციების ორი განსხვავებული ჯგუფია ცნობილი. ერთი რიგის თეორიები ხელოვანს (გენისს) თვლიან ავტონომიურ წარმონაქმნად (ი. კანტის, გ. ჰეგელის, ა. შოპენჰაუერის, ფ. ნიცშეს და სხვათა თვალსაზრისები). ამ თეორიის მიხედვით, გენისი არის შემოქმედების პროცესის კანონმდებელი და წარმომართველი. იგი არც გარემოთი აიხსნება და არც მემკვიდრეობით. უკიდურესად საპირისპირო შეხედულება პოზიტივისტებმა (ი. კონტიმა, ჰ. სპენსერმა, ი. ტენმა და მათმა მიმდევრებმა) განავითარეს. მათი აზრით, ხელოვანი, შემოქმედი, თავად გენიოსიც კი, გარემოს მიერაა განსაზღვრული. შემოქმედი საზოგადოების ინტერესებს, მიდრეკილებებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ხელოვანი მხოლოდ ინსტრუმენტია, წარმომადგენელია საზოგადოებისა, შემოქმედების შინაარსი კი, ფაქტობრივად, საზოგადოების დაკვეთაა. სხვათა შორის, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი ბევრი ხელოვანი თვითონაც აღიარებდა ამ განსაზღვრულობას და ეს სათაკილოდ კი არა, საამაყოდ მიაჩნდათ. ხელოვანის სოციალური განსაზღვრულობის თეორიები, არსებითად რომ ვთქვათ, საზოგადოებას და არა თვითონ პიროვნებას ასახელებს შემოქმედების სუბიექტად. საზოგადოება ქმნის არაცნობიერად, მაგრამ მყარად ერთმნიშვნელოვნად, ხელოვანი პიროვნების როლი კი მხოლოდ ისაა, რომ იგი არის ამ საზოგადოების წარმომადგენელი და, ამავე დროს, პირველი აცნობიერებს საზოგადოების საჭიროებებს, ასახავს საზოგადოების მისწრაფებებს, რომლებიც უმისოდ ასე სისტემური სახით მაინც არ იყო გაცნობიერებული. ამ საპირისპირო შეხედულებათა დავაში არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს ხელოვნე-

აკაკი ყულიჯანიშვილი

ბის ბუნების შესახებ. ის წარმოადგენს სინამდვილის მიბაძვას (ასახვას) ან ხელოვანის თვითგამოხატვას.¹

პირველ რიგში განვიხილოთ, თუ რაში მდგომარეობს მიბაძვის და გამოხატვის ოპოზიციის არსებობის ფაქტის მნიშვნელობა ესთეტიკური საქმიანობის ბუნების გარკვევის საქმეში, მით უმეტეს, როცა უკვე ცხადია, რომ ასეთი ოპოზიციის არსებობა სხვა არაფრით შეიძლება იყოს გაპირობებული, თუ არა იმით, რომ ადამიანის ყოფიერებაში ადგილი აქვს ესთეტიკურ შემოქმედებას. როგორც ჩანს, აქ ურთიერთგაპირობებულობასთან გვაქვს საქმე, ოღონდ სხვაგვარი ფორმით: ადამიანის ესთეტიკურ-შემოქმედებითი საქმიანობა აპირობებს ამ საქმიანობის პროდუქტში (ხელოვნებაში) მიბაძვისა და გამოხატვის ოპოზიციის სახეზე ყოფნას, ხოლო ეს უკანასკნელი საშუალებასა და შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ პირველის ბუნება.

როგორც ცნობილია, არა მარტო ესთეტიკური საქმიანობა, არამედ ყოველგვარი შრომა, ყოველგვარი ქმნა, ყოველგვარი შენება, ყოველგვარი წარმოება საჭიროებს და აუცილებლობით გულისხმობს სათანადო „სამშენებლო მასალის“ გამოყენებას. მასალის მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიც კია, როცა რაიმეს გაკეთებას ვაპირებთ. ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს თუ დავესესხებით: „არარაისგან არ იქმნების არარაიცა“. ეს კი სხვას არაფერს გულისხმობს, თუ არა იმას, რომ ყველაფერი, რაც კი ქმნადობის პროცესს ექვემდებარება, მანამდე (ესე იგი ამ პროცესამდე) რაღაც სხვა ფორმით უკვე არსებულის გადამუშავება-გარდაქმნას წარმოადგენს. ესე იგი, რომ არ იყოს მოცემული სათანადო (შესაფერისი) მასალა, არანაირ შექმნას არ ექნებოდა ადგილი და არც ფილოსოფიაში დადგებოდა საკითხი შემოქმედების (მათ შორის – ესთეტიკური შემოქმედების) შესახებ. მაგრამ, რადგან საქმე ასე არაა და ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედი არსებაა და ამის გამო ფილოსოფია-შიც (შესაბამისად – ესთეტიკაშიც) დგას საკითხი შემოქმედების შესახებ (შესაბამისად – ესთეტიკური შემოქმედების შესახებ), ხელოვნების არსის გარკვევისას უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და ვუპასუხოთ კი-თხვას: რა მასალას იყენებს ადამიანი (ხელოვანი) ხელოვნების შექმნისას, ანუ რისგან ქმნის იგი ხელოვნებას? მოცემულ შემთხვევაში „მასალა“,

¹ მ. ჰაიდეგერი, დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა (თბილისი, 1991), გვ. 25-27.

რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ ფართო გაგებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცნებები, „მიბაძვა“ და „გამოხატვა“, სათავეს უძველესი დროიდან – ანტიკურობიდან – იღებს, მაგრამ ხელოვნების არსის გაგებაში უპირატესობა მაინც ხელოვნებას, როგორც სინამდვილის მიბაძვას, ხვდა წილად.

რით იყო გამოწვეული ხელოვნების არსის ამგვარი გაგების (მიბაძვის) პრიმატი მეორენაირ გაგებასთან (გამოხატვასთან) შედარებით?

დავიწყოთ იქიდან, რომ, დავუშვათ, ხელოვნება მართლაც სინამდვილის მიბაძვაა. მაგრამ ისიც ნათელია, რომ საგნები და მოვლენები, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებში გვხვდებიან, არ არის ზუსტად სინამდვილიდან გადმოღებული, არამედ მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ავტორის ფანტაზიის ნაყოფს განეკუთვნება. უფრო მეტიც, ზოგჯერ ისე ხდება, რომ ავტორის ფანტაზიის ეს ნაყოფი ფანტასტიკური ხასიათისაა, ანუ ისეთი საგანი თუ მოვლენაა, როგორიც არ შეიძლება სინამდვილეში არსებობდეს. მაშასადამე, ის ქმნაა ახლის, მანამდე არარსებულის. ის ხელოვანის ფანტაზიის პროდუქტია და, ასე თუ ისე, დაცილებულია სინამდვილეს. მაგალითად, ჩვენი ცოდნა სინამდვილის შესახებ არ არის თვით სინამდვილე, არამედ ის ჩვენი წარმოდგენაა სინამდვილეზე, მით უმეტეს, ხელოვნება არასოდეს არ არის მარტო ის, რაც არის სინამდვილე, არამედ ზედმეტი რამ, რაც სინამდვილეში არ არის. რადგან ხელოვნება „მეტია“, ვიდრე სინამდვილე, ამიტომ ადვილი მისახვედრია, რატომ ცდილობს ხელოვნება ესთეტიკურის საშუალებით დაგვანახოს ის, რაც სინამდვილეში არ არის. ხომ არ იქნებოდა მართებული, რომ ხელოვნების არსის ასეთი გაორება ხელოვნების ამა თუ იმ სახეების მითითებით მოგვეხსნა ან ხელოვნება დაგვეყო ორ ჯგუფად, პირველ ჯგუფში მოგვეთავსებინა ის ხელოვნებანი, რომელნიც ხელოვანის თვითგამოხატვად, ანუ სინამდვილის „დასახვად გვევლინებიან“. ესთეტიკის ისტორია პრობლემის გადაჭრის ასეთ გზასაც იცნობს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საქმის გამარტივების სურვილითაა გამოწვეული. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი დაყოფით იშლება ხელოვნების ერთიანობა. თვით ნატურალისტური ესთეტიკის მიხედვით შექმნილ ნაწარმოებებშიც კი, თუმცა მცირე დოზით, მაგრამ მაინც ადგილი აქვს ხელოვანის თვითგამოხატვას, „თხზვას“. ხოლო ხელოვნების ის ნაწარმოები, რომელიც ჩვენ წინაშე წარმოდგება, როგორც არანამდვილი სინამდვილე, თუ დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ის მთლად არ არის დაცილებული

აკაკი ყულიჯანიშვილი

სინამდვილეს. ამრიგად, ხელოვნების არსი არ არის დაპირისპირებულ ჰიპოსტასთა წინააღმდეგობა. ასეთი დაპირისპირება თვით ხელოვნების „შიგნით არ არსებობს“, დაპირისპირება არსებობს თვალსაზრისებს შორის, იმ კონცეფციათა შორის, რომელიც ცდილობენ გაიგონ ხელოვნების ბუნება. რადგანაც ხელოვნება ერთსა და იმავე დროს მიბაძვაცაა და გამოხატვაც, ამიტომ შესაძლებელი ხდება განსხვავებულ კონცეფციათა მორიგებაც. კითხვაზე – ხელოვნება არსებული სინამდვილის მიბაძვაა თუ „ქმნა“, გამოხატვა – შეიძლება ასეთი პასუხი გაეცეს: აბსოლუტური აზრით არც ერთი მათგანი არაა ჭეშმარიტი, ხოლო შეფარდებითი აზრით – ორივე ჭეშმარიტია. უფრო ზუსტად, ჭეშმარიტება მათი სინთეზია, სადაც თითოეული მათგანი კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მეორეს. ხელოვნება სინამდვილისადმი მიბაძვაა და ახალი სინამდვილის ქმნაც; ხოლო რამდენადაც იგი ერთიცაა და მეორეც, ამდენად აბსოლუტური აზრით არც ერთია და არც მეორე; ხელოვნება რაღაც აზრით მიბაძვაა და, რაღაც სხვა მხრივ და სხვა აზრით, ახალი სინამდვილის ქმნა. ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გავერკვეთ, რა მხრივა იგი მიბაძვა და რა აზრით და რა მხრივ – ქმნა? მის გასარკვევად აუცილებელია ხელოვნების საგნის დახასიათება. ხელოვნების საგანი სინამდვილეა, მხოლოდ არა მის „თავისთავადობაში“, არამედ ადამიანთან მიმართებით გადამტყდარი სინამდვილეა. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს ის, თუ რა არის სინამდვილე, რომელიც მხედველობაში აქვს ხელოვნებას.

საქმე ისაა, რომ მეცნიერებასაც თავის საგნად აქვს სინამდვილე და ისიც იძლევა სინამდვილის „სურათს“. ოღონდ ეს სხვა სინამდვილეა, ვიდრე ის, რომლისკენაც მიმართულია ხელოვნება. რაში გამოიხატება ეს სხვაობა? მეცნიერება სინამდვილეში არსებულ საგნებსა და მოვლენებს განიხილავს ადამიანის „გამოკლებით“, ერთმანეთთან მიმართებით ადამიანისა და მისი ცხოვრების მიმართების გარეშე. ამგვარად გაგებული საგნები არ ხასიათდებიან შეფასებითი მსჯელობით. ისინი არც კარგია, არც ცუდი, არც სასიამოვნო და არც უსიამოვნო და ა. შ. ისინი უბრალოდ ამა და ამ სიდიდის, მასის, გრძლივობის და ა. შ. მატარებლები არიან. ამგვარი დახასიათებით მოცემული საგნები და მოვლენები შეადგენენ სამყაროს, როგორც „მეცნიერულ სამყაროს სურათს“. ამრიგად, მეცნიერული სამყარო არის სინამდვილე უადამიანოდ. მისგან განსხვავებით, სინამდვილე, რომელთანაც საქმე აქვს ხელოვნებას, ადამიანური ან ადა-

ხელოვანის წარმომადგენლობის საკითხისათვის

მიანური „ცხოვრების სამყაროა“. უდავოა, რომ ხელოვნება სინამდვილის, როგორც ადამიანის ცხოვრების და შესატყვისი სამყაროს, სურათია. მაგრამ რა ხასიათის სურათია იგი? იქნებ ფოტოგრაფიული სურათის ბუნებისაა, რომელიც, თავისი პრეტენზიის მიხედვით, სინამდვილისადმი ზუსტი მიბაძვაა, რაც გამოიხატება სინამდვილის გრძნობადი ფორმის ადეკვატურ ასახვაში? ხელოვნების წარმომები ფოტოგრაფიული სურათისაგან განსხვავებით ზუსტად არასოდეს არ იმეორებს წამდვილი საგნის ფორმას. ამ აზრით ხელოვნების წარმომები, როგორც სურათი, არა მხოლოდ მიბაძვაა, არამედ ამავე დროს ახალი სინამდვილის გარდაქმნა და, მაშასადამე, ახალი სინამდვილის ქმნაა და თხზვა. მაშინ რითაა გამართლებული ძველთაგან ცნობილი დეპულება, რომ ხელოვნება „მიბაძვაა“. რა აზრით არის ხელოვნება სინამდვილის მიბაძვა? ამ კითხვაზე პასუხი მოკლედ ასე ითქმის: სინამდვილის გრძნობადი ფორმა ცუდად ავლენს და ამჟღავნებს (რამდენადმე ჩქმალავს) მის შინაარსს. ამ მხრივ მას გამომსახველობითი ძალა აკლია. ხელოვნება სინამდვილის გარეგნულ ფორმას რომ გარდაქმნის, სწორედ ამით აძლიერებს ფორმის მხრივ „შინაარსის“ გამომსახველობას. ხელოვნება სინამდვილის გარეგნული ფორმის გარდაქმნის გზით უკეთ გამოხატავს, უკეთ ბაძავს მის შინაარს. ამრიგად, ხელოვნების წარმომები სინამდვილისადმი მიბაძვაა არა მისი გრძნობადი ფორმის გარეგნული გამომეტყველების და მასში გამჟღავნებული მნიშვნელობისა და შინაარსის გამორების აზრით, არამედ მისი ჭეშმარიტი შინაარსის გამოსახვის აზრით. იგი არ ჰქანავს, არამედ გარდაქმნის სინამდვილის გარეგნულ გამომეტყველებას და ამდენად ემიჯნება, სცილდება სინამდვილეს, მაგრამ სწორედ ამით ზედმიწევნით ბაძავს და უახლოვდება მის ჭეშმარიტ „შინაარს“, მის არსებას. ხელოვნების წარმომები ქმნაა მხოლოდ იმ აზრით, რომ გარდაქმნილი ახალი სახით წარმოგვიდგენს სინამდვილის ფორმებს, მის გარეგნულ „სახეს“, ხოლო სინამდვილის არსებასთან მიმართებაში იგი არ არის გარდაქმნა და ქმნა, არამედ არის სწორედ „გამოსახვა“, უბრალოდ მიბაძვის და გამეორების აზრით. ხელოვნების არსის ასეთი გაგება, რა თქმა უნდა, რაციონალურ მარცვალს შეიცავს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთლად ჭეშმარიტი არ არის. აქ უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნების არსის გაგებაში მის ასახვით ბუნებას რომ უპირატესობას ანიჭებდნენ, ალბათ, ასახვისა და გარდაქმნის იმგვარი გაგებიდან გამომდინარეობს, რომელიც თავის საფუძვლად და წინამძღვრად სინამდვილის არაისტორიულ, მეტაფიზი-

აკაკი ყულიჯანიშვილი

კურ, სტატიკურ კონცეფციას გულისხმობს. ასეთი კონცეფცია სამყაროს პლატონისტური ხედვიდან მომდინარეობს, რაც შემდგომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიერაც იქნა გაზიარებული. სხვათა შორის, როცა დასავლურ კულტურას ბერძნულ-იუდაური კულტურის მემკვიდრედ სახავენ, უწინარესად სამყაროს ასეთი „სიმყარე“, მარადიული წესრიგის გაგება უდევს საფუძვლად და სინამდვილის არსებას გარკვეული სახით, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, მარად უცვლელი, მარად ძალაში მყოფი იდეალი შეადგენს. იდეალს, რომელსაც თუმც კი ფაქტობრივად სცილდება ხოლმე, მაგრამ უნდა მისდევდეს და ახორციელებდეს ადამიანი. ხელოვნება ამ მარადიულ იდეალს გამოსახავს, თუმცა ზოგჯერ არაპირდაპირი გზით აკრიტიკებს არსებულ სინამდვილეს, ამხელს მის არა-ადამიანურ ბუნებას, როგორც იდეალის საპირისპიროს, როგორც იმას, რაც არ უნდა იყოს და ამგვარად მიანიშნებს იმაზე, რაც უნდა იყოს. მოცემული თვალსაზრისის მიხედვით, ხელოვნება სინამდვილის არსების გამოსახვაა, უბრალიდ მისი გამეორების, მისადმი მიბაძვის აზრით, რამდენადაც სინამდვილეს, როგორც სრულყოფილებას, წესრიგს, ქმნა არ სჭირდება. იგი უცვლელ და „მყარ“ იდეალში გამოიხატება. კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე არსებული და „უცვლელი“ იდეალის უცვლელობა ეჭვის წინაშე დგება, რაც ადამიანის ფუნდამენტურ-არსობრივი ნიშნის თავისუფლების გამოვლენაა. ადამიანს არ სურს და არც შეუძლია „იხელმძღვანელოს“ ერთხელ და სამუდამოდ მოცემული „საზომებით“. მისი ცხოვრება არსებითად ქმნა, გარდაქმნა და ისტორიაა. ადამიანი ისტორიული არსებაა, რაც უწინარესად მისი სინამდვილისადმი ისტორიულ დამოკიდებულებაში ვლინდება, ასევე ისტორიულია ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცვალებადია მისი „ცხოვრების“ იდეალებიც, რაც თვალნათლივ ჩანს ისტორიულ-კულტურული ეპოქების გზაჯვარედინებზე. განვითარებულ პროცესში ზემოთ ხსენებული იდეალი, რომელიც სამყაროს მარად უცვლელ წესრიგს ემყარებოდა, საბოლოოდ შეირყა მეცნიერების ალმავლობის საუკუნეში, რასაც მოჰყვა ძველი იდეალის მსხვრევა და ახალი იდეალის ძებნა.

სამყაროს პოზიტივისტური მსოფლმხედველობა მონიშნავს ადამიანისათვის ახალ იდეალს, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რომელიც უნდა ჩანაცვლდეს ძველი იდეალის მაგივრად. ამგვარი მსოფლმხედველობის შედეგები წინასწარმეტყველურად მონიშნულ იქნა ნიცხეს მიერ „ყველა ლირებულებათა გადაფასების“ სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ

ხელოვანის წარმომადგენლობის საკითხისათვის

სამყაროსეული წესრიგი მორღვეულია, ახლა ადამიანი მიტოვებულია და თვითონ უნდა გაერკვეს მრავალფეროვან ქაოსურ და „თავდაცირა“ მდგომ, არამყარ სამყაროში, სინამდვილეში. ადამიანური „ცხოვრების“ იდეალის ასეთი მკვეთრი ცვალებადობა, ბუნებრივია, ხელოვნების წინაშეც აყენებს გარკვეულ მოთხოვნებს. ხელოვნებას, თუკი აქამდე მიაჩნდა და მიზნად ისახავდა „მარად უცვლელი წესრიგის“ იდეალის მიბაძვას, ასეთი იდეალი დაემსხვრა, ამიტომ ხელოვნება უწინარესად ქმნაა, ვიდრე მიბაძვა. ამ დებულებას იზიარებს „ლირებულებათა გადაფასების“ შემდგომი ხელოვნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანური ცხოვრების არსებას იდეალთა ცვლა და განხორციელება შეადგენს და რომ სინამდვილე, როგორც ადამიანთა ცხოვრება, არსებითად ქმნაა, გარდაქმნა და ისტორიაა, რაც იმას მოასწავებს, რომ ხელოვნება სინამდვილის არსებისადმი უბრალო მიბაძვა კი არ არის, არამედ, ამავე დროს, მისი ქმნა და გარდაქმნაა. ხელოვნება, როგორც სინამდვილის სურათი, არსებული და მოქმედი იდეალის, არსებული და „მყარი“ სინამდვილის საზღვრებში კი არ რჩება, არამედ სცილდება და გადალახავს მას ახალი იდეალის, ანუ ახალი უპირატესი სინამდვილის შესაძლებლობის მიმართულებით. მხოლოდ ასე წვდება ხელოვნება სინამდვილეს, როგორც ცვალებად ფენომენს, როგორც ისტორიას. ადამიანის, ან უფრო სწორად, კაცობრიობის ცხოვრება ძველი იდეალისა და შესატყვისი მიმართულებების, გეზის უარყოფა-გადალახვაა, უარყოფა არა მთლიანად, არამედ, ჰეგელს რომ დავესესხოთ, „მოხსნა-შენახვის თვალსაზრისით“, უარყოფილი, ან უფრო სწორად, „მოხსნილი“ და „შენახული“. ძველის წიაღში ახლის დასახვა განხორციელების მუდმივი პროცესია. სწორედ ამ აზრით ითქმის, რომ კაცობრიობის ცხოვრება ისტორიაა, ხოლო თუ ეს ასეა, ხელოვნების მიერ სინამდვილის არსების გამოსახვა, უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის ისტორიულობის გამოსახვაში გამოიხატება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორია არაა ადამიანებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე, მექანიკური პროცესი. ის უწინარესად ადამიანთა მოქმედება და შემოქმედებაა. ისტორიას ადამიანები ქმნიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა მოქმედება და შემოქმედება ახალი იდეალის ასახვა და ძველის კრიტიკული უარყოფა და გადალახვაა. როგორც ცნობილია, ხელოვანი ჩვეულებრივი ადამიანისა-გან იმით გამოირჩევა, რომ მას აქვს განსაკუთრებულად გამახვილებული ინტუიცია და სიახლის, ანუ სინამდვილის მოსალოდნელი განვითარების

აკაკი ყულიჯანიშვილი

„ხილვის“ უნარი და ამიტომ ცხოვრების ახალი იდეალის დასახვისა და ძველის უარყოფის და კრიტიკული მხილების მხრივ უკან კი არ მისდევს სხვებს, არამედ წინ მიუძღვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ხელოვნების ნაწარმოები ცხოვრების ახალი იდეალის დასახვისა და ძველის კრიტიკული გადალახვის, ანუ ისტორიის ქმნის თავდაპირველი აქტია და არა უკვე შესრულებულის უბრალო განმეორებაა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ხელოვნება არაა სინამდვილის არსებისადმი მხოლოდ „მიბაძვა“. იგი, ამავე დროს, მისი დასახვა, ანუ ქმნაა. იგი მიბაძვა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ახალ იდეალს არსებულისაგან მოწყვეტით კი არ სახავს, არამედ მის ნიადაგზე და მისი მიხედვით. ხოლო ხელოვნება ახალი სინამდვილის ქმნაა იმდენად, რამდენადაც ახალ იდეალს დასახული სახით კი არ პოვებს და იმეორებს, არამედ თვითონ სახავს. მოკლედ, ხელოვნება სინამდვილესთან მიმართებით არის მისი მიბაძვაც და გარდაქმნაც ერთდროულად. თუმცა ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ხელოვნების სხვა-დასხვა სახესა თუ უანრში, შემოქმედებით მეთოდსა თუ სტილში ასახვა-გამოხატვა სხვადასხვა „დოზით“ ნაწილდება, მაგრამ ქმნილება, თუ ის მართლაც იმსახურებს ხელოვნების ნაწარმოების სახელს, ნარმოუდგენე-ლია ხელოვნების ამ ორი ჰიპოსტასის გარეშე.²

მაშასადამე, საკითხი ხელოვანის ნარმომადგელობის შესახებ უშუალ-ოდ უკავშირდება ხელოვნების ბუნების საკითხს. როგორც მ. ჰაიდეგერი ამბობს თავის ცნობილ შრომაში „დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა,“ თა-ვად ხელოვნებაა ქმნილების დასაბამი, ისევე როგორც ხელოვნებაა თავ-ად ხელოვანის დასაბამი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვანი არა მხოლოდ საკუთარ სულიერი სამყაროს გამოხატავს და არა მხოლოდ საზოგა-დოების დაკვეთით არის განსაზღვრული და გამოსახავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ, პირველ რიგში, შემოქმედების პროცესის დასაბამი თავად ხელოვნების ბუნებითაა განსაზღვრული. იგი ნარმოუდგენელია ხელოვნების ორი ჰიპოსტასის მიბაძვისა და გამოხატვის გარეშე.

² თ. ადორნო, ესთეტიკური თეორია (ფრანკფურტი, 1970), გვ. 544.

ბიბლიოგრაფია

References

- Th. W. Adorno, *Asthetische Theorie* (Frankfurt, 1970).
Aesthetics and Theory of Literature Abroad (XIX – XX cc.), Ed. G. K. Kosikova (Moscow, 1987), (In Russian).
M. Heidegger, *Vortrage und Aufsatze* (Pfullingen, 1971).
M. Heidegger, *Unterwegs zur Sprache* (Pfullingen, 1977).
M. Heidegger, *Fundamentals of Creation of Art* (Tbilisi, 1991) (in Georgian).
I. Kant, *Critics of Ability of Judgement*, vol. 5 (Moscow, 1964) (in Russian).
I. Tenn, *Philosophy of Art* (Tbilisi, 1986) (in Georgian).

Akaki Kulidjanashvili

Towards the Problem of Representation of Art

The understanding of the fundamentals of creative activity is closely connected with the problem of the representation of the artist. Who does the artist represent by means of his creative works; from where does he take the essence of his works – from himself or from the environment surrounding him such as social life, the life of his nation or style mankind? In the history of the philosophical thought there are two differing groups of theories contemplating this issue. The first group considers the Creator (the Genius) to be autonomous (Kant, Hegel, Shopenhauer). According to this group the Genius is the creator and director of the creative process. He can't be explained either by the environment surrounding him or the heritage. The extreme opposite opinion is developed by the Positivists (Cont, Spencer, Tenn and their followers). According to them the Artist, Creator and even the Genius himself is made by the environment. The Creator expresses the interests, tendencies and aspirations of Society. From this point of view the artist is only a tool in the hands of Society, that is, its representative. Thus the contents of his creations are commissioned by the Society. By the way, many representatives of Critical Realism admitted to these limitations and were proud of them. The theories of the artist's limitations consider the Society and the person to be the object

აკაკი ყულიჯანიშვილი

of the creation which is made up subconsciously but unilaterally. The role of the artist is limited only to being the representative of the Society and realising its needs and reflecting its aspirations, which were not systematically acknowledged and recognised. In the process of the argument and discussion about this problem the principal role is played by the issue of the nature of the Art, whether it is just an imitation of the reality or the self-expression of the Artist.

It can be argued that the Art is not only the "imitation" to the essence of the reality, it is simultaneously its creation. It can be classed as imitation as much as it does describe the new ideal on the foundation of the old and according to it. The Art is the process of creation of the new in as much as it copies the new ideal but creates it itself. Thus, simultaneously, Art is the creation and transformation of the reality. Although in various genres and styles of Art, the degree of reflection and expression differs. If the creation still deserves to be classed as an object of art, it is unimaginable without these two hypostases.

Thus the issue of the representation of the artist is organically connected with that of the nature of Art. The Art is the beginning of both the creation and the artist. This means that the artist neither expresses only his own spiritual world nor is he limited by the commissions of social life. Most of all, the initial stage of the creative process is conditioned by the nature of the Art which is unimaginable without its two hypostases; imitation and expression.

აღმოსავლეთმცოდნეობა

აპოლონ სილაგაძე
სალექსო ფორმათა კვალიფიკაციის საკითხისათვის
(არაბული მასალის მაგალითზე)

1. ლექსთწყობის, როგორც რთული, იერარქიული სისტემის, განსაზღვრა გულისხმობს დადგენას სისტემის წარმომქმნელი ფაქტორისა (ან ფაქტორებისა) და მოვლენისა (ან მოვლენებისა) ორი გზით – კანონზომიერი სისტემის ანალიზის გზით და კანონზომიერი განვითარების ანალიზის გზით. რაც შეეხება კონკრეტულად განვითარებას, დიაქრონიული ანალიზი ემყარება იმას, რომ ლექსთწყობა არასრული სისტემაა, რომელსაც ახასიათებს სიჭარბის გარკვეული ხარისხი, რაც გვაძლევს ფუნქციონირების პროცესს – დინამიკას ინოვაციებით, დამკვიდრებით, უარყოფით და ა. შ. ყველა შემთხვევაში, ამოსავალია სისტემა, ხოლო განვითარება განიხილება როგორც მოცემული სისტემის რეალიზების სხვადასხვა, მაგრამ კანონზომიერი საფეხური.

განვითარების, მათ შორის კონკრეტული ახალი სალექსო ფორმების, დადგენა მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ არსებობს გარკვეული საფეხური, სადაც გვაძეს სისტემის რეალიზების ჩამოყალიბებული – დადგენილი და მოქმედი – სახე, რომელსაც (პირობით, ანალიზის საჭიროებებიდან გამომდინარე) შეიძლება ეწოდოს ეტალონი (გარკვეულ კონტექსტში შეიძლება – სისტემა-ეტალონი). ინოვაციები ედება ეტალონს და შემდგომი განვითარება, სისტემის კანონზომიერებებიდან და კონკრეტული პრინციპული კანონებიდან გამომდინარე, ცხრილავს მათ სისტემისთვის მარკირებული და არამარკირებული ფორმების მიხედვით – პირველი ამჟღავნებენ რეპროდუქციისუნარიანობას.¹

ეტალონის დადგენა (აღნერა), როგორც ჩანს, მიზანშეწონილია ბი-

¹ ა. სილაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ (თბილისი, 1987).

² ა. სილაგაძე, რეპროდუქციის თვისება და ლექსმცოდნეობითი კვლევის მასალის შერჩევა, მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, 1992, N3.

აპოლონ სილაგაძე

ნარული დიფერენციალური ნიშნების საშუალებით. ამავე დროს, ხაზგა-სმითაა გასათვალისწინებელი, რომ ეტალონის (ან სისტემა-ეტალონის) განსაზღვრა არ ემთხვევა სისტემის სრულ განსაზღვრას; უფრო ზუსტად: სრულად აღწერილი სისტემა არ უდრის ეტალონს, რადგანაც ამ უკანა-სკნელის აღწერაში არ უნდა შედიოდეს სისტემის ყველა მახასიათებელი იმის გამო, რომ სისტემის გარკვეული (პრინციპული) ნიშნები ცვლილე-ბებს პრაქტიკულად არ ექვემდებარება (მათი შეცვლა, თუ ეს წარმოსად-გენია თეორიულად, სხვა ტიპოლოგიის ლექსთნუობის შექმნას ნიშნავს). უცვლელ, მყარ ნაწილში, კერძოდ, იგულისხმება მოცემული ენის ფო-ნოლოგიური სისტემის პროსოდიული ელემენტი, როგორც მეტრული ორგანიზაციის ფაქტორი, და მას დაფუძნებული უნივერსალური პრინცი-პი მოცემული ლექსთნუობისა, მეტრულ ერთეულთა პრინციპული სტრუ-ქტურები, დისტრიბუცია და ა. შ. მეორე ნაწილში, რომელსაც დაემყარე-ბა ეტალონის აღწერა, იგულისხმება ყველა დანარჩენი მახასიათებელი, რომელიც, კერძოდ, უშუალოდ არ არის განპირობებული ფონოლოგიური ბაზით და იძლევა ტრანსფორმაციებისა და ინვაციების საშუალებას (კონკრეტულად – ქვემოთ, არაბული მასალის განხილვისას).

ამგვარად, მექანიზმი, რომელიც დიფერენციალური ნიშნებით დაახა-სიათებს ეტალონს და, მეორე მხრივ, მოცემულ ახალ სალექსო ფორმაში გამოავლენს რომელიმე – ერთი ან რამდენიმე – მახასიათებლის უარყო-ფას, იძლევა საშუალებას ფორმათა ერთმანეთთან მიმართებაში ცალსა-ხად – ერთი ან რამდენიმე ნიშნით (ყველა შემთხვევაში, იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს სისტემა-ეტალონშია) – განისაზღვროს მოცე-მული ფორმა და მიეჩინოს სათანადო ადგილი. რაც შეეხება ნიშნებს, ზემოთ წარმოდგენილი თეზისებიდან გამომდინარეობს, რომ ისინი გა-ნისაზღვრება აპრიორულად და ამ დროს გაითვალისწინება დაქრონიის ანალიზიც.

წარმოდგენილი თეორიული მსჯელობების ილუსტრაცია ნაჩვენებია ქვემოთ არაბულ მასალაზე.

2. ეტალონის აღწერისათვის, როგორც ჩანს, ორი შესაძლებლობა არსებობს. ერთი – როდესაც ლიტერატურულად ფიქსირებულ ისტორია-ში თავიდანვეა ჩამოყალიბებული ლექსთნუობის სისტემა – არა მხოლოდ თავისი პრინციპული სახით, არამედ სრული ფაქტობრივი რეალიზებით; მეორე – როდესაც სისტემის (რომელიც თავისთვად ერთია და მოცე-მული) რეალიზების პროცესი გრძელია და ფაქტობრივად ყველა დაქრო-

ნიულ საფეხურს მოიცავს. არაბული პირველი შესაძლებლობის უნიკალური ნიმუშია (განსხვავებით ქართულისაგან, რომელშიც, მაგალითად, სისტემის პირველი – საბაზო – იერარქიული დონის 15 ძირითადი ერთეულიდან განვითარების საწყის საფეხურზე რეალიზებულია მხოლოდ ორი). შესაბამისად, არაბულის შემთხვევაში სახეზეა კოდიფიცირებული სალექსო ფორმა, რომლისგანაც, როგორც ეტალონისაგან, გადახრები საკმაოდ გამჭვირვალედ აღინერება.

თუ ავიღებთ ისლამამდელ კასიდას, კლასიკური არაბული სისტემის – არუდის³ ამსახველი ლექსის შემდეგი მახასიათებლები შეიძლება დადგინდეს:

- I. 1) ლექსი მონორიმია (ტექსტი მთლიანად მონორითმულია);
- II. 2) სტრიქონის (ბეითის) სიგრძე ფიქსირებულია (განსაზღვრული ტერფთა მოცემული რაოდენობით და დაცული მთელი ლექსის მანძილზე);
- 3) სტრიქონი აგებულია ორი ტოლი ნაწილისაგან (მისრა/შატრ); 4) უფრო ქვევით დონეზე სეგმენტაცია გვაძლევს ე. ნ. ტერფებს, როგორც – პირობით – შემადგენელ მეტრულ ერთეულებს (პირობით – იმიტომ, რომ ეს საკითხი პრინციპულ დაზუსტებას მოითხოვს); 5) სალექსო სტრიქონში შეიძლება იყოს ერთზე მეტი ტერფი და ამ დროს მათი შეთავსებადობა შეზღუდულია; 6) უმცირესი მონაკვეთები ლექსში რეალიზაციისას გარკვეულ წესებს ემორჩილებიან, კერძოდ, ტერფის ყველა სხვა ნაწილის ფაკულტატიური ცვალებადობის გვერდით (ე. ნ. ზიპაფის და ილალის წესების მიხედვით), სეგმენტაციის მთელ საზზე უცვლელია და მყარი ე. ნ. ვათიდი, რომელსაც ემყარება მოცემული მეტრი.
- III. 7) სალექსო ტექსტი ერთი მეტრითაა წარმოდგენილი (არ გვაქვს მეტრთა მონაცვლეობა); 8) იცავს აგრეთვე ერთ რიტმს (არ გვაქვს რიტმთა მონაცვლეობა).

ბოლო ორი პუნქტი მცირე განმარტებას საჭიროებს. მეტრში პირობითად იგულისხმება ის, რასაც არაბულად ბაჰრ ჰქვია, რიტმში – ვაზნ. ერთი ვაზნის დაცვა მოცემული ლექსის (კასიდის) ფარგლებში გულისხმობს იმას, რომ სტრიქონში ტერფის (ან ტერფების) ნებისმიერი ვარიან-

³ G. Weil, *Grundriss und System der altarabischen Metren* (Wiesbaden, 1958);
G. Bohas, *La métrique arabe classique. Linguistics, An International Review*, N140 (1974); Д. В. Фролов, *Классический арабский стих* (Москва, 1991).

ტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი (ყოველ ტერფს რამდენიმე ვარიანტი აქვს), მაგრამ ბეითის ბოლო ტერფი (დარბ) – მხოლოდ ერთი უცვლელი ვარიანტით, რაც განსაზღვრავს მოცემულ ვაზნებს; მაგალითად, არაბული სალექსო საზომების ერთ-ერთი პოპულარულ ბაჰრს (resp. მეტრი/საზომი), რომელსაც ჰქვია ტავილ, აქვს სამი ვაზნ (resp. რიტმი), იმის მიხედვით, მოცემული ტერფის რომელი სახეობაა დაცული სტრიქონის ბოლოში მთელი კასიდის მანძილზე. ბაჰრ და ვაზნ ტერმინების შინაარსიდან გამომდინარე იქნება ქვემოთ ნახმარი ტერმინები – პოლიმეტრული და პოლირიტმული.

აპრიორულად შეიძლება განვსაზღვროთ, რომ ეტალონის აღწერაში ჩამოთვლილ ნიშანთაგან (გარდა იმისა, რომ არ აღინიშნება პროსოდიული ფაქტორი) არ შევა: а) უმცირესი რიტმული ერთეულები და მათი აგების წესები; 2) ტერფები და მათი აგების წესები, 3) ტერფთა კომბინაციები და მათი აგების წესები. ასევე შეიძლება განისაზღვროს, რომ ცვლილებები (რომელთა გათვალისწინებით ვადგენთ ბინარულ დიფერენციალურ ნიშნებს) შეიძლება გავრცელდეს: а) მონორიმის წესზე; ბ) სტრიქონის ორნანილიანი სტრუქტურის წესზე; გ) ფიქსირებული სტრიქონის წესზე; დ) ერთი რიტმის (ვაზნის) დაცვის წესზე; ე) ერთი მეტრის (ბაჰრის) დაცვის წესზე.

ცვლილებები განვითარების ადრეულ საფეხურებზევე ჩანს, მაგალითად – ორნანილიანი (ორშატრიანი) სტრიქონის ალტერნატივად ზოგ მეტრში ე. ნ. მაშტურ (ერთშატრიანი) სტრიქონების სახით.

საანალიზოდ ქვემოთ შერჩეულია სამი სხვადასხვა ფორმა – მუვაშშაჰი, ბანდი და ში'რ ჰურრი.

3. მუვაშშაჰი (არაბულ-ესპანური პოეზიის ფორმა):

1) არ არის მონორიტმული; მიუხედავდ იმისა, რომ ბევრნაირი ტიპისაა (დათვლილია 146 სხვადასხვა სქემა)⁴ და, შესაბამისად, გარითმვის სხვადასხვა სახე არსებობს – მონორიტმულობა ყველა შემთხვევაში უარყოფილია (ამავე დროს, სქემა მნიშვნელობა მაგ., aaabcdddbc და სხვ.); 2) არ არის ორშატრიანი ბეითი (ისეთ ნიმუშებშიც, სადაც გარითმვის სქემა ყველაზე მარტივია); 3) არ არის ერთი ვაზნის შემცველი; უფრო ზუსტად, შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთი ნიმუშებიც,

⁴ M. Hartmann, *Das arabische Strophengedicht* (Weimar, 1897).

სალექსო ფორმათა კვალიფიკაციის საკითხისათვის

სადაც ერთი ვაზნის პრინციპი მოქმედებს, და უფრო ხშირად ისეთიც, სადაც არ მოქმედებს, მაგრამ, საბოლოოდ, თვითონ პრინციპი, როგორც ასეთი, უარყოფილია.

4. ბანდი (XVII ს-ში ერაყში შექმნილი ნაკლებ ცნობილი ფორმა):⁵

1) არ არის მონორიტმული; განსხვავებით მუვაშშაპისაგან, არც გარითმის რაიმე ორგანიზება არსებობს; 2) სტრიქონი არ არის ორნაწილიანი (მისი სეგმენტირება მხოლოდ ტერფებად და მათ შემადგენლებად შეიძლება); 3) სტრიქონის სიგრძე არ არის განსაზღვრული და ფიქსირებული; ერთი ნაწარმოების ფარგლებში სტრიქონები ნებისმიერად შედგება სხვადასხვა რაოდენობის ტერფებისაგან; ეს ბანდის სპეციფიკური სიახლეა, რომელიც, პროდუქტიული წესის სახით, შემდგომში ასახვას პოვებს განვითარების უახლეს ეტაპზე; 4) ერთი ლექსის ფარგლებში ბაპრების მონაცემებაა; ესეც ფუნდამენტური სიახლეა – ბანდში, ერთი ნაწარმოების ფარგლებში, მონაცემებს სამი მეტრი, ერთი და იმავე ე. წ. წრის წარმომადგენელი⁶ (ამჯერად განზე ვტოვებ ბანდის კიდევ ერთ სპეციფიკას, რომელიც არ არის რეპროდუქციის უნარის მქონე); ეს არის ბანდის ობურებოვნება, როდესაც ბანდის სქემა ორგვარ სეგმენტაციას ექვემდებარება და მისი სტრუქტურა ორპლანიანია); 5) გამომდინარე იქიდან, რომ ბანდში ერთდროულად სამი მეტრია წარმოდგენილი, მონორიტმულობა-პოლირიტმულობის ნიშანი მისთვის არ არის რელევანტური, რადგანაც სხვადასხვა ბაპრი თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა ვაზნს.

5. ში'რ ჰურრ (ეს არის XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს განვითარებული ახალი ფორმა, რომელიც დღეს ყველაზე პოპულარულია; წინამდებარე სტატიაში ნაგულისხმევია ძირითადად პროცესის დასაწყისისთვის, ერაყისთვის დამახასიათებელი ნიშნები;⁷ 1) არ არის მონორიტმული

⁵ აბდ ალ-ქარიმ ად-დუჯაილი, ალ-ბანდ ფი-ლ-ადაბ ალ-არაბი (ბალდადი, 1959); ნაზიქ ალ-მალაიქა, კადაია აშ-ში'რ ალ-მუ'ასირ (ბეირუთი, 1967).

⁶ ა. სილაგაძე, უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ (თბილისი, 1992).

⁷ ნაზიქ ალ-მალაიქა, კადაია აშ-ში'რ ალ-მუ'ასირ (ბეირუთი, 1967); ა. სილაგაძე, არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები, მაცნე, ენის და ლოტერატურის სერია, 1971, N1.

აპოლონ სილაგაძე

(გარითმვის ტიპი დაახლოებით ბანდის ანალოგიურია პლუს, მთელ რიგ ნიმუშში, ე. წ. გამჭოლი რითმა, დაახლოებით ყურანის ტიპისა); 2) არ აქვს ბეითის სტრქუტურა; 3) სტრიქონი ბანდის ანალოგიურია, არ არის ფიქ-სირებული, აგებულია სხვადასხვა სიგრძის სტრიქონების მონაცვლეობაზე; 4) დაცულია ერთი მეტრის – ერთი ბაპრის – პრინციპი; 5) ერთი მეტრის ფარგლებში არ არის დაცული ერთი და იმავე ვაზნის წესი.

6. საბოლოოდ, განხილულიდან გამომდინარე, ეტალონი აღიწერება შემდეგნაირად: а) მონორიმი; ბ) ორშატრიანი; გ) ფიქსირებული სტრიქონის მქონე; დ) მონომეტრული; ე) მონორიტმული. სალექსო ფორმების აღწერა დაემყარება იმას, არის თუ არა მოცემული ფორმა: а) მონორიტმული; ბ) ორშატრიანი; გ) ფიქსირებულსტრიქონიანი; დ) მონომეტრული; ე) მონორიტმული; რაც საბოლოოდ ხუთ ბინარულ ნიშანს გვაძლევს: а) მონორიტმული-პოლირიტმული; ბ) ორშატრიანი-ერთშატრიანი; გ) ფიქსირებული-არაფიქსირებული სტრიქონი; დ) მონომეტრული-პოლიმეტრული; ე) მონორიტმული-პოლირიტმული.

კლასიკური ლექსისთვის, მუვაშშაპისთვის, ბანდისა და ში'რ ჰურ-რისთვის ამ ნიშნების ტაბულა შემდეგნაირად გამოიყურება:

	კლას-ლექსი	მუვაშშაპი	ბანდი	ში'რ ჰურ
მონორიმი-მინუსმონორ.	+	-	-	-
ორშატრიანი-ერთშატრიანი	+	-	-	-
ფიქსირებ.-არაფიქს. სტრიქ.	+	+	-	-
მონომეტრ.-პოლიმეტრული	+	+	-	+
მონორიტმ.-პოლირიტმული	+	-	Ø	-

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისტემა-ეტალონი არ ასახავს ყველა ნიშანს; შესაბამისად, აღსანერ ფორმებშიც ყველა ნიშანი არ არის ასახული. მაგალითად, ბანდისთვის – ის, რომ მისი სტრიქონები ერთი და იმავე ტერფის გამეორებით აიგება (ში'რ ჰურრშიც იყო ეს ტენდენცია, მაგრამ შემდგომში გამოჩნდა ლექსები, – მაგ., ბასიტის საზომით, – რომლებშიც ტერფთა კომბინაციაა დაშვებული); იმავეს თქმა შეიძლება სტროფ-

სალექსო ფორმათა კვალიფიკაციის საკითხისათვის

ული კომპოზიციის შესახებ – მუვაშშაპიდან გამომდინარე, საერთოდ, შეიძლება დიფერენციალურ ნიშანთა რაოდენობის გაზრდა (ასევე – სხვა ფორმებიდანაც გამომდინარე).

საერთოდ, ეს ნიშნები და მსგავსი ტაბულა საშუალებას იძლევა გადაწყდეს ამოცანა სალექსო ფორმების ცალსახა კვალიფიკაციისა და ფორმათა სისტემაში მათი სპეციფიკის, და, მაშასადამე, ადგილის განსაზღვრისა. ზოგადად აქ ორი გზა არსებობს: ურთიერთმიმართებაში კვალიფიცირდება ოთხივე ფორმა კლასიკურის ჩათვლით, – ამ შემთხვევაში მრავალნიშნიანი განსაზღვრებები გვექნება; მეორე, უფრო ეკონომიური გზა: კვალიფიცირდება სამი ფორმა ეტალონის, კლასიკური ლექსის მიხედვით. ამ შემთხვევაში ვიღებთ შემდეგ მოკლე განსაზღვრებებს: მუვაშშაპი – (პოლირიტმული) ფიქსირებულსტრიქონიანი ფორმა, ბანდი – პოლიმეტრული ფორმა (არაფიქსირებულსტრიქონიანი), ში'რ ჰურრი – (პოლირიტმული) არაფიქსირებულსტრიქონიანი ფორმა. ასეთი კვალიფიკიები განსაზღვრავენ – ერთი პლუს კიდევ ერთი დამატებითი ნიშნის საშუალებით – თითოეულ ფორმას, მის სპეციფიკას და იმ სიახლეს, რომლითაც მარკირებულია ეს ფორმა. მაშინ მეორე მხარეს, ცალკე, სისტემაში რჩება კლასიკური ფორმა – ეტალონი და მოცემულ კონტექსტში გარკვეული, რეალური შინაარსი ეძლევა საერთოდ ცნებას – „კლასიკური“.

ბიბლიოგრაფია

References

- Abd al-Karim ad-Dujaili, *Al-Band fi-l-adab al-arabi* (Baghdad, 1959) (in Arabic).
- G. Bohas, La métrique arabe classique. Linguistics, *An International Review*, 140 (1974), pp. 59-60.
- D. V. Frolov, *Classical Arabic Verse* (Moscow, 1991) (in Russian).
- M. Hartmann, *Das arabische Strophengedicht* (Weimar, 1897).
- Nazik al-Malaika, *Qadaia aš-ši'r al-mu'asir* (Beirut, 1967) (in Arabic).
- A. Silagadze, Issues of Structure of the Arabic Verse, Matsne, *Proceedings of Georgian Academy of Sciences, Series of Language and Literature*, 1971, N1, pp. 89-104 (in Georgian).

პილობობასთან ერთად

- A. Silagadze, *On the Principles of Prosodic Analysis* (Tbilisi, 1987) (in Georgian and Russian).
- A. Silagadze, Feature of Reproduction and Selection of Material for Prosodic Study, *Matsne, Proceedings of Georgian Academy of Sciences, Series of Language and Literature*, 1992, N3, pp. 75-81 (in Georgian).
- A. Silagadze, *On a Unique Arabic Verse Form* (Tbilisi, 1992) (in Georgian and Russian).
- G. Weil, *Grundriss und System der altarabischen Metren* (Wiesbaden, 1958).

Apollon Silagadze

Towards the Qualification of Metric Forms

(On the material of the Arabic Verse)

The primary thesis on which this article is based is that a diachronic development can be looked at as various regular stages of the realisation of a given metric system. At the same time the article argues that in the development of metric forms there exists a stage at which the realisation of a system creates an established and active form. Arguably this stage can be classed as an etalon. Innovations are added to the etalon, and any further development divides the former according to the marked and unmarked forms (the marked forms reveal the ability to reproduce). In order to characterise the etalon, the binary differential system of description is proposed in the article for those cases which do not take into consideration the stable and unmodified parameters of the primary system. The same signs serve to describe new metric forms and one (or more) negated parameters are singled out which, while enabling us to compare various newly emerged forms to each other, also present a possibility for a unified definition of a given form by one (or more) signs (in all the cases, by fewer signs than possessed by the etalon).

The above proposed arguments are illustrated in the article by a classic Arabic qasida, on the one hand, and by means of comparative analysis of three different verse forms - *muwaššah*, *band* and *ši'r hurr*, on the other.

In order to describe these forms five binary signs are singled out and the corresponding table is presented. In this case there exist two ways to sys-

temise the forms: all four forms are qualified by inter- attitudes (including the classic one). The process creates multisigned definitions. The other way seems more economical; three etalon forms are singled out according to the classic verse which, in the end, gives the following short definitions: *muwaššah* a (polyrhythmic) fixed line form, *band-* a polymetric (non-fixed lined) form and *ši'r hurr-* a (polyrhythmic) non-fixed lined form.

თამთა ფარულავა

თავმდაბლობის სიპრძნისათვის სააღის თხზულებებში

დიდაქტიკურ ლიტერატურას ირანულ მწერლობაში ხანგრძლივი ის-ტორია აქვს. აქ ზოგჯერ ზნეპრივ-ალმზრდებლობითი თუ ყოფით-პრაქტიკული ხასიათის დარიგებანი პირდაპირ, ბელეტრისტიკული სამოსლის გარეშე, მიეწოდება მკითხველს. ზოგჯერ კი დიდაქტიკური მიზანი მხატვრულ-ნარატიულ ასპექტშია შემალული.

სააღის „ბუსთანისა“ და „გოლესთანის“ დიდაქტიკა სუფიური (მუსლიმური მისტიციზმის) სიმბოლიკისა და სიღრმის მიუხედავად, სასიამოვნო და სახალისო საკითხავია. ამ სერიოზული შინაარსის მქონე თხზულებათა სიმსუბუქეს მისი პოეტური ფორმა (ზოგჯერაც ლექსნარევი პროზა) და მოკლე სახალისო ისტორიებიც განაპირობებს. დარიგებანი, რომელიც ამ არაკეპშია გაპნეული, ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის, საპრძოლო დიდების, სახელისა თუ ქონების მოსახვეჭად ნაკლებად გამოსადეგია. სააღის სიპრძნე უფრო სულიერი საუნჯის დაგროვებას გვასწავლის: სიყვარულის, მორჩილების, თავმდაბლობის, მადლიერების, მდუმარების, ქველმოქმედების. ეს ის თვისებებია, რომელიც სანატრელ ზნეპრივ ფასეულობად უნდა იყოს მიჩნეული ყველა აღმსარებლობისა და ტრადიციის საზოგადოებაში. ამ სათნოებზე, მასთან მიახლოვების გზებზე, მასთან მებრძოლ ადამიანურ ვნებებზე გვესაუბრება შირაზელი ბრძენი.

სააღის „ბუსთანში“ თავმდაბლობის სათნოებას მთელი თავი ეძღვნება. „ყურანის“ სიტყვით კი ალაპი მუსლიმებს უქადაგებს, რომ სიამაყე და ქედმაღლობა ადამიანს ღმერთთან განაშორებს: „ტუჩის ნუ აუბზუებ ხალხს და ნუ ივლი ქვეყანაზე მედიდურად. ჭეშმარიტად ალაპს არ უყვარს ყოველი ამაყი და ამპარტავანი“¹; „ნუ ივლი ქვეყანაზე ამაყად. შენ ვერ გახვრეტ დედამიწას და ვერ გაუსწორდები მთას სიმაღლით“²; „ალაპს არ უყვარს, ვინც არის გოროზი, ამპარტავანი“³. ამპარტავნებისა და ქედმაღ-

¹ ყურანი, თარგმანი გ. ლობჟანიძისა (თბილისი, 2006), 31:17.

² იქვე, 17:39.

³ იქვე, 4:40.

თავმდაბლობის სიბრძნისათვის საადის თხზულებებში

ლობის ვნება მხოლოდ ჯოჯოხეთს უმზადებს ადამიანს: „განა არ არის გეენიაში თავშესაფარი მზვაოპართათვის“.⁴ ხალიფა ალის კი მიენერება ჰადისი, რომელშიც ხატოვნადა გადმოცემული თავმოდრეკილობის, თავმდაბლობის არსი: წერტილი ვარ ასო ც-ს ქვეშ.

მუსლიმური მისტიკური პრაქტიკა წარმოუდგენელია თავმდაბლობის სათნოების გარეშე. სუფიურ ხანაყებში სულიერი მოძღვარნი მრავალგვარი ხერხით ცდილობდნენ, მოსწავლისათვის ეს სიქველე ესწავლებინათ. საამისოდ ხშირად აღმზრდელი მეტად მკაცრად და უხეშად უნდა მოპყრობოდა ალსაზრდელს. სანამ მონაფეთა რიგებში მიიღებდნენ, ახალბედა ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაში იდგა შეიხის კართან და მრავალი დამცირების გადატანა უწევდა. ამპარტავნების დათრგუნვის და ქედმაღლობის მოთვინიერების მრავალგვარი წესი არსებობდა მისტიკურ პრაქტიკაში. მომავალი სუფიები ხშირად მათხოვრობდნენ და ეს ნაბიჯი მატერიალურ სარგებელს კი არა, დისციპლინის განმტკიცებას ემსახურებოდა მხოლოდ. ხშირად მათ საპირფარეშოების დალაგება-დასუფთავებას ავალებდნენ და ეს საქმე ალსაზრდელის სულიერი სწორების განკურნებას ისახავდა მიზნად.

„ბუსთანის“ ერთი არაკი IX საუკუნის სუფი მოაზროვნის ბაიაზიდ ბისთამის ამბავს მოგვითხრობს:

ერთ დღესასწაულზე აბანოდან გამოსულ ბაიაზიდს ვიღაც თავზე ნაცარს გადააყრის. ბრძენი კი საპასუხოდ იტყვის: არამცთუ ნაცრის, ცეცხლის ღირსიც კი ვარო.⁵

თვით ამბავზე ბევრად ვრცელია პოეტის დიდაქტიკური კომენტარი, რომელიც ამ არაკს ახლავს. აქ ადამიანის ქედმაღლობასა და ამპარტავნებას თავმდაბლობა და მორჩილება უპირისპირდება. ამ არაკის ზნეობრივ-მორალური შეგონება ასეთია: ადამიანის ამქვეყნიური აღზევება დროებითია, წარმავალია და არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ თავმომწონენი და პატივმოყვარენი ვიყოთ; გარშემომყოფთ ქედმაღლურად მოვეპყროთ; ჭეშმარიტი დიდება სწორედ თავმდაბლობაში, საკუთარი თავის დავიწყებაში და თავმოდრეკილობაში. „თუ გსურს ამაღლდე, სიმაღლეს ნუ ეძებ“, – გვასწავლის პოეტი.

⁴ ყურანი, თარგმანი გ. ლობჟანიძისა, 39:61.

⁵ საადი შირაზელი, ბუსთანი (თეირანი, 1375), გვ. 116.

თამთა ფარულავა

როგორ უნდა შეეგებოს ადამიანი დამცირებასა და შეურაცხყოფას? რას გვასწავლის საადის თხზულებათა ეთიკური კანონი ამ შემთხვევაში? ამ კითხვებზე საპასუხოდ საადის კიდევ ორ ამბავს მოვიხმობთ. „ბუსთანში“ ვკითხულობთ:

ერთ შეიხს ეტყვიან, რომ მავანი მასზე აუგს ამბობს და აგინებს. შეიხის პასუხი ასეთია: მას ჩემი ცოდვებისა მხოლოდ მცირე ნაწილი უთქვამს; მხოლოდ წელს გამიცნო, როგორ ეცოდინება ჩემი სამოცდაათი წლის შეცოდებანიო.⁶

ეს არის პასუხი ადამიანისა, რომელმაც გაიმარჯვა საკუთარ ამპარტავნებაზე, სძლია პატივისა და თავმომწონეობის ცდუნებას (შეიხის მდგომარეობას რომ შეიძლება ახასიათებდეს) და ამიტომაც ლანძლვა თუ შეურაცხყოფა მისთვის საკუთარი უღირსების კიდევ ერთხელ შეხსენებაა მხოლოდ.

თავმდაბლობის პრობლემას უტრიალებს დერვიშის ამბავიც, რომელსაც მოქეიფე ყმაწვილები უკადრის სიტყვებს შეჰქადრებენ. განაწყენებული დერვიში თავის მდგომარეობას მორწმუნე მოხუცს შესჩივლებს. მოხუცი უპასუხებს: ვინც შეურაცხყოფას ვერ აიტანს, ის არც დერვიშის ხერყეს ლირსიაო.⁷

ამ არაკში კონტრასტის პრინციპით, დერვიშის ქცევის დახატვით, წარმოჩინდება, როგორი უნდა იყოს ადამიანის პასუხი დამცირება-შეურაცხყოფისადმი. ამბავს კი ასრულებს დიდაქტიკური ლექსი, რომელიც კვლავ თავის დამდაბლების, შენდობის სიბრძნეს გვასწავლის:

„შენდობის გზით ცოდვისაგან განიწმინდები.

ძმაო, რადგან შენი ბოლო მიწაა,

მიწად იქცი, ვიდრე მიწად გადაიქცევი“.⁸

ადამიანი მიწისაგანაა შექმნილი და კვლავ მიწად იქცევა. ეს ფილოსოფიური პოსტულატი ბიძგს აძლევს აზროვნების სხვადასხვა მიმართულებას. ამქვეყნიური არსებობის დასაზღვრულობა ადამიანს აიძულებს, ამ ტყვეობიდან გათავისუფლების გზები ეძებოს. აქედანვე იღებს სათავეს სპარსული კლასიკური პოეზიის წმინდა ჰედონისტური თუ მისტიკურ-

⁶ საადი შირაზელი, ბუსთანი, გვ. 127.

⁷ საადი შირაზელი, გოლესთანი (თეირანი, 1374), გვ. 105.

⁸ იქცე, გვ. 105.

თავმდაბლობის სიბრძნისათვის საადის თხზულებებში

ჰედონისტური ნაკადები. ომარ ხაიამის ლირიკაში ამ გზამ დოქისა და ღვინის ფიალის პოეტურ სახეებთან მიგვიყვანა (სადოქე თიხა ოდესლაც ადამიანის სხეული იყო), ჰაფეზ შირაზელისათვის ეს ღვინო, დოქი და თრობა მისტიკურ ექსტაზის დაუკავშირდა. მიწიერ არსებობაზე ამაღლების საადისეული გზა ნაკლებ პოეტურია და ამჯერად არც მისტიკური პრაქტიკისათვის ნიშნეულ ამქვეყნიურ ნეტარებას გვპირდება. აქ უკვე მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული ღვანლი. იგი (ადამიანი) მიწად მიქცევამდე მიწად გარდაიქცევა (თავს დაიმდაბლებს), რათა ამაღლდეს ოდენ მიწიერ არსებობაზე, რათა გაიმარჯვოს მიწაზე – სხეულზე. შირაზელი პოეტის ზემოხსენებული სტრიქონები აბრაამის სიტყვებს ეხმიანება ბიბლიდან: „აპა, გავპედე უფალთან ლაპარაკი, მე, მტკვერმა და ნაცარმა“.⁹

წუთისოფელში მოვლენილი განსაცდელი და გასაჭირი: დამცირება, გაკილვა, შევიწროვება ადამიანისათვის სულის სალბუნი, ზნეობრივი წამალიც შეიძლება იყოს („შენდობის გზით ცოდვისაგან განიწმინდები“). თავზე ნაცარდაყრილი სუფი ბრძენი თუ გაკილულ-გალანძღული შეიხი ამ დამცირებას აღშფოთებითა და გულისწყრომით კი არ ხვდება, არამედ – სიმშვიდითა და გონიერებით. ეს სულიერი სიმშვიდე გაკილვისა თუ ქების საპასუხოდ, უპირველესად, საკუთარი თავის ცხადად და ნათლად ხედვას ახლავს ხოლმე თან. „გოლესთანის“ ერთი არაკის გმირს – დიდებულს, რომელსაც თურმე მეტად აქებდნენ, უთქვამს: სინამდვილეში მე ის ვარ, ვისაც თავად ვიცნობო. ¹⁰

ამავე თემას აგრძელებს კეთილი და გონიერი ბატონის ამბავი, რომელსაც უზნეო მონა ჰყავდა. ერთხელ ჰკითხეს: თავს რად არ დაიხსნი ამ საშინელი ადამიანისგანო? ცუდი რომ არის, ამას მეც ვხვდები, თუმცა მე ცოტათი თუ განვსხვავდები მისგანო, – უპასუხა ბატონმა.¹¹ ეს არაკი ისეთ ადამიანს გვიხატავს, რომელსაც სრულად დავიწყებია საკუთარ ღირსებათა ძიება, პირიქით, ცხადად ხედავს თავისივე ბუნების ნაკლა და უზნეობას. კეთილი ბატონის ამბის თხრობით პოეტი რამდენიმე სათნოებაზე გვესაუბრება. თავმდაბლობის სიკეთე აქ შენდობა-მიტევების სათნოებას ერთვის. ადამიანი, რომელსაც საკუთარ ცოდვათა

⁹ დაბადება, 18:27.

¹⁰ საადი შირაზელი, გოლესთანი, გვ. 89.

¹¹ საადი შირაზელი, ბუსთანი, გვ. 124.

თამთა ფარულავა

დანახვის უნარი აქვს, სხვათა ნაკლსაც მოთმინებითა და სიმშვიდით მი-იღებს. მიმტევებელი ბატონის სიტყვები თითქოს მაცხოვრის შეგონე-ბას ეხმიანება, სახარებაში რომ ვკითხულობთ: „ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ“.¹² იგი მიუტევებს, რადგან კარგად იცნობს საკუთარ ულირსებას, კარგად იცის, რომ მასაც იმ უზნეო მონასავით ბევრი აქვს მისატევებელი უფლისაგან.

თავმდაბალი ბატონის ამბავი „ბუსთანის“ მკითხველს იმ სასურველ გზას უსახავს, რომელზედაც უნდა იაროს ადამიანმა, რათა უფლისა და მოყვასის წინაშე მართალი იყოს; ქედმაღალი ვარსკვლავთმრიცხვე-ლის ამბავი, პირიქით, გვაფრთხილებს, რას უნდა ვერიდოთ და რომელი საქციელი განგვაშორებს უფალსა და ადამიანებს. ერთ ვარსკვლავთმ-რიცხველს ასტრონომიაში მცირე რამ ესწავლა და ქედმაღლობით თავ-ბრუდახვეული იყო. სიამაყით აღვსილი ერთხელ გუშიართან მივიდა. ბრძენმა არაფერი ასწავლა და დამშვიდობებისას უთხრა: რაღა უნდა ის-ნავლო, როცა შენი სიბრძნე სრული გგონია. სავსე ჭურჭელს გავსება რა-ღად უნდა?! ცარიელი უნდა მოხვიდე, რათა გონიერებით აივსოო.¹³

ეს არავი მცირედი ცოდნით თავბრუდახვეული ვარსკვლავთმრიცხ-ველის ამპარტავნებას, ქედმაღლობის ვნებას, წარმოგვიჩენს. ამ ქედმაღ-ლობის მიზეზი ცოდნაა, წუთისოფლის გზაზე რომ დაუგროვებია კაცს. ამქეყნიური ცოდნის ლირებულებას კი ასე აფასებს „ყურანი“: „ირწმუნეთ ალაპისა და მისი მოციქულის – უწიგნური წინასწარმეტყველისა, რომელ-საც სწამს ალაპი და მისი სიტყვები“.¹⁴ წინასწარმეტყველის უწიგნურობა სამურ სიკეთედაა მოაზრებული, რადგან იგი ინტელექტუალური ცოდ-ნით შეურყვნელი ჭურჭელი უნდა იყოს, სხვაგვარად იგი ჭეშმარიტებას სრულყოფილი სიწმინდით ვერ გადმოსცემს.¹⁵

ქრისტიანული თვალთახედვითაც თავმდაბლობის სათნოება ერთ-ერ-თი უმთავრესი ლირსებაა ადამიანისა. XIX საუკუნის ქართველი საეკლე-სიო მოღვანის – გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებით, ადამიანისაგან სა-კუთარი ნაკლის ძიება, საკუთარი საქციელის გამტყუნება, სასიკეთო

¹² მათე, 7:1.

¹³ საადი შირაზელი, ბუსთანი, გვ. 128.

¹⁴ ყურანი, 7:158.

¹⁵ Шиммель Аннемари, *Mир исламского мистицизма* (Москва, 2000), стр. 29.

და სასარგებლოა ყველა საქმეში. ქრისტიანისათვის კი მეტად საჭიროა, თავმოდრეკილობის სწავლა და საკუთარ ამპარტავნებაზე გამარჯვება. „მან მოღვაწება და სულიერი შრომა მით უნდა დაიწყოს, რომ გააძოს გულისა თვისისაგან ყოველი თავის მოყვარება, თავისი თავი დაიწუნოს და გაამტყუნოს“.¹⁶ მაშასადამე, ვისაც უფლის გზაზე სიარული უნდა, პირველი ნაბიჯი საკუთარი თავის დაგიწყებისაკენ, თავმდაბლობისაკენ უნდა გადადგას.

თავმდაბლობა-მორჩილების უპირველესი მაგალითი თვით იესო ქრისტემ მისცა ადამიანებს. უფალმა კაცთა შორის მოსვლა იმისათვის კი არ ინება, რომ თავისი ყოვლისშემძლეობა ეჩვენებინა, არამედ – იმისათვის, რათა ამპარტავნებისა და ქედმალლობის ვნებით დაცემული ადამიანი საკუთარი მაგალითით ამ ცოდვისაგან დაეხსნა. იგი ჩემოვიდა, რათა კაცთ ენახათ უფლის ამქვეყნიური ცხოვრება: ქრისტეს მიერ სხვათა მსახურება, ამის სანაცვლოდ დამცირება-გაკიცხვის, დაცინვის, გვემის, ბოლოს კი ჯვარცმის უდრტვინველად მოთმენა. ჯვარცმამდე იესო ეტყვის მონაფეებს: „იმისათვის კი არ ჩამოველ ზეცით, რომ აღვასრულო ჩემი ნება, არამედ ნება ჩემი მომავლინებელისა“.¹⁷ სახარების სხვა თავში კი ვკითხულობთ: „ძე კაცისა იმისათვის კი არ მოვიდა, რათა სხვები იმსახუროს, არამედ სხვებს ემსახუროს, და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად“.¹⁸ ქედმალლობის ვნების დამლუპველობას კი მაცხოვარი ასე უთვალისწინებს ადამიანებს: „ვინც თქვენს შორის მოინდომებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური. ვინც თქვენში მოისურვებს პირველობას, ის იქნება ყველას მონა“.¹⁹ ხოლო ამ აზრის გაგრძელებაა მარტივი დეფინიციით ჩამოყალიბებული სიბრძნე, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების ქვაკუთხედია: „ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება“.²⁰

¹⁶ ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I (ქუთაისი, 1913), გვ. 106.

¹⁷ ოთანე, 6:38.

¹⁸ მარკოზი, 10:45.

¹⁹ მარკოზი, 10:43-44. ამგვარივე აზრი მეორდება სახარების სხვა მუხლებში (მარკოზი, 9:35), (მათე, 8:4).

²⁰ მათე, 23:12.

თამთა ფარულავა

საადის თხზულებათა ეთიკურ-ზნეობრივ მოძღვრებაშიც თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება ეს ქრისტიანული პოსტულატი:

„თავმდაბლობა აგამაღლებს,
ქედმაღლობა მიწასთან გაგასწორებს“.²¹

სხვა შემთხვევაში კი იმავე „ბუსთანში“ ვკითხულობთ:

„ეეთილდღეობით ის იქნება თავანეული,
ვინც ქედმაღლობის გვირგვინს გადააგდებს“.²²

რაღა თქმა უნდა, აქ „ამაღლება“ სულიერ სრულყოფას, ზნეობრივ ამაღლებას გულისხმობს და არა – ამქვეყნიურ დიდება-პატივს.²³ ამ სიკეთის მისაღწევად კი ადამიანმა სწორედ ამის საპირისპირო გზით უნდა იაროს: თვითდამდაბლების გზით ამაღლებისაკენ. ამ ზეაღმავალი გზის პოეტურ სახედ შირაზელ ბრძენს კიბე დაუსახავს, ოღონდ ეს მორჩილების კიბეა, რომელზეც სრულყოფისაკენ მავალმა კაცმა ნაბიჯ-ნაბიჯ, შრომა-გარჯით უნდა იაროს:

„თუ მაღლა გსურს იყო, თავმდაბლობა აირჩიე,
რადგან იმ სახურავს ამას გარდა სხვა კიბე არ გააჩნია“.²⁴

სულიერი სრულყოფის გზის საადისეული სიმბოლო – კიბე – ქრისტიანი მამის იოანე სინელის (†649 წ.) ნაშრომს გვახსენებს. მისი „სათნოებათა კიბე“ ანუ „კლემაქსი“ ათასწლეულზე მეტია სახელმძღვანელოდ ითვლება არა მხოლოდ ბერ-მონაზონთათვის, არამედ ერში მცხოვრები იმ ადამიანებისთვისაც, ვისაც სრულყოფილების მიღწევა და ღმერთთან მიახლება დაუსახავს მიზნად. ამ წიგნის თითოეული მონაკვეთი: ურისხველობისათვის, დუმილისათვის, ტყუილისათვის, უპოვარებისათვის, თავმდაბლობისათვის, პატივმოყვარეობისათვის... იმ საფეხურებს შეესაბამ-

²¹ საადი შირაზელი, ბუსთანი, გვ. 116.

²² იქვე, გვ 126.

²³ XI საუკუნის დიდაქტიკურ თხზულებაში „ყაბუს-ნამე“ ანუშირვან სამართლიანის შეგონებანია მოხმობილი: „დიდი კაცი, რომელიც თავს მცირედ მიიჩნევს, უფრო აღზევდება“ (ქეი-ქაუსი, ყაბუს-ნამე (თბილისი, 1978) გვ. 39). საგულისხმოა, „ყაბუს-ნამეს“ ავტორის ნააზრევი უფრო პრაგმატულია და თავმდაბლობის სანაცვლოდ აღთქმული აღზევება აქ სულიერ სიმაღლეზე მეტად წუთისოფელში აღიარებასა და დიდებას გულისხმობს.

²⁴ საადი შირაზელი, ბუსთანი, გვ. 116.

ება, რომელიც ამ „ცად ამყვანებელ“ კიბეს შეადგენს. „მისი მკითხველი იპოვის უცდომელ წინამძღვარს, რომელიც თავის თითოეულ მიმდევარს ცათა სასუფევლისაკენ გაუძლვება და ყოველი დამაბრკოლებელი ქვისა-გან დაიცავს... ამ კიბის სათავეში ღმერთი დგას“.²⁵ საადი შირაზელის „თავმდაბლობის კიბეც“ უფლისაკენ სავალი გზის პოეტური სახე, სუ-ლიერი ამაღლების სიმბოლოა.

სუფიური აზროვნებისათვის კარგად ნაცნობ სიმბოლოებს მიმართავს პოეტი „ბუსთანის“ ერთ-ერთ არაკში:

წვიმის წვეთმა უკიდეგანო ზღვა რომ დაინახა, საკუთარი სიმცირე შეიცნო, შეშფოთდა და თქვა: ჩემი არსებობა არაფერია მის გვერდითო. როგორც კი საკუთარი ულირსობა აღიარა, წვიმის წვეთი მაშინვე დიდებულ სამეფო მარგალიტად გადაიქცა.

„სიმაღლე მოიპოვა, რადგან თავი დაიმდაბლა,

არყოფნის კარზე აკაკუნებდა, ვიდრე ყოფიერებაში არ მოვიდა“.²⁶

სუფიური ტერმინოლოგიით, წვიმის წვეთი ადამიანის პიროვნული „მე“-ა, რომელიც ღვთაებრივ უსაზღვროებასთან – ზღვასთან შეერთებისა და გაქრობისაკენ მიისწრაფვის. ამ სწრაფვას პირველსაწყისთან დარღვეული კავშირის აღდგენის სურვილი და, შესაბამისად, ამ კავშირის გარეშე არსებობის უაზრობა აძლევს ბიძგს. წვეთი წვიმისა მაშინ გადაიქცევა მარგალიტად, საკუთარი არსებობის სიგლახაკეს როცა შეიცნობს.

ევგენი ბერტელსი სუფიურ ლიტერატურაზე მსჯელობისას მხატვრულ სახეთა გამოყენების ერთგვარი დიქოტომიის ფორმაზე საუბრობს. წყვილი: წვეთი – ზღვა ამ გაორების კლასიკური მაგალითია. „ეს დუალიზმი უცნაურად არ მოგეჩვენებათ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თოუპიდის²⁷ ძირითადი აზრი სწორედ ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული სიდიდის ამა თუ იმ მეთოდით შეერთებაა“, – აღნიშნავს მეცნიერი.²⁸ სუფიური მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ეს თავისებურება ჩვენი კვლევის საგანსაც ერგება. სწორედ დიამეტრალურად განსხვავებული ცნებების ერთიანობაზე ვსაუბრობთ, როცა ვამტკიცებთ,

²⁵ წმინდა იოანე სინელი, კლემაქსი, ანუ კიბე (თბილისი, 2005), გვ. 4.

²⁶ საადი შირაზელი, ბუსთანი, გვ. 115.

²⁷ ღმერთის ერთარსობის, მონოთეიზმის დოქტრინა ისლამში.

²⁸ Е. მ. ბერტელს, *Суфизм и суфийская литература* (Москва, 1965), стр. 111.

თამთა ფარულავა

რომ ამაღლებისაკენ მიმავალი გზა თავმდაბლობაზე, მორჩილებაზე, თავ-მოდრეკილობაზე გადის.

ფასეულობათა სისტემაში თავმდაბლობის სათნოების უპირატეს ადგილს მხოლოდ სუფიური ლიტერატურისათვის წიშნეულად ვერ მივიღებთ. თუმცა ისლამური მისტიკური აზროვნებისათვის ეს ადამიანური სიქველე მართლაც მეტად ახლობელი აღმოჩნდა. სხვა სუფი პოეტების მხატვრულ მემკვიდრეობასთან ერთად ძველ ანთოლოგიებს შემოუნახავთ ლეგენდა სუფიური ლიტერატურის ერთ-ერთი მამამთავრის ფარიდ ედ-დინ ათარის სიკვდილის შესახებ. საკუთარი ულირსების შეგნება და თავმდაბლობა პოეტს თურმე სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა: მონღოლთა შემოსევისას ერთ მონღოლს ათარის გაყიდვა მოუნდომებია, მოხუც პოეტს ვიღაც 1000 დირჰემად ყიდულობდა, მაგრამ ათარს უთქვამს, მოითმინე, სანამ ნამდვილ ფასს არ დამადებენო. და როცა ერთი კონა თივა შესთავაზეს, ანიშნა, ახლა მოვიდა დროო. გააფთრებულ მონღოლს მოხუცი მოუკლავს.

საადის დიდაქტიკური ეპოსი ნაწილობრივ მშობლიური ლიტერატურის ეპიკურ ტრადიციას მიჰყვება: მის თხზულებათა იდეალური გმირი, ძველი სპარსული ეპოსის გმირის მსგავსად, მებრძოლია; ოღონდ – საკუთარ თავთან, საკუთარ მანკიერებასთან მებრძოლი გმირი. ამ გმირ ფალავანს ამჯერად ახალი, უფრო დიდი მიზანი დაუსახეს, ახალი „საბრძოლო ამოცანა“ მისცეს: მას ზნეობრივი ჯებირი დაუდგინეს, რომელსაც არ უნდა გადასცდეს; მან ღირსება დამცირებაში უნდა დაინახოს, ამაღლება – თავმდაბლობაში, სიბრძნე – მდუმარებაში, სიმდიდრე – ქველმოქმედებაში. ამ ამოცანის შესრულება კი როსტომისა თუ ფრიდონის საბრძოლო შემართებაზე არანაკლებ ძალასა და ენერგიას მოითხოვს.

ბიბლიოგრაფია

References

- E. E. Bertels, *Sufism and Sufi literature* (Moscow, 1965) (in Russian).
Kikodze Gabriel, *Sermons*, I (Kutaisi, 1913) (in Georgian).
Keykavus, *Kabusname* (Tbilisi, 1978) (in Georgian).
Saint John Climacus, *Ladder of Divine Ascent* (Tbilisi, 2005) (in Georgian).

თავმდაბლობის სიბრძნისათვის საადის თხზულებებში

Saadi Shirazi, *Gulistan* (Tehran, 1374) (in Persian).

Saadi Shirazi, *Bustan* (Tehran, 1375) (in Persian).

Schimmel Annemarie, *Mystical Dimensions of Islam* (Moscow, 2000) (in Russian).

Tamta Parulava

Towards the Wisdom of Obedience in the Works by Saadi

In spite of the Sufi symbolism and depth, the didactics of Saadi's works the Bustan and the *Gulistan*, is easy and pleasant to read. The light character of these works with serious contents is also conditioned by their poetic form (sometimes prose mixed with verse) and short entertaining stories. The edifications scattered in these fables will hardly be suitable for obtaining only earthly well-being, battle glory, name or wealth. Saadi's wisdom teaches us how to gain spiritual wealth, such as – love, obedience, gratitude, silence, charity and others.

Muslim mystical practice is inconceivable without the virtue of humility. In Sufi *khanaqah* spiritual teachers tried by various methods to inculcate this virtue in their disciples. One of the morals in Saadi's works teaches us that a man's power in this world is temporary. It does not give us the right to become arrogant and vain and look down on the people around us. Real glory lies in obedience and humility. "If eminence is what you'd have, then seek not eminence!" – teaches the poet. As for the aggravation and insult, they remind us of the unworthiness of a human being once again. Man is formed of the dust of the ground and will return unto the ground. This philosophical postulate gives an impetus to various directions of the thought. The confinement of the earthly existence makes man seek ways for liberating from this captivity. Saadi's wisdom does not preach contentment with life, but urges us to perfect the spiritual side of our life. Here already man's personal endeavour is important. Before man returns unto the ground, he will turn into the ground (abase himself) in order to exalt above only the earthly existence, to win a victory over the ground, his body.

The wisdom of Saadi's fables teaches that the troubles and problems of this world may be looked at as a remedy for one's soul and its cure (*By for-*

თამთა ფარულავა

giving others you will be forgiven your sins). While telling us the story of a kind prince, the poet talks to us about some virtues – the merit of humility and obedience is merged with that of forgiveness. A man who is able to notice his own flaws will bear and accept others' demerits. The words of a forgiving prince echo the teaching of the Saviour given in the New Testament, "Don't judge or will be judged" (Matthew 7.1).

Other fable shows the arrogance and overconfidence of an astrologer who knows little and this makes him vain. Thus, the reason for this arrogance is the knowledge accumulated in the earthly life.

According to the Christian moral, humility and obedience are the major virtues of man. The example of obedience and submission was shown by Jesus himself. The Saviour did not come to this world to show his omnipotence. On the contrary, by his own example he saved mankind from the passion of arrogance. The foundation of the Christian thought can be put in a simple way, "Those who will raise their heads, will fall. Those who will lower their heads will rise" (Matthew. 23.12).

This Christian postulate is repeated word for word in Saadi's doctrine, "Obedience will raise you, arrogance will level you to the earth."

The predominant place of the virtue of obedience in the system of values cannot be accepted as characteristic only of Sufi literature. However, this human virtue proved very close to the Islamic mystical thought. Saadi's didactic epos partially follows the epic tradition of his native literature – the ideal character of his works, like the hero of Old Persian epos, is a fighter; however, he is the hero fighting with himself, with his own vices. This time a new, higher purpose was set to this hero, a new "battle task" was entrusted to him – a moral dam was formed which he should not overstep; he should see merit in humiliation, wisdom in keeping silent, wealth in charity, exaltation in obedience. The fulfillment of this task requires the power and energy which is no less than Rostam's and Feridun's battle boldness.

ଓইଲ୍ଲମ୍ବନ୍ଦିଗା

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ კოლექციაში ინახება 1568/1569 წელს ოძაბერდის მონასტერში, პეტროს აბელას მიერ ქალალ-ღზე გადაწერილი სახარება (Arm-24). ხელნაწერი გამაგრებულია დამ-ცავი შვიდფურცლიანი რვეულით. რვეული შედგება ეტრატზე ნაწერი ქართული და სომხური ხელნაწერების ფურცლებისაგან: ორი ფურცელი ქართულია, 5 – სომხური. სომხური ხელნაწერის ხუთი ფურცელი ლექ-ციონარის ფრაგმენტია და X ს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ქართული ფურცლები შეიცავს სახარებას (ლუკა 1:14-26, 2:11-25). მისი ორი ფურცელი განაწილებულია სომხური სახარების დამცავი რვეუ-ლის თავსა და ბოლოში. ტექსტი ასომთავრულია, ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად, ყავისფერი მელნით. ფურცლების ზედა და გვერდითა აშიები ჩამოჭრილი და მისადაგებულია სომხური სახარებისათვის ისე, რომ პირ-ველი ფურცლის პირველი სვეტის დასაწყისი ასოები დაკარგულია. ზო-მები: I ფ. – 27,2X19; II ფ. – 28,4X18,7. ქვედა (დარჩენილი) აშიის ზომა პირველ ფურცელზე არის 4,5 სმ., მე-2 ფურცელზე – 5,3 სმ. ეტრატზე კარგად ჩანს ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაკანონება, რომელიც მიჯნავდა დასაწერ სივრცეს. სვეტის სიგანეა 7,8-8 სმ., ჰორიზონტალურ ხაზებს შორის მანძილია 1 სმ., სვეტებს შორის – 2-2,2 სმ. სვეტში 19 სტრიქონია, გვერდზე – 38. სტრიქონებს შორის დაშორებაა 0,5 სმ. ზო-გვერ სიტყვებს შორის დატოვებულია მანძილი (0,4-0,5 სმ.) კანონზომიე-რების გარეშე. დაშორება გვხვდება სიტყვაში გრაფემებს შორისაც. ამის მიზეზია ან ტყავის დაზიანება მოცემულ ადგილას ან გადამწერის სურ-ვილი, ტექსტი მიიყვანოს ვერტიკალურ კანონამდე. დაშორების მანძილი არ არის თანაბარი და სანტიმეტრამდე მერყეობს. როდესაც დაშორება გადამწერისაა, იგი სიტყვის ნაწილებს შორის იყენებს განკვეთილობის ნიშნებს. ყდასთან მოხვედრილი ეტრატის მხარე გაშინდისფრებულია. სა-ვარაუდოდ, ფერი გადავიდა ხელნაწერის ყდაზე შემოკრული ტყავიდან.



Arm. 24, ფ. 1r

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები

ხელნაწერის გადამწერი არ არის ოსტატი კალიგრაფი. ტექსტის გრაფემები მრგვლოვანისა და კუთხოვანის ნარევია. მთავარი პალეოგრაფიული მახასიათებელია მარცხნივ გაზიდული ხაზები (ე-ნ, ვ-ინ, ლ-ას), რაც მისი შექმნის ქვედა ზღვარს IX ს-ზე დებს. თავისებურებანი: 1. მარცხნივ გახსნილი დ-ონის ყელი, გვხვდება IX ს-ის ხელნაწერებში. 2. გ-ანის დახუჭუჭებული ბოლო უფრო გვიანი ხანის ქართული ასომთავრულის-თვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მსგავსი შეიძლება ვნახოთ ფრესკულ წარწერებში: 853 წლის ბულა თურქის წარწერა¹ და X ს-ის პირველი ნახევრის სინური ხელნაწერები (N/Sin-48, N/Sin-50).² 3. ვ-ს დაწერილობა: ხაზიდან ოდნავ ზევით, შედარებით მცირე მოცულობის, მარცხნივ მცირედ თავგახსნილი რკალით: გვხვდება „მოქცევაზ ქართლისად“ სინურ ხელნაწერში (N/Sin-48). 4. ქ-ანის ბუნის ძირამდე დაწეული ჰორიზონტალური ხაზი იშვიათია, მაგრამ გვხვდება: IX-X სს. სინურ ხელნაწერში (N/Sin-26), ჯრუჭის ოთხთავში (936 წ.).

ხელნაწერის ერთიანი პალეოგრაფიული სახე მისი X ს-ით დათარიღების საფუძველს იძლევა. ცხადია, ტექსტი პროტოვულგატურ ოთხთავთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

ლუკა 1:14-26

<p>[შენ]და სიხაროლ და მხიარულება, და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ. ქ~ იყოს დიდ წ~ე ღ~თისა ღონისო და თაფლო ჭი არა სოას და ს ოლითა წდ~ითა აღი ვსოს მიერვე დე</p>	<p>მამათანი შვილთა მიმართ და ორჩნი გონებითა მართა[ლ] თაითა გ(ა)ნმზადე[ბად] ო~ლისა ერი მომზად ებოლი. რ~ქა ზაქა[რ] ია ანგელოზსა მა[ს]: რ~ა ვცნა ესე, რ~ მე მ[ო]ხოცებოლ</p>
---	--

¹ ფრესკული წარწერები, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ (თბილისი, 1989), გვ. 131-132.

² ზ. ალექსიძე, გარეჯიდან სინას მთამდე: უცნობი მასალა სამონასტრო კომპლექსის შესახებ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან, სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი (თბილისი, 2001).

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

<p>დის მოცლითგ(ა)ნ. ზა მრავალნი ძეთა ი ~ ცლისათანი მოაქ ცივნეს ო ~ ლისა, ღ ~ თის ა მათისა. ზა იგი თავადი პირ ველ გ(ა)ნვიდის წ ~ ე მისსა სოლითა და ძალითა ელიახსით ა მოქცევად გოლნი</p>	<p>ვარ, და ც[ო] ლი ჩემი გარდასროლ დღეთა მისთა? ჭიოგო ანგელოზმ(ა)ნ (?) და რქ ~ ა: მე ვარ გაბ რიელ წ ~ ემდგომარე პირსა ღ ~ თისასა და მოოვლინებიე სიტყ ოად შ ~ ნდა და ხარ[ე] ბად. და აჰა იყო დადომებოლ და ვე[რ] r</p>
---	--

<p>შემძლებელ სიტყოად, ვ ~ ე დღედმდე ყოფა დ ამისა ამისთ ~ ს, რ ~ არა გრწმენეს სიტ ყოანი ჩემნი, რ ~ ლნი ალივსნენ ჟამსა თ თისა. და დგა ერ ი იგი და ელოდა ზა ქარიას და ოკოირდ ა ყოვნებად იგი მისი ტაძარსა მას შინა. [ტ]ა გამო-რაღ-ვიდა, ვერ ეძლო სიტყოად მათა, ცნეს, რ ~ ჩოენ ებად რამე იხილა ტაძარსა მას შინა; და იგი წამ-ოყოფდა მათ და დაადგრა ოტყოად.</p> <p>v</p>	<p>ზა იყო ვ ~ ა ალესრო ლნეს დღენი იგი მ სახურებისა მისის ანი, წარვიდა სახ ედ თოისა. და შემ დგომად დღეთა მათ მიოდგა ელისაბედ, ცოლი მისი და იფარ ვიდა თავსა თოისა ხოთ თოე და იტყოდა, ვ ~ დ: ესრე მიყო მე ო ~ ნ დღეთა მათ, რ ~ ლთა მოხედვა-ყო მოსპო ლვად ყოედრებად ჩემი კაცთაგან. დ ~ თვე ხარებისაა და თოესა მეექოსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღ ~ თისა მი ერ ქალაქად გალი[ლეახსა]</p>
---	---

ლუკა 2:11-25

<p>. . . .რი, რღლ არს ქე ორი, ქა ლაქსა დავითისსა.</p> <p>[ტ]ა ესე იყოს თქნდა სასწაულად: ჰპოვ ით ყრმაა იგი შეხ ოეოლი, მწოლარე ბა გასა. მეყსეულად იყო ანგელოზისა მი ს თანა სიმრავლე ერთა ცისათაა, აქ ებდეს ღა და იტყოდეს:</p> <p>ზიდებაა მაღალთა შინა ღა და ქუნსა ზა მშოიდობაა და კაც თა შას სათნოებაა.</p> <p>ზა იყო ვა აღვიდეს ანგელოზი იგი ზეც ად, მწყემსთა მათ თქოეს ურთიერთას:</p>	<p>განვიდეთ ჩნ ვე ბეთ ლემადმდე და ვიხილ ით სიტყოად ესე, რღლი იყო ჩნდა მომართ, რღლი იგი ონ მაუწყა ჩნ.</p> <p>ზა მოვიდეს მსწრაფლ, პოვეს მარიამ და იო სეფ და ყრმაა იგი მწ ოლარეი ბაგასა.</p> <p>ზა ვა იხილეს, გოლისე მა-ყვეს სიტყოად იგი, რღლი ითქოა მათა მიმა რთ ყრმისა მისთოის.</p> <p>და რღლთა ესმოდა, ოკო ირდა სიტყოად იგი მწ ყემსთაა მათ მათა მიმ ართ. ე მარიამს და ემარხნეს სიტყოანი ესე და დაედვა გოლსა თოისსა.</p> <p>r</p>
---	--

<p>ზა მიიქცნეს და წარვ იდეს მწყემსნი იგი, ა დიდებდეს, აკურთხ ევდეს ღა თსა ამას ყღლ სა ზა, რღლი ესმა და იხ ილეს, ვა-იგი ითქონეს მათა მიმართ. და მიგაბასა</p> <p>ზა ვა აღესრულნეს დ ღენი იგი რვანი წინ</p>	<p>შჯოლისა მისებრ მ[ო] სესისა, აღმოიყვა[ნ] ეს ყრმაა იგი იუმდ წარდგინებად წე ორისა, ვა წერილ არ[ს] შჯოლსა რღლისასა, რღლი განაღოს სამო, წ მიდა რღლისა ეწოდო[ს].</p>
--	---

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

<p>ადაცოეთისა მისისა ნი, და ოწოდეს სახელი მისი იპ, რღ იგი ენო და ანგელოზისა მისგ(ა)ნ, ვჲ ყოფამ დე მისა მოცელსა ფედისასა. [წ]არასა ჟამსა აღე [ს]რულნეს დღენი იგი გ(ა)ნწმედისა მათისანი</p>	<p>და მოსცეს შესანი რავი, ვჲ ა თქომოლ არს შჯოლსა ოღისა სა, ორნი გორიტნი ა ნო ორნი მართოენი ტრედისანი. და მო ნ იყო კაცი იღმს, რღისა სახელი სოი მიონ, კაცი ესე მართ ალი, მოშიში და მოელოდა]</p>
	V

ფრაგმენტი ყურადღებას იქცევს ქარაგმათა იშვიათი გამოყენებით. ამ თვალსაზრისით Arm-24-ის ქართული ფურცლები შევადარეთ ხანმეტის, ტბეთისა (995 წ.) და ჯრუჭი I-ის (934-940 წწ.) სახარებათა შესატყვის ადგილებს.

ჯრუჭის სახარებაში გვაქვს დაქარაგმების 44 შემთხვევა, ხოლო Arm-24-სა და ტბეთის სახარებებში – 16-ით ნაკლები. Arm-24-სა და ტბეთის სახარებებში დაქარაგმებათა მცირე რაოდენობა მათი წარმომავლობის სიძველეზე მიუთითებს. ვინაიდან ხანმეტის დაქარაგმებული და დაუქარაგმებლად დატოვებული სიტყვები, რომლებიც შემორჩენილია სხვა ადგილებში, გამონაკლისის გარეშე ემთხვევა Arm-24-ისა და ტბეთის სახარებების ვითარებას, მათი პროტოტიპი, ამ თვალსაზრისით, ხანმეტის ტიპისა უნდა იყოს.

Arm-24-ის ფრაგმენტში საზედაო ასო მუხლებისათვის გამოყენებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუხლი იწყებს სტრიქონს. ამით ის ემთხვევა ხანმეტში გამოყენებულ პრინციპს. მხოლოდ ერთგან, გამოცემის მიხედვით 23-ე პარაგრაფში, ხანმეტს ტექსტის შუა ნაწილში უადგილოდ გამოყენებული აქვს რ საზედაო ასოთი. ასევე Arm-24-ს ტექსტის შიგნით მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული მუხლის აღსანიშნავად საზედაო ასო, თუმცა აქ საეჭვოა, არის ის საზედაო თუ არა: მე-19 მუხლის დასაწყისი „ხ მარიამს“. მუხლის აღსანიშნავად Arm-24 და ხანმეტი ოთხთავები საზედაო ასოს იყენებენ მხოლოდ მაშინ, თუ მუხლი აშიასთან იწყება.

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები

ფრაგმენტი გამონაკლისის გარეშე «უ» დიგრაფის მაგიერ წერს «ო» გრაფემას („ო“<„უი“<„კ“): «მოცელსა»<«მუცელსა»; «ოი»<«კ»: «მის-თოის» < «მისთკს», «სოიმიონ» < «სკმიონ»; მოშლილია ც-ს ფუნქცია: ერთ შემთხვევაში გვხვდება ე-ნ+ა – „სიმრავლეა ერთა“, მეორე შემთხვევაში კი ც-ს ნაცვლად გვაქვს ე-ნ+ი-ნ – «მწოლარეი ბაგასა». გვაქვს შემთხვევა, როდესაც ც-ს გამოსახატავად ე-ნ და ც ერთადა დაწერილი: «მეუფეც». მსგავსი აღრევები ადრეულ ძეგლშიც დასტურდება.³

საინტერესოა -ადმდე -ამდე ვარიაციებიც. ფრაგმენტში ორივე გვხვ-დება («დღედმდე», «დაკოირვებამდე»). ასეთი გამარტივება უკვე „ხანმეტ ლექციონარში“ შეიმჩნევა. მოშლილია ვ-ს ფუნქცია: «მართალთაითა». ასეთი შემთხვევები ლატალის ლექციონარშიც გვხვდება.⁴

ფრაგმენტის ტექსტის ხანმეტ, ჯრუჭ-პარხლის, ადიშისა და ექვთიმე ათონელისეულ რედაქციებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ იგი ახლოს არის როგორც ჯრუჭის ჯგუფის ნუსხებთან, ისე ექვთიმესეულთან, მაგრამ ეს სიახლოვე უფრო მეტი და არსებითია ხანმეტისა და ექვთიმესეული სახა-რების ტექსტთან. მაგალითად მოგვაქვს მხოლოდ ლუკა, 2:19:

Arm-24: ხ(ოლო) მარიამს დაემარხნეს სიტყოანი ესე და დაედვა გოლსა თოისსა.

ხანმეტი: ხოლო მარიამს დახემარხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვისსა.⁵

ექვთიმე: ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულ-სა თვისსა.⁶

ჯრუჭ-პარხალი: ხოლო მარიამს დაესხნეს ყოველნი ესე სიტყუანი და დაედვა გულსა თვისსა.⁷

ადიში: ხოლო მარიამი ყოველსა მას სიტყუასა დაჰმარხვიდა და

³ ბ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის შესავალი (თბილისი, 1984), გვ. 278.

⁴ იქვე, გვ. 288.

⁵ ლ. ქაჯაია, ხანმეტი ტექსტები, ნაკვ. I (თბილისი, 1984), გვ. 85.

⁶ ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია (თბილისი, 1979), გვ. 489.

⁷ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია (თბილისი, 1945), გვ. 187.

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

გულისქმა-ჰეროფლა გულსა თკასა.⁸


დასკვნები: 1. პალეოგრაფიულად, ორთოგრაფიულად და ენობრივად Arm-24 IX-X სს-ით შეიძლება დათარიღდეს. 2. ვულგატამდელ ოთხთავთაგან ის ემთხვევა (გარდა ორთოგრაფიისა) ხანმეტს, ხოლო ექსკლუზიური შეხვედრები ეძებნება ყველასთან. ასეთი შეხვედრები იმდენად მცირეა ადიშთან, რომ იგი არ შეიძლება მისი ჯგუფის ნუსხად იქნეს განხილული. 3. ფრაგმენტი ახლოს არის როგორც ჯრუჭის ჯგუფის ნუსხებთან, ისე ექვთიმესეულთან, მაგრამ ეს სიახლოვე უფრო მეტი და არსებითია ექვთიმესეულთან. 4. ხანმეტი, ჯრუჭისა და ექვთიმესეული ჯგუფის ნუსხები ტექსტოლოგიური პოზიციებიდან შეიძლება არ ჩაითვალოს დამოუკიდებელ რედაქციებად, რადგან შეგნებულ ცვლილებათა რაოდენობა არ არის საკმარისად დიდი. მაგრამ წმიდა წერილების რედაქტირებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. სხვადასხვა მთარგმნელიც კი ცდილობდა იმდენად ზუსტად ეთარგმნა, რომ მათ შორისაც კი დიდი იყო ხოლმე დამთხვევები. დიდი ანგარიში ეწეოდა უკვე არსებულ ტრადიციასაც. მთარგმნელები თუ რედაქტორები არა მარტო ითვალისწინებდნენ ადრე არსებულ თარგმანებს, არამედ მთელი ტექსტი ზეპირადაც იცოდნენ და მათი გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ამდენად, ვფიქრობთ, რომ წმიდა წერილებში შეგნებული ცვლილებების შემთხვევაში, თუნდაც მათი რაოდენობა ახალ ტექსტს არა ქმნიდეს, ნასწორები ტექსტი უნდა მივიჩნიოთ რედაქციად. 5. ამ პოსტულატებიდან გამომდინარე, ჯრუჭის, ექვთიმესეული და Arm-24-ის ჯგუფის ხელნაწერებს რედაქციებად მივიჩნევთ. 6. Arm-24 და ხანმეტი ოთხთავის შესაბამისი ადგილები ერთი რედაქციის ნუსხებია.

ხანმეტი ოთხთავის რედაქციის ხელნაწერის ფრაგმენტის აღმოჩენამ გვიბიძგა სხვა ფრაგმენტებს შორისაც გვეძებნა იმავე ხელით ნაწერი ტექსტები, რათა უფრო საიმედო დასკვნებისათვის მეტი მასალა მოგვეპოვებინა. მართლაც, იმავე ხელით ნაწერ ფრაგმენტს მივაგენით Q ფონდში. ეს არის Q-213, რომელიც გამოცემული აქვს ბ. უტიეს ფოტოს გარეშე.⁹

⁸ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 187.

⁹ B. Outtier, Deux fragments inédits de la première traduction géorgienne des Évangiles, *The New Testament text in Early Christianity* (Brussel, 2000).

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები



Q 213, ფ. 2r

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას
მხითარისტ კალატოზიშვილის მემკვიდრეთაგან შეუძენია საარქივო მა-
სალა, რომელთა შორისაც აღმოჩნდა ძველ ქართულ ხელნაწერთა ფრაგ-

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

მეწები. ყველა ეს ფრაგმენტი ადრე, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო სხვა ხელნაწერების, მოსალოდნელია სომხურის, საცავ ფურცლებად. Q-213 სწორედ ასეთ ფრაგმენტთა რიგს ეკუთვნის. ეს არის გაყვითლებული და გაუხეშებული ეტრატის ორი ფურცელი, ოდესლაც ერთი ფურცლის ნაწილები: დიდი ეტრატის ფურცლის პორიზონტალურად გადაჭრის შედეგად მიღებული ნახევარი ფურცელი ვერტიკალურადაც გადაუჭრიათ მცირე ფორმატის ხელნაწერი წიგნისათვის, ისე რომ ერთ ფურცელზე ორი სვეტიდან ერთი დარჩენილა. გადაჭრის კვალი კარგად ჩანს სხვადასხვა ფურცლებზე მოხვედრილი გრაფემებით. ფრაგმენტების ზომებია $14,5 \times 11,5$. მათ ქართულად, შედარებით გვიანდელი ნუსხურით, აშიებზე მიზერილი აქვს სტიქომეტრიული რიცხვები (რჟც, რჟთ, ტდ, სბ; „სბ“ სვეტის შიგნით არის შეტანილი). ფრაგმენტების ტექსტი ოთხთავის ნაწილია: მარკოზ, 14:72; 15:1-15. იგი აღნერილია ელენე მეტრეველის მიერ.¹⁰ აღნერილობაში ნათქვამია, რომ ფრაგმენტი სავარაუდოდ X საუკუნისაა და სახარების ტექსტი განსხვავდება ოთხთავის ძველი რედაქციებისაგან. ფრაგმენტს X ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს ბ.უტიე.

Q-213 პალეოგრაფიასა და ორთოგრაფიასთან ერთად სხვა ტექნიკური პარამეტრებითაც ემთხვევა Arm-24-ს: ასოების ზომა, დაკანონება, სტრიქონებს შორის მანძილი, აშიის ფართი და ა. შ., იდენტურია მათი დაქარაგმებისა და საზედაო ასოების გამოყენების პრინციპებიც. ამდენად, ისინი ერთი ხელნაწერის ნაწილებს წარმოადგენენ. ამიტომ Q-213-ს ვათარიღებთ ისევე, როგორც Arm-24-ს – X ს.

Q-213-ს აშიაზე აქვს რამდენიმე გვიანდელი მინაწერი სომხური ნუსხურით: ა (ა), ზა (თა) და რაც უფრო მნიშვნელოვანია, თარიღი, რომელიც იწყება აშიაზე და გადადის მეშვიდე სტრიქონზე ზუ იმს: 1017+551(552)=1568/69 ან 1015+551(552)= 1568/69. ბოლო ასო დაწერილია ქართულ გრაფემაზე, ამიტომ ძნელია თქმა, არის ის სომხური ხ «ე», თუ ე «ც». Arm-24-ის ანდერძში მოცემული თარიღიც მიუთითებდა, რომ იგი გადაწერილია 1568/69 წ-ში. ორივე ხელნაწერის თარიღის ხელიც ძალიან წააგავს ერთმანეთს. შეუძლებელია ასეთი დამთხვევა შემთხვევითი

¹⁰ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა, Q კოლექცია, ტ. I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1957), გვ. 232.

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები

იყოს: Arm-24 და Q-213 ერთი ხელნაწერის ნაწილებია და ერთდროულად (1568/69) არის დაჭრილი სომეხი გადამწერის მიერ სხვადასხვა სომხური ხელნაწერის ასაკინძად.

მარკოზ 14:72; 15:1-15

რუს რუს	72. . .იწყო ტირილად 1. რა მონთქსვე ხვა ლისაგ(ა)ნ ძრახვა ყვეს მღდელთმოძ ღოართა მათ მოხ ოცებოლთა თანა და მწიგნობართა და ყოვლისა კრებ ოლისა რა შეკრეს ი~კ წარიყ ვანეს და მისცეს. . . 2. . . .ჰკით[ხვიდა]	ფ[ა] და იგი არას მი ოგებდა 4. [დ]ა ფილატე მერმე ეტ ყოდა მას არას მიო გებ რავდენსა ესე ძოირსა იტყოიან შ~ნ თ~ს. და ი~კ არად მიოგო ვ~ე დაკოირვებამდე ფილატესა. ს~ხ ბ~ დღესა სწაოლად მიოტევის მათ ერთი პყრობი ლი რ~ლიცა მიითხოიან r
----------------	--	--

თ. ა თ. ა თ. ა თ. ა	8. . . ვ~ა ყვის მათა მი მართ. 9. პილატე მიო გო და რქ~ა მათ გნებავს მიგიტეო თქ~ნ მეოფეც ჰორ ^ა იათად 10. ოწყოდა რ~ შორით მიეცა მღდე ლთმოძლოართა 11. ე~ მღდელთმოძლოა რთა მათ აღძრეს ერ იგი რ~ა ბარა ბა მიოტეოს მათ v	13. . [ძა]ხილ იყვნეს მღდელთმოძლო ართაგ(ა)ნ და იტყოდეს ჯოარ აცო ეგე. 14 და პილა ტე ეტყოდა მათ რად ეგოდენი ძო ირი იქმნიეს და იგინი ოქმობდეს ჯოარს აცო ეგე. 15. ე~ პილატე იზრახა შორ]
------------------------------	--	---

შენიშვნა: პ. უტიეს მიერ გამოქვეყნებული ტექსტისაგან განსხვავებული წაკითხვები აღნიშნულია ბოლოდითა და იტალიკით.

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

მარკოზის სახარების ტექსტი Q-213-ში სრულიად განსხვავებულია ჩვენთვის ცნობილ სახარებათა რედაქციების შესაბამისი ადგილისაგან. ვადარებთ მხოლოდ 15:4-ს.

Q-213: და ფილატე მერმე ეტყოდა მას: არას მიოგებ, რავდენსა ესე ძორსა იტყოიან შ(ე)ნთ(ჟ)ს.

ხანძეტი: ხოლო პილატე მერმე ჰკითხა მას და რქუა: [არას] მიხუგება, აპა რაოდენ შეგნამებენ.¹¹

ექვთიმე: ხოლო პილატე მერმე ჰკითხებიდა მას და პრქუა: არას მიუგება? აპა რავდენსა შეგასმენენ შენ!¹²

ჯრუჭ-პარხალი: ხოლო პილატე მერმე ჰკითხა მას და პრქუა: არას მიუგება? აპა რაოდენსა შეგნამებენ შენ!¹³

Q-213 განსხვავდება ბერძნული და სომხური სახარებებისაგანც. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს, თუმცა მსგავსი განსხვავებების ჩვენება ყველა მუხლის მიმართ შეიძლება:

15. Q-213: და მონთქ(უ)ესვე ხვალისაგან ძრახვა-ყვეს მღდელთმოძლუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოვლისა კრებულისა და შეკრეს ი(ეს)უ, ნარიყვანეს და მისცეს.

ბერძნული: Καὶ εὐθὺς πρωι συμβόλιον ἔτοιμασαντες οι αρχιερεις μετα των πρεσβυτερων και γραμματεων και ολοι το συνεδριοι, δησαντες σοι Ιησόνι απηνεγκαι και παρεδωκαν Πειλατω.

სომხური: Եւ վաղվաղակի ըստ առաւօդն խորհուրդ արարեալ քահանայապեփիցն՝ հանդերձ ծերովքն և դպրօք և ամենայն արեանն կապեցին զՅիսուս' և գրան մագնեցին Պիղաբոսի:

ვფიქრობთ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ Q-213-ის ტექსტი სირიულ სახარებასთან ამჟღავნებს მსგავსებას: ორჯერ „პილატეს“ მოხსენიება „ფილატე“ ფორმით, ასევე მე-13 მუხლის დასაწყისი: „[ძა]ხილ-იყვნეს“, რომლის ნაცვლადაც სხვა ქართულ რედაქციებში ყველგან „ლალად-ყვეს“ გვაქვს (ბერძ. εκραξαι, სომხ. աղաղակին) და მხოლოდ სირიულშია ამავე ფორმით.

Q-213-ის ტექსტს ვერ ვადარებთ ადიშის ოთხთავის შესაბამის ადგილს, ვინაიდან მასში დაკარგულია შესაბამისი ორი ფურცელი. ბ.უტიე

¹¹ ლ. ქაჯაია, ხანძეტი ტექსტები, I, გვ. 80.

¹² ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია, გვ. 424.

¹³ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 172.

უძველესი ქართული ოთხთავის უცნობი ფრაგმენტები

ვარაუდობს, რომ Q-213-ის ტექსტი ადიშის ოთხთავის ჯგუფს უნდა უკავშირდებოდეს. არგუმენტები: 1. ფრაგმენტში დადასტურებული სინტაგმა „მუნიციულესვე“ ორმოცდაათჯერ გვხვდება ადიშის ოთხთავში და მხოლოდ ორჯერ ჯრუჭ-პარხალში. 2. ფრაგმენტში დადასტურებული „ძვრის-სიტყუა“ ადიშის ოთხთავში გვხვდება შვიდჯერ. 3. გენეტივის ფორმით „ყოვლისა კრებულისა“ შეიძლება აიხსნას სომხური ადყან-ით („კრებული“), რომელიც მთარგმნელს ნათესაობით ბრუნვაში ჰგონია. ამ არგუმენტიდან ჩანს, რომ ავტორი ფრაგმენტის (Q-213) ტექსტსა და ადიშის ოთხთავს სომხურიდან თარგმნილად მიიჩნევს.

ჩვენი კონტრარგუმენტები: 1. „მუნიციულესვე“ ზუსტად ამ ფორმით არც ერთხელ არ არის დადასტურებული ადიშის ოთხთავში. იგი ორჯერ გვხვდება ჯრუჭ-პარხალში და ორივე შემთხვევაში მისი შესატყვისი ადიშის ოთხთავში არის „მუნქულესვე“. ადიშის ოთხთავში 50-ჯერ სწორედ ეს ფორმა გვხვდება. 2. «ძვირის-სიტყუა»-დან ნანარმოები ფორმები მართლაც გვხვდება მხოლოდ ადიშის სახარებაში და არ არის ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში, მაგრამ ამ არგუმენტს ძალა მაშინ ექნებოდა, თუ Q-213-ისათვის ამ ორი რედაქციიდან ასარჩევი იქნებოდა ერთ-ერთი. საერთოდ კი «ძვირის-სიტყუა»-დან ნანარმოები ფორმები იმდენად გავრცელებულია ძველ ქართულ მწერლობაში, რომ მათი გამოყენება რომელმე თარგმანში რაიმე განსაკუთრებულ ნიშანს არ წარმოადგენს. 3. ფრაზაში «მუნიციულესვე ხვალისაგან ძრახვა-ყვეს მღდელთმოძღვართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოვლისა კრებულისა». «ყოვლისა კრებულისა» როგორც გრამატიკულად, ისე სინტაქსურად ნორმალურად ზის ტექსტში და სომხური ადყან-ით („კრებული“) მისი ახსნა აუცილებელი არ არის. მთარგმნელს ტექსტი ასე ესმის: «მაშინვე მეორე დღეს მღვდელთმოძღვრებმა მოილაპარაკეს უხუცესებთან, მწიგნობრებთან და მთელ კრებულთან». ამ ტექსტის ასე გაგება რომ ბუნებრივია, მოწმობს შესაბამისი ადგილის თარგმანი ინგლისურ ენაზე: «Early in the morning the chief priests met hurriedly with the elders, the teachers of the Low, and the whole Council». მოცემული წინადადება ძველ ქართულად ასეც შეიძლება გაიმართოს: «მუნიციულესვე ხვალისაგან ძრახვა-ყვეს მღდელთმოძღვართა მათ მოხუცებულთა და მწიგნობართა და მოხუცებულისა კრებულისა თანა». ასეთი კონსტრუქციები ძველი ქართულისათვის უცხო არ არის. უდაბნოს მრავალთავი: «გაკურთხევთ უფალი მამისა თანა და სულისა

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

წმიდისა».¹⁴ რაც შეეხება სომხური აფხას-ის ქართულად ნათესაობითი ბრუნვით გადმოღებას, საეჭვოა ასეთ მთარგმნელს საერთოდ შეეძლოს ოთხთავის თარგმნა სომხურიდან ქართულად.

ბ.უტიერ ქართული ოთხთავის კიდევ ერთი ფრაგმენტი აღმოაჩინა ერევნის «მატენადარანში»: N3716. ეს არის 1421 წ. გადაწერილი სომხური ოთხთავის პირველი დამცავი ფურცელი მარკოზის თავიდან: 8:17-31.¹⁵

ქართული ტექსტის შემცველი ფურცლის ზედა და გვერდითა აშიები ჩამოჭრილი და მისადაგებულია სომხური ხელნაწერის ზომისათვის ისე, რომ ფურცლის პირველი სვეტის დასაწყისი ასოები დაკარგულია. ფურცლის ზომა: 25X18 სმ.; ქვედა აშიები – 5X18 სმ. ტექნიკური მონაცემებით, პალეოგრაფიითა და ორთოგრაფიით, მატენადარანის ფრაგმენტი ზუსტად ემთხვევა Arm-24-სა და Q-213-ს. ამდენად, სამივე ფრაგმენტი ერთი ხელნაწერის ნაწილებს წარმოადგენს.


მატენადარანის ფრაგმენტში Arm-24-ის მსგავსად გვაქვს წითელი მელნით შესრულებული ლიტურგიკული მითითებები. 1. „თ~ვი ჯ~ისა და მქთ~ლი ანგლ~ზთად“.¹⁶ ბ. უტიერ წაკითხვა სწორია, თუმცა ტექსტში დაქარაგმებულია არა მქთ~ლი, არამედ მქლ~თი: „მიქაელეთი“. „-ეთი“ კრებითობის მანარმოებული სუფიქსია, ანუ იგულისხმება მიქაელი და სხვა მთავარანგელოზები. შდრ. „საქმე მოციქულთას“ სხვადასხვა რედაქციაში: „წარ-რაო-ვიდეს პანფეთ პავლეეთი, მივიდეს იგინი პანეფოდ“ // „წარ-რაო-ვიდეს პაფოთ პავლე და მისთანანი იგი“.¹⁷ ამ ლიტურგიკულ მითითებას, სამართლიანად აღნიშნავს ბ. უტიერ, ქართულ ლექციონარებში პარალელი არ ეძებნება. 2. წდ~თი ანუ „წმიდათაი“ – „წმიდათა მონამეთავ“.

¹⁴ უდაბნოს მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ლ. ბარამიძე, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ლ. კიკაძე, მ. შანიძემ და ზ. სარჯველაძემ, ა. შანიძისა და ზ. სარჯველაძის რედაქციით (თბილისი, 1994).

¹⁵ ბ. უტიერ, ახალი ასომთავრული ფრაგმენტი მარკოზის სახარებისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 31 (2004), გვ. 148.

¹⁶ იქვე, გვ. 148.

ამგვარად, უოცნო მიღებულია არა ცნობა, არამედ ოცნება ზმინ-

¹⁵ ფსალმ. 13:1; 52:2. განმარტება, 213:15-16.

¹⁶ ნემ. PG XL, 633.

¹⁷ ბუნ. კაც. 72:8-9.

¹⁸ იხ. კავშირნი, გვ. 301.

¹⁹ იხ. Иоанн Петрици, *Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха* (Москва, 1942), стр. 25; (Москва, 1984), стр. 39.

დამანა მელიქიშვილი

დან. როგორც ზემოთ ვთქვით, ტერმინი **უოცნო** იოანე პეტრინს ერთისა და კეთილობის – **ღმერთის** ატრიბუტად აქვს ნახმარი მახასიათებლების რიგში **უცნაური** – **უცნოვ**, **მიუწდომელი** – **მიუწუთოვ**, **უთქმელი** – **უთქოვ**, **უქმნელი** – **უქმნოვ** სინონიმური წყვილების რიგში.

უცნაური, **უცნოვ ერთი** („შეუცნობელი“ ერთი): რამეთუ იგი ზესთავ და **უცნაური** ერთი უსახოსაცა და **ურომელოსა** წარმოაჩენს ნივთსა;²⁰ მის ერთისა მიერ წარმოიჩინა ესე **უცნაური** ნივთი, ვითარ **უცნოვ** – **უცნოვსა** მიერ.²¹

მიუწომელი, **მიუწუთო ერთი**: პირველსა მას **მიუწომელსა** ზესთავ არსსა **ერთსა**²² ერთი იგი და ზენად ყოველთა სწორებით ყოველთა მიზეზ და **მიუწუთო**.²³

უთქოვ, **უთქვ ერთი**: **უთქოვ** იგი ერთი მიუდრეკელობასა ზესთა ძეს,²⁴ მის **უთქვსა ერთისა** მიერ.²⁵ **უქმნელი**, **უქმნოვ ერთი**: **უქმნელსა ერთსა არცა** ნანილნი ჰქონან და არცა ასონი და კავშირნი;²⁶ **უქმნოვ ერთი** ზესთა ძეს ნანილთმიერობასა.²⁷ **უოცნოვ ერთი**: **უოცნოვ** იგი ერთი ზესთა ძეს ყოველსა ძალსა და მოქმედებასა;²⁸ მას **უოცნოსა ერთსა** მოაქუს თვე-შორის ყოველი ზესთგუართავ;²⁹ ესე მის **უოცნოვსა ოდენ ერთისა** არს თვთებად³⁰ და სხვ.

უცნო და **უოცნო** ცნებები იოანე პეტრინამდე არ უნდა ყოფილიყო გარჩეული: გონებით წარმოუსახველის, წარმოუდგენელის მნიშვნელობით ეფრემ მცირე იყენებს ტერმინს **მოუგონებელი**: ყოველთა მოგონებათაგან **მოუგონებელ** არს ზეშთაგონებისა იგი ერთი³¹ (შდრ. არცა გამოითქუ-

²⁰ განმარტება, 43:9.

²¹ იქვე, 43:13.

²² იქვე, 130:28-29.

²³ იქვე, 60:4.

²⁴ იქვე, 48:15.

²⁵ იქვე, 45:8.

²⁶ იქვე, 23:6.

²⁷ იქვე, 23:37.

²⁸ იქვე, 18:25.

²⁹ იქვე, 30:4.

³⁰ იქვე, 65:31.

³¹ არეოპაგ., 6:19.

პროკლე დიადიხოსის ცნება-ტერმინთა გადმოცემა იოანე პეტრინთან

მის, არცა **მოგონება** შესაძლებელ არს).³²

ამონიოს ერმიასის შრომების მთარგმნელი იოანე ტარიჭისძე „გონებით წარმოდგენის“ (ἐνυοήσα) მნიშვნელობით **მოგონებას** იყენებს: არცა კაცისაა, თვინიერ სიტყვერებისა, შესაძლებელ არს **მოგონება**.³³ მას „აზროვნების“, „შემეცნების“ მნიშვნელობითაც **მოგონება** (ιόησις) შესატყვისით აქვს გადმოცემული, თუმცა ამავე, გნოსეოლოგიური შინაარსით იგი **გაგონება** ტერმინსაც იყენებს.

მაქსიმე აღმსარებლის შრომების თარგმანში (K-14), რომელიც ამონიოსის მთარგმნელის ხელიდან ჩანს გამოსული, „გონებით წარმოუსახველი“ აღნერითადაა ნაწარმოები: **არა გაგონებული** (οὐ ιόησιν). საინტერესოა, რომ „გონებით წარმოსახვა“ გადმოცემულია შესიტყვებით: **გაგონებისშორისი ოცნება**, სადაც შესიტყვება-ტერმინის ძირითადი წევრი **ოცნება** ტერმინია.

ეს უზადო, უოცნო, უთქო, მიუწუთო, უქმნელი ზესთერთი **მიღმაა** „imrre“ (ἐπέκεινα) და „**ზესთა ძეს**“ (ύπερκείμενος, ύπέρτερος). ყოველივე მისგან **წარმოგზავნილზე**, ანუ **წარმოებულზე** (πρόοδος, πρόεισιν). ეს უკანასკნელი იყოფა **რიგებად**, პროკლეს ტერმინით – σειρά (ξαჭვი), რომელიც პეტრინს ხან ტრანსლიტერაციით გადმოაქვს – ბიზანტიური წარმოთქმით – „სირა“, ხან კი ზუსტ ქართულ შესატყვისს იძლევა (ხშირად ჰენდიადისურ წყვილში): **ნათხზი სირახსაა** („თხზავს“ ზმნიდან მიმღეობა „**ნათხზი**“, ძვ. „ნათხზენი“ – „ნაწნავი“), ხან: **ნაქუსი სირახსაა** („ქსოვს“ ზმნიდან). ზოგჯერ პროკლესთან ამ ცნების აღსანიშნავად თაქს („წყობა, განრიგი, წესი“) ტერმინიც გვხვდება, რაც შესაბამისად **წესით** ითარგმნება. სირა (ნათხზი, ნაქუსი), თუ შეიძლება ითქვას, ტექნიკური ტერმინია. თვისობრივად იგი ერთი გვარის, ესმის. **მხოლოთა** შემცველია, **სირა** ანუ რიგისათვის **ეიდოსის** ანუ გვარის (რაგვარობის) მიმცემი, გვარმყოფელი და არსების მიმნიჭებელი. ამდენად, იგი არის **გვართმთავარი** ანუ **სირათმთავარი** (სერიის, რიგის მთავარი), **წესთმთავარი**, **სირათდასაბამი**. სირათმთავრებთან ანუ სირათდასაბამებთან მსგავსების საფუძველზე **ბაძვის** (μίμεστა, ომიօტიფ) გზით ხდება უკუქცევა უშუალოდ თავისი არსებითი დასაბამის, მიზეზის (არχή, αἰτία) მიმართ და არა „ვითარ დახუ-

³² არეოპაგ., 10:20.

³³ ამონ. 87:6.

დამანა მელიქიშვილი

დეს“ (ანუ როგორც მოხვდება, შემთხვევით), რადგანაც უცხოსა ვითარ ეტრფოს ბუნებით?³⁴ წარმოობის, ანუ გზავნის (პროსეკტი, პრინციპი), ანუ ემანაციის საფუძველიც მსგავსებაა: გზავნანი არსებათანი მსგავსებისა მიერ არიან.³⁵ ამასთან, რაც უფრო ახლოა (მოახლეა) ყოველი მომდევნო გვართა სფერო, ანუ რიგი ზესთერთთან, მით უფრო მსგავსია მისი და, ამდენადვე, უფრო უმჯობესია მის-ქვეშეთა რიგზე. შესაბამისად – რაც უფრო დაშორებულნია „ნათხზნი სირადსანი“ ერთისაგან, მით უფრო მდარე ანარეკლებია და „უმსგავსონია“ ისინი ერთისა. და ასე – უსახო და უგვარო ნივთამდე, რომელსა არარსად სახელსდვა სიტყუამან.³⁶

ყოველივეს დასაბამი და პირველმიზეზი ზესთერთია (ანუ თვითერთი – ასტოენ): ერთისა მიერ პირველისა წარმოიყენებიან მხოლონი არსებათანი,³⁷ მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ყოველ რიგს თავისი საკუთარი დასაბამი, თავი (სირათმთავარი, გვართმთავარი) აქვს და, მაშასადამე, თავისი უახლოესი მიზეზიც. ამ გვართმთავარი ჰენადისაგან – ყოველი გუარის დასაბამობითი მიზეზი მსგავსთა წარმოაყენებს: ყოველი სირათდასაბამი, ვითარცა იყოს თვთებად პირველისად, თან-მისცემს თვისთა თვთებისაგან სირასა ყოველსა,³⁸ ანუ, როგორც პეტრინი იტყვის, „იზიარებს უზესთაესი და მიზეზი თვე-გამო მიზეზოანსა და თან-მისცემს თავისი მოუკლებელისა მყოფობისაგან“ ისე, რომ თვით არაფერს მიიღებს მისგან. ამგვარად, უჯობესი (უმაღლესი) იზიარებს უდარესს (ანუ უდარესი ეზიარება უმჯობესს: ე. ი. ზიარების³⁹ მექანიზმი სერიათა მწკრივში წარმოობის პროცესში – ცალმხრივია. მიზეზისაგან გამომდინარე, მიზეზოანი⁴⁰ (აიτιათი) თავის თავში ატარებს მიზეზს, მაგრამ მისი იგი-

³⁴ ამონ., გვ. 88:18.

³⁵ იქვე, წ5.

³⁶ იქვე, წ21, გვ. 58.

³⁷ კავშირი, გვ. 115, გვ. 71.

³⁸ იქვე, წ115, გვ. 71.

³⁹ ზიარება ტერმინის გააზრებასთან დაკავშირებით იხ. იოანე პეტრინის „განმარტების“ | თავი, სადაც იგი მეტად მარჯვედ იყენებს ამ ზმნის სამი სხვადასხვა ფორმის (იზიარნეს მათ იგინი, ეზიარა იგი მას და იზიარა მან იგი) ლინგვისტურ ანალიზს იმისათვის, რომ დაასაბუთოს პროკლეს ძირითადი თეზისი „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაოთავე ერთსა.“

⁴⁰ ტერმინი „მიზეზისაგანი“, რომელიც ბერძნ. αἰτιατόν-ის შესატყვისად

პროკულე დიადიხოსის ცნება-ტერმინთა გადმოცემა იოანე პეტრინთან

ვეობრივი, იდენტური კი არ არის, ე. ი. არა **თვით იგია** (ό αὐτός, ταυτόν), არამედ „ვითარ – **იგივე სხუა**.“ კერძოდ: იგივეა უკუე მსგავსებისა მიერ, ხოლო გასხუაებულ – უმსგავსობისაგან. **მიზეზნი თანუზიარონი** ანუ **თანუქონონია** (άμέθεκτος) – რამეთუ არას მიიღებენ თვსთა შემდგომთა-გან, არამედ სამარადისოდ დამსჭუალულ არიან ზენაობასა შორის მთა-ვრობისასა, ვითარცა მიზეზნი და წყარონი არსთანი და არას მიიღებენ თვს-გამოთა მიზეზოანთაგან.⁴¹ **სირათა** ანუ **გუართა** გამომდინარეობა, **ნარმოობა** (προΐεναι, producire, progreditur) **გზავნა** (όδος – გზა-დან) გარკვეული თანმიმდევრობით, საფეხურებრივად ხდება. ეს პროცესი ნათლადაა გადმოცემული პეტრინის „განმარტების“ მე-60 თავში: ყოვე-ლი ზედა რიგის **მთავარი** ანუ **სირათმთავარი** (მხოლოდ – მონადა – მიოად) გადასცემს თავის **თვითებას** მის მომდევნოს და დაუზესთავდება მას როგორც მიზეზი და მაარსებელი. თითოეულ მწკრივს, სერიას (**ნათხბის**, **ნაქუსის**) თავისი სირათდასაბამი **მხოლოდ** აქვს (მიოად), რომე-ლიც იდეის (είδος – იδέა) ტოლფასია: **რაღც-რაღვე** იყოს, ვითარ **მხოლოდ** სხეულთავ – ცაა; და **მხოლოდ** ბუნებათავ – საყოველთაო ბუნება; და **მხოლოდ** სულთავ – საყოველთაო სული; და **მხოლოდ** გონებათავ – ნამ-დვლმყოფი, და **მხოლოდ** ერთთავ (ჰენადების) – მზე იგი ერთისაღ⁴² არსთა ყოველი **გვარითმთავარი** (გონებისა, სულისა, ბუნებისა...) მხოლოდ თავი-სი გვარის ფარგლებში მოქმედებს, მაგ., გონებისა ყოველი მოქმედებად

აქვთ ნახმარი ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელს (იხ. დიალ., 47:2), გამოხატავს **მიზეზისაგან** გამომდინარეობას, პეტრინის ტერმინი **მიზ-ეზოანი** კი ხაზს უსვამს **მიზეზისაგან** გამომდინარეობასთან ერთად მიზეზის თავისი თავში მქონებლობას ანუ „პყრობას“ (-τραნ სუფიქ-სი ქონების გამომხატველია), რასაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს **მიზეზისა და მიზეზოანის** ურთიერთდამოკიდებულების გაგებისათვის.

⁴¹ კავშირნი, გვ. 63, გვ. 128.

⁴² განმარტება, გვ. 59, 12-16; ჰენადების (ერთთავ) და მონადების (**მხო-ლოთა**) შესახებ პროკლესა და პეტრინის ონტოლოგიურ სისტემებში, დაწვრილებით იხ. ანა ხარანული, წყაროთა გამოყენების მეთოდი პროკლე დიადოხოსთან და იოანე პეტრინთან (თბილისი, 1990), გვ. 117-130, მისივე, ჰენადები და მონადები პროკლესთან და პეტრინთან, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1995, №4, გვ. 145; ასევე, ლ. გიგი-ნეიშვილი, ჰენადები პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიურ სისტემაში, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1995, №4, გვ. 152.

დამანა მელიქიშვილი

ვიდრე და სადამდე მოქმედებს ძალი გონიერი – და გაგუარებულთამდის, ხოლო მეტად ველარა გაზიდავს თვისთა გონიერთა ნათელთა (§20, გვ. 58), მამინ, როდესაც ერთის მოქმედება გასწვდება ყველა რიგს თვით უსახო და უგვარო, ურომელო ნივთამდე (მატერიამდე), თითოეული გვარის არსებობის პრინციპი კი ერთობაშია, რაც ერთთან ზიარებით (მეტენი) მიიღწევა. **ერთთან ზიარებაა უკუქცევის** (ეპისტროფი) საფუძველიც. ერთი მაზიარებელია, ხოლო თვით კი უზიარო, ანუ **თანუქონოა** (ამეთეკთო), **თვითმდგომია** (ატარებს, აუზისტათას). მხოლოდ ამ **ზესთერთს** ძალუბს სიმრავლის ერთყოფა და შეერთება,⁴³ ე. ი. იმათი ერთ-გვარად ქმნა, რომელნიც ერთ რიგს, სირას შეადგენენ (წარმოადგენენ). მაგრამ ზიარება ყოველი მომდევნო რიგისა ერთთან ხდება არა უშუალოდ, არამედ წინა რიგის სირათმთავრების, ანუ **გვართმთავრების მსგავსების** (ბმისტენი) **საფუძველზე**.⁴⁴ რადგანაც სათანადო არს, რადთა ეგოსცა და წარმოიარსოსცა და გასხუავდესცა⁴⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ არ გამოეყოფა თავის დასაბამსა და დასახყისს და, „თუ ოდენ ეგოს შორის მიზეზსა მიზეზოანი“, მამინ „არცა **წარმოვლოს** ნათხზმან სირავსამან და არცა განთკთდენ მხოლონი მყოფთანი“,⁴⁶ ე. ი. არ იქნება წარმოობა, განვითარება. ამგვარად, განვითარების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მიზეზოანი ჰქინეს მიზეზსა შორის თვისსა და **ინარმოებს** მისგან და უკუნიქცევის მისდადვე.⁴⁷

ამგვარად, **ერთი** არის **სანადო** და **სატრფო** (თბ ტრექტო) ყოველთა მის მიერ წარმონაარსთა. **ტრფობა** და **ნადილი** მის ერთისადმი ანუ კეთილობისადმი (აყაზი), არის **უკუნიქცევის** (ეპისტროფი) საფუძველიც, ეს არის განვითარების მამოძრავებელი ძალა, განვითარებისა, რომელიც ელინურ აზროვნებაში ციკლური ხასიათისაა, ქრისტიანულ აზროვნებაში კი სულის წვრთნისა და განვითარების, ზეალსვლისა და განლმრთობის გზაა.

პირველი რიგი, ანუ სირა, რომელიც ერთისგან გამოდის, ანუ პეტრინის ტერმინით „წარმოობს“, გონების რიგია, რომლის „სირათმთავარი“ პირველი გონებაა, იგი ამ რიგს თავის „იდეას“, „გუარს“, ფორმას აძლევს

⁴³ განმარტება, §23, გვ. 65.

⁴⁴ იქვე, §35, გვ. 87.

⁴⁵ იქვე, გვ. 88.

⁴⁶ იქვე, გვ. 87.

⁴⁷ იქვე, გვ. 87.

პროკლე დიადიხოსის ცნება-ტერმინთა გადმოცემა იოანე პეტრინთან

(„იდეის“ ვიზუალური ხატია „ეიდოსი“-„ფორმა“ და ამიტომ იოანე ფილო-სოფისი ‘ეიდოს’-‘იდეას’ ერთი – ‘გუარ’ ტერმინით თარგმნის). ამიტომ სირათმთავარი პირველი გონიერი, რომელიც თავის გვარის სირას – პეტრი-ნის ტერმინით – ‘ნათხზს’ (ან ‘ნაქუსს’) ქმნის, გუართმთავარია და იგი არის ‘ნამდვილმყოფი’ (შურავ შუ).

შუ – ჭეშმარიტი არსი ანუ ნამდვილმყოფი იოანე პლატონუ-რი ფილოსოფოსის თეოლოგიური (ამ ტერმინის როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული გაგებით) ხედვის ქვაკუთხედია. ერთი მხრივ, ნამდვილმყოფის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მიმართება ზესთერთთან, როგორც მისი ხატისა და მსგავსისა, ხოლო, მეორე მხრივ, ლოგოსის, „უპირმშოესი ძის“ მიმართება მამალმერთთან, ვითარცა მისი ხატისა და მსგავსისა (ეკურავით კას სტრატეგია), ეკამაგიოსა და აღმონატკფრისა, იო-ანე პეტრინის მთელი „განმარტების“ ყურადღების ცენტრშია.

ნამდვილმყოფი, რომელიც გონიერის რიგის მთავარი (სირათმთავარი) და გვართმთავარია, იგივე „გუარმყოფელია“ (εἰδιοποιός), ანუ გვარის და-საბამია, მიმცემია გვარისა (ფორმისა, გვარეობისა, ანუ რაგვარობისა), იოანე პეტრინის ლვთისმეტყველებაში ისე მიემართება ზესთერთს, რო-გორც ძე – მამალმერთს.

ნამდვილმყოფი შედგმული ერთია: იგი შედგება ორი „მხოლოსაგან“ – ორი შემოქმედებითი წყაროსაგან: პირველი საზღვრისა და პირველი უსაზღვროობისაგან. პირველი საზღვარი, რომელსაც ფილოსოფოსი (აქ: არისტოტელე) „გუართა გუარს“ (ანუ „იდეათა იდეას“) უწოდებს, „ხოლო ან ჩუენ ძე უწოდეთო“, იოანე ფილოსოფოსის ლვთისმეტყველებით, იგ-ივე „უპირმშოესი სიტყუაა“. იგი გააზრებლია როგორც ძის ლვთაებრივი ბუნების ანალოგია, ხოლო პირველი უსაზღვროობა ანალოგია ძის ადა-მიანური ბუნებისა⁴⁸.

„შედგმული ერთი“ და „მყოფი ერთი“ ნამდვილმყოფის სხვადასხვა ასპექტს, სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ, მაგრამ ეს საფეხურები ლოგიკურად არიან ერთმანეთის მომდევნონი და არა ქრონოლოგიურად,⁴⁹

⁴⁸ იხ. განმარტების §29, სადაც ამასთან დაკავშირებით პეტრინი იმოწმებს პავლე მოციქულს.

⁴⁹ ა. ხარანაული, წყაროთა გამოყენების მეთოდი პროკლე დიადოხოსთან და იოანე პეტრინთან (თბილისი, 1990).

დამანა მელიქიშვილი

ანუ ისინი არ წარმოადგენენ „წარმოობის“, ანუ „ემანაციის“, პრო-დუცირების სხვადასხვა საფეხურს. ამდენად, შემეცნების პროცესში იგი, ბუნებრივია, ერთზე დაბლა დგას, როგორც „პირველი მყოფი“ – პირი, ჰიპოსტასი, რაც სრულ თანხმობაშია მაცხოვრის ცნობილ სიტყვებთან იოანეს სახარებიდან: „მივალ მამისა ჩემისა, რომელი უფროს ჩემსა არს“ (XI-XII სს-ის ბიზანტიაში ეს გამონათქვამი თეოდორგიური კამათის აქტუალური თემა იყო და საგანგებოდ აქვს განმარტებული თეოფილაქტე ბულგარელს, რომლის ქრისტოლოგიურ ინტერპრეტაციასაც ასევე სრულიად ეხმაურება იოანე პეტრინის ღვთისმეტყველება).

„განმარტების“ სხვადასხვა თავში ნამდვილმყოფის დახასიათება, როგორც პირველი გონებისა და გვართა ადგილისა (იდეათა ტოპოსისა) და ყოველთა მყოფთა მიზეზისა, პარალელს პოულობს ძის დახასიათებასთან ე. წ. „ბოლოსიტყვაობის“ შემდეგს კონტექსტთან: „ამის განგებისა მიერ გონებისად და მყოფისად პირველისა, რომელ არს ძე, გუართა ყოველთა ადგილი, სულისა მიერ ზესთჭეშმარიტისა გარდმოიძლუანვიან დამსახნი მრავალსქიდიანობასა ნივთისასა“.⁵⁰ ამგვარად, იოანე პეტრინის დაძლეული აქვს ორიგენიზმი, საიდანაც გამოვიდა არიოზის წვალება და ის შიშიც, რომელიც ჰქონდა „კავშირთა“ XIII საუკუნის ნუსხის მინაწერის ავტორს. სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა XVII საუკუნეში მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი, რომ, ვინც გულისხმისყოფითა და მართლმადიდებლობით წაიკითხავს პროკლესა და იოანე პლატონური ფილოსოფოსის თხზულებებს, ის დიდ საღვთისმეტყველო ხედვებს მიემთხვევა, ხოლო იმას, ვინც ზერელედ და უგულისხმოდ გამოიძიებს მათ, „არიოზისა და ორიგენეს მთხრებლში“ ჩავარდნა ემუქრება.

ბიბლიოგრაფია

References

- D. Melikishvili, *Ioane Petritsi, Commentaries on Proclus' 'Elements of Theology'* (Tbilisi, 1999) (in Georgian).
Nemesius of Emesa, *On Human Nature*, translated by Ioane Petritsi, edited by S. Gorgadze (Tbilisi, 1914) (in Georgian).

⁵⁰ იოანე პეტრინის შრომები, ტ. II, გვ. 22.

პროკლე დიადიხოსის ცნება-ტერმინთა გადმოცემა იოანე პეტრინთან

“Epilogue”, Ioane Petritsi, Opera, vol. II, “Commentaries on Proclus Diadochus, the Platonic Philosopher’s ‘Elements of Theology’”, ed. S. Kaukhchishvili and Sh. Nutsubidze (Tbilisi, 1937) (in Georgian).

Ioann Petritsi, *Comments on Platonic Philosophy and Proclus Diadochus* (Moscow, 1942, 1984) (in Georgian).

“Prologue”, Ioane Petritsi, Opera, vol. II, *Commentaries on Proclus Diadochus, the Platonic Philosopher’s Elements of Theology*, ed. S. Kaukhchishvili and Sh. Nutsubidze (Tbilisi, 1937) (in Georgian).

A. Kharanauli, *Source Utilization Method in Works of Proclus Diadochus and Ioane Petritsi*, PhD Dissertation (Tbilisi, 1990) (in Georgian).

Damana Melikishvili

Understanding and Transmission of Notions and Terms of Proclus Diadochus’ Ontological Structure in Ioane Petritsi

In the 30-ies of the past century (71 years ago) an important event occurred in the history of culture and humanitarian sciences of Georgia: the second volume of Ioane Petritsi’s works – commentaries on Proclus Diadochus, “a Platonic Philosopher’s” treatise *The Elements of Theology* was published. The text was edited by Simon Kaukhchishvili and the introduction was written by Shalva Nutsubidze, who proclaimed Petritsi as a creator of pagan philosophy (“...thus, the Georgian continuator of the Greek pagan philosophy arrived to paganism, however, not to Greek or Oriental paganism, but to Georgian paganism”... “pagan philosophy brought him close to paganism and emboldened him to attempt to translate Christianity into the language of paganism”). The first volume of Ioane Petritsi’s works, namely the translated text of Proclus’ treatise, was published three years later, in 1940. This edition has an introductory article on Petritsi’s weltanschauung by Mose Gogiberidze, where the scholar promotes ideas opposite to those of Nutsubidze’s: “There is no mention of paganism in the text of Ioane Petritsi... with great mastery Petritsi utilized classical samples of antique philosophy in order to safeguard rational justification of Christian dogmata. Petritsi gave philosophy such an interpretation as to reconcile it with Christianity; or he independently coined notions that are reconcilable with Christianity, thus creating his own philosophy, yet this philosophy was a Christian scholasticism.” The opposition of those two

contrary positions until now has not been resolved and demands in-depth study of the text.

The translation of the “Elements of Theology” by Proclus, this great systematizer of terminology of Platonic philosophy, had an immense importance with regard to establishing and systematizing Georgian philosophical-theological terminology. In the process of translating and commenting Proclus’ philosophical system, Petritsi elaborated, brought to precision and systematized Georgian philosophical-terminological apparatus, created a clear and transparent terminological system corresponding to notional system of Proclus’ ontology (ontological orders or σειρά). Petritsi effectively adjusted this terminological system to Christian dogmata and, as he himself would say, “theologized” it.

Because of the fact that for Petritsi Proclus’ “Elements of Theology” represents a textbook of “grand theological theories” which teaches to “all who enters the gate of knowledge” the principles and simplest notions and categories of theology (*Prologue*, pp. 5-6), and in which the order and chain (σειρά, τάξις) of being – intellect, soul, nature, body – are represented simply and clearly. Therefore, the Georgian philosopher in due places explains to listeners and disciples each of those notions and terms related to this ontological structure.

On the top of Proclus’ ontological system (the Greek and Georgian terms utilized by Proclus and Petritsi are put here in brackets) “stays” (μένει), the *impeccable* (უზაფო) and *pure* (ნშიდა, εἰλικρινής) One, which is the *principle* (დასაბამი, პრიუ) and *cause* (მიზეზი, αἰτία) of plenitude of all beings (πάντα πλήθος). Proclus devoted all his mental powers to apprehension of this impeccable One – which “remained ungraspable even to Plato’s summit-like intellect” – and, to the extent this was possible, provided a lucid demonstration of this One, which is the ultimate Object of thirst, love and desire for all beings. The main idea and objective of the treatise (ΣΤΟΙΧΕΙΩΣΙΣ ΘΕΟΛΟΓΙΚΗ) is exactly “to demonstrate the One”, “whether the One is”, and with the logical laws of necessary inferences discover this One, which is praised in many words (Georg. “მრავალსაქადაგო”) (*Prologue*, p. 3). The first chapters of Proclus’ treatise and Petritsi’s corresponding commentaries are devoted to demonstration of the superiority of the One, with utilization of the apophatic method. This method entails bringing to the point of absurdity all the contrary opinions and then to prove the initially proclaimed thesis. This impeccable and pure (εἰλικρινής)

One is the origin (დასაბამი) and fundament/principle (άρχή) of everything. It is the most primordial (πρώτιστος) of all beings; it is the cause (θεόθεος, αἰτία) itself being uncaused (უმიზეზო, ἀναίτιος); it is present in all beings, giving them the very existence, at the same time remaining imparticipable (უზიარო, ἀμέθεκτος) for beings: “feature of imparcipability pertains only to the transcendent One, which is superior to all unities.” The One is the object of desire (სანადო, τὸ ὄρεκτόν) and love (სარწო) of all beings produced by it. Thus, love and desire toward this One is the principle for the return/reversion (უკუნქცევა, ἐπιστροφή); love is also the power for development, which in the Hellenic thought has a cyclic feature, whereas in Christianity it represents a path of soul’s edification, elevation and, ultimately, divinization.

The first order/series (σειρά) that proceeds (ნარმობს) from the One is the order/series of intellects, of which the “leader” is the First Intellect, that provides to this order an idea (გვარი), appropriate to it. (Visual image of the “idea” is “eidos”-“form”, and that is why Ioane Petritsi translates both “idea” and “eidos” with one term – “gvari” (gvari). Thus, the First Intellect is the head of the series and is also identified by Petritsi with the True Being (ὸντως ὁν).

The ὁντως ὁν - the True Being (ჭეშმარიტი არსი, ნამდვილმყოფი) represents the cornerstone of Ioane “the Platonic Philosopher’s” (as he was called by contemporaries) theological – from both antique and Christian understanding of this term – theory. In the center of Ioane Petritsi’s attention is relationship of the True Being with the One, assimilated by him with the relationship with the Father of the Logos, the “firstborn Word”, as of the Father’s image and likeness, or imprint and impression (ἐκμαγείον καὶ σφράγισμα).

The True Being, the head of the intellectual series is at the same time “provider of idea” (გუარომყოფელი, εἰδοποιεῖν) representing the ultimate formative principle. It is related to the transcendent One as the Son is related to the God Father in Christian theology.

The True Being is the “composite one” consisting of two monads (δύο-ლო), or two creative sources – the First Limit and the First Infinity. The First Limit, “whom the philosopher (in this context, Aristotle) calls the Idea of Ideas (გუართა გუარი), whereas we now have called the Son” – says Ioane Petritsi. In Petritsi’s text the Son is at the same time to be identified with the “Firstborn Word”. The First Limit is understood by Petritsi as analogous to the divine nature of Christ, whereas the First Infinity as analogous to His human nature

დამანა მელიქიშვილი

(see chapter 29 of the *Commentaries*, where Petritsi adduces the Apostle Paul with this regard. Also, see D. Melikishvili 1999, pp. XXVI-XXXIII, LVIII).

The “Composite One” and the “One Being” represent different aspects, different strata of the True Being, however, those strata have only a logical and not a chronological sequence (A. Kharanauli, “Method of Source Utilization in the Works of Proclus and Ioane Petritsi, 1990). That is to say, they do not represent different strata of emanation or procession/production in the chain of being.

In the process of cognition the True Being is below the One as the “First Being” or hypostasis, which is in full accord with the words of the Savior from the Gospel of John: “I go to my Father, who is greater than I” (XI-XII). Those words were a subject of fierce theological debates in Byzantium and were specially discussed by Theophylact of Bulgaria (or Theophylact of Ochrid), to whose Christological interpretation fully corresponds the theology of Ioane Petritsi.

The description of the True Being in different chapters of the “Commentaries”, as of the “First Intellect”, the “Place of Ideas” and “the cause of all beings” finds its parallel in the description of the Son in the so-called “Epilogue”: “Through this Providence, the Intellect and the First Being, which is the Son, the place of all ideas, through the transcendent True Spirit are transmitted those [ideas] that introduce [formal] differentiation into the [formless] matter” (*Epilogue*, p. 22).

In this way, Ioane Petritsi has circumvented Origenism, from where sprouted the heresy of Arianism and thus, we may say that the fears of the copyists of the thirteenth century manuscript of Petritsi’s work are groundless. The Archbishop Timothy Gabashvili (XVII) with full justice remarked that whoever will read Proclus’ and Petritsi’s works with understanding whilst keeping Orthodox standards, will embrace great theological visions; on the contrary, the one who will read them superficially and dully will be likely to occur “in the pitfall of Arius and Origen”.

ენათმეცნიერება

ლეილა გეგუჩაძე

პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ქართულში

როგორც ცნობილია, პარონომაზიულ გამოთქმებში, ჩვეულებრივ, ორი კომპონენტი გვაქვს: ზმნის პირიანი ფორმა და იმავე ძირის საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, რომელიც უმეტესად უსწრებს, მაგრამ შეიძლება მოსდევდეს მას (შდრ.: მხილებით ამხილო... და: იგლოვდეს გლოვით...). პარონომაზიული წყვილები, ჩვეულებრივ, გვერდიგვერდ გვხვდება, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს გათიშულადაც: **დადგა** მზე და მთვარე **დადგომით**... სიკვდილით მაშინ მოვავდეთ საუკუნოდ...

პარონომაზიულ გამოთქმებში (კომპონენტებად) შესაძლოა ე. ნ. „სინონიმური წყვილებიც“ შეგვხვდეს, რომელთა ძირები სინონიმური მნიშვნელობისანი არიან (სიკვდილით აღესრულოს...; მოწყვდოს... მოსრვითა...).

კ. წერეთელი, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა უძლვნა პარონომაზიას ქართულში, ერთი ძირის მქონე პარონომაზიულ წყვილს **ძირეულ** ანუ **მორფოლოგიურ** პარონომაზიას უწოდებს, ხოლო სინონიმური ძირებისგან ნაწარმოებს – **სემასიოლოგიურს**, ანუ **სემანტიკურს**.¹

მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისი შესაძლოა დაუკავშირდეს შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილი იმავე ძირის მიმღეობაა: ურჩებით დაუმორჩილებელ (//ურჩ) ექმენით...; მოცემით მოცემულ არიან...

პარონომაზიის შესახებ ვრცლად მსჯელობს ივ. იმნაიშვილი, რომელსაც შენიშნული აქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საწყისის ნაცვლად მოქმედებით ბრუნვაში აბსტრაქტული სახელი დგას: სიმდაბლით დაიმდაბლე... წადიერებით სწადოდა.²

¹ კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, სემიტოლოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები (თბილისი, 2001), გვ. 281, 283.

² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში (თბილისი, 1957), გვ. 236.

ლეილა გეგუჩაძე

„პარონომაზია სემიტურ ენათათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის, დამახასიათებელ მოვლენადაა მიჩნეული“.³ იგი ძალიან ხშირად ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება, მაგრამ, როგორც ივ. იმნაიშვილი შენიშნავს, ამის ფესვები არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ უცხო ენის (მაგ. ებრაულის) გავლენაში.... „ქართული პარონომაზია ყოველთვის არაა დამოკიდებული სხვა ენაზე, ეს მისი თვისებაცაა... რომ ეს მოვლენა ქართულისთვისაც იყო დამახასიათებელი,... იქიდანაც ჩანს, რომ მას ადგილი აქვს ორიგინალურ ძეგლებშიც... პარონომაზია ახალი ქართულისთვისაც არაა უცხო მოვლენა... ამნაირი გამოთქმები დღეს სავსეა როგორც ცოცხალ კილოებში, ისე სალიტერატურო ქართულში“⁴ და თავად წარმოგვიდგენს ამის დამადასტურებელ მაგალითებს.

რ. ჩხეიძის თვალსაზრისითაც,⁵ პარონომაზია ქართული მოვლენაა. პარონომაზიული ფორმები დასტურდება მეგრულსა და სვანურშიც... პარონომაზია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს უძველესი დროიდანვე.⁶

განსხვავებულია მკვლევართა თვალსაზრისები პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციის თაობაზე:

კ. წერეთლის აზრით, სინტაქსურად პარონომაზია ერთი მთლიანია. იგი წინადადებაში შემასმენელს წარმოადგენს. პარონომაზიიდან არც ერთი სიტყვის ცალკე სინტაქსურ ერთეულად გამოყოფა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარონომაზია კარგავს თავის სპეციფიკას... პარონომაზია სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი შემასმენელი – ერთი ვერბალი ცნების გამომხატველი. ამაშია პარონომაზიის თავისებურება. ამდენადვე, ქართული პარონომაზიის ცალკეულ წევრთა სინტაქსურ რაობაზე საუბარი შეუძლებელია“.⁷

უფრო ადრე, 1948 წელს, ა. შანიძე წერდა: „უბრალო დამატებად ზმნას-თან ზოგჯერ მისივე საწყისი იხმარება მოქმედებითის ფორმით. ეს ხდება

³ კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, გვ. 277.

⁴ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 244.

⁵ რ. ჩხეიძე, პარონომაზიის საკითხისათვის ქართულში, ბილიკები (თბილისი, 1990), გვ. 250-251.

⁶ ჟ. ფეიქროშვილი, ქართული ენის სინტაქსი (ქუთაისი, 1996), გვ. 112.

⁷ კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, გვ. 292.

პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ქართულში

უმთავრესად დიალოგებში: – იმედი მაქვს, შენ ხვალ ან ზეგ ჩემ ვალს გა-
დამიხდი. – **გადახდით გადაგიხდი**, თუ როგორმე მანამდე ფული ვიშოვე“.⁸

უბრალო დამატებადვე მიიჩნევდა პარონომაზიული გამოთქმის აღ-
ნიშნულ კომპონენტს ლ. კვაჭაძეც.⁹ მოგვიანებით პარონომაზიული გა-
მოთქმა მან ერთ წევრად – შემასმენლად – მიიჩნია: „პარონომაზიული
წყვილი მყარ სიტყვათა შეხამებად გვევლინება, ერთ ცნებას გამოხატავს
და, როგორც წინადადების წევრი, შემასმენლად უნდა დასახელდეს“.¹⁰
კ. წერეთლის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომელიც პარონომაზიულ
გამოთქმას შედგენილ შემასმენლად მიიჩნევდა, ლ. კვაჭაძემ მას „მყარ
სიტყვათა შეკავშირებით გადმოცემული შემასმენელი“ უწოდა. თავისი
თვალსაზრისი მან ამგვარად დაასაბუთა: „შედგენილ შემასმენელში ზმის
პირიანი ფორმა დამხმარეა, მეშველია, შემასმენლის გამოხატვის ძირი-
თადი დატვირთვა სახელად ნაწილზეა, პარონომაზიულ გამოთქმებში კი
ზმის პირიანი ფორმა ნახმარია თავისი ძირითადი მნიშვნელობით, იგი
თავისთავადია და არა მეშველი“.¹¹

საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული პარონომაზია ივ. იმნაიშვილის
მონოგრაფიაში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვრცლად, დეტალუ-
რად ეხება მოქმედებითი ბრუნვის სინტაქსურ ფუნქციებს (მოქმედებითი
უბრალო დამატებად, მიზეზის გარემოებად, ვითარების გარემოებად,
ადგილის ან დროის გარემოებად, გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელო-
ბით... და ა. შ.), ამ ბრუნვის ფუნქციაზე პარონომაზიულ გამოთქმებში
არაფერს ამბობს.¹² მიუხედავად ამისა, ვვარაუდობთ, რომ ივ. იმნაიშ-
ვილი პარონომაზიულ გამოთქმას ერთ წევრად (შემასმენლად) თვლიდა.
ამას ვვაფიქრებინებს მონოგრაფიის | ნაწილში გამოთქმული მისი თვალ-
საზრისი: „პარონომაზიული წყვილები ერთ ცნებას შეიცავს, შინაარსით
ერთი ერთეულია“.¹³

⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი (თბილისი, 1948), გვ. 44.

⁹ ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი (თბილისი 1958), გვ. 90.

¹⁰ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი (თბილისი, 1977),
გვ. 125.

¹¹ იქვე, გვ. 125.

¹² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქარ-
თულში, გვ. 726-727.

¹³ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქარ-

ლეილა გეგუჩაძე

პარონომაზიაზე მსჯელობს აკ. დავითიანიც. მისი აზრით, „პარონომაზიულ გამოთქმებს, ჩვეულებრივ, გარემოებითი ფუნქცია აქვს... პარონომაზიული წყვილისათვის დამახასიათებელია ვითარების გარემოებითი დამოკიდებულება (ე. ი. პარონომაზიული სიტყვათშეხამება აღნიშნავს მოქმედებას და მის ვითარებას, ინტენსიონბას, გამორიცხვასა და სხვ.“¹⁴ ამ მსჯელობის მიხედვით, როგორც ჩანს, აკ. დავითიანისთვის პარონომაზიულ გამოთქმებში შემავალი საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით ვითარების გარემოების ფუნქციის მქონეა. ასე აქვს გაგებული ეს მსჯელობა ლ. კვანტალიანსაც.¹⁵

თავად ლ. კვანტალიანი პარონომაზიულ გამოთქმებს აქტუალიზაციის შემთხვევებთან განიხილავს და აღნიშნავს, რომ „განმეორება აქტუალიზაციის მიზნით ხდება პარონომაზიულ გამოთქმებში, რომლებშიც მასდარი (ან აბსტრაქტული არსებითი სახელი) მოქმედებითი ბრუნვის ფორმით სინტაგმას ქმნის იმავე ფუძის ზმნის პირიან ფორმასთან. მაგ.: წერით წერს, ჭამით ჭამს, სიცოცხლით ცოცხლობს და ა. შ.“¹⁶ მას შემდეგ, რაც მიმოიხილავს სხვადასხვა თვალსაზრისს მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისის სინტაქსური ფუნქციის თაობაზე, ლ. კვანტალიანი შენიშნავს, რომ „პარონომაზიულ გამოთქმებში სახელის სინტაქსური ფუნქცია ნათელი არ არის. იგი უბრალო დამატებას ჰგავს მხოლოდ ფორმით (მართული სახელი), შედგენილი შემასმენლის კომპონენტი მართული სიტყვა ვერ იქნება, გარემოებაც არ არის. ვითარების გარემოების ფუნქცია პარონომაზიულ გამოთქმაში შემავალ სახელს მაშინ აქვს, თუ მას ახლავს თავისი მსაზღვრელი. მაგ.: „შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა (რუსთ., 1302)...“¹⁷

გ. კარტოზიას აზრით, პარონომაზიულ გამოთქმაში ზმნასთან მასდარი მიცემით ბრუნვაშიც შეიძლება იდგეს და ამ შემთხვევაში მას პირმიმართი დამატების ფუნქცია აქვს: „სთმობდეს გაყრისა თმობასა =

თულში, გვ. 239.

¹⁴ აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი (თბილისი, 1973), გვ. 410-411.

¹⁵ ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები (თბილისი, 1990), გვ. 114.

¹⁶ იქვე, გვ. 112.

¹⁷ იქვე, გვ. 114.

პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ქართულში

სთმობდეს გაყრას, ე. ი. იკარგება მასდარის გაგება, მასდართან დაკავშირებული უბრალო დამატება პირმიმართ წევრად იქცევა¹⁸. ა. კიზირია მიუთითებდა, რომ პარონომაზიულ გამოთქმებში ვითარებითიც იჩენს თავს, და თვლიდა, რომ საკითხი უნდა შესწავლილიყო ქართველურ ენა-თა შედარების საფუძველზე.¹⁹

ჩვენ არ შევეხებით პარონომაზიას ძველ ქართულში; ახალ ქართულში კი პარონომაზიად მიჩნეული ვარიანტების მიმართ, ვფიქრობთ, განსხვავებული მიდგომაა საჭირო. ჩვენთვის „ნამდვილი პარონომაზია“ (ტერმინს, ცხადია, პირობითად ვხმარობთ) არის ამ ტიპის სიტყვათშენაერთები: **წა-ვლით წავალთ**, მეტი რაი დღე გვაქვს? (ა. ყაზბ.); **მორჩენით მორჩა**, მაგრამ ზაფრა დასჩემდა (აკაკი); **მინერით მისწერა** კი, მაგრამ... შეინანა თავისი საქციელი (დ. კლდ.); **ცნობით რავა არ ვიცნობ?**.. (დ. კლდ.); **შეძლებით კი შეიძლება**, მაგრამ... (ილია); **აკრძალვით კი არ აუკრძალავს** (დ. კლდ.); **ასვლით ავალ ხეზე**, მაგრამ... (აკაკი); **ცნობით კი იცნო... დაძინებით კი ვერ დაიძინა**. ამგვარი „ნამდვილი პარონომაზია“ უმეტესად დიალოგებში გვხვდება: იგი წარმოადგენს საპასუხო რეპლიკას, რომელშიც მეორდება პირველ რეპლიკაში გამოყენებული ზმნა. მაგ.: – შენ ყველაფერს მოახერხებ, თუ მოინდომე, – უთხრა თითქმის ხვეწნით ბახვამ. – **მოხერხებით როგორ არ მოვახერხებ...** (გ. წერეთ.); მაგრამ იგი გაბმული მეტყველები-სათვისაც არაა უცხო. მაგ.: **კითხვით კარგად ვკითხულობდი** (აკაკი).

ამგვარი პარონომაზიული გამოთქმები ერთი ცნების გამომხატველია და, ვფიქრობთ, ერთ წევრად – პარონომაზიულ შემასმენლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც მოქმედებით ბრუნვაში დასმული სიტყვა²⁰ მხოლოდ აქტუალიზატორია; იგი მხოლოდ მოქმედებას გახაზავს და არა აქვს დამოუკიდებელი წევრის ფუნქცია.

რაც შეეხება პარონომაზიად მიჩნეულ სხვა ტიპის მაგალითებს, როგორიცაა: ხმელი წიფელი **ამოიკვნესებს** ღრმა კვნესით (ვაჟა); ჩვენს

¹⁸ გ. კარტოზია, რუსთველური პარონომაზია, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, 1975, გვ. 15-16; ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები (თბილისი, 1990), გვ. 114.

¹⁹ ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში (თბილისი, 1982), გვ. 180.

²⁰ ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, გვ. 115.

ლეილა გეგუჩაძე

ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებით (ილია); თებერა იყო ლამაზი სოფლური სილამაზით (ვ. ბარნ.); დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი... და ა. შ., ვფიქრობთ, სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გარკვეულწილად გასაზიარებელია ლ. კვაჭაძის თვალსაზრისი, რომ, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას ახლავს ატრიბუტული ან სუბსტანტიური მსაზღვრელი, „განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს“;²¹ მაგრამ ლ. კვაჭაძე მიიჩნევს, რომ მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისი „თავის მსაზღვრელიანად დამოუკიდებელ წევრად გველინება და ზმინის პირიანი ფორმისადმი დამატებითს ან გარემოებითს მიმართებას გამოხატავს“; ანუ, მისი აზრით, წინადადებაში „თებერა იყო ლამაზი სოფლური სილამაზით“, უბრალო დამატებაა „სოფლური სილამაზით“, ხოლო წინადადებაში „იოლად კი არა, დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი“, „წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით“ მთლიანადაა ვითარების გარემოება.²²

ჩვენი აზრით, ამგვარ სიტყვათშენაერთში მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისის მსაზღვრელი – ატრიბუტული თუ სუბსტანტიური – უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ წევრად, შესაბამისად – ატრიბუტულ ან სუბსტანტიურ განსაზღვრებად (მოუსვენარი ცხოვრებით... მოკვდავის ცხოვრებით).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ფორმალურად ერთი და იგივე სიტყვათშენაერთი ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთი წევრი – პარონომაზიული შემასმენელი – იყოს (განკურნებით კი განიკურნა, მაგრამ..., გამრავლებით კი გაამრავლა, მაგრამ...), რომელიც მოქმედებით ბრუნვაში მდგარი სიტყვა მართლაც აქტუალიზატორი ჩანს და არა აქვს დამოუკიდებელი წევრის ფუნქცია; სხვა კონტექსტში კი თითოეულ კომპონენტს დამოუკიდებელი წევრის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს – ზმინა-შემასმენელთან დაკავშირებული უბრალო დამატებისა ან ვითარების გარემოებისა („სადემარკაციო ხაზის“ გავლება ამ შემთხვევაშიც გაჭირდება). მაგალითად: სასწაულებრივი განკურნებით განიკურნა (შდრ.: სასწაულებრივი ძალით განიკურნა); ან კიდევ: მიმატებით კი არა, გამრავლებით გაამრავლა ქონება (შდრ.: უსინდისობით გაამრავლა ქონება).

²¹ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 125.

²² იქვე, გვ. 126.

პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ქართულში

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ იმ ტიპის პარონომაზიულ სიტყვათშენაერთს, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისი უკავშირდება შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელად ნაწილს საწყისისავე ძირი აქვს (**დაწერით კი დაწერილი ჰქონდა**“ ტიპისა) და რომელსაც ლ. კვაჭაძე „შედგენილი შემასმენლის გართულებულ სახელ“ თვლის,²³ შეიძლება ვუწოდოთ „პარონომაზიული შედგენილი შემასმენელი“. ვფიქრობთ, ეს უფრო გამართლებული იქნება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით: შდრ., ერთი მხრივ, მარტივი შემასმენელი და შედგენილი შემასმენელი, და, მეორე მხრივ, პარონომაზიული შემასმენელი და პარონომაზიული შედგენილი შემასმენელი.

ბიბლიოგრაფია

References

- R. Chkheidze, Towards the Problem of Paronomasia in Georgian, in: *Paths* (Tbilisi, 1990) (in Georgian).
- A. Davitiani, *Syntax of the Georgian Language* (Tbilisi, 1973) (in Georgian).
- I. Imnaishvili, *Declination of Nouns and Functions of Cases in the Old Georgian* (Tbilisi, 1957) (in Georgian).
- G. Kartozia, Paronomasia in Rustaveli, in *Issues Regarding the Text of 'The Knight in the Panther's Skin'* (Tbilisi, 1975) (in Georgian).
- L. Kvachadze, *Syntax of the Georgian Language* (Tbilisi, 1958) (in Georgian).
- L. Kvantaliani, *Syntax of the Georgian Speech* (Tbilisi, 1990) (in Georgian).
- A. Kiziria, *A Simple sentence in the Kartvelian Languages* (Tbilisi, 1982) (in Georgian).
- J. Peikrishvili, *Syntax of the Georgian Language* (Kutaisi, 1996) (in Georgian).
- A. Shanidze, *Grammar of the Georgian Language, part II, Syntax* (Tbilisi, 1948) (in Georgian).

²³ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 126.

Leila Geguchadze

On the Syntactic Qualification of Paronomasia in Georgian

It is common knowledge that, as a rule, there are two components within paronomastic expressions: the personal form of the verb and the infinitive of the same root in the form of instrumental case, which usually precedes it, but may in certain cases follow it (cf. მხილებით ამხილო ანდ: იგლოვდეს გლოვით.). Paronomastic pairs are usually found in adjacency, but in certain cases they may be split as well (დადგა მზე და მთვარე დადგომით. სიკვდილით მაშინ მოვკვდეთ საუკუნოდ.).

In paronomastic expressions there may be the so-called "synonymic pairs", the roots of which are of synonymous meaning (სიკვდილით აღესრულოს... მოწყვდოს... მოსრვითა). K. Tsereteli, who dedicated a special research to paronomasia in Georgian, termed paronomastic pairs with the same root as "root or morphological paronomasia", whereas the paronomasia formed of synonymous roots was termed by him as "semasiological or semantic".

The infinitive in the instrumental case may be connected to the compound predicate, the nominal part of which is the participle of the same root (მოცემით მიცემულ არიან). It is noted (I. Imnaishvili) that an abstract noun may also occur instead of the infinitive in the instrumental case (სიმდაბლით დაიმდაბლე).

Paronomasia is considered a characteristic feature of Semitic languages (especially Hebrew) (K. Tsereteli). It is often found in Georgian translations, but according to scholars, "Georgian paronomasia does not always depend on other languages... It occurs in the original literary monuments as well... Paronomasia is also common in contemporary Georgian", it also occurs in dialects (I. Imnaishvili). Paronomasia is considered a Georgian phenomenon, since it is also found in Megrelian and Svan languages (R. Chkheidze, J. Peikrishvili).

Opinions differ concerning the syntactic qualification of paronomastic expressions in Georgian. Namely, paronomastic expression is one member and represents a compound predicate of the sentence (K. Tsereteli); Paronomasia is one member, but not a compound predicate, it is a predicate expressed by the joining of set words (L. Kvachadze); the components of paronomasia are independent members: the infinitive in the instrumental case connected to the

predicate verb is a simple object (A. Shanidze), paronomasia is an adverbial modifier (A. Davitian). The word in the instrumental case, together with its attribute, is either a simple object or an adverbial modifier (L. Kvachadze); the component of paronomasia in the instrumental case is just an activator and it does not have the function of an independent member (L. Kvantaliani).

The author of this article argues that in contemporary Georgian the forms of paronomasia are not uniform and their syntactic qualifications should be differentiated. Namely, word combinations in contemporary Georgian like „მორჩენით კი მორჩა. . .“, „მიწერით კი მისწერა, (მაგრამ). . .)“, „აკრძალვით არ აუკრძალავს. . .“ express one concept and should be considered as one member – a paronomastic predicate in which the word in the instrumental case is an activator (which stresses the meaning of the verb), therefore, it cannot be considered an independent member. As for other examples of paronomasia, in which the infinitive in the instrumental case is accompanied by attributive or substantive attribute („ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ორმა კვნესით“, „დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი“, „თებერა იყო ლამაზი სოფლური სილამაზით“.), they require a different approach. In this case the author shares the opinion of L. Kvachadze, arguing that the infinitive in the instrumental case is an independent member. However, according to this opinion, the word in the instrumental case represents an independent member together with its attribute - it is either a simple object or an adverbial modifier of manner (i.e. სოფლური სილამაზით together represents a simple object, whereas წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით (together) is an adverbial modifier of manner).

The author argues that the infinitive in the instrumental case and its attribute (attributive or substantive attribute) should be considered independent members.

The paper also focuses on the importance of context, as the above-mentioned word combination may be a paronomastic predicate in certain cases (განკურნებით კი განიკურნა, მაგრამ..), whereas in other contexts each component may be an independent member of the sentence (სასწაულებრივილი განკურნებით განიკურნა; cf. სასწაულებრივი ძალით განიკურნა).

ნანა გოგოლაშვილი

ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმა

ტერმინი „ჰერმენევტიკა“ (ბერძ. *hermeneuein* – აზრის გამოთქმა, ახსნა, თარგმნა) გულისხმობს: 1. ინტერპრეტაციის ხელოვნებას და 2. ინტერპრეტაციის თეორიას ანუ რეფლექსიას „გაგებისა“ და მისი გამოხატულების ახსნა-განმარტების შესახებ. ჰერმენევტიკის კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს სემიოტიკის ნებისმიერი სფერო, იქნება ეს ისტორია, იურისპრუდენცია, მუსიკა, მხატვრობა თუ სხვა.¹

ჰერმენევტიკა, როგორც თარჯიმნობის, თარგმნის, ახსნა-განმრტებისა და ინტერპრეტაციის ხელოვნება, სათავეს აწიკურ ხანაში იღებს. მის საფუძველზე შექმნილი ინტერპრეტაციის თეორიის განვითარება კი XIX საუკუნეს ანუ იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც თვალსაჩინო ხდება კლასიკური ფილოლოგის წარმატებები ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის საქმეში.

სისტემატიკურ ჰერმენევტიკას, როგორც „გაგების ხელოვნების შესახებ მოძღვრებას“, საფუძველი ფრ. შლაიერმახერმა ჩაუყარა. იგი ენას განიხილავდა იმ მეტალური პროცესების ერთობლიობად, რომელთა დაფარული საზრისიც ხშირად გაუგებარი რჩება კომუნიკაციის მონაწილეთათვის. ტექსტის საზრისი ყოველთვის მახლოებითა და მისი გაგება არასოდეს ერთმნიშვნელოვნად არ ხდება. ენის სისტემა თავისთავად წინასწარ არ იძლევა მისი გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტს და კონტექტს, ამიტომ ინტერპრეტატორმა უნდა მიმართოს დივინაციის ცნებას (გერმ. „*Erraten*“ – გამოცნობა, ამოცნობა), რომელიც გულისხმობს აზრის გამოყოფას აზრისაგან, სიმბოლოს გამოყოფას სიმბოლოსაგან, რაც არ არის იდენტური ასო-ნიშნებსა და სიტყვებს შორის არსებული ინტერვალების მონიშვნისა.² შლაიერმახერის ცნობილი ფრაზა, რომლის თანახმადაც ინტერპრეტატორი უკეთ უნდა ჩასწვდეს ტექსტის საზრისს,

¹ Metzler Literatur Lexikon (Stuttgart, 1990), S. 197.

² ვ. ფურცელაძე, ტექსტი, როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება, ნაწ. I (თბილისი, 1998), გვ. 127-128.

ტექსტის პერმენევტიკული პარადიგმა

ვიდრე თავად ავტორს ესმის იგი, სრულად გამოხატავს დივინაციის მნიშვნელობას ტექსტის პერმენევტიკული ინტერპრეტაციის პროცესში.³

შლაიერმახერის კვალდაკვალ ვ. დილთაიც პერმენევტიკაში ხედავს ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძველს. იგი აყალიბებს „გაგების“ ცნებას, რომელიც პერმენევტიკის უმთავრეს საკვლევ ობიექტს წარმოადგენს. გაგებას იგი უშუალოდ აკავშირებს „მიბაძვის მოდელთან“, რომლის თანახმადაც უცხო სულიერ მდგომარეობებს, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ „გრძნობადი ფაქტების“, ე. ი. მიმიკის, ჟესტების, ხმისა და ქმედებების წყალობით შევიმეცნებთ; ამიტომ „გამგები“ დამოკიდებულია იმ „მიბაძვის“ პროცესზე, რაც მისთვის გარეგნულად, გრძნობადი სახით არის მოცემული. მიბაძვის შემდგომი პროცესი „შინაგანი“ ათვისება. ამრიგად, გარეგნული პროცესების თვითჭრეტის საშუალებით, უცხო სულიერი ცხოვრების გაგება ხდება იმ შინაგანი პროცესების მსგავსების საფუძველზე, რომლებიც ანალოგიური დასკვნის მეშვეობით სხვა პირს გადაეცემა.⁴

XX საუკუნის პერმენევტიკულ აზროვნებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეაქვს მარტინ პაიდეგერს. „გაგება“, რომელიც მანამდე ჰუმანიტარული მეცნიერების მეთოდად მოიაზრებოდა, პაიდეგერთან „ეგზისტენციალის“ ანუ ადამიანის არსის მომცველი ძირითადი კატეგორია ხდება. პაიდეგერის ე. წ. „პერმენევტიკული წრის“ თანახმად, მხოლოდ მთლიანი ტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გაგება, და, მხოლოდ ცალკეული ნაწილების საშუალებით ხდება მთლიანი ტექსტის შემცნება. ამასთან, პაიდეგერის პერმენევტიკული რეფლექსისა არსი ის კი არაა, რომ ასეთი წრის არსებობა დაამტკიცოს, არამედ უფრო მეტად ის, რომ ამ წრეს ონტოლოგიურად პოზიტიური საზრისი გააჩნია.⁵ ეს წრე არც სუბიექტური ბუნებისაა და არც ობიექტურის, იგი აღნიერს „გაგებას“ როგორც ტრადიციისა და ინტერპრეტატორის ურთიერთთამაშს. საზრისის ანტიციპაცია, რომელიც ტექსტის ჩვენეულ გაგებას ხელმძღვანელობს, წარმოადგენს არა სუბიექტურობის ქმედებას, არამედ განისაზღვრება იმ ერთობლიობით, რომელიც ტრადიციასთან

³ H. G. Gadamer, *Wahrheit und Methode* (Tübingen, 1990), S. 195.

⁴ H. U. Lessing, *Philosophische Hermeneutik, Einleitung in: Philosophische Hermeneutik* (Alber, 1999), S. 271.

⁵ H. G. Gadamer, *Wahrheit und Methode* (Tübingen, 1990), S. 271.

ნანა გოგოლაშვილი

გვაკავშირებს. იგი უბრალოდ ვარაუდი კი არ არის, რომლის გავლენასაც მუდმივად განვიცდით, არამედ თავად ვქმნით მას, რამდენადაც გვესმის, რომ ტრადიციის ხდომილებების მონაწილე ვართ და, ამას შემდგომში ჩვენვე განვსაზღვრავთ.

ამრიგად, „გაგების წრე“ ზოგადად კი არ წარმოადგენს „მეთოდურ წრეს“, არამედ იგი გაგების ონტოლოგიური სტრუქტურის მომენტს აღნერს. მაგრამ ამ წრის საზრისს, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ გაგებას, შემდეგში ჰერმენევტიკული შედეგი მოჰყვება; მას გადამერი „სრულყოფის წინსწრებას“ (Vorgriff) უწოდებს, რადგან იგი ხელმძღვანელობს ჩვენს „გაგებას“, შესაბამისად, განსაზღვრული შინაარსი გააჩინა და მუდმივად მართავს მას ტრანსცენდენტური მოლოდინებით, რომლებიც ჭეშმარიტებისადმი მათი მიმართებით წარმოიქმნებიან.⁶

ამიერიდან ფილოსოფიური ჰერმენევტიკა უშუალოდ უკავშირდება მ. ჰაიდეგერის „ეგზისტენციალის“ ცნებას, რომელსაც ჰ. გ. გადამერიც თანმიმდევრულად განიხილავს არა როგორც მეთოდის შესახებ მოძღვრებას, არამედ როგორც ადამიანის სამყაროსეული გამოცდილების მოწვევლ ფილოსოფიას, რომლის საფუძველსაც ენობრივი მსოფლორიენტაცია წარმოადგენს, ხოლო „გაგების“ ცნებას, რომელიც მანამდე ჰუმანიტარული მეცნიერების მეთოდად მოიაზრებოდა, ეს ფილოსოფია უკვე ადამიანის არსის გამომხატველ ძირითად კატეგორიად მიიჩნევს.

ჰანს გეორგ გადამერი თავის ცნობილ წამრომში „ჭეშმარიტება და მეთოდი“ „გაგების“ ცნებას უკანასკნელ წლებში მსოფლიოში გეოპოლიტიკური და სოციალური სიტუაციის გამწვავებას უკავშირებს და მას ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ყველზე პრობლემურ მახასიათებლად მიიჩნევს. „ვაგების“ ენის არარსებობის ფაქტი და სოციალურ-პოლიტიკური კონვენციალურობის რღვევა აფერხებს ადამიანთა შორის ურთიერთობას და უთანხმოებებისა და დაპირისპირებების წინაპირობად იქცევა. როგორც აღმოჩნდა, ენის კლასიკური განმარტება, რომლის თანახმადაც იგი ადამიანთა საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს, ძალას კარგავს და მის ანტითეზაში გადადის, რადგან ენა კონფლიქტებისა და ურთიერთდაპირისპირებების მედიუმი ხდება. ამ პირობებში ჰერმენევტიკა, რომელიც კვლევის ობიექტად „გაგება-გაგებინების“ ენობრივი ფუნქციების შესწავლას ირჩევს, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ჰერმენევტიკის

⁶ H. G. Gadamer, *Wahrheit und Methode*, S. 299.

ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმა

მთავარ მიზანს, „გაგების“ კატეგორიის წინა პლანზე წამოწევით, ჭეშ-მარიტებისა და ახლის შემეცნებისაკენ სწრაფვა შეადგენს. გადამერის აზრით, დიალოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს წარ-მატებულად, როდესაც მისი მონაწილეები ვეღარ ეგუებიან უთანხმოებას, რომელიც დასაბამს დიალოგის დასაწყისში იღებს. სწორედ დიალოგში იჩენს თავს ის წინააღმდეგობა, რომელსაც ჩვენი საკუთარი აზრისად-მი პრმა ერთგულება წარმოქმნის. როგორც გადამერი აღნიშნავს, ენის სისტემის საფუძველს ქმნის სიტყვების მრავალმნიშვნელიანობა; ეს არის მნიშვნელობათა მოქნილი მარაო, რომლის მეშვეობითაც ამოქმედდება ისეთი ენობრივი მოვლენა, როგორიცაა მეტყველება. მისი მნიშვნელო-ვანი მომენტების ფიქსირება თავად მეტყველების მედინ პროცესში ხდე-ბა, რის დროსაც ეს მომენტები მუდმივად ახდენენ ერთმანეთის კორე-ქტირებას და ქმნიან ენობრივ კონტექსტს.⁷

„ენისა“ და „მეტყველების“ ტერმინოლოგიურმა აღრევამ ამ ორი ცნების გამიჯვნა პრობლემური გახადა. ე. ბენვენისტმა ყველაზე თან-მიმდევრულად გაავლო ზღვარი ამ ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შო-რის, როდესაც აღნიშნა, რომ წინადადებით ჩვენ ვტოვებთ ენის სფეროს, როგორც ნიშანთა სისტემას, და გადავდივართ სხვა სამყაროში, რომლის გამოხატულებასაც მეტყველება (le discours) წარმოადგენს. ენის ძირი-თად ერთეულად იგი გამოყოფს ნიშანს (ფონეტიკურს ან ლექსიკურს), ხოლო მეტყველების (დისკურსის) კვლევის ობიექტად მას წინადადება მიაჩნია, რადგან იგი განუსაზღვრელი, შეუზღუდავი ვარირების უნარის მქონე ერთეულია. ეს არის თავად ენის სიცოცხლე ქმედებაში.⁸

ცნობილია, რომ ენის, როგორც კვლევის ობიექტის ამგვარი გამი-ჯვნა იწყება ფ. დე სოსიურიდან, რომელიც განასხვავებს ენას და მე-ტყველებას; მოგვიანებით უკვე ლ. პიელმსლევი გამოყოფს ენის სქემას და ენის გამოყენებას, შემდეგ კი ამას ემატება ნ. ჩომსკის ტერმინო-ლოგიური წყვილი: ენობრივი უნარი (competence) და ენის გამოყენება (performance).

თანამედროვე ჰერმენევტიკის მნიშვნელოვან წარმომადგენელს, პოლ რიკიორს, ტექსტის პარადიგმის კვლევისას შემოაქვს დისკურსის კონცეპ-ტი, რომელიც მისთვის ენის სისტემის საპირისპიროდ, ენობრივ ქმედებას

⁷ Г. Г. Гадамер, *Актуальность прекрасного* (Москва, 1991), стр. 48.

⁸ Е. Бенвенист, *Общая лингвистика* (Москва, 1974), стр. 39.

ნანა გოგოლაშვილი

ანუ ენის რეალიზაციის საშუალებას წარმოადგენს.⁹ იგი ამასთანავე სვამს საკითხს, თუ რამდენად შეიძლება ინტერპრეტაციის ჰერმენევტიკული პარადიგმა საერთოდ იქნეს გამოყენებული ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში. ამ მიზნით პ. რიკიორი ერთმანეთისგან განასხვავებს ზეპირ და წერილობით დისკურსს და მეტყველების ფენომენს აფუძნებს ენობრივი ქმედებისა და დისკურსის ჰერმენევტიკის კვლევის ობიექტად.¹⁰ სწორედ „მეტყველების“ ცნების ამგვარი შეფასების საფუძველზე ცდილობს იგი ჩამოაყალიბოს ენობრივი ქმედებებისა და დისკურსის ჰერმენევტიკის საფუძვლები.

დისკურსისა და ენის განმასხვავებელ ნიშნებად იგი შემდეგს მიიჩნევს:

1. დისკურსის რეალიზაცია ხდება ყოველთვის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ანტყოში, მაშინ, როცა ენის სისტემა ვირტუალურია და დროის მიღმა არსებობს;

2. ენის სისტემას არ ჰყავს სუბიექტი იმ აზრით, რომ მას ვერ დავუსვამთ კითხვას: „ვინ ლაპარაკობს?“ ამ დროს დისკურსში პარტნიორთან მიმართება ისეთი ინდიკატორების საშუალებით მყარდება, როგორიცაა პირის ნაცვალსახელები, რაც „დისკურსის ქმედებას“ რეფლექსურს ხდის;

3. ენის სისტემის ნიშნები იმავე სისტემის შიგნით მხოლოდ სხვა ნიშნებთან არიან დაკავშირებული და მათ დროულობა, სუბიექტურობა და სამყაროსთან მიმართება არ გააჩნიათ, მაშინ, როდესაც დისკურსი ყოველთვის იმ გარკვეულ „სამყაროსეულ სურათს“ წარმოადგენს, რომლის ალწერისა და გამოხატვის პრეტენზიაც მას აქვს. ამრიგად, ენის სიმბოლური ფუნქციის აქტუალიზაცია მხოლოდ დისკურსში ხდება.

4. ენის სისტემა მხოლოდ იმპლიციტური კომუნიკაციის კოდებს მოიცავს, დისკურსში კი საკომუნიკაციო ფუნქცია რეალური შეტყობინებების საშუალებით ხორციელდება. ამ თვალსაზრისით, დისკურსი მიმართება-შია არა მხოლოდ „სამყაროსეულ სურათთან“, არამედ მას საკომუნიკაციოდ პარტნიორიც ჰყავს.¹¹

5. ენის სისტემიდან ენობრივი ქმედების ამგვარი გამიჯვნა პრობლემას ქმნის, როდესაც დისკურსს „გაგების“ ცნებას ვუკავშირებთ, რადგან

⁹ P. Ricoeur, Text als Modell: hermeneutisches Verstehen (1971), in: *Philosophische Hermeneutik* (Alber, 1999), S. 252.

¹⁰ იქვე, გვ. 261.

¹¹ იქვე, გვ. 262.

ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმა

მისი მარკერები სრულიად სხვადასხვაგვარად ვლინდება დისკურსის ზეპირ და წერილობით ვარიანტებში. ზეპირი დისკურსის კონკრეტულ დროში მედინი ხასიათი მის წარმავალობაზე მიუთითებს, რის გამოც ჩნდება მისი ფიქსაციის პრობლემა შემდგომი კვლევის მიზნით.

6. სუბიექტური და პიროვნული ინდიკატორების არსებობა დისკურსში მონაწილესთან მიმართებაზე მიუთითებს, მაგრამ ეს მიმართება ზეპირ დისკურსში სპეციფიკურ ხასიათს ატარებს; მოლაპარაკის სუბიექტური ინტენცია და დისკურსის მნიშვნელობა ერთმანეთში იმდენად გადაიკვეთება, რომ შეგვიძლია გავიგოთ, რას გულისხმობს დისკურსის საზრისი. წერილობითი დისკურსის დროს ვითარება იცვლება, რადგან ავტორის ინტენცია ერთმნიშვნელოვნად აღარ ემთხვევა ტექსტის საზრის. მართალია, წერილობით ფიქსირებულ დისკურსში კავშირი ავტორსა და დისკურსს შორის არ უქმდება, მაგრამ იგი ბუნდოვანი და მრავალმნიშვნელოვანი ხდება. ახლა ტექსტის ინტენცია გაცილებით სცილდება ავტორის ინტენციას და მისი ინტერპრეტაცია იმ მნიშვნელობების გარემოცვაში იწყება, რომელთაც დაკარგეს კავშირი ავტორის ფიქირასთან. ეს ფაქტი იმავდროულად ჩვენი საკუთარი განწყობის გამოვლინებასაც ნიშნავს, რომელიც კონტექსტუალურად ახალ სამყაროს ქმნის და ჩვენეული სამყაროს გაფართოების საშუალებას გვაძლევს.¹²

ზეპირი დისკურსის პარტნიორები საკუთარი მონოლოგისა თუ დიალოგის უშუალო მონაწილეები არიან, მაშინ, როდესაც წერილობითი დისკურსი გაუპიროვნებელ მკითხველზეა მიმართული; იგი გასცდება face-to-face - მიმართების ვიწრო საზღვრებს, რის შემდეგაც, საკუთარი უნივერსალური მიმართებების წყალობით, დისკურსის ადრესატი მისთვის უცნობი ხდება.¹³ ამრიგად, დისკურსის გაისტური მომენტის მანიფესტაცია მის წერილობით ვარიანტში ხდება, რომლის წყალობითაც „სამყაროში არსებობის“ („In-der-Welt-sein“) ახალ განზომილებაში შევდივართ. სწორედ ეს განზომილება ინტერპრეტაციის მეთოდოლოგისა და ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმის დადგენის საფუძველი.

ამრიგად, ჰერმენევტიკული ანალიზის ობიექტს წარმოადგენს საერთოდ დისკურსი, რომლის ზეპირი სახეობა „დიალოგის სტიქიაში გა-

¹² P. Ricoeur, Text als Modell: hermeneutisches Verstehen, გვ. 267.

¹³ იქვე, გვ. 268.

ნანა გოგოლაშვილი

იშლება”,¹⁴ ხოლო წერილობითი დისკურსის – ტექსტის ინტერპრეტაცია ჰქონის მის წესების გამოყენებას გულისხმობს, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული „გაგების“ კატეგორიასთან.

ჰქონის მიაჩინა ს ემანტიკის ჩართვა, რადგან ორივე შემთხვევაში ამოსავალ წერტილს აზროვნების გამოხატვის ენობრივი ფორმა წარმოადგენს. ამ დროს სემანტიკა აღწერს ჩვენთვის მოცემულ სინამდვილეს, თითქოსდა გარედან აკვირდება მას, რის წყალობითაც შესაძლებელი ხდება დისკურსის სემიოტიკური კლასიფიკაცია. სემიოტიკური მეთოდი ჰქონის კატეგორიული კვლევის ანალიზში ენას ჩართავს როგორც ნებისმიერი სემიოტიკური სისტემის ინტერპრეტაცის, ხოლო ჰქონის ტექსტიკური, ტექსტის სტრუქტურაში „გაგების“ კატეგორიის მეშვეობით, სემიოტიკასთან კავშირში, წარმოაჩენს ადამიანის სამყაროსთან მიმართების მთელ მრავალფეროვნებას. ბოლო წლების სემიოტიკური კვლევის დამსახურებად გადამერს ის მიაჩინა, რომ მან სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საშუალებით ენობრივი ნიშნების დამოუკიდებლობის ილუზია გააბათილა.¹⁵

პ. რიკიორი ჰქონის ტიკური ანალიზის პროცესში მიზანშეწონილად მიიჩნევს არა მხოლოდ დისკურსის ლინგვისტიკის, არამედ სამეტყველო აქტების თეორიის ჩართვასაც, რომლის ავტორები: ოსტინი (Austin) და სერლი (Searle) დისკურსში სამ იერარქიულ დონეს გამოყოფენ. ესაა:

1) ლოკურიური ანუ პროპოზიციონალური აქტი; 2. ილოკურიური აქტი, ანუ ის, რასაც მეტყველების პროცესში მოვიმოქმედებთ; 3. პერლოკური აქტი, რასაც მეტყველების საშუალებით მოვიმოქმედებთ.¹⁶

აქედან გამომდინარე, „გაგების“ კატეგორია მოიცავს არა მხოლოდ პროპოზიციულ აქტს, ამ სიტყვის ვინრო მნიშვნელობით, არამედ ილოკურის მომენტსაც და პერლოკური ქმედებასაც, რათა სამეტყველო აქტის სამივე ასპექტის საშუალებით მოხდეს „გაგების“ კოდიფიცირება და მისი ტექსტის პარადიგმის საფუძვლად ჩამოყალიბება.

ტექსტის „გაგების“ პროცესი შუალედური საფეხურია ზედაპირულ და სილრმისეულ ინტერპრეტაციას შორის. ტექსტის სილრმისეული სე-

¹⁴ Ганс-Георг Гадамер, *Актуальность прекрасного*, გვ. 58.

¹⁵ იქვე, გვ. 61.

¹⁶ P. Ricoeur, Text als Modell: hermeneutisches Verstehen, გვ. 264.

ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმა

მანტიკა მის არაოსტენტატიურ (დაფარულ) მიმართებებში ვლინდება, რაც ახალი „შესაძლებელი სამყაროს“ არსებობაზე მიანიშნებს. ეს არის ტექსტის სამყაროს ახლებული ხედის პერსპექტივა, რომელიც მოცე-მულ „შესაძლებელ სამყაროში“ ორიენტირების, მისი ათვისების და მასში ჩვენი ცნობიერების გაფართოების საშუალებას გვაძლევს. წერილობითი დისკურსის გაშიფრისა და მისი შემეცნების ურთიერთკავშირი ტექსტის ჰიონიზონტის გაფართოების ფუძემდებლურ წინაპირობას წარმოადგენს.¹⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რაცი ტექსტის სილრმისეული სტრუქტურების ამგვარი ინტერპრეტაციის პროცესი არ გამორიცხავს მის მიმართებას მკითხველთან, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი, თითქოს ამ უკანასკნელს უწინდება საშუალება, მოახდინოს ტექსტის საზრისის დამახინჯება და მისი დეფორმაცია. მაგრამ ტექსტის ინტერპრეტაციის ჰერმენევტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ გაგებას არაფერი აქვს საერთო უცხო გაისტური შინაარსის ემოციონალურ იდენტიფიკაციასთან. ტექსტის გაგება მთლიანად დაკავშირებულია ექსპლანატორულ (ახსა-განმარტებით) მე-თოდთან, რომელიც წინ უძლვის, შემდეგ კი მუდმივად თან ახლავს ტექსტის ინტერპრეტაციას; აღნიშნული მეთოდი თავისთავად გამორიცხავს სუბიექტური ფაქტორის გადამეტებას, რაც ხელს უწყობს ტექსტის პარა-დიგმატული ხასიათის დამკვიდრებას უკანასკნელ იმპლიკაციამდე.¹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ჰერმენევტიკული ანალიზის წესები ტექსტის ნებისმიერ სახეობაზე ვრცელდება, თუმცა ინტერპრეტაციის პროცესში პრობლემური ხდება ამ სახეობების სინამდვილესთან მიმართების საკითხი, რასაც ჩვეულებისამებრ ტექსტების ფიქციონალურობა/არაფიქ-ციონალურობის ოპოზიციურ წყვილს უკავშირებენ ხოლმე. საქმე ისაა, რომ ამ კატეგორიების მიხედვით შექმნილი თეორია ვერ ითვალისწინებს ტექსტის იმ პარამეტრებს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება გამოვლინდეს მისი იდეალური მარკერები, ანუ შეიქმნას მათი მოდელები. მო-დელების შექმნის მიზანშენონილობა კი იმაში მდგომარეობს, რომ „გა-გების“ კატეგორია წინააღმდეგობის გარეშე იქნეს რეალიზებული ნე-ბისმიერი ტექსტის საზრისში. როდესაც ტექსტის ფიქციონალურობაზე ვლაპარაკობთ, ამ ტექსტის მიღმა მხოლოდ „წარმოსახვითი“ ან „გამო-

¹⁷ P. Ricoeur, *Text als Modell: hermeneutisches Verstehen*, გვ. 290.

¹⁸ იქვე, გვ. 293.

ნანა გოგოლაშვილი

გონილი“ სამყაროს სურათს არ უნდა ვხედავდეთ; მისი ინტერპრეტაციის პროცესში ფიქციონალურობა/არაფიქციონალურობის ოპოზიციის ჩართვა უნაყოფოა იმ თვალსაზრისით, რომ ამ წყვილის საშუალებით ვერ ხერხდება ტექსტის „ნარმოსახვითი“, „გამოგონილი“ სამყაროს რეალური სამყაროდან გამომიჯვნა; ამის მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ თავიდანვე შეუძლებელია „სინამდვილის ცნების“ ყოვლისმომცველი, ობიექტური დეფინიცია.

ტექსტის სახეობის ან მისი სტრუქტურის აღმნიშვნელი ცნებები, როგორიცაა მხატვრულობა/არამხატვრულობა, „ლიტერატურულობა/არალიტერატურულობა, პოეტურობა/არაპოეტურობა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მისი მახასიათებლების გარკვეულ სისტემატიზაციას, მაგრამ ჰერმენევტიკული ანალიზის დროს აშკარა ხდება, რომ წერილობითი დისკურსის სემიოტიკური და სემანტიკური მარკერები ამ ცნებების ზღვარს გასცდება, და, ამდენად „სინამდვილისა“ და „მხატვრული ენის“ გამიჯვნის ტაქტიკა თავის აზრს კარგავს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტი, რომ ხშირად წერილობითი დისკურსი, რომელსაც პოეტურობისა და მხატვრულობის პრეტენზია არ გააჩნია, ფაქტობრივად მხატვრული ტექსტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს, მაშინ, როდესაც უამრავი მხატვრული ნანარმოები (განსაკუთრებით ბევრი ე. წ. „მაღალი ლიტერატურის“ ნიმუში) ხშირად შეიცავს საზრისს, რომლის გაგება და ინტერპრეტაცია ჰერმენევტიკული ანალიზის დონეზე ყოველგვარი სპონტანური აზროვნებისაგან გათავისუფლებას გულისხმობს და გულისყურს თავად საგნებზე მიმართავს; ამ დროს მათი ახსნა-განმარტების ჭეშმარიტება ტექსტის ინტერპრეტაციონის „პირველად, მუდმივ და უკანასკნელ ამოცანას შეადგენს“.¹⁹

მხატვრული, და, იმავდროულად, მაღალი კატეგორიალური აზროვნებით გამოირჩევა, მაგ., თომას მანის რომანი „ჯადოსნური მთა“, რომლის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციაც ესთეტიკური კატეგორიების მიღმა, მწერლის სამყაროს, სხვადასხვა მეცნიერების, ფილოსოფიის, მუსიკის, და უამრავი ენობრივი ფენომენის კვლევასთან ერთად, ამ ენციკლოპედიური ნაშრომის მთლიანი საზრისის დივინაციურ სიძნელეებსაც გულისხმობს. მსგავსი „რთული“ ტექსტების ინტეპრეტაციის საშუალებით იკვეთება წერილობითი დისკურსის ანალიზისადმი ახლებური მიდგომა, რადგან იგი

¹⁹ H. G. Gadamer, *Wahrheit und Methode*, გვ. 271.

ტექსტის პერმენევტიკული პარადიგმა

ორიენტაციას ტექსტის კომპლექსური „გაგების“ კატეგორიაზე იღებს; ამ კატეგორიის მნიშვნელობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ტექსტის თარგმნის პროცესში, როდესაც მთარგმნელი-ინტერპრეტატორი თავდაპირველად ეცნობა მთლიან ტექსტს, შემდეგ კი მის ცალკეულ ნაწილებს აანალიზებს, რათა მთლიანობაში აღიქვას ისინი. გადამერი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დედნის წინადადების თარგმანის ენაზე გადმოტანა შეუძლებელია მისი წევრების უბრალო შეცვლით სხვა ენის წინადადების შესაბამისი წევრებით. სიტყვას მნიშვნელობა აქვს ენის სისტემაში, მაგრამ სავარაუდო მნიშვნელობებს იგი კონტექსტში შეიცავს; ამიტომ სიტყვა არასოდეს არ უნდა გამოვაცალკევოთ იმ კონოტაციური მნიშვნელობებისგან, რომელიც მას მოცემულ ტექსტში იმპლიციტურად გააჩნია. მთელ ამ ენობრივ ქმედებას წარმართავს ტექსტის საზრისის „მოლოდინი“, რომელშიც გაგების პროცესი მუდმივად გადადის მთელიდან წაწილზე და წაწილიდან მთელზე, თუმცა ამ „მოლოდინში“ დროდადრო შესწორებების შეტანა გვიხდება ხოლმე.

როგორც აღვნიშნეთ, წერილობითი დისკურსის თარგმნის პროცესში ყველაზე უკეთ წარმოჩინდება ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის კომპლექსური ხასიათი. თარგმანის შემსწავლელი მეცნიერება, რომელსაც ჩვენ „ტრანსლატივას“ ვუწოდებთ, მეცნიერების შედარებით ახალი სფეროა და კვლევის ახალი ორიენტირების ძიების პროცესში იმყოფება, რის გამოც მეცნიერული აბსტრაქციისა და დევინაციის პროცესები ამ სფეროში თავისებურად გამოვლინდება. ტრანსლატიკური თეორიის განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს მისი კავშირი ისეთ მომიჯნავე დისციპლინებთან, როგორიცაა: სემიოტიკა, სემანტიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია, ტექსტის ლინგვისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია, სოციოლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა.

ტექსტის ჰერმენევტიკულ პარადიგმად, შესაძლოა, მხატვრული ტექსტი წარმოვიდგინოთ, რადგან მასში ხდება ნებისმიერი ეპოქის „სამყარო-სურათისა“ და „ენობრივი მოდელების“ ექსპლიკაცია. მხატვრული ტექსტი ასევე აღბეჭდილია ისტორიული და მემკვიდრეობითი მეხსიერების ნიშნით და იმ მოვლენების ანარეკლია, რომელსაც მასში ეპოქა წარმოაჩენს. ისტორიული კატეგორია ტექსტებს დიაქრონიულად გამომიჯნავს, სისტემური კატეგორია კი – მათი სინქრონიული ურთიერთმიმართებების ინტერპრეტაციას ემსახურება. ამიტომ მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზის მიზანი მასში ფიქციონალურობა/არაფიქციონალურობის ხარისხის დადგენა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი ინ-

ნანა გოგოლაშვილი

ტერპრეტაცია სხვა ტექსტების „სამყაროსეულ სურათთან“ და ენობრივ სტრუქტურებთან შედარების გზით უნდა ხდებოდეს.

ენისა და აზროვნების კატეგორიალური სისტემებისა და მათი „სა-მყაროსეულ სურათთან“ მიმართების საფუძველზე, ტექსტის ჰერმენევ-ტიკული პარადიგმა უდავოდ მოიცავს ამა თუ იმ ეპოქის განსხვავებულ სემიოტიკურ კოდებს, რომლებიც ყოველ ეპოქაში ახალ ნარაციულ მო-დელს ქმნიან.

გამოცდილი მკითხველი/ინტერპრეტატორი ავტორის ვინაობითა და წიგნის სათაურით ხვდება, რომ ტექსტის „სამყაროსეული სურათი“ საკუ-თარს იმ სახით არ უნდა დაუკავშიროს, როგორც ამას ზეპირი დისკურსი მოითხოვს. არგუმენტი, რომლის თანახმადაც ტექსტის გაგების დროს მისი ცალკეული ნაწილების ინტერპრეტაცია, შემდეგ კი მათი მთლი-ან საზრისთან დაკავშირება ხდება, გულისხმობს, რომ ამჯერად საქმე ყოველდღიური რეალობის ენას არ ეხება და დაშორებულია ზეპირ დის-კურსს. მაგრამ ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის დროს კომუნიკაციის ეს ორი მოდელი ერთმანეთს კი არ უნდა დავუპირისპიროთ, არამედ უნდა გავიაზროთ როგორც ერთი არსის ორი მოვლენა. რაკი ფიქციონალურო-ბა/არაფიქციონალურობის დიქონტომია ვერ ხსნის მხატვრული ტექსტის „სამყაროსეული სურათის“ სემიოტიკურ-სემანტიკურ კანონზომიერებას, ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში ისეთი ცნების შემოტანამ, რო-გორიცაა „ტექსტის სამყაროსთან მიმართების ველი“, შესაძლოა, გან-საზღვროს ინტერპრეტატორის დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქისა და სახეობის მხატვრული ტექსტის „სამყაროსეული სურათისადმი“ და „გაგების“ ჰერმენევტიკული კატეგორია ენის სხვადასხვაგვარი სემიოტი-კური სისტემების საშუალებით გამოავლინოს.

თუ XVIII-XIX საუკუნის „კლასიკურ“ ტექსტების „სამყაროსეულ სუ-რათს“ XX საუკუნის მხატვრულ ტექსტებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ისინი სრულიად განსხვავებულ მსოფლგაგებას გამოხატავენ, რაც, შესაბამისად, ტრადიციული სემიოტიკური კოდების საფუძვლიან ცვლი-ლებას იწვევს. ამგვარმა ცვლილებებმა ათქმევინა ფრ. ნიცშეს, ენა „დაა-ვადებულია“ და „უკვე იმდენად „ძალაგამოცლილია“, რომ აღარ ძალუძს მძაფრი გრძნობების გამოწვევაო.²⁰

²⁰ F. Nietzsche, Vierte Unzeitgemäße Betrachtung (1876), in: *Werke hrsg. von Schlechta*, Bd. 1 (Frankfurt a. M., Berlin, Wien, 1969), S. 387.

ტექსტის პერმენევტიკული პარადიგმა

XX საუკუნის ლიტერატურაში შემოსული „გაუცხოების“ ცნების გავლენით იცვლება ის კულტურული კოდები, რომლებიც ახასიათებდათ ტრადიციულ მხატვრულ ტექსტებს. შესაბამისად, იცვლება ამ ტექსტების სემიოტიკური კოდიც, რის გამოც მათი ინტერპრეტაცია, ტექსტის პერმენევტიკული პარადიგმის საფუძველზე, „გაუცხოებისა“ და „შოკშიჩავდების“ ფენომენის გათვალისწინებასაც მოითხოვს.

ამრიგად, სხვადასხვა ეპოქის მხატვრული ტექსტების გაგება და თარგმნა განსხვავებული სემიოტიკური კოდების გამოყენებით ხდება.

XVIII საუკუნის ავტორის, ნოვალისის რომანში „ჰაინრიჰ ფონ ოფტერ-დინგენი“ (ჩემი თარგმანი), რომელიც პოეტური ენციკლოპედიაა, რომანტიკული უნივერსალური სემიოტიკური სისტემა გამოხატულია თხრობის, დიალოგების, განცდების, სიზმრისეული სურათების, ზღაპრებისა და მითების ენით, რის გადატანაც ქართულად შესაბამისი სემიოტიკური და სემანტიკური სტრუქტურების საშუალებით ხდება. XX საუკუნის ავტორის გოუნტერ გრასის რომანის „დედალი ვირთაგვას“ (ჩემი თარგმანი) ინტერპრეტაციისა და თარგმნის პროცესი, მხატვრული ტექსტის ახლებურ ფუნქციაზე, დედნის „სამყაროსეული სურათის“ შექმნითა და ახალი ენობრივი საშუალებებით რეაგირებას მოითხოვს. აღნიშნული ტექსტის „სამყაროსეული მოდელირება“, პოსტმოდერნისტული სემიოტიკის გავლენით, სრულიად სხვა ასპექტში წარმოჩინდება და იმ დიდ სემიოტიკურ მეტაფორას წარმოადგენს, რომლის გაშიფვრის შედეგადაც ინტერპრეტატორი-მთარგმნელი მხატვრული ტექსტის პერმენევტიკული პარადიგმის სახეშეცვლილ ვარიანტს მიიღებს.

მხატვრული ტექსტის პერმენევტიკული პარადიგმა სამყაროს ის მოდელია, რომლის სრულყოფილი რეალიზაციის წინაპირობასაც ინტერპრეტატორის თეზაურუსი და წინარე ცოდნაა. თუ ეს ცოდნა არასრულყოფილია, ტექსტის გაგება ვერ ხერხდება, რადგან გაგების პერმენევტიკული წრიდან ამოვარდნილია ის იმპლიციტური საზრისისეული სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც მყარდება კოპეზიური მიმართებები ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის; ამასთან ინგრევა არა მხოლოდ მხატვრული ტექსტის კოპერენციული სისტემა, არამედ მის საზრისთან დაკავშირებული „მოლოდინებიც“.

ნანა გოგოლაშვილი

ბიბლიოგრაფია

References

- E. Benvenist, *General Linguistics* (Moscow, 1974) (in Russian).
- H. G. Gadamer, *Wahrheit und Methode* (Tübingen, 1990).
- H. G. Gadamer, *Actuality of the Beautiful* (Moscow, 1991).
- H. U. Lessing, Philosophische Hermeneutik, Einleitung; in: *Philosophische Hermeneutik* (Alber, 1999).
- Metzler Literatur Lexikon* (Stuttgart, 1990).
- F. Nietzsche, Vierte Unzeitgemäße Betrachtung (1876), in: *Werke hrsg. von Schlechta* (Frankfurt a. M. / Berlin/Wien, 1969), Bd 1.
- P. Ricoeur, Text als Modell: hermeneutisches Verstehen (1971), in: *Philosophische Hermeneutik* (Alber, 1999).
- V. Purzeladse, *Text als schriftliche Manifestation der Sprachlichen Tätigkeit, B. I* (Tbilissi, 1998) (in Georgian).

Nana Gogolashvili

The Hermeneutic Paradigm of a Text

The term “hermeneutic” denotes: 1) the art of interpretation and 2) the theory of interpretation or reflection on “understanding” as well as the explanation of understanding.

Hermeneutics starts in the ancient period of civilization. However, the theory of interpretation based upon it is connected to the achievements of 19th century classical philology.

Systematic hermeneutics seen as the “doctrine about the art of understanding” was founded by Shleiermacher. He saw the language as the unity of mental processes the essence of which is seldom understood. In such cases an interpreter should turn to the concept of ‘divination’.

Dilthey introduces the concept of ‘understanding’ as the main object of the study of hermeneutics. He connects this concept with the ‘model of imitation’. According to this model “understanding” depends on ‘sensitive factors’ which are given to us by means of mimics, gestures, voice and actions.

In 20th century hermeneutics Heideger introduced the concept of “understanding”.

This, in his theory, acquires the status of the main category enveloping the essence of life. Heideger makes an attempt to prove that by means of a so-called “hermeneutical circle” it is possible to perceive the text as well as its parts. In addition, this circle possesses ontologically positive essence.

Gadamer connects the concept of “understanding” with the deterioration of the geopolitical and social situation in the world and the reason for this, according to him, is the non-existence of a dialogue among people.

In order to distinguish between “language” and “speech”, Rioker introduces the concept of discourse which is classed as a means of realisation of a language in contrast with a language system.

Rioker makes a distinction between a language system and discourse identifying the following distinguishing features: 1. Discourse is realised in time, whereas the system of a language exists beyond it. 2. The system does not possess a subject, whereas in the case of discourse the relationships with the partners-participants are based on such indicators as personal pronouns. 3. Language signs are connected to each other only within the system and do not express any attitudes towards the world. However, discourse presents a definite “picture of the world” which is arguably depicted and expressed by it. 4. The language system embraces only implicit, communicative codes, whereas in the case of discourse the communicative function is realised by real messages. There are two types of discourse - oral and written. In the case of the former the subjective intention of the speaker and the meaning of discourse overlap each other. Thus, the essence of discourse becomes understandable. In the case of the written discourse the intention of the author moves far away from the essence of the text. At this time, on the basis of our disposition, a new contextual world is created which enlarges and broadens our own world.

In the process of hermeneutical analysis Gadamer considers it important to include semantics which enables him to establish a semiotic classification of discourse. Rioker makes an attempt to include the theory of speech acts into this process to encode “understanding” and use it as a foundation of its paradigm. Creation of models of the text becomes problematic if based on the opposition of fictionality/non-fictionality. It is impossible to separate the ‘fictional’ and the real worlds before establishing an objective and complete

ნანა გოგოლაშვილი

definition of the concept of “reality”, a good example of which is the written discourse which does not belong to literary genre but in reality possesses the characteristics of a literary text.

The category of “understanding” acquires special importance in the process of translation of a text when it is impossible to merely replace parts of sentences of a source language by those of a target language. This process is directed by the “expectation” of an essence of the text which passes from the whole to its parts and vice versa.

The complex nature of hermeneutical interpretation is especially well-presented in the sphere of translation. Arguably, the literary text can be looked at as the hermeneutical paradigm in which the process of explication of any “world picture” and “language models” takes place. Thus, hermeneutic interpretation of the text should be based on the comparison of “the world pictures” and language structures and not on the attempt at measuring the degree of fictionality /non- fictionality. Introduction of the term “the field describing the attitude of the text towards the world” can define arguably the attitude of the interpreter towards the “picture of the world” and reveal the hermeneutic category of “understanding” by means of various semiotic systems of the language.

As known, the concept of “alienation” introduced to 20th century literature replaces all the cultural norms typical of traditional literary texts. The modeling of contemporary texts according to the “world picture” by the influence of post-modern semiotics is revealed in a completely different aspect, as the interpreter - translator realises the modified variant of the hermeneutical paradigm of the text. The thesaurus and background knowledge of the interpreter plays a definitive role. If the interpreter is inexperienced, both the coherent system of a literary text and the “expectations” connected with the essence of the text are ruined.

კავეასიოლოგია

ცირა ბარამიძე
ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები
(ისტორია და თანამედროვეობა)

კავკასია, ტრადიციულად, დიდი მეზობელი ქვეყნების ინტერესებისა და ბრძოლის ასპარეზი იყო. ამ ბრძოლის პროცესში კავკასიის ხელში ჩაგდებისათვის ხშირად ხდებოდა კავკასიელი ხალხებისა და მისი მთლიანობის დანაწევრება, უცხო ეთნოსთა შემოსვლა და დამკვიდრება, ადგილობრივთა გადაადგილება და ხშირად გაქრობაც კი. კავკასია პალეოკავკასიური, ინდოევროპული, თურქული და სემიტური ხალხების ხანგრძლივი ენობრივი ურთიერთობით ხასიათდება. იბერიულ-კავკასიური ხალხები აქ ოდითგანვე ცხოვრობენ, დანარჩენები კი ისტორიული წარსულის სხვადასხვა პერიოდში მოვიდნენ კავკასიაში.

სტატიაში განვიხილავთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დალესტნურ ენათა ქვეჯგუფში შემავალ ლეზგიურ ენებს, ამ ენათა ფუნქციონირების ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებს.

მიგრაციები და ენობრივი კონტაქტები არაერთგვაროვანი იყო სხვადასხვა ეპოქაში. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში ახალი, ტრანსნაციონალური და ტრანსკულტურული ურთიერთობები გაჩინდა, რომელთა საფუძვლები და რეალიზაცია მკვეთრად განსხვავდება ადრე ცნობილისაგან. ამიტომ უცხო ეთნოსთა კავკასიაში გაჩინის მომენტები შეიძლება ორ ეტაპად დავაჯგუფოთ:

- 1) **ადრინდელი საფეხური (V-XVIII ს-მდე).**
 - ა) დაპყრობითი ომების დროს ჩამოსახლებული ჯგუფები, რომლებიც დამპყრობლებს შემოჰყვნენ;
 - ბ) მომთაბარეები, რომლებიც მომთაბარე ცხოვრების სპეციფიკამ შემოიყვანა;
 - გ) ლტოლვილები, რომლებიც საკუთარი ქვეყნიდან გამოექცნენ ეკოლოგიურ, ეკონომიკურსა თუ სამხედრო-პოლიტიკურ კატასტროფას;
 - დ) მოსახლეობა, რომელიც გამიზნული ეთნიკური ექსპანსიის მიზნით საგანგებოდ იქნა ჩამოსახლებული დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ;
- 2) **გვიანდელი საფეხური (XIX-XX სს.)** – უცხო ეთნოსთა შემოსვლა და

ცირა ბარამიძე

განსახლება ორგანიზებულ, მართულ ხასიათს იძენს:

ა) მართული ხდება „მოსულთა“ განსახლების საკითხი; „მოსულთა“ და „მკვიდრთა“ ისეთი დემოგრაფიული პროპორციების შექმნა, რომ მუდ-მივად იყოს საჭირო ამ კოლექტივებს შორის ურთიერთობათა დარეგუ-ლირებაში „მესამის“ ჩარევა;

ბ) „მოსულთა“ ინტერესების მეურვეობას კისრულობს „მესამე“ (რუ-სეთი), რომელიც დეკლარაციულად „სუსტის“ (უმცირესობის) მხარეზეა;

გ) „მოსულთა“ და „მკვიდრთა“ ურთიერთობებში სულ უფრო მნიშ-ვნელოვანი ხდება (და სამართლებრივ ძალასაც იძენს) სოციალური და კულტურული ფაქტორები;

დ) „მოსულთა“ და „მკვიდრთა“ ურთიერთობის ენა ხდება არა მკვიდ-რის ენა, არამედ „მესამისა“.¹

ეთნოსთა საცხოვრისის ცვლის საქმეში მეფის რუსეთის ხელისუ-ფლება წარმატებით იყენებდა სამხედრო, ეკონომიკურ და რელიგიურ ფაქტორებს.

„სამხედრო“ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები, რომელთა მსვლელობისას და რომელთა შედ-ეგადაც დაღესტნის სასაზღვრო ზოლი იცვლებოდა და მოსახლეობაც გადაადგილდებოდა კონტროლის გარეშე, მით უფრო, რომ დაღესტანს სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდა და რაიმე ორგანიზაციული ადმინის-ტრაციული სისტემაც არ გააჩნდა რუსეთის წინააღმდეგ.

აბორიგენი ეთნოსის დასუსტებას ყველა დროს „ემსახურებოდა“ აგრესორი, მაგრამ ყველაზე გეგმიურად, ხანგრძლივად და წარმატე-ბულად ამას ახორციელებდა რუსეთი, რომელმაც უკვე XX საუკუნეში კომუნისტური იდეოლოგიის ანტინაციონალური ბუნება მარჯვედ გამ-ოიყენა კავკასიაში დაბყრობილ სახელმწიფოთა ეთნიკური აღრევისა და „გათიშვის გზით ბატონობისათვის“.

ენობრივი პოლიტიკა XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ლეზგი-ურ ენებში, ისევე, როგორც მთლიანად დაღესტნურ ენებში, იყო და არის ცალმხრივი, რუსიფიკატორული. ასიმილაციური პროცესების წინააღმ-დეგ ეს ეთნოსები თავიანთი ენობრივი უფლებების დასაცავად არანაირ ორგანიზებულ ლონისძიებებს არ თუ ვერ მიმართავენ. ლეზგიურ ენათა

¹ გ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნ-ქციონირების საკითხები (თბილისი, 2005), გვ. 65-67.

ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები

ფუნქციონირების საკითხები განისაზღვრება რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიაში გატარებული ენობრივი პოლიტიკით. ეს პოლიტიკა კი ექსპანსიონისტურია. მას დიდი ისტორია აქვს, მოყოლებული XVI საუკუნიდან დღემდე. დამპყრობელის მიერ წარმოებულმა ჩრდილო კავკასიის პერმანენტული სამხედრო კოლონიზაციის პროცესმა, ოკუპაციამ და გენოციდმა მძიმე შედეგები მოიტანა. დაიღუპა მოსახლეობის 4/5, მაგალითად, ყაბარდოში ასწლიანი წინააღმდეგობის გაწევით. სამხედრო ოპერაციებთან ერთად ხორციელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, მათ მიწებზე კაზაკების ან სხვა ხალხების დასახლება. რუსეთი ისტორიის მანძილზე არ უშვებდა ანტირუსული ძალების გაერთიანებას. საბჭოთა მკვლევრები კი ჩრდილოეთ კავკასიის ახალ და უახლეს ისტორიას „წარმატებით“ აყალბებდნენ. ისტორიკოსებს ამით თავიანთი „წელილი“ შეჰქმნდათ ბოლშევიკური წეოკოლონიზატორული აზროვნების განმტკიცების საქმეში, რადგან ისინი აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის შემოსვლა აუცილებელი იყო, რათა რუსეთს ცივილიზაცია შემოეტანა „ველურ ხალხებში“.

ლეზგიური ენები დღეს კომპაქტურად დაღესტანსა და აზერბაიჯანშია გავრცელებული, მცირე ნაწილებად გვხვდება საქართველოში, რუსეთის სხვადასხვა მხარეში, თურქენეთში, სომხეთში, უკრაინაში. ამ ენებზე საუბრობს 500 000 ადამიანი.² ლეზგიურ ენებს მიეკუთვნება: ლეზგიური, თაბასარანული, ალულური, რუთულური, წახური, ბუდუხური, კრინული, არჩიბული, უდიური და ხინალულური.³

ლეზგიურ ენებს ახასიათებს ძალზე რთული სოციალური ხასიათის მოვლენა – ბილინგვიზმი – უძველესი დროიდან. აქ გვხვდება ბილინგვიზმის ყველა სახე: **კოორდინაციული** (ორი ენის თანაბარი ფლობა, მაგალითად, თაბასარანულისა და აზერბაიჯანულისა, თაბასარანულისა და ლეზგიურისა...), **სუბორდინაციული** (უცხო, არამშობლიური ენა დაქვემდებარებულია მშობლიურ ენაზე), **რეცეპციული** (ადამიანი იგებს, მაგრამ საუბრობს ცუდად ან საერთოდ არ საუბრობს)... უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ისეთი ორენოვნება, როცა მშობლიური ენა

² Ю. Б. Коряков, *Атлас кавказских языков* (Москва, 2006), стр. 36-39; *Лингвистический энциклопедический словарь* (Москва, 1990), стр. 256.

³ არნ. ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია* (თბილისი, 2008); <http://etheo.h10.ru/Lezg10.htm>.

ცირა ბარამიძე

მათთვის ძირითადია, მეორე კი სხვა ენაა. ერთ მცირე ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნოსების გვერდიგვერდ და ერთად ცხოვრების აგრეთვე, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების შედეგად ჩამოყალიბდა კონტაქტური შერეული ორენოვნება.

ლეზგიურ ენაზე მოსაუბრე ძირძველი ეთნოსებისათვის დამახასიათებელია ასევე მრავალენოვნება (პოლილინგვიზმი), ძირითადად სამენოვნება. ჰინუხები (სულ 400 ადამიანი) საუბრობენ ოთხ ენაზე: ხუნძურად, დიდოურად, ბეჟიტურად, რუსულად. ლეზგიური ეთნოსები, ისევე, როგორც ჩრდილო კავკასიის ყველა ეთნოსი, საუბრობს არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე, არამედ რუსულ ენაზე, რომელიც დღეს მათთვის ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენადაა ქცეული.

1994 წლის აღწერის შედეგად ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის 85,1% თავისი ეროვნების ენად თვლის მშობლიურ ენას. რეგიონის რესპუბლიკების მოსახლეობის 32% (მათ შორის 29,7% რუსია) თვლის, რომ რუსული მშობლიურია. 4,35% არარუსი ეთნოსის წარმომადგენელი თვლის, რომ მისთვის რუსულია მშობლიური, ხოლო მეორე ენად, ანუ ურთიერთობის ენად რუსულს თვლის მოსახლეობის 80,6%.⁴

პოლიეთნიკური დალესტნის მოსახლეობა XIV-XIX საუკუნეებში წერდა და საუბრობდა არაბულად, სპარსულად, ასევე თურქულ ენებზე.

რუსული ენის გავლენა ლეზგიურ ენებზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსული ენის სამართლებრივი მდგომარეობა შეიცვალა. მან მნიშვნელოვანებით დაკარგა ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია და გახდა შედარებით დაბალი სტატუსის მქონე, უფრო ზუსტად, ნაციონალური უმცირესობის ენად იქცა,⁵ – აღნიშნავს ე. აბდულია. იგი ამბობს, რომ „სამწუხაროდ, დღეს გამოჩენენ ისეთი „მოაზროვნები“, რომელთაც სურთ დაიცვან ნაციონალური ენები რუსული ენის კეთილშობილური გავლენისაგან, სურთ კირილიცა შეცვალონ ლათინური ანბანით, რაც წარმოადგენს ნაციონალური კულტურის შემაფერხებელ ფაქტორს“.⁶

⁴ Е. А. Абдулова, Еще раз о двуязычии на Северном Кавказе, *Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность* (Карачаевск, 2007), стр. 34.

⁵ იქცე, გვ. 34.

⁶ იქცე, გვ. 36.

ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები

როგორც ვხედავთ, პროგნოზი იმგვარია, რომ მოსალოდნელია განათლების ფედერალური სისტემის ცენტრალიზებული როლის შესუსტება და, იმავდროულად, რეგიონალური საგანმანათლებლო სისტემის უფლებამოსილების გაზრდა. ამგვარ ცვლილებებს განაპირობებს რფ-ის სამართლებრივ-ნორმატიული ცვლილებები. რფ-ის საგანმანათლებლო ნაციონალური დოქტრინა კი თავის ძირითად ამოცანად სახავს, რომ შენარჩუნდეს და განვითარდეს ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე. ბუნებრივია, ამგვარ პირობებში რეგიონალური საგანმანათლებლო სისტემები არ უნდა მოვიდნენ მკეთრ წინააღმდეგობაში ფედერალურ დოქტრინასთან.

გლობალიზაციისა და პოლიტიკური ინტეგრაციის თანამედროვე პირობებში მიმდინარე პროცესები შლის ენობრივ და კულტურულ საზღვრებს და მცირერიცხოვან ეთნოსთა ენებს განსაცდელის წინაშე აყენებს. ასეთ დროს ენობრივი პოლიტიკა ის ფაქტორია, რომელიც აყალიბებს და ცვლის ენობრივ სიტუაციას როგორც ცალკეულ რეგიონში, ასევე ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში. მინორიტარული ენების ფუნქციონირების საკითხში ლინგვისტები აქტიურად უნდა ჩავერთოთ და მოვახერხოთ მათი გადარჩენა. რიგ შემთხვევაში ლინგვისტთა კვლევა იმით შემოიფარგლება, რომ კაცობრიობის ლინგვისტურ მუზეუმს კიდევ ერთი მკვდარი ენის ისტორია შესძინონ. **რა არის მთავარი?** მთავარია თავად ეთნოსი თვლიდეს თავის ენას პრიორიტეტულად, და არა იმ ენას, რომელიც სახელმწიფო სატიტულო ენადაა აღიარებული. **მაგრამ ეს არ არის საკმარისი.** საჭიროა მოიხსნას სამართლებრივი უთანასწორობა სახელმწიფო ენის მატარებელთა და იმ ენის მატარებელთა შორის, რომელთაც არა აქვთ ოფიციალური სტატუსი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადარჩეს კავკასია, როგორც „ენათა მთა“ და არ იქცეს უახლოეს მომავალში ენათა საგოდებლად.

XX საუკუნეში საბჭოთა სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა საწყის ეტაპზე ყველა ენის თანასწორობას აღიარებდა და ენობრივი ინდუსტრიით ყველამ მიიღო შესაძლებლობა დამწერლობის შექმნისა. 30-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში განათლება მასობრივი გახდა. მოგვიანებით კი ინტერნაციონალიზაციით (რომელიც უფრო რუსიფიკაციად შეიძლება იწოდებოდეს) და მცდარი თეზისით ორი მშობლიური ენის შესახებ („რუსულიც მშობლიურია“) ნაციონალური სკოლები რუსულ სწავლებაზე გადავიდა. 80-იანი წლების დასაწყისში კი მშობლიურ ენაზე სწავლება შეწყდა. მშობლიური ენა დაღესტანში ისწავლებოდა როგორც დამატებითი

ცირა ბარამიძე

საგანი. 90-იან წლებში კი „პერესტროიკასთან“ ერთად ახალმა ენობრივმა პოლიტიკამ მოიკრიბა ძალა. 1991 წლის 25 ოქტომბრის კანონით რფ-ში განისაზღვრა ენობრივი უფლებები, განისაზღვრა ენათა ფუნქციონირების რეგლამენტი. კანონმა გაამყარა რუსული ენა, როგორც სახელმწიფოს ძირითადი ენა, დანარჩენი ენების სტატუსი კი რესპუბლიკებს მიანდო. რესპუბლიკებში კი ყველა სატიტულო ენა გახდა სახელმწიფო სტატუსის მქონე, მაგრამ ამ სტატუსმა მათი ფუნქციონირების არეალი ვერ გააფართოვა. აღიარო სახელმწიფო ენად, მაგალითად, ლეზგიური, არაა ძნელი, გაცილებით ძნელია, გაუთანაბრო იგი რუსულ ენას უფლებებით.

როგორია ლეზგიური ენის **იურიდიული სტატუსი?** იგი რფ-ის დაღესტნის რესპუბლიკის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა. დაღესტნის რესპუბლიკის კონსტიტუციით (1994 წ.) განისაზღვრება ენათა სტატუსი ამგვარად: „Государственными языками республики Дагестан является русский язык и языки народов Дагестана“ (მე-10 მუხლი). 31-ე მუხლში კი წერია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს ურთიერთობის, აღზრდის, სწავლებისა და ხელოვნების ენა. 1998 წელს დაღესტანში ჯერ კიდევ არ იყო მიღებული კანონი ენის შესახებ (საქართველოს დღემდე არ მიუღია). იგი არსებობდა კანონპროექტის სახით. მასში ჩადებულია დაღესტნის ენათა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, ახალი დამწერლობის მქონე ენებისთვისაც კი, ყველა ენას უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მხარდაჭერა. დაღესტნის ყველა სამწერლობო თუ ახალი დამწერლობის მქონე ენა იწოდება სახელმწიფო ენად.

როგორია რეალურად ლეზგიურ ენებში ყველაზე პრიორიტეტული – **ლეზგიური ენის ფუნქციონირების რეალური სურათი?**

ლეზგიურ ენაზე იქმნება მხატვრული ლიტერატურა. თარგმანი ძირითადად რუსულად ან რუსულიდან სრულდება. რელიგიურ პრაქტიკაში და იდეოლოგიურ ნაწარმოებებში, საღვთო მსახურებაში, რიტუალებში ლეზგიური ენა ფაქტობრივად არ გამოიყენება. წმინდა წიგნები ითარგმნება შეზღუდულად. ტელევიზით სასულიერო პირები მხოლოდ დღესასწაულებზე გამოდიან.

ლეზგიური ლიტერატურა: 1991-1994 წლებში გამოვიდა 18 წიგნი საბავშვო ლიტერატურის თემატიკით. დაწყებითი კლასებისთვის გამოდის ლიტერატურა შეზღუდულად. სხვა სახის პოპულარული პროზა არ გამოდის. საუნივერსიტეტო სამეცნიერო ლიტერატურა არ გამოდის, გამოდის მხოლოდ ის, რაც შეიძლება თავად ლეზგიურს ეხებოდეს და ისიც

ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები

– იშვიათად. პერიოდული გამოცემები რესპუბლიკაში მოქმედი 26 ენიდან (რუსულის ჩათვლით) 9 ენაზე გამოდის, ხოლო გაზეთები რაიონებში – ლეზგიურად და რუსულად 1-2 თვეში ერთხელ.

ლეზგიური ენა დაღესტანში ფუნქციონირებს განათლების სფეროში, ამ ენაზე (რვა ენათაგან) მიმდინარეობს სწავლება სოფლის დასახლებებში I კლასიდან IV კლასამდე. ასეთივე სახელმწიფო სტატუსის მქონეა თაბასარანული ენაც. მისი გამოყენების სფეროც იდენტურია. დანარჩენი ლეზგიური ენები გამოიყენება მხოლოდ ყოფით გარემოში. მათი ვიტალობის ხარისხი დაბალია და საშიში.

დაღესტანში პრიორიტეტული რუსულია. რფ-ის კანონით დადგენილია მისი სწავლების ნორმატივი (9 საათი კვირაში), მშობლიურ ენას კი 3-4 საათი ეთმობა. ფედერაციის სახსრები მიდის რუსული ენის სწავლებაზე, ხოლო ეროვნული ენების სწავლებაზე – რესპუბლიკის ფინანსები. გასაგებია, რომ ეს სახსრები ვერ იქნება თანაბარი. სკოლებში მოქმედებს სახელმწიფო სტანდარტი და მშობლიური ენა ამ სტანდარტში არ წერია. მშობლიური ენის სწავლებაზე საათის მომატება შეიძლება მხოლოდ „ძირითადი საგნების“ ხარჯზე, ამას კი, განათლების სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, თავად მშობლები არ ირჩევენ. მშობლიური ენა მეორეხარისხოვანია, იგი არაა საჭირო არც ოფიციალურ ურთიერთობაში, არც საქმეთა წარმოებაში, არც მისალები გამოცდების დროს (გამონაკლისია მხოლოდ ფილოლოგის ფაკულტეტი). არადა, ენის გადარჩენის, შენახვისა და ფუნქციონირების საკითხები სწორედ საგანმანათლებლო პროცესზეა დამოკიდებული. ამ პროცესის განსაზღვრის კომპეტენცია კი სახელმწიფოს ხელშია.

ენობრივი პოლიტიკა დაღესტანში უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი. მან უნდა შეინარჩუნოს ენათა განვითარებისა და ფუნქციონირების თანასწორუფლებიანობა. ეს კი განპირობებული უნდა იყოს კანონმდებლობით, კანონით, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი იურიდიულად და მატერიალურადაც. ჩრდილო კავკასიაში პროგრესულია ცალმხრივი ორენოვნება, რომლის დროსაც ნაციონალური ეთნოსის წარმომადგენლები ფლობენ მშობლიურ ენას და რუსულს, ხოლო რუსები – მხოლოდ რუსულს. ასეთი ცალმხრივი ორენოვნება ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივ ორმხრივ კომუნიკაციას.

რფ-ის ენობრივი პოლიტიკა XX საუკუნის 90-იან წლებში საკმაოდ ლიბერალურია. იმავდროულად, რფ-მ რუსული ენის, როგორც სახელმ-

ცირა ბარამიძე

წიფო ენის, ფუნქციონირების უზრუნველყოფა დაისახა მიზნად, ნაციონალური ენების ფუნქციონირების საკითხი კი რფ-ის სუბიექტებს მიანდო, მაგრამ აქ არ იქნა გათვალისწინებული შემდეგი: შეუძლია თუ არა რესპუბლიკებს ამ უფლებების სრულყოფილად გამოყენება? აქვთ თუ არა მათ ამისათვის ფინანსური, საკადრო და სხვა საშუალებები? ამგვარად, ამ ენებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს უფლებების თვალსაზრისით XX საუკუნის ბოლოს და მათ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი რფ-ის სუბიექტებია.

ბიბლიოგრაფია

References

- E. Abdulova, Once More about Diglossia in the North of Caucasus, in: *Linguistic Caucasian and Turkish Studies - Tradition and Contemporary Situation* (Karachaevsk, 2007) (in Russian).
- V. Antelava, *The Caucasus and Russia*, I, (Tbilisi, 2007) (in Georgian).
Linguistic Encyclopedic Dictionary (Moscow, 1990) (in Russian).
- B. Bghajnokov, A. Shogenov, Crisis of National Languages in Russia, in: *Languages of the Peoples of Russia, Prospects of Development, Proceedings of the International Seminar* (Elista, 1999) (in Russian).
- Arn. Chikobava, *Introduction to Iberian and Caucasian Linguistics* (Tbilisi, 1979) (in Georgian).
- Arn. Chikobava, *History of the Study of the Ibero-Caucasian Languages* (Tbilisi, 2008) (in Georgian).
- O. Dadov, *Development of National Languages and Culture of International Relations*, 2007, <http://portals.ru> (in Russian).
- M. Diachkov, Towards the Contemporary Views of Foreign Scholars on Lingual Policy in the USSR, in: *The Russian Language in USSR* 1999, N2 (in Russian).
- F. Efendiev, *Etnoculture and National Self-Perception* (Nalchik, 1999) (in Russian).
- I. Gapirov, Linguistic Self-Knowledge as a Factor of Socialisation of a Person, in: *Languages of the Peoples of Russia, Prospects of Development, Proceedings of the International Seminar* (Elista, 1999) (in Russian).

ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები

- G. Tirado, P. Z. Gabunia, Modern Globalisation and Issues of Small Languages in Linguistics of 19th c., in: *Linguistic Caucasian and Turkish Studies - Tradition and Contemporary Situation* (Karachaevsk, 2007) (in Russian).
- M. Kuzmin, O. Artemenko, Languages of the Peoples of Russia, their Status and Position in the System of Education, in: *Linguistic Caucasian and Turkish Studies - Tradition and Contemporary Situation* (Karachaevsk, 2007) (in Russian).
- G. Nestiuk, Legal Regulation in Education as a Foundation to the Solution of the Problem of the Lingual Situation in the Regions of the Russian Federation, in: *Linguistic Caucasian and Turkish Studies - Tradition and Contemporary Situation* (Karachaevsk, 2007) (in Russian).
- Z. Sherieva, Problems of Functioning of the Kabardian and Barkalian Languages, in: *Problems of General and Adigian Philology, Proceedings of VI International Scientific Conference* (Maikop, 2008).
- M. Tabidze, *The Lingual Situation in Georgia and Problems of Functioning of the Georgian Language* (Tbilisi, 2005) (in Georgian).
- S. Zedelashvili, *The Institutions of Public Management and Establishment of the System of Territorial and Administrative Management by Russia between 1860 and 1870* (Tbilisi, 2005) (in Georgian).
- Written Languages of the World (Languages of the Russian Federation)*, Book I (Moscow, 2000) (in Russian).

Tsira Baramidze

Issues of Functioning of Lezgian Languages (History and Modern Reality)

This article deals with the issues of functioning of Lezgian languages from both historical and modern perspectives. Being traditionally an arena of conflicting interests of big countries, the language situation in Dagestan historically resembles the overall Caucasian context which was conditioned by linguistic contacts, migrations and the language policy endorsed and established by the conquerors. In order to successfully invade the Caucasus, the

conquerors often divided, split, exiled and even drove the local peoples to extinction, settling the territory with the ethnic groups foreign to the region.

The Caucasus has always been characterized by Paleo-Caucasian, Indo-European, Turkish and Semite language contacts. Ibero-Caucasian peoples have lived in the territory since times immemorial. Others settled the region throughout history and migrations and language contacts differed from period to period. This article deals with the types of language contacts based on old and new data of Lezgian languages.

Since 19th c. Lezgian languages have been functioning in conditions of "Russification" and language assimilation. These ethnic groups could not and did not manage to protect their language rights. Thus, the modern language situation of Lezgian ethnic groups is a part of overall language policy in North Caucasus.

In the 1920s, the Soviet Government devised a new language policy which was based on the formal recognition of equality of functioning of all the languages. During this period of educational policy of language "revival", many countries (including those inhabited by small nations) were able to revive their mother tongues, create alphabets and develop literary languages. As a result, education became accessible to all the peoples living in the Caucasus in the 1930s. However, shortly afterwards, along with the forced imposition of the so-called "internalisation" (which meant, in most cases, Russification) and a faulty thesis of two native tongues (implying that Russian acquired a status of a native tongue), this situation resulted in Russian becoming a language of tuition all over the region. In the 1980s, the status of the language of tuition was reduced solely to Russian. In the 1990s, a new language reform started in Russia which ran in parallel with "Perestroika". The law enforced the status of Russian as an official language on the whole territory of Russian Federation. The status of other languages was to be defined by the republics themselves.

In this period, practically all these republics conferred upon their own titled languages, together with Russian, the status of official languages, but this did not widen the area over which they were functioning. This situation also held true for Lezgian languages.

There are ten Lezgian languages known, out of which the major titled languages are Lezgian and Tabasaranian. Recently this group has been joined

by Aghulian. All these languages possess the status of the state language though the spheres of their realisation and functioning as such are limited. These limits include the spheres of education, law, court, tele and radio communications, press, industry, scientific and popular literature as well as religion amongst others. In Dagestan the priority is given to Russian, the number of teaching hours of which is defined by federal norms at 9 hours per week, while the teaching time allotted to the native tongue is equal to 3-4 hours per week. Federal funds are allotted to the teaching of Russian, while the teaching process of the mother tongue is made available by funds of the republics. Without doubt the possibilities are not equal. None of the public innovations can protect the language from extinction if it does not become the object of careful protection from the State.

This article discusses the degree of vitality of Lezgian languages and attempts to find the ways to enhance their functioning.

თეიმურაზ გვანცელაძე

აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს ერთი თავისებური მოდელის საკითხისათვის

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან აფხაზური აბაზურთან ერთად გამოიჩინა სახელური ფორმათნარმოების შედარებითი სიმარტივითა და ზმნური ფორმათნარმოების დიდი სირთულით. ჩვენი აზრით, აფხაზურ-აბაზური ზმნის ფორმათნარმოების სირთულესა და შესაბამის მორფოლოგიურ საშუალებათა სიმრავლეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა განაპირობებდეს ზმნის ამოსავალი კლასოვანი ულვლილების მარტივი სისტემის მოშლა და უფრო რთული კლასოვან-პიროვანი ულვლილების ჩამოყალიბება. საქმე ის არის, რომ კლასიკური კლასოვანი ულვლილების მქონე ენათა ზმნა, პირობით რომ ვთქვათ, უფრო მთლიანი, „ჩაკეტილი, შეკრული და შეულწევადია“ აფიქსებისათვის, ვიდრე კლასოვან-პიროვანი თუ პიროვანი ულვლილების მქონე ენათა ზმნაა, რომელიც თავისუფლად იგუებს სხვა-დასხვა სემანტიკის მქონე მორფოლოგიურ და მოდალურ საშუალებათა ინკორპორირებას ზმნის ფორმაში, მით უმეტეს მაშინ, როცა ამა თუ იმ ენას არ მოეპოვება ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა (სიტყვათა) არსებითად აუცილებელი მთელი ჯგუფები. მაგალითად, აფხაზურსა და აბაზურ-ში არ არსებობს ისეთი სიტყვების კლასები, როგორიცაა: კუთვნილებითი და მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნისართები, მაქვემ-დებარებელი კავშირები და სხვანი. ამის გამო ორივე ენა იძულებულია, შესაბამისი მორფოლოგიური და სინტაქსური მნიშვნელობანი გამოხატოს ზმნურ სიტყვაფორმაში ჩართული სხვადასხვა წარმოშობის აფიქსებითა და ნაწილაკებით, ზოგჯერ კი სახელური ძირებითაც კი.

იგივე თექმის ამ ორ ენაში ბრუნების სისტემის უქონლობის კომპენ-საციაზეც: წინადადების წევრთა თუ წინადადებათა შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობანი ბრუნების სისტემის უქონელ აფხაზურ და აბაზურ ენებში სწორედ ზმნაში აისახება შიგ ჩართული სუბიექტისა და ობიექტთა აღმნიშვნელი ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსების ორი რიგის (**დ-სა და ლ-ს** რიგები) ადგილმდებარეობითაც და მორფოლოგიზებული ფონეტიკური ცვლილებებითაც და ა. შ. ალნიშნულ და სხვა თავისებურებათა გამო აფხაზურ-აბაზური ზმნური სიტყვათნარ-

აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს საკითხისათვის

მოების სისტემის სინქრონიულ და დიაქრონიულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ლინგვისტური კავკასიოლოგის, ისე თეორიული ენათმეცნიერებისა და აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით.

აფხაზურ-აბაზური ზმნის ფორმათწარმოებისა და სემანტიკის პრობლემები საკმაოდ ღრმად არის გამოკვლეული აფხაზი, ქართველი, აბაზა და უცხოულ ლინგვისტთა მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით ალსანიშნავია ამ ორი ენის უდიდესი მკვლევრის, აკად. ქეთევან ლომთათიძის დამსახურება. მის ნაშრომებში თითქმის სრულადაა აღნერილი და სისტემატიზებული აფხაზურ-აბაზური ზმნის მრავალი გრამატიკული და სიტყვათწარმოებითი კატეგორია, დადგენილია ამ კატეგორიათა ურთიერთმიმართება და ისტორია, გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი ამ პრობლემათა შესახებ. მაგრამ თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ მიმართულებით საკვლევი ალარაფერი დარჩა – შესასწავლი და გამოსავლენი საკითხი კიდევ ბევრია და ისინი მოელიან თავიანთ მკვლევრებს. ნინამდებარე ნაშრომიც მიზნად ისახავს ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხის გაშუქებას, კერძოდ კი აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს ერთი თავისებური და ძალზე იშვიათად ხმარებული მოდელის მორფოლოგიური და სემანტიკური თავისებურების აღნერას. მაგრამ ვიდრე ამ მოდელის ანალიზს შევუდგებოდეთ, უპრიანია, გავიხსენოთ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ცნობები აფხაზურ-აბაზური ზმნის კავშირებითი კილოს სხვა, უფრო ხშირად ხმარებულ და უკვე გამოკვლეულ მოდელთა წარმოებისა და სემანტიკის შესახებ. ამ მიზნით დავიმოწმებთ აფხაზი მეცნიერის, პროფ. ლიდია ჭკადუას განმაზოგადებელ დასკვნებს საანალიზო საკითხთან დაკავშირებით.

დადგენილია, რომ აფხაზურ-აბაზური ზმნის კავშირებით კილოს აქვს ორი ძირითადი მორფოლოგიური ვარიანტი (ალომორფები): კავშირებითი პირველი და კავშირებითი მეორე. ორივე ვარიანტი საყრდენ მორფემად იყენებს განსაზღვრული (პირველი) მყოფადისა და განუსაზღვრელი (მეორე) მყოფადის ინფინიტურ ფორმებს, რომელთაც დაერთვის ნამყოფროის გამომხატველი -ნ სუფიქსი. მაგალითად:

აფხაზ. აბაზ.

კავშირ. I: დგ-ზ-ბა-რე-ნ

კავშირ. II: დგ-ზ-ბა-შა-ნ

დგ-ზ-ბა-რე-ნ

დგ-ზ-ბ-უ-შა-ნ // დგ-ზ-ბ-უ-შე-ნ¹

¹ Л. П. Чкадуა, *Система времен и основных модальных образований в абхазско-*

თეიმურაზ გვანცელაძე

ქართულ ენაზე ყველა დასახელებული ფორმა ითარგმნება, როგორც „მე მას (ადამიანს) ვნახავდი, დავინახავდი“.

დადგენილია ისიც, რომ კავშირებითი კილოს აქამდე ცნობილი ფორმები გამოხატავენ პროცესს, რომელიც არ განხორციელებულა, თუმცა შეიძლებოდა განხორციელებულიყო სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. ამ პროცესის ირეალურობას განსაზღვრავს მისთვის აუცილებელი პირობების ირეალურობა. რაც შეეხება ამ ფორმათა დროით (ტემპორალურ) მიმართებებს, მათი არსებითი თავისებურება იმით გამოიხატება, რომ კავშირებითი კილო ორიენტირებულია ან მეტყველების თანადროულ მომენტზე, ან წარსულზე: მეტყველების მომენტზე ორიენტირებისას კავშირებითი კილოს ფორმით წარმოდგენილი ზმნის მოქმედება ან წარსულს უკავშირდება, ან მომავალ დროს, მაგრამ პირობის გამომხატველ დროზე ორიენტირების შემთხვევაში ზმნა გამოხატავს დროულ მიმდევრობას, იშვიათად კი თანადროულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, კავშირებითი პირველი და კავშირებითი მეორე ერთმანეთისაგან ფორმობრივად განსხვავდებიან (პირველს საფუძვლად უდევს მყოფადი პირველის, ანუ განსაზღვრული მყოფადის ნაკვთის მომავალი დროის აღმნიშვნელი -რ სუფიქსიანი ფორმა, ხოლო კავშირებითი მეორე ინარმოება მყოფადი მეორის, ანუ განუსაზღვრული მყოფადის ნაკვთის მომავალი დროის გამომხატველი -შა სუფიქსიანი ფორმისაგან), მაგრამ მათ შორის მხოლოდ მინიმალური სემანტიკური სხვაობაა: კავშირებითი პირველი შედარებით მეტ კატეგორიულობასა და განსაზღვრულობას გულისხმობს, კავშირებითი მეორე კი უფრო განუსაზღვრულია და შესაძლებლობის, ალბათობის სემანტიკა აქვს.²

კავშირებითი კილოს ამ მეტად პროდუქტიულ ფორმათა გვერდით აფხაზურში მეტად იშვიათად დასტურდება ძალზე თავისებური, უკვე მიმოხილულ ფორმათაგან მორფოლოგიურად საკმაოდ განსხვავებული წარმოებითი მოდელი, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს „განა, განალამცა; როგორდა; რალა“ დამხმარე სიტყვებიანი კავშირებითის ფორმით. სპეციალურ ლიტერატურაში ამ თავისებური მოდელის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი, გარდა იმისა, რომ მათი მანარმოებელი

абазинских диалектах (Тбилиси, 1970), стр. 14.

² იქვე, გვ. 174-175.

აუ- პრეფიქსის მნიშვნელობად მითითებულია რუსული წარმატება „განა“.³

ამ თავისებური საწარმოო მოდელის მიხედვით აგებული ფორმები როგორც ზეპირ მეტყველებაში, ისე სამნიგნობრო აფხაზურ ენაში იმდენად იშვიათია, რომ დიმიტრი გულიას თხზულებათა ექვსტომეულის მეორე ტომში, რომელშიც შეტანილია აფხაზი მნერლის ორიგინალური პროზაული თხზულებანი, მათი გამოყენების სულ რაღაც 13 შემთხვევალა გამოვლინდა. ქვემოთ მოვიყვანთ ყველა ამ მაგალითს, მანამდე კი ალვნიშნავთ, რომ ეს მოდელი იწარმოება ზმნის ძირის წინ, და რიგის სუბიექტურ ან ობიექტურ კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა შემდეგ წარმოდგენილი აუ- // > ოუ- თავსართისა და ზმნის ძირის მომდევნოდ დასტული „კვლავ“ ზმნისართის სემანტიკის გამომხატველი -ხ სუფიქსის ერთდროული დართვით:

1. ააა, უი ა-ოუ-ნაბგრგგ-ხე-მ, ახა...⁴ „დიახ, განა ეს ჭეშმარიტება არ იქნებოდა, მაგრამ...“

2. აფშომაცია, ურთ რთახცია უჟია რეპხები გმშეკია აძეგ დაუ- ნრუჟ-ხ-უაზ⁵ „მასპინძლები და მათი ახლობლები ვინმეს ისე როგორლა (განა) გაუშვებდნენ, რომ მათი სადლეგრძელო არ დაელიათ“.

3. უსყან აბნა ინანიახიტ, უაპაგ-გ აკერ აუ-იზპია-ხ-უაზ!⁶ „მაშინ ისინი ტყემ დამალა (ტყეში მიიმალნენ) და იგი (მამაკაცი) რაიმეს განა (როგორლა) იტყოდა!“

4. ესმა უსგ-გ უა აუხა დაუ-ცია-ხ-უაზ!⁷ „ესმა იმ ლამით ისედაც განა (როგორლა) დაიძინებდა!“

5. ...თაუდი აამსთევ ჩარაკ უჟია, აკე ანგრუა, პარა ანხაცია პალა ა-აუ-ხ-ე-ართა-ხ-უ!⁸ „როცა თავად-აზნაურები პურობას ან რაიმეს მართავენ, უჩვენოდ, გლეხების გარეშე როგორლა ივარგებდნენ!“

6. ...იპიეფტ ალიას, ახა აპაპ უი აუ-იუ-ხ-უაზ!⁹ „...თქვა ალიასმა, მაგ-

³ И. Шадури, *Морфология абхазского языка* (Тбилиси, 2006), стр. 166.

⁴ დ. გულია, თხზულებანი (აფხაზურ ენაზე), II (სოხუმი, 1982), გვ. 28.

⁵ იქვე, გვ. 34.

⁶ იქვე, გვ. 37.

⁷ იქვე, გვ. 38.

⁸ იქვე, გვ. 54.

⁹ იქვე, გვ. 60.

თეიმურაზ გვანცელაძე

რამ განა მღვდელი ამას იზამდა (როგორლა დათანხმდებოდა)!“

7. ...იპტემბრი /არფეისკი/, ახა კამაჭუჭყავ-აუ-ლუ-ხუ-ბუ-ზ¹⁰ „...თქვა ერთმა ჭაბუკმა, მაგრამ კამაჭიჭი განა ამას იზამდა (როგორლა დათანხმდებოდა)!“

8. ...აცემზა მეუ-დაგ-გ ...ლაშ-არაკ აუ-ახულნ-ხ-უ-ზ!..¹¹ „ოხერი სან-თელიც განა შუქს გამოსცემდა (შუქს როგორლა გამოსცემდა)!“

9. ზნგ აბაძეებ საგ-ასა დნევნ იხ-გფჲა იჭ-გ, ხათგრუ-ანგ ვ-აუ-იზპ-ა-ხ-უ-ზ, ახა დნაკ-შ-ა- ააკ-შ-ო ...იპტემბრი¹² „ერთხელ მორდუ საგესა თავის გაზრდილთან მივიდა, პირდაპირ როგორლა (განა) მიახლიდა, მაგრამ მოიარებით თქვა (რალაცა)“.

10. დაშპ-აგ-გ დაპ-შპ-აგ-გ დაარა იპტემბრი, ახა თათლასთან ვ-აუ-იუ-ხ-უ-ზ...¹³ „მისი ძმები და დებიც ძალიან შეევედრნენ, მაგრამ განა თათლასთანი ამას იზამდა (როგორლა დათანხმდებოდა)“.

11. ...ლაბჭ-აბა დგლბაზ ჯშა, აშ- აამგლფაან დგვდ-გლფშ-იტ, ახა არი აუ-ლაბჭ-აბა-ხე-ზ¹⁴ „მას (ქალს) ეგონა, თითქოს იგი (ადამიანი) ცხადლივ იხილა, კარი სწრაფად გამოალო და გარეთ გაიხედა, მაგრამ განა ეს ცხადი იქნებოდა (აბა ეს ცხადი როგორლა იქნებოდა)“.

12. აჭუ-ანდარ აკე დარგ-აავტ, ახა აპაპ უი ვ-აუ-იდგრ-ხ-უ-ზ¹⁵ „ეპისკოპოსი რალაცამ გააბრაზა, მაგრამ მღვდელს ეს განა ეცოდინებოდა (როგორლა, საიდანლა უნდა სცოდნოდა)“.

13. უბრი ინაჭ-არშ-ზ ტირუ აცირკ ახ- დ-აუ-იზგა-ხ-უ-ზ¹⁶ „ამის გამოისობით ტირუს ცირკში რალა წაიყვანდა (განა ვინმე წაიყვანდა)“.

როგორც ვხედავთ, მოყვანილ ნიმუშებში დაცულია ფორმათნარ-მოების ერთიანი წესი: ზმნას ერთდროულად ერთვის აუ- პრეფიქსი და კვლავობის გამომხატველი -ხ სუფიქსი. ამ შემთხვევაში აქ ციტირებული ფორმები განსხვავდებიან კავშირებითი კილოს უფრო ხშირად ხმარებული ორდინარული ფორმებისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელთა საწარ-

¹⁰ დ. გულია, თხზულებანი, II, გვ. 81.

¹¹ იქვე, გვ. 145-146.

¹² იქვე, გვ. 189.

¹³ იქვე, გვ. 193.

¹⁴ იქვე, გვ. 208.

¹⁵ იქვე, გვ. 239.

¹⁶ იქვე, გვ. 262.

აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს საკითხისათვის

მოებლად ენა იყენებს მხოლოდ ნაკვთთა მანარმოებელ სუფიქსებს, ამ 13 მაგალითში კი ფორმათნარმოებისათვის გამოყენებულია ერთდროულად ორი აფიქსი, რომელთაგანაც ერთი, აუ- თავსართი ენაში არ იხმარება რომელიმე სხვა ფუნქციით, ხოლო მეორე აფიქსის, -ხ ბოლოსართის მთავარი ფუნქცია არის კვლავ მომხდარი მოქმედების გამოხატვა. ფორმათნარმოების თვალსაზრისით არსებითია ისიც, რომ კავშირებითი კილოს იშვიათი ფორმები ემყარება სტატიკური და დინამიკური ზმნის ან აწმყოს (ე-აუ-ნაბგრგვ-ხ-მ „განა ჭეშმარიტება იქნებოდა“, ე-აუ-ხ-ართა-ხ-უ „განა ივარგებდნენ“), ანდა, შედარებით უფრო ხშირად, ნამყო უსრულის ინფინიტურ ფორმებს.

რაც შეეხება კავშირებითი კილოს იშვიათ ფორმათა სემანტიკას, იგი მაქსიმალურად ემთხვევა კავშირებითი კილოს ფართოდ გავრცელებულ ფორმათა სემანტიკას: ზმნური ფორმა მიანიშნებს, რომ შესაბამისი მოქმედება ან მდგომარეობა შესაძლებელია გარკვეულ პირობებში, მაგრამ რაკი ეს პირობები არ არსებობს, მოქმედება ან მდგომარეობა ირეალური, განუხორციელებელი რჩება.

დროითი (ტემპორალური) მიმართების თვალსაზრისით კავშირებითი კილოს კონფიქსური წარმოების მქონე ზმნა უკავშირდება ან მეტყველების მომენტს (აწმყოს), ანდა ნამყო უსრულს და გულისხმობს ალბათობას, რითაც ჰგავს კავშირებითი კილოს დანარჩენ ორდინარულ ფორმებს.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული გარემოებანი სრულ საფუძველს ქმნიან საიმისოდ, რათა აუ- თავსართითა და -ხ ბოლოსართით წარმოებული ზმნური ფორმები მივიჩნიოთ აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს სპეციფიკურ სახეობად.

ბიბლიოგრაფია

References

- D. Gulia, *Works*, vol. II (Sukhumi, 1982) (in Abkhazian).
- I. Shaduri, *Morphology of the Abkhazian Language* (Tbilisi, 2006) (in Russian).
- L. Chkadua, *The System of Tenses and Basic Modal Constructions in Abkhazian-Abasian Dialects* (Tbilisi, 1970) (in Russian).

Teimuraz Gvantseladze

**Towards the Problem of Specific Subjunctive Mood Model
in the Abkhazian Verb**

Abkhazian verbs are characterised by extreme complexity. This is conditioned not only by the fact that Abkhazian nouns have no case forms, but also by the non-existence of possessive and reflexive pronouns, relative adverbs, subordinating conjunctions as well as words belonging to other groups. This "loads" the verb with a number of morphological and syntactic functions of expression which is achieved by affixes, particles and stems of nominal parts inserted in the verb-form.

This article makes the first attempt to describe one specific and rare model of the subjunctive mood expressed by the Abkhazian verb.

As is known from the literature, the verb in Abkhazian has two main morphological models: Subjunctive I and Subjunctive II. Both models are formed by adding -n suffix to the Infinitive forms of the Definite Past and the Indefinite Past tenses (*dəzbušən* / *dəzbas'an* - I would see him). Such forms are very frequently used in Abkhazian and thus are considered to be common. However, alongside them there exists one more, very seldom used model which has not been specially studied by linguists yet. This rare model is formed by the prefixes: *aw-* and suffix -x inserted simultaneously into a verb form. (The suffix -x expresses the semantics of the adverb "again" and the prefix *aw-* is used only in the model discussed in this article)

The verb forms formed according to the rare model of the subjunctive mood are so seldom used that only 13 of such forms were attested in the original prose of the founder of Abkhazian literature D. Gulia. This rare model of the Subjunctive mood is formed by the Infinitive forms of the Present or Past Continuous of Static and Dynamic verbs. By means of their semantic features, these verbs indicate that the action or state denoted by the verb is possible in certain conditions but, as these conditions do not exist, the action remains unreal and hypothetical. The temporal attitude is as follows: the semantics of this form is connected either to the moment of speech (Present) or the Past Progressive tense and often suggests probability. Taking into consideration the formal and semantic features of the forms discussed above, the rare model studied in this article can be considered one of the forms of the Subjunctive mood.

ლიტერატურა

ნანა გონილაშვილი

წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება მარიამ მაგდალინელსა და მენელსაცხებლე დედებთან

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მხატვრულ-ლიტერატურული ღირსებანი მასში წარმოჩენილი შუასაუკუნეობრივი მწერლობის სინკრეტიზმის წიაღში ვლინდება. „წმ. ნინოს ცხოვრება“ მთლიანად სიმბოლიზებული ნაწარმოებია; სიმბოლური დატვირთვა ენიჭება ცალკეულ ფაქტებსა თუ ეპიზოდებს (თვით ისტორიულსაც კი), პერსონაჟებსა და, საერთოდ, სხვადასხვა სახისმეტყველებით შინაარსის სახეებს, რომელნიც ტრადიციათა ახლებური გადაზრებით ხდებიან საცნაურნი.

ნაშრომი წმ. ნინოს კულტურულ-ისტორიული სახის არსებით ნიშანთაგან ერთ-ერთ საკითხს – მარიამ მაგდალინელთან, მენელსაცხებლე დედებთან მიმართებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – ეხება.¹ წმ. ნინოს კულტურულ-ისტორიულ სახესა და მასთან დაკავშირებულ სახე-იდეებში, მოვლენებსა და რეალიებში წარმოჩენილია ქრისტიანული მსოფლალება, მითოსური ნაკადი და წარმართული წარმოდგენები, ქრისტიანულად მოდიფიცირებული. მათი შესწავლა საშუალებას მოგვცემს, გამოვყეთოთ ქართული სახისმეტყველების უმთავრესი პარადიგმული სახეები.

რ. სირაძე აღნიშნავს, რომ „ქართული მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარადიგმად უნდა ჩაითვალოს წმინდა ნინოს კულტურულ-ისტორიული სახე. იგი თვით ისტორიას ესთეტიკურობას სძენს. წმ. ნინოს სახე თავისი ისტორიული შინაარსითვე ესთეტიკურია. წმ. ნინო პერსონაჟია მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული „სიუჟეტისა“. ისტორიული მოვლენა იქცევა სახე-იდეად. ამიტომ მისი ისტორიული საზრისი ესთეტიკური გზით შეიძლება ამოვიცნოთ“.²

¹ აღნიშნული საკითხი განხილულია შემდეგ ნაშრომებში: ლ. პატარიძე, ქართლის გაქრისტიანება, რელიგია, 1992, № 3; ს. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის იკონოლოგიური სახისმეტყველება (თბილისი, 2008).

² რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია (თბილისი, 1987), გვ. 80.

ნანა გონჯილაშვილი

„მოქცევად ქართლისაა“ წმ. ნინოს იკონოგრაფიული სახების, სიტყვიერი ხატის განმასახოვნებელი უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი წყაროა. თხზულებაში თხრობის სხვადასხვა ეტაპზე მრავალგზის იკვეთება წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობის წარმომაჩენელი და განმსაზღვრელი სახე-ხატები, პარადიგმული სახეები, შედარებანი და სახელდებანი, რომელთა ამოცნობა სულიერი ხედვითაა შესაძლებელი. „მოქცევად ქართლისაა“ ტექსტის მიხედვით, შევეცდებით, ზოგადად გამოვცვეთოთ წმ. ნინოს კულტურულ-ისტორიული სახის წარმომაჩენელი უმთავრესი ეპიზოდები, მონაკვეთები თუ რეალიები.

თხზულების დასაწყისში, ქართლის მოქცევის უმთავრესი მოვლენების აღწერისას, აღნიშნულია, რომ ელენე დედოფალი წმ. ნინოსადმი მიწერილ ეპისტოლები მას დედოფალსა და მოციქულთა სწორს უწოდებს: „...ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედოფლად და თვისსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“.³ ელენე დედოფლის მიერ წმ. ნინო იწოდება მახარებლადაც: „... და მახარებლად შეემკო“.⁴ მთიელთა მოქცევის აღწერისას ავტორი წმ. ნინოს შესახებ ამბობს : „წმიდად და სანატრელი და განმანათლებელი დედაა ჩუენი“.⁵ ჭელიშური რედაქცია წმ. ნინოს მახარებლად და ემბაზად მოიხსენებს : „ნეტარმან და სანატრელმან დედაკაცმან ნინო, რომელი გუექმნა მახარებელ გულთა ჩუენთა და ემბაზ სულთა და ჭორცთა ჩუენთა“.⁶ აქვე წმ. ნინო დიდ ნათლად და ნათლის მიმნიჭებელად იწოდება: „ნათლისა დიდისა და ნათლისა მომცემლისაა...“.⁷ დასწეულებულ წმ. ნინოსთან მისულ მეფე-დედოფალს და ერს ანგელოზებრივი შშვენიერებით წარმოესახებათ მოციქულთა სწორი : „პხედვი-და ყოველი კაცი პირსა ნინოსსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისაა...“.⁸ ისინი ცრემლს ღვრიდნენ „განმორებისათვეს მოძღურისა, მოღუანისა და სწეულთა მკურნალისა ჭელოვნისა“.⁹ მათი თქმით, წმ. ნინო ქართველთა

³ მოქცევად ქართლისაა, ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1963), გვ. 85 (ქ).

⁴ იქვე, გვ. 90 (ც).

⁵ იქვე, გვ. 88 (ქ).

⁶ იქვე, გვ. 98 (ქ).

⁷ იქვე, გვ. 102 (ქ).

⁸ იქვე, გვ. 104 (ც).

⁹ იქვე.

ნმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება

მაცხოვნებელი („მაცხოვრად ჩუენდა“),¹⁰ „ტყვეთა მხსნელი“,¹¹ ქადაგი („რამეთუ ესერა გვსწავიეს შენ მიერ“),¹² მოძღვარი და განმათავისუფლებელია („განმათავისუფლებელად სულთა ჩუენთა“).¹³ აბიათარ მლვდებელი ასე ახასიათებს ნმ. ნინოს: „.... დედაკაცი ერთი უბინო, მყუდრო მოშიშებითა, უბრალიო, წმიდა, ღმერთ-შემოსილი წმიდა ნინო, დედა ჩუენი“.¹⁴ სომეხი მიაფორი კაბადოკიელ ქალწულის ძალას ადარებს ძულომის ძალას და დედალი ორბის თვისებით ახასიათებს: „ვხედავ, შვილო ჩემო, ძალას შენსა, ვითარცა ძალას ლომისა ძუვისასა, რომელი იზახებნ ყოველსავე ზედა ოთხფერწისა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროს მამლისა...“.¹⁵ აბიათარის ასული, სიდონია, მიმართავს ნმ. ნინოს: „უცხოვო და აქა შობილო, ტყუეო და ტყვეთა მქსნელო, უწყი, რამეთუ შენ ზედა მოინია ახალი იგი უამი და შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი ძუელი...“.¹⁶ ნმ. ნინო „ახალი უამის“ დამამკვიდრებელია ქართლის ცხოვრებაში;¹⁷ სიდონიასვე მონათხრობში ნმ. ნინო ჭეშმარიტების ქადაგად იწოდება და სიბრძელეში ცისკრის მაცნე მთიებსაა შედარებული: „.... მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტებისად ნინო, დედოფალი ჩუენი, ვითარცა ბნელსა შინა მთიები რად აღმოჰყდის და ცისკარი აღილის...“.¹⁸

ნმ. ნინოს სიტყვიერი ხატის შესაცნობად საყურადღებოა მირიან მეფის კაბადოკიელ ქალწულთან დამოკიდებულების წარმოჩენა. თავდაპირველად, მირიან მეფე ნმ. ნინოს არმაზის ან ზადენის შვილად მიიჩნევს: „რომლისა ლმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა? ანუ ხარ შენ ასული არმაზისა, ანუ შვილი ზადენისი, უცხოვებით მოხუედ და შეურდი, ხოლო მას ზედა-აც მოწყალებაა, და მიგანიჭეს ძალი კურნები-

¹⁰ მოქცევად ქართლისად, გვ. 105 (ც).

¹¹ იქვე, გვ. 105 (ც).

¹² იქვე, გვ. 105 (ლ).

¹³ იქვე, გვ. 105 (ლ).

¹⁴ იქვე, გვ. 104 (ლ).

¹⁵ იქვე, გვ. 110 (ც).

¹⁶ იქვე, გვ. 123 (ც).

¹⁷ „ახალი უამის“ შესახებ იხ. რ. სირაძე, „ნმ. ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა (თბილისი, 1997), გვ. 207-217.

¹⁸ მოქცევად ქართლისად, გვ. 125 (ც).

ნანა გონჯილაშვილი

სად ...¹⁹ მზის დაბრულების სასწაულის შემდეგ მცხეთაში დაბრუნებული მეფე „უცხო დედაკაცს“ უკვე საკუთარ დედად მოიხსენებს: „სადა არს დედაკაცი იგი უცხოა, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი იგი მისი მქონელი ჩემი?“²⁰ მირიან მეფე სიკვდილის წინ დაწერილ წიგნში წმ. წინოს კულტურულ-ისტორიული სახის მნიშვნელოვან გააზრებას გვაწვდის:

„... მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისად, წმიდა წინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოა და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყვკ, რომელიცა ან მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოა იგი – დედა, შეუწევნელი – შესავედრებელ ყოველთა, და უტყვკ იგი – ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულის სიტყუათა“;²¹ მირიანი წმ. წინოს მოძღვრად და „ახალი ცხოვრების“ რკაულის მიმცემლად სახელდებს.

წმ. წინოს იკონოგრაფიული სახის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია თხზულებაში გადმოცემული არაერთი ხილვა-ჩვენება, რითაც ავტორები ამონმებენ ამბის ჭეშმარიტებას, ქრისტიანული სარწმუნოების ყოვლისშემძლეობასა და ქართლის ერზე გადმოსულ სიყვარულს. ამგვარ ეპიზოდს განეკუთვნება ეკლესიის საფუძვლის დასადებად მოკვეთილი ნაძვისაგან „შემზადებული“ სვეტის „ვერ აღმართება“. შატბერდული რედაქციის ავტორის თქმით, „...არა თუ აღმართებად ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა. და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნეც და ღონისძ-ძიებად კაცთად...“²² ავტორი თითქოს წინასწარ ამზადებს მკითხველს თხრობის შემდგომი მსვლელობისათვის, გვიმხელს მომავალი სასწაულის აღსრულების ამბავს, განმარტავს მის მიზანს: „...რათა სუეტისა მის აღმართებითა საკვირველად ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცნენ სარწმუნოვებასა“;²³ ჭელიშურ რედაქციაში აღნიშნულია, რომ „... მეფე ფრიად ზარგანვდილ იქმნა და დაბრკოლდა სუეტისა მის ვერ აღმართებასა, და დიდითა მწუხარებითა აღსავსე წარვიდა პალატად და გულკლული იგი და მისი ერი ფრიად“.²⁴ ეს ფაქტი განსაკუთრებით მეფისათვის

¹⁹ მოქცევად ქართლისად, გვ. 131 (ც).

²⁰ იქვე, გვ. 135 (ც).

²¹ იქვე, გვ. 158 (ც).

²² იქვე, გვ. 138 (ც).

²³ იქვე.

²⁴ იქვე.

ნმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება

იქნებოდა მტკუივნეული; ტექსტიდან ჩანს, რომ ღვთის სახლის ადგილის განსაზღვრისას მირიანს წმ. ნინო ურჩევს, ეკლესია ააგოს იქ, „სადაც მეფეთა გონებად მტკუიცე არს“.²⁵ სწორედ მირიანის მიერაა შერჩეული წმ. ნინოს მაყვლოვანი – „მიყუარან მაყუალნი ეგე შენი და მუნ მინებს გონებითა“.²⁶ სვეტიცხოვლის ადგილიდან „ვერ შეძვრამ“ შესაძლოა, შეარყიოს ახლად მოქცეულთა რწმენა, ადვილად მიდრიკოს ძველი სარწმუნოებისაკენ ; წმ. ნინომ კარგად უწყის ეს და გაცნობიერებული აქვს მათი სულისათვის მოსალოდნელი საფრთხე. კაბადოკიელი ქალწულის შიში უსაფუძვლო არ არის, რადგან მის ხსოვნას შემოუნახავს კერპთა მსხვრევის შემდგომ მირიანის თქმული – „მისი (არმაზის – ნ. გ.) ადგილი შეუძრავ არს“.²⁷ თუ არ აღიმართება სვეტი-ცხოველი, არ აშენდება ეკლესია და ამით ხელი შეეშლება ქრისტესმიერი მოძღვრების გამარჯვებას; ქრისტიანული ტაძრის საძირკველი კი ვერ ჩაიყრება, სანამ მტკუიცედ დგას არმაზის კერპის ლიბო – არმაზ-ზადენის მთები. ამიტომაც წმ. ნინო და თორმეტი დედა დარჩნენ ეკლესიისთვის მომზადებული საფუძვლის ადგილას. წმ. ნინო გოდებდა და ღვრიდა ცრემლებს, – აღნიშნავს ავტორი, – და ამ ერთი ფრაზით მინიშნებულია მგლოვიარე ქალწულის სულიერი მდგომარეობა, ახლად მოქცეულთა რწმენის შეურყეველობისათვის ზრუნვა. მოკვეთილ სვეტან დარჩნილ დედებს შუალამისას ორი ხილვა მოევლინათ. პირველი ხილვისას, წარმოიქცა არმაზ-ზადენის მთები, მტკუარმა „გარდმოხეთქა“ და წაიღო ქალაქი, არაგვი კი ციხის ზემოთ „გარდამოქადა“, საშინელი ხმა და გრგვინვა იყო. წმ. ნინო განუმარტავს შეშინებულ დედებს, რომ არაფერი შეცვლილა, რომ „მთანი ჰეგიან და წყალნი იგი მუნვე დიან“,²⁸ რომ არმაზ-ზადენის მთათა რღვევა ქართლში ურწმუნოების მთათა ნგრევას აღნიშნავს. წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა პირველ ხილვას მოჰყვება მეორე ხილვა – გათენებისას ლენგისა და ყივილის ხმით იჭრება მცხეთაში სპარსთა ლაშქარი, ლენავს ქალაქის სამივე კარს, სისხლითა და ცხედრებით „აღივსო ყოველი ადგილი“.²⁹ წმ. ნინო უშიშრად წარდგება სპარსთა ლაშქრის წინაშე და მათ ჩრდილო

²⁵ მოქცევად ქართლისაა, გვ. 137 (ც).

²⁶ იქვე, გვ. 137 (ც).

²⁷ იქვე, გვ. 132 (ც).

²⁸ იქვე, გვ. 139 (ც).

²⁹ იქვე, გვ. 140 (ც).

ნანა გონჯილაშვილი

მხარეს, კედარის მთებში გზავნის, რადგან „აქა მოვიდა იგი, რომელსა თქუენ ევლოდეთ“³⁰ ჯვარს გადასწერს იქაურობას და ყოველივე ქრება. გათენებისას ნათლით შემოსილი ჭაბუკი მოევლინებათ, რომელიც სამ სიტყვას ეუბნება წმ. ნინოს, სვეტს ცად აღამაღლებს, რომელიც შემდგომ ჩამოეშვება და თავის „ხარისზე“ დადგება.

სამეფო ბალში, „სამოთხეში“ სვეტის „ვერ აღმართების“ შემდგომ წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა მაყვლოვანში დარჩენას, ჩვენი აზრით, სიმბოლური დატვირთვა აქვს. წმ. ნინო და ათორმეტი დედანი გარკვეულწილად ქრისტესა და 12 მოციქულის რემინისცენციას აღძრავენ, მით უფრო, რომ ხილვა-ჩვენებები კაბადოკიელი ქალწულის მიერ დედათათვის იგავურად განიმარტება, ქრისტესაგან მოწაფეთათვის იგავის „გადმოთარგმანების“ მსგავსად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ღვთის სახლი 12 მოციქულის სახელზე შენდება; ეს არ უშლის ხელს, რომ ზემოაღნიშნულ ეპიზოდში სხვადასხვაგვარი წარმოდგენა მოიაზრებოდეს.

რ. სირაძის აზრით, „იქვე არის არაევანგელური, თუმცა იკონოგრაფიული ტრადიციებით დამკვიდრებული წარმოდგენა, რომ ამაღლების კომპოზიციაში გამოისახოს მღლოცველი ღვთისმშობელი („ორანტა“). სწორედ მის ადგილს აქ იჭერს ნინო. ევანგელური წარმოდგენით კი აღდგომის პირველმოწამენი იყვნენ მენელსაცხებლე ქალები, რაიც ერთგვარად აქაცაა არეკვლილი“³¹

ზემოაღნიშნულ ხილვა-ჩვენებებს თუ დავაკვირდებით, წმ. ნინოს, ათორმეტ დედასა და მენელსაცხებლე დედებთან დაკავშირებულ ეპიზოდთა შორის სიმბოლურ მიმართებას შევნიშნავთ. სახარებისეული თხრობის მიხედვით, მარიამ მაგდალინელი და კეთილმორწმუნე დედები ესწრებოდნენ ქრისტეს ჯვარცმას („ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა იესოსა დედა მისი და და დედისა მისისა, მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდალინელი“ – ოთანე, 19:25), „იხილეს საფლავი და ვითარ დასდებდეს გუამსა მისას“ (ლუკა, 23:55), კვირის პირველ დღეს კი ნელსაცხებლებით მივიდნენ მის სამართან; სწორედ მათ (ოთანე მახარებლის მიხედვით, მხოლოდ მარიამ მაგდალინელმა) იესოს საფლავთან იხილეს უფლის ანგელოზი (მარკ. – ჭაბუკი, ლუკ. – ორი კაცი, ოთან. – ორი ანგელოზი) და ეხარათ ჯვარცმულის აღდგომა; პირველებმა მათ იხილეს (მათ.,

³⁰ მოქცევაზ ქართლისა, გვ. 140 (ც).

³¹ რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, გვ. 120.

წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება

იოან. – მარიამ მაგდალინელმა) აღმდგარი უფალი და მის მოწაფეებს აუწყეს ეს სასიხარულო ამბავი. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ სვეტი-ცხოვლის აღმართვასთან დაკავშირებული მოვლენები ზუსტი ანალოგია არაა ზემოაღნიშნული ეპიზოდებისა, მაგრამ სიმბოლური თვალთახედვით შესაძლოა საერთო რეალების დაძებნა. იესოს საფლავთან მისული მარიამ მაგდალინელისა და დედათა მსგავსად, წმ. ნინო და დედები რჩებიან მოკვეთილ, მაგრამ ვერ „აღმდგარ“ ცხოველმყოფელ სვეტან; მარიამ მაგდალინელის შესატყვისად, რომელიც „დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა“ (იოანე, 20:11), წმ. ნინო „გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა“;³² სვეტი-ცხოველი კი უფლის კვართის საფლავს ემყარება, რაც მაცხოვრის საფლავს გულისხმობს და სიმბოლურად უფლის აღდგომის მიმანიშნებელია. მენელსაცხებლე დედათა მსგავსად, მხოლოდ წმ. ნინოსა და დედებს უუწყებათ ღვთის სიტყვა – ორი ხილვა-ზმანება; სწორედ ისინი იხილავენ სასწაულს – სვეტს „ზედა-მოადგა ჭაბუკი ერთი ყოლადვე ნათლითა შემოსილი, და მოებლარდნა ცეცხლის სახედ ზენარი“³³ (შდრ. მათე, 28:3 – „ხოლო იყო ხილვად მისი, ვითარცა ელვად და სამოსელი მისი სპეტაკ ვითარცა თოვლი“).

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“ ამასთანავე გვაუწყებს, რომ სვეტიცხოველი აღმართა მაცხოვარმა: „სუეტო წმიდაო ცხოველო, ცხოველს მყოფელო, რომელი ნათელმან უსაზღვრომან ნათელ მფლობელმან ძემან ღუთისამან ნათლად ელვარედ და სუეტად ცხოველად აღგმართა ნათელ მყოფელად გულებსა ქართველთა ერისა“.³⁴

რ. სირაძე აღნიშნავს, რომ „ამ ნათელმოსილი ჭაბუკის სახეში ზეციური „სასიძოს“ სახე ჩანს. აქვე შემოდის სიმბოლიკა: ქალწული ნინო – სამოთხე ასპარეზია სულიერი ქორნინებისა“.³⁵

და როგორც აღმდგარმა იესომ მიმართა მარიამ მაგდალინელს, „ყოლადვე ნათლით შემოსილმა“ ჭაბუკმა „არქუნა სამნი რამე სიტყუანი

³² მოქცევად ქართლისად, გვ. 139 (ც).

³³ იქვე, გვ. 141 (ც).

³⁴ ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი სვეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოდი და კათოლიკე ეკლესიისად, წიგნში: საქართველოს სამოთხე, მ. საპინინის რედაქციით (პეტერბურგი, 1882), გვ. 113.

³⁵ რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, გვ. 121.

ნანა გონჯილაშვილი

ნეტარსა ნინოს³⁶ და აღმართა სვეტი-ცხოველი, „... და ახედვიდა ყოველი კაცი სვეტსა მას, ვითარცა ძალსა ღმრთისასა“. ³⁷ უფლის აღდგომის მახარებელ მენელსაცხებლე დედათა მსგავსად, წმ. ნინოსა და ათორ-მეტ დედას უნდა ეხარებინათ მირიან მეფისა და ქართლის ერისათვის სვეტი-ცხოვლის სასწაული. მირიანმა „იხილა მუნ ნათელი, ვითარცა ელვად ზეცადმდე აღწევნული სამოთხესა მას შინა. იწყო სრბად, მკრცხლ მოსვლად, და ყოვლისა ერისა სიმრავლც მის თანა“;³⁸ აღესრულა შემდგომი სასწაულიც – სვეტი ხელშეუხებლად დაეშვა და დაადგა თავის სადგომელს, „... დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთავართა და ყოველსა ერსა სულ-თქეუმითა სულისა მათისათა, და ადიდებდეს ლმერთსა და ჰერიდეს ნეტარსა ნინოს“.³⁹

სიკვდილის წინ დაწერილ წიგნში მირიან მეფე სვეტის აღმართებაზე საუბრობს, რაც წმ. ნინოსა და დედათა ხილვას ემყარება: „ლმერთმან მაღალმან მოავლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუეყნით ცად აღინა“.⁴⁰ „ცად აღწევნული“ და თავის „ხარისხზე“ დაფუძნებული სვეტი (რომელიც შესაძლოა, ძველი და ახალი აღთქმის კავშირს გამოხატავდეს) მიწიერების ზეციერებასთან დამაკავშირებელი სახე-იდეაა. მცხეთის „სამოთხეში“ ცხოველმყოფელი სვეტის აღმართვის აღდგომის იდეასთან მიმართებას, მენელსაცხებლე დედათა მსგავსად წმ. ნინოსა და დედათა მსხარებლებად წარმოდგენს თვალსაჩინოს ხდის მირიან მეფის სიტყვები, რომ წმ. ნინომ „აღასრულა ყოველივე მცნებად ლმრთისად და სწავლად წმიდისა მის დედის ძმისა მისისა, მამისა ჩუენისა პატრიაქისად“;⁴¹ ქართლში წამოსვლის წინ იობენალ პატრიარქი ლოცავს ნინოს და ევედრება ლმერთს, რომ დაიფაროს, „რათა (ნინომ – ნ.გ.) ახაროს აღდგომად შენი“.⁴² ზემოაღნიშნული მიმართების სისწორეს კი ადასტურებს წმ. ნინოს მონათხრობი თავისი ცხოვრების შესახებ, როდესაც ის იხსენებს, როგორ ემშვიდობება და მოძღვრავს მას იორდანები მიმავალი

³⁶ მოქცევაზე ქართლისად, გვ. 141 (T).

³⁷ იქვე, გვ. 160 (T).

³⁸ იქვე, გვ. 142 (T).

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე, გვ. 161 (T).

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე, გვ. 114 (T).

წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება

მამა: „შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყუარულისათვეს ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესითა, და თუ შენ ესრცთ გეშინოდის მისა, ვითარც მათ, მან ეგრცთ მოგცეს ყოველი, რაღა სთხოვო მას, ოდეს რად გინდეს მისგან“.⁴³ წმ. ნინომ აღასრულა მამის დამოძღვრა და ქრისტეს სიყვარულით აღსავსე სულით ექმნა ქართლს მოძღვრად, დედოფლად, „შესავედრობელ ყოველთა“. აღსანიშნავია, რომ წმ.ნინო სიკვდილის წინ მასთან მისულებს ასე მიმართავს: „ასულნო სარწმუნოვებისანო, მახლობელნო ღმრთისანო, დედოფლალნო ჩემნო“.⁴⁴

მარიამ მაგდალინელის, კეთილმორწმუნე დედების და წმ. ნინოს სახეთა ურთიერთმიმართების განმსაზღვრელია ფარავანის ტბაზე კაბადოკიელი ქალწულისათვის ღვთისაგან ბოძებული ათი სიტყვა (დეკალოგი), რომელიც „დაწერილი იყო ჰრომაელებრ და დაბეჭდული იყო იესუსი“.⁴⁵ ამ ათი სიტყვიდან – ერთი ლაზარეს დას, მარიამს, უკავშირდება; ხოლო მეშვიდე სიტყვა გვამცნობს უფლის სიყვარულს მარიამისადმი: „ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენნ მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტა“;⁴⁶ მეცხრე სიტყვაში კი იესოს მიმართვაა მარიამ მაგდალინელისადმი: „რქუა მარიამ მაგდალინელსა იესუ: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე ძმათა ჩემთა“.⁴⁷

ეს დეკალოგი წარმართულ ქართლში ქრისტიანობის „ნათლის გამოპრწყინვების“ მაუწყებელია, წმ. ნინოს მოციქულებრივი ღვანლის დამამოწმებელია. აქ წარმოდგენილი მცნებები განსაზღვრავს წმ. ნინოს მისიას; იგი ერთგვარი გზისმკვლევია მოციქულთა სწორის სახე-ხატისა. აქედან გამომდინარე, ზემომოხმობილი ორი სიტყვა წმ. ნინოს მიემართება, ვითარცა მარიამ მაგდალინელისა (რომელიც მოციქულთა სწორადაა მიჩნეული) და ლაზარეს დის, მარიამის, სულიერ დასა და მემკვიდრეს. სწორედ წმ. ნინო გამოარჩია უფალმა, რამეთუ მის სიყვარულსა და სიბრძნეს მიჰყვებოდა სიყრმიდანვე, წმ. ნინოს უნდა ეხარებინა ქართველთათვის „მიახლებად ღმრთისა“, რომ „გამოპრწყინდა ნათელი სამხრისა და მზე სიმართლისა“.

⁴³ მოქცევად ქართლისაა, გვ. 110 (ც).

⁴⁴ იქვე, გვ. 105 (ც).

⁴⁵ იქვე, გვ. 116 (ლ).

⁴⁶ იქვე, გვ. 117 (ლ).

⁴⁷ იქვე.

ნანა გონჯილაშვილი

თხზულებიდან ირკვევა, რომ წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა მისიას სიმბოლურად აგრძელებენ დედოფალი და „დედანი იგი მთავარნი“, რომლებიც არ განეშორებიან სვეტი-ცხოველსა და პატიოსან ჯვარს: „ხოლო დედოფალი და სხუანი იგი მთავარნი დედანი არასადა განეშორებოდეს ეკლესიასა სუეტისა მის ცხოველისასა და ნათლისასა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა და კურნებათა მიუთხრობელთა“.⁴⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ცხადი ხდება სიმბოლური მიმართება მარიამ მაგდალინელს, მართლმორწმუნე დედებსა და წმ. ნინოსა და ათორმეტ დედასთან დაკავშირებულ რეალიებთან. იქსოს ჯვარ-ცმის, მისი საფლავის, ანგელოზის ხილვის, მენელსაცხებლე დედების-გან უფლის აღდგომისა და გამოცხადების ხილვის, მათ მიმართ უფლის სიტყვა-მიმართვის, მონაფეთათვის ხარების ანარეკლი იხილვება უფლის კვართზე (საფლავზე) დაყრდნობილი სვეტი-ცხოვლის მოკვეთის, „ვერ-ალმართების“, საყოველთაო მწუხარების, კეთილმორწმუნე დედების ქმე-დებების, უფლის სიტყვის – ხილვა-ჩვენებების, ნათელმოსილი ჭაბუკის მოვლინების და წმ. ნინოსადმი სიტყვა-უწყების, სვეტის „აღდგომისა“ და სასწაულის ხარების ეპიზოდებში; პარადიგმული შინაარსი ამოკითხება მცხეთის, მეორე იერუსალიმის „სამოთხეში“, მაყვლოვანში აღსრულებულ სვეტიცხოვლის სასწაულსა და მასთან დაკავშირებულ სიმბოლოებში, სვეტიცხოვლის სახელდებაში.

სვეტიცხოვლის ტაძარი – „წმიდა წმიდათა“ – უფლის გამოცხადების ადგილი – სვეტიცხოვლის ტაძარს, როგორც მოსეს კარავსა და სოლომონის ტაძარს, „წმიდა წმიდათა“ ეწოდა, რადგან იგი ღვთის გამოცხადების ადგილი იყო – „.... ქუემოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდა წმიდათად“.⁴⁹ ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“ არაერთგზის განმარტავს სვეტიცხოვლის საზრისს ქართველთათვის: „.... პირმშოებად შენ შორის საცნაურ იქმნების მორწმუნეთა ერისაგან... ღმერთი მარადის შენ შორის მკვდრ არს, ვითარცა იწოდებიცა საყდარ ღუთისა და წმიდა წმიდათა, რომელი მხოლოდ ესოდენ უკუც უეჭუცლად ყოველთა მიერ კმა არს შესხმად და ქებად დიდებისა შენისა სანატრელისა, რაჟამს უკუც ღმერთი შენ შორის განსუცნებულობდეს, მიმადლებულო“.⁵⁰ უფლის კვართის

⁴⁸ მოქცევად ქართლისად, გვ. 152 (ჲ).

⁴⁹ იქვე, გვ. 160 (ც).

⁵⁰ ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი სვეტისა ცხოველისად, კუართისა

წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება

დაფლვის ადგილი, სვეტის აღმართვასთან დაკავშირებული სასწაულები ღმერთის გამოცხადების, მყოფობის მაჩვენებელად მოიაზრებოდა. „მოქცევად ქართლისა“ მრავალგზის აღნიშნავს სვეტისა და სვეტიცხოვლის საზრისს ქართლის გაქრისტიანების გზაზე, ვითარცა უდიდესი სიწმინდისა, ღვთის ძლევამოსილებისა და მადლის ცხადყოფას.⁵¹ თავად წმ. ნინო აღსასრულის წინ მასთან მისულ სალომე უქარმელს, პეროუავრ სივნიელს და მთავრებს უმბობს თავისი ცხოვრების შესახებ და ღვთის ერთ-ერთ სასწაულად სვეტის აღმართვას ასახელებს. გავიხსენოთ ისიც, რომ წმ. ნინო მირიანს წერილით აუწყებს სოჯი დედოფლის მცხეთაში მისვლის მიზეზს; ამ შემთხვევაშიც, სხვა სიწმინდეებთან ერთად, გამოკვეთილად სვეტიცხოვლის, სვეტისა და მაყვლოვანის ხილვა სახელდება: „დიდებითა სავსესა მას ტაძარსა ღმრთისასა... და ხილვად სუეტსა მას წმიდასა, რომელი მკლავმან ღმრთისამან აღილო და ცით ჩამო თვთ დაემყარა ხარისხსა ზედა“.⁵² ამ მიმართებით, საყურადღებოა ურიადყოფილი აბიათარ მღვდლის სარწმუნოების შეცვლის მიზეზი; იგი წმ. ნინოს კურნებებსა და ჯვართა აღმართვასთან ერთად სვეტის აღმართვის სასწაულსაც ასახელებს: „მისგან ვიხილენ საკურველებანი კურნებათანი და წიშნი საზარელნი და სასწაული საშინელნი ამის სუეტისა აღმართებასა...“⁵³ თხზულებაში აღნიშნულია, რომ სვეტი-ცხოვლისა და მაყვლოვანის სასწაულის დიდება გასცდა ქართლის საზღვრებს და ქრისტიანულ სამყაროს ეხარა – იერუსალიმში, რომსა და კონსტანტინეპოლში ყველამ იცოდა ქართლის მოქცევის ამბავი, „...ეუწყნეს საქმენი იგი და სასწაული სუეტისა მის და მაყულოვანისა მის საკვირველებანი“.⁵⁴

საყურადღებოა მირიან მეფის სიკვდილის წინ დაწერილი წიგნი, რომელშიც გამორჩეული ყურადღება ეთმობა ცხოველმყოფელ სვეტსა და სვეტიცხოველს. აქ მუღავნდება მეფის ცნობიერი დამოკიდებულება სვეტის აღმართვის სასწაულისადმი: „მე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა

საუფლოდი და კათოლიკე ეკლესიისა, გვ. 113.

⁵¹ სვეტიცხოვლის შინაარსისა და სახისმეტყველების შესახებ იხ. რ. სირაძის წიგნი – ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I (თბილისი, 1992); მისივე, კულტურა და სახისმეტყველება (თბილისი, 2008).

⁵² მოქცევად ქართლისა, გვ. 101 (ჲ).

⁵³ იქვე, გვ. 98 (ჲ).

⁵⁴ იქვე, გვ. 110 (ც).

ნანა გონჯილაშვილი

(წმ. ნინოს – ნ. გ.), რომელიც მასწავა და აღვაშენე ეკლესიად სალოცველად სამოთხესა მას მამათა ჩემთასა, და მას შინა სუეტი ესე ნათლისად, რომელიც მე ყოლად ვერ შეუძლე ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, ხოლო ღმერთმან მაღალმან მოავლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუეყნით ცად აღინია. და თვთ თუალნი თქუენი ხედვენ საშინელებასა მისა და მერმე კურნებათა მათ მისთა⁵⁵ სვეტიცხოვლის ეკლესიაზე საუბრისას იგი კვლავაც ცხოველმყოფელ სვეტზე ამახვილებს ყურადღებას: „და აღვაშენე ეკლესიად მაყულოვანსა მას შინა ნინოსსა, და ვქმენ მას შინა საქმეს, ქმნული უჩინოდ და ცხადი, დიდებად მაყულოვანთა მათ“.⁵⁶

ექვთიმე თაყაიშვილის „მოქცევად ქართლისაც“ რუსული თარგმანის შესაბამის ადგილას⁵⁷ მაყულოვანს უკავშირდება „უჩინო და ცხადი“ საქმე, რომელიც ამ ადგილს განადიდებდა. „უჩინო და ცხადი“ საქმის ქმნა, ჩვენი აზრით, მინიშნებაა სვეტის აღმართვის სასწაულზე, რომელიც უჩინოდ – ღვთაებრივი ძალით აღიმართა მათვის საჩინოდ – ცხადად. სვეტი-ცხოველი მეფისა და ერისაგან მოიაზრება ვითარცა „ძალი ღმრთისაც“ და შიში აქვთ ამ ღვთაებრივი სვეტის მიმართ: „რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა და ახედვიდა ყოველი კაცი მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა...“⁵⁸ იმდენად დიდია სვეტი-ცხოვლისადმი შიში და კრძალვა, ვითარცა ღვთის ძალის გამოხატულებისა, რომ მეფემ საკუთარი ცოდვების გამო ვერ გაბედა მის წინაშე მინის ამოკვეთა თავისი საფლავისათვის; მირიან მეფე ანდერძად უბარებს რევს, ფრთხილად იყოს, დაიმარხოს წმ. ნინოს მცნებანი და ურჩევს: „და თავი შენი შეჰვედრე სუეტსა მას ზეგარდამო დიდებულსა და ჯუარსა პატიოსანსა...“⁵⁹

პ. კეკელიძე „მოქცევად ქართლისაც“ წყაროების კვლევისას ნაძვის მოკვეთისა და მის სვეტად შემზადების ეპიზოდთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აქ გამოყენებულია საქრისტიანო მწერლობაში ფართოდ

⁵⁵ მოქცევად ქართლისაც, გვ. 161 (ც).

⁵⁶ იქვე, გვ. 159 (ც).

⁵⁷ ე. თაყაიშვილი, ქართულ მატიანეთა წყაროები, სამი ქრონიკა (ტფილი-სი, 1900).

⁵⁸ მოქცევად ქართლისაც, გვ. 160 (ც).

⁵⁹ იქვე, გვ. 163 (ლ).

წმ. ნინოსა და ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება

გამოყენებული აპოკრიფი – დავითს რჯულის კიდობანი იერუსალიმში როცა მიჰქონდა, ლიბანის მთიდან მოტანილი სამი მორჩი ეპყრა ხელთ: საროსი, ფიჭვისა და ნაძვისა. დავითმა ისინი ერთ ადგილას დარგო „და საღმრთოთა წამისყოფითა ერთად შეერთნეს და აღიზარდეს და იქმნეს ხე მაღალ და შუენიერ“. სოლომონის ტაძარის მშენებლობისას, მისთვის მოკვეთეს ეს ხე, ღვთის განგებით ის ტაძრისათვის ვერ გამოიყენებიათ. შემდგომში ამ მოკვეთილ ხეზე ჯვარს აცვეს უფალი. კ.კეკელიძის აზრით, „მცხეთის ნაძვს, რომელიც აგიოგრაფის ცნობით ლიბანიდან ყოფილა მოტანილი, ქრისტეს ჯვრად ვერ გამოიყენებდნენ. მას დარჩა ის დანიშნულება, რომელიც ჰქონდა სოლომონის ტაძარში ლიბანიდან მოტანილ დავითის ხეს: მცხეთის ტაძრის მთავარ ბურჯად იქცა“.⁶⁰

რ. სირაძის აზრით, სვეტი-ცხოველსა და სვეტიცხოვლის ტაძარს სიმბოლურად უკავშირდება მამა ღმერთი, წმინდა სამება, კვართი უფლისა და აღდგომის იდეა, ღვთისმშობელი, 12 მოციქული და წმ. ნინო, რომლის ლოცვის წყალობითაც აღიმართა სვეტიცხოველი და რომელიც იყო ჩვენი „ახალი მოციქული“.⁶¹

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, ცხადი ხდება სვეტიცხოვლის სახელდების – „წმიდა წმიდათავ“ – საზრისი და მისი მნიშვნელობა ქართველთათვის. იგი ღვთის გამოცხადების ადგილია და მასში სვეტიცხოველის აღმართების სასწაული დედაბოძადაა „ზეცად აღწევნული“. ამ მიმართებით საინტერესოა ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში“ სვეტისა და სვეტიცხოვლის სახისმეტყველებითი გააზრება: „გიხაროდენ შო! ეკლესია წმიდაო, რომელსა შიგან საშოსა გიპყრიეს ძუძუდ სუცტი წმიდა ნათლისა მანოვნებელი არა ვიდრემე სძესა, არამედ მირონსა წმიდასა, უკუდავმყოფელსა სულთასა, რომელიცა უშურველად უწყარობს ნეკტარსა მას უკუდავებისასა მაგემებელსა ყოველთა ქრისტე შემოსილთა ერთა სულებისასა“.⁶²

ამდენად, გასაკუირი არაა, „მეორედ იერისალტმად“ მოაზრებულ მცხეთაში, „სამოთხის“ მაყვლოვანში აგებული ღვთის სახლი, სვეტიცხო-

⁶⁰ კ. კეკელიძე, ეტიუდები, I (თბილისი, 1956), გვ. 72.

⁶¹ რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I (თბილისი, 1992), გვ. 119.

⁶² ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი სვეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოდი და კათოლიკე ეკლესიისათვის, გვ. 115.

ნანა გონჯილაშვილი

ველი თავისი სიწმინდეებით – უფლის კვართის საფლავითა და მასზე დაყრდნობილი ცხოველმყოფელი ნათლის სვეტით – მოსეს კარვის, რჯულის კიდობინია და სოლომონის ტაძრის ანალოგით „წმიდა წმიდათავს“ სახელს რომ ატარებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მოქცევად ქართლისავს“ ფაბულა ერთიანი არაა. თხზულების გამოწვლილვით შესწავლა წარმოაჩენს, რომ ესა თუ ის მონაკვეთი (დამოუკიდებელ ფუნქციურ დატვირთვასთან ერთად) საფუძველს უმზადებს მომდენო ეპიზოდებს და სიმბოლური საზრისის ამოცნობის საშუალებას იძლევა. ამგვარი სააზროვნო სისტემის ძირითად ბირთვს და დამაკავშირებელ რგოლს ბიბლიური პარადიგმები წარმოადგენს.

„ბიბლიური ხატები და სიმბოლოები განსაზღრავს ძველი ქართველი ავტორების მხატვრულ აზროვნებას, ბიბლიური ეთოსი კვებავს მის სულიერებას, ბიბლიური პიროვნებები და მოვლენები ცოცხლობენ მის ხილვებში“, – აღნიშნავს ზ. კიკნაძე.⁶³

ავტორთა მიერ თხრობის ამ მიმართებით წარმართვას გარკვეული მიზანი აქვს – ქართლის მოქცევა ბიბლიურ აბებს დაუკავშირდეს და ისტორიული სინამდვილის საფუძველზე მისი ერთგვარი ანალოგი და მოდელი შეიქმნას, პარადიგმული სახისმეტყველების განმსაზღვრელი. ამ სისტემაშია მოქცეული წმ. ნინოსა და დედათა სიმბოლური მიმართება მარიამ მაგდალინიელსა და მართლმორწმუნე ქალებთან, სვეტიცხოვლის „ვერ აღმართების“, აღმართვისა და თავის „ხარისხზე“ დამყარების სასწაულის დაკავშირება აღდგომის, გამოცხადებისა და ხარების ეპიზოდებთან, „მეორედ იერუსალემია“ მოაზრებულ მცხეთაში მოსეს კარვისა და სოლომონის ტაძრის ანალოგით სვეტიცხოვლის „წმიდა წმიდათათ“ სახელდება; ცხოველმყოფელი სვეტისა და სვეტიცხოვლის, ვითარცა უფლის გამოცხადების ადგილად მიჩნევას კი ამოწმებს „მოქცევად ქართლისავს“ არაერთი ეპიზოდი.

ყოველივე ზემოალნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელოვნების, შინაარსის შემცველია „წმ.ნინოს ცხოვრების“ ტექსტი, პარადიგმული სახისმეტყველებისა და განსახოვნებათა ამოუწურავი საუნჯე, ინტერტექსტუალიზმით გასააზრებელი.

⁶³ ზ. კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე (თბილისი, 1989), გვ. 7.

ბიბლიოგრაფია

References

- Nikoloz Gulaberisdze, *Reading on the Life-Giving Pillar, the Lord's Tunic, and the General Church*, in: *The Paradise of Georgia*, edited by M. Sa-binin (Petersburg, 1882) (in Georgian).
- K. Kekelidze, *Studies on the History of Old Georgian Literature*, vol. I (Tbilisi, 1956) (in Georgian).
- Z. Kiknadze, *Conversations about the Bible* (Tbilisi, 1989) (in Georgian).
- S. Metreveli, *Iconographic Metaphorical System of Georgian Hagiography* (Tbilisi, 2008) (in Georgian).
- Moktsevai Kartlisai ("The Conversion of Kartli"), in: *Monuments of Old Georgian Hagiographic Literature*, I, edited by I. Abuladze (Tbilisi, 1963) (in Georgian).
- L. Pataridze, *Cristianization of Kartli*, in: *Religia*, No 3 (Tbilisi, 1992) (in Georgian).
- R. Siradze, *Georgian Hagiography* (Tbilisi, 1987) (in Georgian).
- R. Siradze, *Christian Culture and Georgian Literature*, I (Tbilisi, 1992) (in Georgian).
- R. Siradze, "The Life of Saint Nino" and the Beginning of Georgian Hagiography (Tbilisi, 1997) (in Georgian).
- R. Siradze, *Culture and Metaphorical system* (Tbilisi, 2008) (in Georgian).
- E. Taqaishvili, *Sources of Georgian Annals, Three Chronicles* (Tiflis, 1900) (in Russian).

Nana Gonjilashvili

Symbolic Attitude of St. Nino and Twelve Maids towards the Women Anointing Oil

"Moktsevai Kartlisai" (which is translated into Georgian as "Conversion to Christianity of the Kartli region") is the major source revealing St. Nino's image. In this literary work, at different stages of narration, similes, comparisons and paradigmatic images of St. Nino's life and deeds are revealed.

The work touches upon one of the problems concerning St. Nino's his-

torical and cultural image – that of her relationship with Mary Magdalene and the women with anointing oils. For this purpose, this work reveals the major episodes and events building up St. Nino's cultural and historical image. The textual analysis reveals the following ideas and features of St. Nino's image: Queen and Mother, equal to the Disciples, announcer, the Grail for Christening, pure and attractive, educator, light and giver of light, angel from heaven, preacher, priest, daughter of Armaz or Zaden, healer of the sick, "hostage", and "the liberator of the hostages", liberator, knowing the hidden, the one who brings "new life" and "new times", pure and blessed by God.

In order to perceive the verbal image of St. Nino, it is important to study the visions shown in the work. This article studies the event of the "non-erection" of two pillars made from a fir tree which had been cut down in order to make a foundation for a church. The episode involving St. Nino and twelve maids is also studied.

The fact that St. Nino and twelve maids stayed in the field of blackberries arguably has a symbolic value. It suggests remembrance of Christ and the twelve disciples.

This impression is made more vivid by the fact that St. Nino "interprets" the visions she had had to the twelve women in a proverbial, metaphoric way using the fact that the church, or "God's house", is built on the name of twelve disciples. Nevertheless, this episode can still be interpreted in a number of ways.

A thorough study of the episode, arguably, testifies the symbolic connection between the events connected with St. Nino, the twelve maids and the women anointing oil. According to the Gospels, Mary Magdalene and other faithful women were present at the crucifixion of Christ. On the first day of the week they went up to his grave with anointing oil. They (according to Apostle John, only Mary Magdalene) saw the angel of the God (according to Mark – a boy, Luke – two men, John and two angels) and were announced to the rising of the crucified God. They were the first to see (according to John – only Mary Magdalene) the risen Lord and told his disciples about this glorious event. From the events connected with the erection of "a life-giving pillar" in "St. Nino's life", though not being an exact analogy of the above-mentioned episodes from the Gospels, it is still possible to find common symbolic facts. Like Mary Magdalene and the women anointing oil, St. Nino and

twelve maids stay at the pillar which was not erected. Like Mary Magdalene who was standing at the grave weeping (John, XX:11). St Nino wept and shed tears on the pillar (f. 139); the life-giving pillar is at the place where God's robe was buried, thus symbolically this implies God's grave and God's rising.

Like the women anointing oil, only the virgin from Cappadocia and her accompanying women announced the word of God (two visions) and were sent the miracle - the pillar was approached by a boy enveloped in light (compare the vision of the angel of God seen by Mary Magdalene). Christ addressed Mary Magdalene after he had risen; similarly the boy bathed in light said three words to St. Nino and erected the life-giving pillar. This action implies the idea of rising from the dead. Similarly to Mary Magdalene and the women anointing oil, St. Nino and twelve women also had the mission to announce to King Mirian and the nation the miracle of the life-giving pillar. The mission of St. Nino and twelve women as enunciators is made visible by several episodes. Specifically, before departing for Kartli, Nino was blessed by the Patriarch of Joben and given the right to act as an enunciator of the rise of God to the Georgians. St. Nino was blessed by her father Zabulon which can be considered analogous to the episode of Mary Magdalene and the sisters of Lazarus. From ten speeches (words) from God (Decalogue) to the virgin from Cappadocia, one was connected to the sister of Lazarus (Mary), the seventh speech shows God's love towards Mary. In the ninth speech Jesus addresses Mary Magdalene (who is on a par with the Disciples) to annunciate his rise from the dead to his pupils. The concepts revealed in the Decalogue define the mission of St. Nino. St. Nino is shown as the spiritual sister and heiress of Mary Magdalene and Lazarus' sister - Miriam.

The symbolic connection between Mary Magdalene and faithful women, on the one hand, and St. Nino and twelve mothers, on the other, is implied by the name of Svetitskhoveli ("life-giving pillar") - "the holy of holies" - analogous to the temple of Solomon, Moses' tent and the place of the rising of God. The place where God's robe was buried and miracles connected with the erection of the pillar were looked at as God's appearance and His being there. "Conversion to Christianity of the Kartli region" mentions the importance of the life-giving pillar in the process of establishing Christianity in Georgia, which is looked at as the embodiment of holiness and omnipotence of God. This is once again confirmed by Nikoloz Gulaberisdze in his "Sermon".

ნანა გონჯილაშვილი

Thus, on the basis of the above-mentioned, we find it possible to argue that pointing the narration in this direction, the authors of "Moktsevai Kartlisai" serve a definite goal –to connect the conversion of Georgia to Christianity to Biblical events and to the creation of a model and analogue defining the paradigmatic stylistics of the work.

კახაბერ ლორია

კნუტ ჰამსუნის ერთი პიესის ინტერპრეტაციისათვის ქართულ და დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში

კნუტ ჰამსუნი ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპულ ლიტერატურაში. ჰამსუნის შემოქმედება საყოველთაოდაა ალიარებული ახალი სკანდინავიური ლიტერატურის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მიღწევად და მის ავტორს ხშირად, სრულიად დამსახურებულად, ნორვეგიელ დოსტოევსკისაც კი უწინდებენ. კნუტ ჰამსუნი მრავალმხრივი მწერალია როგორც სტილისტური, ისე უანრობრივი თვალსაზრისით: მის კალამს არაერთი მოთხოვნა, რომანი, ლექსი, ნარკვევი თუ დრამატურგიული ნაწარმოები ეკუთვნის. ამ უკანასკნელთა შორისაა „დედოფალი თამარ“ – სამმოქმედებანი პიესა, რომელიც ქართულ ისტორიულ რეალიებს ეხება და რომელიც პირველად 1904 წელს დაიდგა ქრისტიანიას (ოსლოს იმდროინდელი სახელია) ნაციონალური თეატრის სცენაზე.

მანამდე, 1899 წელს, გენიალურმა ნორვეგიელმა მწერალმა თავად იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიაში პირველ მეუღლესთან – სილამაზითა და სიმდიდრით განთქმულ ბერგლიოზ ბეკთან ერთად. მოგზაურობამ ჰამსუნზე წარუშლელი კვალი დატოვა: „...ამაზე დიდსა და ლამაზ ზლაპარს მე ანი ვეღარასდროს განვიცდი. განსაკუთრებით მოგზაურობა მთებში ვლადიკავკაზიდან თბილისამდე... ეს სულ სხვა პლანეტაა, უფრო ლამაზი ადამიანები, უფრო წითელი ღვინო, უფრო მაღალი მთები. და ყაზბეგის ირგვლივ კი, მე მგონია, მთელი წლის განმავლობაში ღმერთი ბინადრობს...“¹, – წერდა ჰამსუნი 1900 წლის დეკემბერში თავის მეგობარს, ცნობილი ორიენტალისტის, პროფესორ ბრედ ქრისტენსენის დას – დაგნი ქრისტენსენს. იგივე განწყობა ჩანს ჰამსუნის წერილშიც ფინელ მეგობარ და ნიგნის კომერსანტ ვენცელ ჰაგელსტამისადმი: „და მერე კავკასია! ჩემს ყველაზე გაბედულ ფანტაზიაშიც კი ვერ წარმოვიდგენ-

¹ Knut Hamsuns brev 1896-1907, vol. 2, Ed. H. Naess (Oslo, 1995), S. 165.

კახაბერ ლორია

დი ასეთ აღმატებულ რამეს. იგი ზოგჯერ ჩემზე ისე მოქმედებდა, რომ ტირილს ვიწყებდი“.²

მოგზაურობის დროს დიდი მწერალი ანარმოებდა დღიურს, ინტერე-სით აკვირდებოდა ხალხს და ბუნებას, არკვევდა სხვადასხვა ისტორიულ დეტალებს. შედეგად, ჰამსუნმა შექმნა ორი მეტად საინტერესო ნაწარმო-ები, რომლებიც ზედიზედ გამოვიდა 1903 წელს. პირველი იყო საკუთრივ მოგზაურობის ქარგაზე აგებული მეტად ორიგინალური წიგნი „ზღაპრულ ქვეყანაში“, მეორე კი – „დედოფალი თამარ“.

„დედოფალი თამარ“ რომანტიკული პიესაა ძალზედ ბევრი აღმოსავ-ლური ბრწყინვალებითა და პოეზიით, ³ – ასე უპრეტენზიოდ აფასებს მამის ნალვანს ტურე ჰამსუნი. რაც შეეხება თავად კიუტ ჰამსუნს, იგი, საზოგადოდ, საკმაოდ მოკრძალებითა და ერთგვარი ირონიითაც კი უყუ-რებდა თავის, როგორც დრამატურგის, საქმიანობას. ერთ-ერთ ამერი-კელთან ინტერვიუში, რომელიც 1918 წელს ნორვეგიულ გაზით „ვერდენს განგში“ გამოქვეყნდა, კ. ჰამსუნს უთქვამს: „დრამებს არასოდეს დავწერ-დი, ფული რომ არ მჭირდებოდეს, მაგრამ ჰამსუნი დადგმისათვის, რომელსაც ნარმატება ხვდა ნილად, შეიძლება საკმაოდ ნამაქეზებლად მოქმედებდესო“. ⁴ არის აზრი, რომლის მიხედვითაც ის ფაქტი, რომ ჰამ-სუნმა „დედოფალი თამარ“ იმ წლებში დაწერა, როცა მას დიდი ფინან-სური პრობლემები ჰქონდა, შეიძლება არც ისე შემთხვევითი იყოს. დიდი მწერლის ვაჟი ტურე ჰამსუნი თავის მხრივ აღნიშნავს: „დიდი თანხა, რო-მელიც ახლა ცოლისგან ვალად დაედო (ბელგიასა და ნიდერლანდებში მოგზაურობისას 1902 წელს ჰამსუნმა სერიოზული თანხა წააგო აზარ-ტულ თამაშებში – კ.ლ.), მას მძიმე ტვირთად აწვებოდა... მან გაყიდა თავისი ძვირფასი ნივთები, ოქროს მაჯის საათიც კი დააგირავა და, რათა კვლავ ფეხზე დამდგარიყო, შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობდა. შე-დეგად 1903 წელს მთელი სამი წიგნი გამოუშვა: მოგზაურობის აღწერა კავკასიიდან – „ზღაპრულ ქვეყანაში“, „დედოფალი თამარ“ და ნოველა-

² Knut Hamsuns brev 1896-1907, vol. 2, Ed. H. Naess (Oslo, 1995), S. 138-139.

³ Even Arntzen, *Se, Natten er livet og kvinden dets haersker. En intertekstuell analyse av Knut Hamsuns dramatikk* (Universitetet i Tromsøe, 1988), S. 117.

⁴ Amy Van Marken, Hamsuns Dronning Tamara – Et matematisk bevis? *Proceedings of the Fifth International Study Conference on Scandinavian Literature* (University College London, 6-10 July 1964), S. 28.

თა კრებული „კრატსკუგ (ბუჩქოვანი ტყე)“. ამან გადაატანინა ყველაზე უარესი⁵. სხვათა შორის ის, რომ შეიძლება გარკვეული მსგავსების დანახვა ჰამსუნის იმუამინდელ მდგომარობასა და პიესაში თამარის მეუღლის მტკივნეულ “დამოკიდებულებით ურთიერთობას” შორის დედოფლის მიმართ, სრულიად აშკარაა ზოგიერთი მკვლევრისათვის.⁶

თავად ჰამსუნი იმთავითვე იყო დარწმუნებული პიესის წარმატებაში: „დარწმუნებული ვარ „თამარი“ ლამაზ წარმატებასა და საკმაოდ შილინგს მოიტანს,“ – უზიარებდა თავის იპტიმიზმს იგი მეუღლეს ერთ-ერთ წერილში. ამ განწყობას საფუძველიც ჰქონდა: ჰამსუნის წერილებიდან ირკვევა, რომ ქრისტიანიას სამეფო თეატრის შეფს, დანეშკოლდ სამსოეს ძალიან მოსწონებია პიესა და ალუნიშნავს, მასში არაერთი შესანიშნავი სცენა არისო.⁷ როგორც ჩანს, ასევე ძალზედ იმედიანად იყო განწყობილი პიესის მომავალი დამდგმელი რეჟისორიც – ბიორნ ბიორნსონიც (გენიალური ნორვეგიელი პოეტის ბიორნსტიერნე ბიორნსონის შვილი). ამის თაობაზე გერმანელ გამომცემელსა და პირად მეგობარს ალბერტ ლანგენს ჰამსუნი წერს: „ბიორნ ბიორნსონი დარწმუნებულია „თამარის“ დიდ წარმატებაში და ის ხომ გამოცდილი თეატრმცოდნეაო“.⁸

და მართლაც, იმუამად თორმეტჯერ ითამაშეს ქრისტიანიას სცენაზე „დედოფლი თამარ“, რაც, ერთი შეხედვით, მაშინდელი ნორვეგიული სინამდვილისათვის ცოტა სულაც არ იყო. თუმცა თავად ჰამსუნი მაინც უკმაყოფილო დარჩა წარმოდგენით... „აქ ქრისტიანიაში პიესა ძალზედ მოქარბებული ოქროთი და ბრწყინვალებით იდგმება, ძალზედ ბევრი დოლის რტყმევითა და კომერციით; ყველაფერი ხმაურში ჩაიძირა... „თამარი“ სულაც არ უნდა იდგმებოდეს ასე ბევრი აღჭურვილობით, ეს შეცდომაა. მაგრამ აქ ქრისტიანიაში ვერ შევძელი ეს შემეჩერებინა. ბიორნ ბიორნსონს სხვა არაფრის სწამს გარდა აღჭურვილობისა და ხმაურისა“,⁹ – წერდა ჰამსუნი. უფრო მეტიც, არცთუ აღფრთოვანებული და ცოტათი განბილებულიც კი ბიორნსონის დადგმით, ჰამსუნი იმავე ვენცელ ჰა-

⁵ Tore Hamsun, *Knut Hamsun* (Oslo, 1959), S. 164.

⁶ Amy Van Marken, Hamsuns Dronning Tamara – Et matematisk bevis? გვ. 27.

⁷ Knut Hamsuns brev 1896-1907, II, გვ. 236.

⁸ იქვე, გვ. 246.

⁹ იქვე, გვ. 256.

კახაბერ ლორია

გელსტამისადმი წერილში „იმუქრებოდა“: „თავად ჩამოვალ (სტოკჰოლმში) და პიესას თავადვე დავდგამ. თან წარმატების გარანტიასაც ვიძლევიო“¹⁰ – ასე მტკიცნეულად განიცდიდა გენიალური მწერალი „თამარის“ ბედს. 1920 წელს, მას შემდეგ, რაც კუნტ ჰამსუნს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა, პიესისადმი – „დედოფალი თამარ“ – ინტერესი კვლავ განახლდა, განსაკუთრებით გერმანიაში – სამი ათეული წლის განმავლობაში პიესა გასაოცარი სისწრაფით იდგმებოდა გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში: დარმშტადში (1920), მიუნხენში (1923), ბერლინში (1923), კიოლნში (1924), დრეზდენში (1929), ესსენში (1937), ჰამბურგში (1939), ჰანოვერში (1939), დარმშტადში (1940), ნეუსსში (1951)...¹¹

უნდა აღინიშნოს, რომ, მთლიანობაში, ჰამსუნის ამ ნაწარმოებს საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰქონდა და დღესაც აქვს როგორც ჩვენში, ისე სკანდინავიასა და საზოგადოდ დასავლეთში. წინააღმდეგობრივი და ზოგჯერ არც მთლად ობიექტურია (შეგნებულად ვარიდებ თავს შეიძლება უფრო შესაფერისი, მაგრამ უხერხული სიტყვების გამოყენებას) ჰამსუნის „კავკასიური თხზულებების“ შეფასება ზოგიერთი ქართველი ლიტერატორისა და პუბლიცისტის მხრიდან. მართალია, ზემოხსენებულის მხრივ „გამორჩეულ“ მდგომარეობაში „ზღაპრულ ქვეყანაში“ აღმოჩნდა, რომელიც არაერთი უცნაური განსჯისა და კომენტარის ობიექტი შეიქნა, მაგრამ ამ მხრივ არც ჰამსუნის პიესას დაჰკულებია ხელი. „ზღაპრულთან“ მიმართებაში უდავოდ „აღსანიშნავია“ ნოდარ კაკაბაძისა და ნოდარ რუხაძის შეფასება ამ, ჩემი ღრმა რწმენით, უბრწყინვალესი ლიტერატურული თხზულებისა, რომელსაც, სხვათა შორის, ჰამსუნი, სრული კატეგორიულობით, თავის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად მიიჩნევდა: „ამ წიგნში მრავალი შეცდომა და კურიოზია, და, საერთოდაც, წიგნი მცდარი პოზიციიდანაა (!!!–კ.ლ.) დაწერილი. მწერალს ჩვენში ყოფილისას გარს გაუნათლებელი და გაურკვეველი ეროვნების ხალხი ეხვია; და რა გასაკვირია, რომ უცხოელი მწერალი ვერ გაერკვა საქართველოში ამ დროს შექმნილ სიტუაციაში“.¹² რაც შექება ჰამსუნის პიესას, ქარ-

¹⁰ Knut Hamsuns brev 1896-1907, II, გვ. 257.

¹¹ ო. ულენტი, წინათქმა „დედოფალი თამარის“ თარგმანისა, კ. ჰამსუნი, განცდილი და ნაოცნებარი კავკასიაში (თბილისი, 2006), გვ. 201.

¹² ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე, კუნტ ჰამსუნი და საქართველო, ლიტერატურული საქართველო, 12 თებერვალი, 1971.

კნუტ ჰამსუნის ერთი პიესის ინტერპრეტაციისათვის

თველთა მხრიდან კრიტიკა მას თავს ჯერ კიდევ 1904 წელს დაატყობინა, როცა „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა ცნობილი პუბლიცისტისა და ლიტერატორის, ფ. გოგიჩაიშვილის შესაბამისი რეცენზია. აი, რამდენიმე ამონარიდი ამ პუბლიკაციიდან: „მორიდება, თავდაჭერილობა, სიმშვიდე, დარბასისლური სიტყვა-პასუხი – ყველა ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი ყოფილა ქართველი ქალისა ძველად, ეტყობა, ჩვენს ავტორს სრულიად არ სცოდნია“; „საზოგადოდ, ქართველის შინაგანი ბუნება, სულიერი ბეჭედი და თავისებურება გამოუცნობი და გაუგებარი დარჩენილა ნორვეგიელი მწერლისათვის“; „მწერალი სცდება და ძველ ქართველების ფსიქოლოგიას ენინააღმდეგება“; „.... ნაწარმოებში თამარი ბოლოს და ბოლოს უფრო წვრილმანი ჟინის პატრონი და ხასიათით სუსტი ადამიანი გამოდის, ვიდრე სულით მტკიცე და ენერგიით ძლიერი“; „დასანანია, ნორვეგიელ მწერალს ჰქონდა აქ შემთხვევა ერთი მეტად საინტერესო პირის ფსიქოლოგია გაერკვია და სულიერი მდგომარეობა ხელოვნურად დაესურათებინა“; „ერთის სიტყვით, ჰამსუნის პიესა საკმაოდ სუსტი ნაწარმოებია. ეტყობა, ავტორს მის დასაწერად დიდხანს არ უმუშავინია და ისეთი ფაბრიკული რეცეპტით გამოუცხვია, როგორადაც ევროპაში ყოველ წლივ არა ერთი და ორი მდარე დრამა ცხვება“.¹³

კაცმა რომ თქვას, თითქმის ასევე „შეუვალია“ აკაკი განერელიაც: „.... „დედოფალი თამარი“ არ შეიძლება კარგ ისტორიულ პიესად ჩაითვალოს, იგი უფრო თავისუფალი სტილიზაციაა ისტორიულ თემაზე. იმის გამო, რომ კნუტ ჰამსუნი საქართველოში სრულიად ინკოგნიტოდ იმყოფებოდა, ჩანს იგი თამარზე ზეპირ და ყურმოკრულ ცნობებს დაყრდნობია“.¹⁴ ჰამსუნის პიესა აღფრთოვანებით, „ბუნებრივია“, არც ნ. კაკაბაძისა და ნ. რუხაძის აქ ერთხელ უკვე ციტირებულ წერილშია მოსენიებული.

არცთუ დიდი ხნის წინ, როცა გავბედე დიდი ნორვეგიელის „ზღაპრულ მოგზაურობას“ ლიტერატურულად „გამოვსარჩლებოდი“, თავს უფლება მივეცი, არ შევპუებოდი ავტორიტეტებს და მიკიბ-მოკიბვის გარეშე მეთქვა ჩემი აზრი: „შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ გულწრფე-

¹³ ფ. გოგიჩაიშვილი, ნორვეგიული პიესა ქართველთა ცხოვრებიდან, ცნობის ფურცელი, 27 იანვარი, 1904.

¹⁴ აკ. განერელია, კნუტ ჰამსუნი და საქართველო, სახალხო განათლება, 25 იანვარი, 1989.

ლი პატრიოტული სუბიექტივიზმის გარდა, რომლის გამოც ქართველი ლიტერატორები ჰამსუნისაგან დოკუმენტური რეალობის აღწერას მოითხოვენ თუ მოელიან, დიდი ნორვეგიელის ზემოხსენებულ ნანარმოებზე („ზღაპრულ ქვეყანაში“) მსჯელობისას მათ უბრალოდ არც სახელოვანი მნერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კომპლექსური ცოდნა ჰყოფნით, რაც, შესაბამისად, ზოგჯერ საკმაოდ საეჭვო დასკვნებსაც განაპირობებს“.¹⁵ მეტ-ნაკლებად იგივე უნდა ითქვას „დედოფალ თამარზეც“, თუმცა, საბედნიეროდ, არის გამონაკლისებიც: ქართულ ენაზე ამ პიესის ორივე თარგმანს წინ უძღვის, შესაბამისად, აკაკი გელოვანისა და ოლიკო უდენტის ზომიერი და საკმაოდ ობიექტური წინათქმები.

მაშინ, როცა ქართველი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნები ჰამსუნის დრამაში, უმეტესწილად მაინც, დოკუმენტურ-ისტორიული სინამდვილის ასახვას მოითხოვენ და, არსებითად, მხოლოდ ის აინტერესებთ (ფ. გოგიჩაშვილის სიტყვები რომ გამოვიყენოთ), თუ „რამდენად არის მასში დაცული ისტორიული სიმართლე, რამდენად ეთანხმება და შეეფერება ეს „ქართველთა ცხოვრებიდან“ აღებული პიესა ქართულ ხასიათსა და ზნე-ჩეულებას? რამდენად ჰქონის „თამარი“ ნამდვილ თამარს, საქართველოს დიდებულ მეფეს?“¹⁶ და ა. შ., არაერთი სკანდინავიელი თუ დასავლელი ლიტერატორი, ჩემი აზრით, ძირითადად სამართლიანად, ამ პიესაში სხვადასხვა მასშტაბისა და ხასიათის „ფარული სათქმელის“ ამოკითხვას ცდილობს. ამ მხრივ, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურია ნიჭიერებით გამორჩეული ნორვეგიელი მკვლევარი ტრიგვე ბროტტოი, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში გააანალიზა ჰამსუნის შემოქმედება ფრონტისა და ადლერის თეორიათა ფონზე. ამ უაღრესად ორიგინალურ და ჰამსუნოლოგიაში, გარკვეულწილად, საეტაპო გამოკვლევაში ტრიგვე ბროტტოი, სხვათა შორის, ეძებს იმის ახსნასაც, თუ რატომ „წერს ჰამსუნი თავის საუკეთესო წლებში ისეთ პიესას და ისეთ მისგან შორსმდგარ თემაზე, როგორიცაა

¹⁵ კ. ლორია, ფაქტობრივი რეალობა და მხატვრული მისტიფიკაცია ჰამსუნის „ზღაპრულ ქვეყანაში“, ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები, / საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები (თბილისი, 2007), გვ. 165.

¹⁶ ფ. გოგიჩაშვილი, ნორვეგიული პიესა ქართველთა ცხოვრებიდან, ცნობის ფურცელი, 27 იანვარი, 1904.

პრინც გიორგის (ასე ჰქვია პიესაში ჰერსონაუს, რომელიც უეჭველად და-
ვით სოსლანის ისტორიული ფიგურის მიხედვითაა შექმნილი – კ. ლ.), დე-
დოფალი თამარის და (ქართველების) ბრძოლა ურნმუნოთა წინააღმდეგ.
მაშინ, როცა იგი სხვა დროს პრაქტიკულად ყოველთვის წერდა იმ გარე-
მოზე, რომელსაც თავად უშუალოდ იცნობდა¹⁷.¹⁷ ბროტტოო „ადვილად“
პოულობს ახსნას: „ზღაპრულ ქვეყანაში მოგზაურობისას ჰამსუნმა ისე-
თი გარემო იპოვა, რომელიც იმდენად შორეული იყო, რომ შეიძლებოდა
მისი სამალავ ადგილად გამოყენება „დედოფალი თამარის“ სიმბოლური
შინაარსისათვის¹⁸.¹⁸ მკვლევარი ჰამსუნის დრამაში ოდიპოსის კომპლექ-
სის გამოვლინებას ხედავს და თავისი შეხედულების დასადასტურებლად,
შესაბამისი მეთოდოლოგიის მომარჯვებით, ნაწარმოების გამოწვლილვით
ანალიზსაც ეწევა. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ „დე-
დოფალი თამარის“ ამ შესანიშნავი ლიტერატორისეულ წაკითხვას ბევრი
სკეპტიკურად უდგება და ზოგიც უბრალოდ (არც მეტი და არც წაკლები)
გაუგებრობად აფასებს, მაგრამ ამავე დროს არსებობს ამ წაკითხვის სრუ-
ლიად დაუვინცარი შეფასებაც, რომელიც სახელგანთქმულ ნორვეგიელ
მწერალს სიგურდ ჰეულს ეკუთვნის: „ძალზედ იშვიათია, რომ ლიტერატუ-
რის კრიტიკოსმა შეძლოს, ასე რომ ვთქვათ, მათემატიკური მტკიცებუ-
ლების დადება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სახეზეა¹⁹.¹⁹ მიუხედავად იმისა,
რომ გარკვეულწილად ვაღიარებ ბროტტოოს ანალიზის პრობლემურობას,
მაინც ძალზედ ნიშანდობლივად მეჩვენება, რომ მკვლევარი ამ პიესაში
„სიმბოლურ შინაარსს“ ეძიებს და არა, ვთქვათ, რაიმე ისტორიულ მოვ-
ლენათა დოკუმენტურ ან თუნდაც რეალისტურ ასახვას.

პიესაში რომ მხოლოდ ემპირიული პლანი არ არის, კაცმა რომ თქვას,
თავად ჰამსუნიც გვკარნახობს. ამ თვალსაზრისით „დედოფალი თამა-
რის“ სრულფასოვანი გააზრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვნად ისევ
ჰამსუნის ერთ-ერთი წერილიდან ამონარიდი მიმაჩინა: „ვაპირებ პატარა
ლექსი დავწერო წიგნის დასაწყისში განსათავსებლად. მას მანდრაგო-
რას ყვავილი ერქმევა. ის თითქოს განმარტავს პიესის არსა: რომ საქმე
წყეულ სიყვარულის მცენარეს ეხება... მაგრამ ლექსი მხოლოდ წიგნში

¹⁷ Trygve Braatoy, *Livets cirkel: Bidrag til analyse av Knut Hamsuns diktning* (Oslo, 1954), S. 44.

¹⁸ იქვე, გვ. 226.

¹⁹ იქვე, გვ. 6 (წინათქმა წიგნის 1954 წლის გამოცემისათვის).

იქნება. სცენაზე ის არ გახმოვანდება“,²⁰ – წერდა ჰამსუნი მეუღლეს. აი, ამ ლექსის აკაკი გელოვანისეული თარგმანიც:

„ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იზრდება მთის ფერდობზე ეს ყვავილი პატარა, მთვარის შუქზე ნაპერნკლებად ინთება და ივსება შხამის ცვარით მათარა. ჯადოსნური ფესვი მისი ძვირდება, წვენი მისი ტანში ცეცხლად დაგივლის – ასეთია მანდრაგორას ყვავილი.

იცის მწარე, ჩუმი შურისძიება, ზოგს აგიუბს, დამერწმუნეთ ამაში, ზოგს აიტანს სასიკვდილო ციება, ზოგან არის სიცილი და თამაში; ხან მშვიდია, ხან ერთობა დავაში. აუტყდება მწარე ენის ქავილი – ასეთია მანდრაგორას ყვავილი.

მაგრამ ზოგჯერ, სხივნათელი დილითა, გულებს ისევ აუთრთოლებს ლამაზებს, დამზრალ იმედს ათბობს ტრფობის სხივითა, უანგარო სიყვარულით აღავსებს, მზერას ალხენს ისევ ფირუზივითა, მეგობარი, მზეში გამოყვანილი – ასეთია მანდრაგორას ყვავილი“.²¹

მანდრაგორა რომ დიდად უცნაური მცენარეა, რომელსაც, ჯერ კი-დევ მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით, ათასგვარი ძნელად დასაჯერებელი თვისება მიეწერება, საზოგადოდ კარგადაა ცნობილი (ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ თავად ჰამსუნმა კიდევ სამი ლექსი უძღვნა ამ იდუმალ მცენარეს, რომლებიც უკვე ციტირებულ ლექსთან ერთად შევიდა 1904 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში – „ველური ქორო“). სხვათა შორის, მეცნიერულმა გამოკვლევებმა გარკვეული „საფუძველიც“ კი მოუნახეს ამ უცნაურობებს, დაადასტურეს რა მცენარეში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველობა. ჩვენთვის საინტერესო პიესის ტექსტში (ლექსის ჩათვლით) ეს მცენარე მხოლოდ ორჯერ გვხვდება და ისიც საკმაოდ გაკვრით. „დედოფალო, თითქოს იმ ბუჩქნარში მიმიძღვები, სადაც მანდრაგორები ხარობენ. სახიფათო ყვავილებია, ისინი მერაღაცას მმართებენ..“ – ეუბნება თამარს მასზე ახალგაზრდა და უაღრესად მომსიბლავი ტრვინელთა ხანი. „ისინი მეც მმართებენ რაღაცას. ბუჩქნარში ვართ ჩვენ ორივე“,²² – პასუხობს ქართველთა დედოფალი. სულ ეს არის, ასე ვთქვათ, ტექსტისეულ ზედაპირულ დონეზე. აქვე უნდა

²⁰ Knut Hamsuns brev 1896-1907, II, გვ. 237.

²¹ კნუტ ჰამსუნი, თამარ მეფე (პიესა, აკ. გელოვანის თარგმანი), ხელოვნება, 1991, N3, გვ. 138.

²² Knut Hamsun, Dronning Tamara, Samlede verk, Bd. 7 (Oslo, 1934), S. 51.

გავიხსენოთ, რომ ჰამსუნს საზოგადოდ ძალიან უყვარს ნაწარმოებში „სათემელის“ მაქსიმალურად შეფარვა, რაც ხშირ შემთხვევაში ცნობილი ნორვეგიელი მწერლისთვის ერთგვარი ლიტერატურული თვითმიზანიც კი ხდება ხოლმე. ამდენად, იმის ამოკითხვა პიესაში, რასაც ის ზემოხსენებულ წერილში მეუღლეს სრულიად გამჭვირვალედ წერს („რომ საქმე წყეულ სიყვარულის მცენარეს ეხება...“), გარკვეულ ჩაღრმავებასა და ძალისხმევას მოითხოვს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ, ჰამსუნის ზოგიერთი სხვა პიესისაგან განსხვავებით, „დედოფალი თამარ“ თავისთავად სულაც არაა ე. წ. „საკითხავი დრამა“ (არადა, ავტორის მიხედვით, ლექსი მანდრაგორაზე სცენაზე არ უნდა გაუღერდეს!), არამედ, საკმაოდ გადატვირთულია ვიზუალური ეფექტებით. მართებულად შენიშვნავს ოლიკო უღენტი თხზულების რიგით მეორე ქართული თარგმანის წინათქმაში, რომ „პიესის ნიშან-სიმბოლოთა სისტემა (ნისლი, მანდრაგორა) გადაჯაჭვულია ბუფონიადურ-კარნავალურ სანახაობასთან (აღმოსავლური ცეკვები, მუსიკალური ჩანართები)“,²³ რაც, ჩემი აზრით, თავის დროზე, გარკვეულწილად მაინც, უთუოდ იყო გათვლილი პუბლიკის მაქსიმალურად მოზიდვაზე, „ლამაზ წარმატებასა და საკმაოდ შილინგის მოტანაზე“. ყოველივე ამასთან ერთად, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწერალი ამ დრამაში უაღრეს მნიშვნელობას ანიჭებდა „ფსიქოლოგიურ მართებულობას“ (ამ ტერმინს თავად იყენებს მეუღლის – ბერგლიოტისადმი წერილში, როდესაც ამ დრამის ფინალზე და ფინალის ნინმსწრებ სცენებზე საუბრობს).²⁴ უფრო მეტიც, შეიძლება საკმარისად დაბეჯითებით ითქვას, რომ „დედოფალი თამარ“ გარკვეული მნიშვნელობით სწორედაც რომ ე. წ. ფსიქოლოგიური დრამაა. იმავდროულად უეჭველად გასათვალისწინებელია ის საერთო კონტექსტი ჰამსუნის მთელი მრავალტომიანი შემოქმედებისა, რომლის გარეშეც ამ პიესის მხოლოდ უკიდურესად ცალმხრივი წაკითხვა იქნება შესაძლებელი. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება კავკასიაში ვითარდება და გმირებიც, ბუნებრივია, სკანდინავიულები არ არიან, შეცდომა იქნება, მაგალითად, არ დავინახოთ, რომ პრინცი გიორგიც ასევე „ნამდვილი ჰამსუნისეული გმირია“, რომელსაც, ისე როგორც ჰამსუნის არაერთ სხვა პერსონაჟს, სიყვარულის მიზეზით „სრულიად თავისუფლად“ შეუძლია აშკარა სიგიურის ჩადენა. და

²³ ო. უღენტი, წინათქმა „დედოფალი თამარის“ თარგმანისა, გვ. 203.

²⁴ Knut Hamsuns brev 1896-1907, II, გვ. 233.

კახაბერ ლორია

ჰამსუნის გმირები ხომ პირდაპირ ფათერაკებს აგროვებენ, ან ხშირ შემთხვევაში უბრალოდ თავად უწევენ მათ პროვოცირებას. ამდენად, უაღრესად ძნელია დაეთანხმო იმავე ფ. გოგიჩაიშვილს, რომელიც პიესაში გიორგის სრულიად თავზე ხელაღებულ, მართლაც რომ „ჰამსუნისეულ“ მოქმედებას – შეეკრას მაპმადიან მტერს და სამხედრო მარცხი მიაყენოს მასზე „გულგაციებულ“ თამარს, ზედმეტად გამარტივებულად, არც მეტი და არც ნაკლები, სასაცილოს უწოდებს. აღარაფერს ვამბობ იმ გაუგებრობაზე, რომ იგივე კრიტიკოსი ცდილობს ჰამსუნის პრინცი გიორგი, მხოლოდ და მხოლოდ სახელის გამო, გააიგივოს არა ისტორიულ დავით სოსლანთან (რაც ნანარმოებში აბსოლუტურად ყოველმხრივაა აშკარა), არამედ თამარის პირველ, წარმოშობით რუს მეუღლესთან; და როცა ამ მხრივ სრულიად ლოგიკურ წინააღმდეგობას აწყდება, ისევ ჰამსუნს უკიუნებს საქართველოს ისტორიაში „ოროსნობას“.

ყოველივე ზემოხსენებულის კიდევ ერთხელ გააზრების შემდეგ, სურვილი მიჩნდება პიესისადმი და მისი გაუმართლებელი კუთხით კრიტიკისადმი ჩემი პოზიციის გასამყარებლად აკაკი გელოვანის, რომელმაც ავტორიზებული გერმანული და რუსული თარგმანების გამოყენებით ქართულად თარგმნა პიესა, აზრი მოვიშველიო: „ცხადია, ჰამსუნი ბევრგან გადაუხვევს ისტორიული სინამდვილიდან. მნერალს აქვს ამის უფლება და ეს არ უნდა ავხსნათ ისტორიის უცოდინარობით (!!! – კ. ლ.). ჰამსუნს ესაჭიროებოდა ძლიერი, დემონური ბუნების ადამიანები და სწორედ თამარში პოვა მისთვის საინტერესო სახე, რომელსაც უპირისპირდება მასავით ამაყი მეუღლე. გიორგის პატივმოყვარეობას საფუძვლად უდევს არა ანგარება, განდიდების სურვილი, არამედ პირველული, სულიერი სიამაყე. ზოგიერთი ქალური სისუსტისა და გაუბრალოების მიუხედავად ჩვენს წინ დგას ნამდვილი თამარი – დიდბუნებოვანი, მომხიბლავი, თავაზიანი, ტყვეთა შემბრალე, მოწყალე დედოფალი, რომელიც თავისი კაცთმოყვარეობითა და ტაქტით სრულ კონტრასტს ქმნის აღმოსავლეთის მბრძანებლებთან.

ისტორიული ვითარება და კოლორიტი ძირითადად ზუსტადაა გადმოცემული, პიესაში ასახული ამბები – თამარის დიდება, საქართველოს სამეფოს სივრცე და ძლიერება, ხანთა და ათაბაგთა დამორჩილება, ყარსის ალება, რაც 1204 წელს ნამდვილად მოხდა, და სხვა, პიესას ანიჭებენ ქართულ ისტორიულ სინამდვილეზე აგებული ნანარმოების მნიშვნელობას“.²⁵

²⁵ აკ. გელოვანი, შესავალი წერილი, კ. ჰამსუნი, თამარ მეფე, გვ. 136.

კნუტ ჰამსუნის ერთი პიესის ინტერპრეტაციისათვის

ის, რომ მთლიანობაში ჰამსუნმა, უპირველეს ყოვლისა, მაინც ისტორიულად რეალური თამარი დახატა და თანაც უაღრესად პოზიტიურად, ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთში არავის გაუხდია ორქოფობის საგნად. უფრო მეტიც, ჰამსუნის მკვლევარი ემი ვან მარკენი, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ თამარი, როგორც ერთგვარი იდეალური ქალი, მნიშვნელოვანნილად გამონაკლისია ჰამსუნისეულ პორტრეტთა გალერეაში,²⁶ პარალელურად იმასაც დასძენს, რომ ჰამსუნის თამარში განხორციელებული ქალის ეს იდეალი სრულ თანხმობაშია თამარ მეფის იმ დახასიათებასთან, რომელსაც ცნობილი ისტორიკოსი აღლენი იძლევა 1932 წელს ინგლისურად გამოცემულ „ქართველი ხალხის ისტორიაში“ (და რომელიც არსებითად ჩვენს ქართულ სინამდვილეში კარგად ცნობილ თამარის ტრადიციულ ისტორიულ პორტრეტს წარმოადგენს). ეს ხელს არ უშლის ჰამსუნს, თავისი დრამის ცენტრალური ფიგურა ზედიზედ ჩააყენოს მწვავე და კონფლიქტურ სიტუაციებში, სადაც მისი სიყვარულის, რწმენის, ქალურობის (ამ სიტყვის ფართო და საუკეთესო გაგებით) ნამდვილი გამოცდა ხდება. თამარის გადაწყვეტილებები ხან ნაწილობრივ აფექტურია, ხანაც ნაკარნახევი გამჭრიახი ინტუიციით. ამიტომაცაა მისი ქმედება ხშირად სავსე წინააღმდეგობრიობით, მაგრამ, როგორც ემი ვან მარკენი მოხდენილად შენიშნავს, „თუმც შეიძლება ზოგჯერ მერყევიც იყოს, მისთვის (ჰამსუნის თამარისთვის – კ.ლ.) სრულიად უცხოა სიცრუე ან ლალატი,... იგი საოცრად მგრძნობიარეა თავის სპონტანურობაში. თავისი ხალხისთვის ის ბრძენი მონარქია, შვილებისათვის მზრუნველობით აღსავსე დედა და მეუღლისთვის კი უნდა, რომ უბრალოდ იყოს ქალი, ქალი, რომელსაც სურს, რომ უყვარდეს და ისიც უყვარდეთ“.²⁷ დიდად უცნაურია, რომ ყოველივე ამას, რისი ამოკითხვაც პიესაში რაიმე თავსატეს ნამდვილად არ უნდა წარმოადგენდეს, სულაც არ გამოუწვევია თხზულებისადმი ზოგიერთი ქართველი ლიტერატურისა თუ პუბლიცისტის არამცთუ აღტაცება, არამედ უბრალო კეთილგანწყობაც კი.

ერთხელ უკვე შევიშნე, რომ „დედოფლალი თამარ“ არ შეიძლება ჰამსუნის მთელი შემოქმედების კონტექსტიდან ამოგლეჯილად განიხილებოდეს. სხვადასხვა მიზეზის გამო არაა გასაკვირი, რომ დასავლეთში ამ

²⁶ Amy Van Marken, Hamsuns Dronning Tamara – Et matematisk bevis?

გვ. 29.

²⁷ იქვე, გვ. 38.

მხრივ მიდგომა უფრო შესაფერისია, ვიდრე ჩვენთან. უაღრესად საინტერესოდ მეჩვენება ჰამსუნის ცნობილი ნორვეგიული მკვლევრის, ჰამსუნის საზოგადოების პრეზიდენტის, ევენ არნტზენის დაკვირვება, როდესაც ის თავის საკმაოდ ადრეულ ნაშრომში ჰამსუნის დრამატურგიის შესახებ “დედოფალ თამარის” ინტერტექსტუალურ ანალიზს გვთავაზობს გენიალური მწერლის სხვა პიესებისა და არამარტო პიესების ფონზე. ევენ არნტზენი ირწმუნება,²⁸ რომ ჰამსუნის ნანარმოებებში ხშირად საქმე გვაქვს „რთულ არქეტიპულ მოძრაობასთან“. მკვლევრის მტკიცებით, ეს არის „აურატიული ტრანსცენდენტის ძიება“, მცდელობა დაბრუნებისა დაკარგული საწყისისადმი, ბუნებრივი მდგომარეობისადმი. არნტზენის მტკიცებით, ეს არის ძირული ესთეტიკური ტენდენცია ბევრი ფიგურისათვის ჰამსუნის ტექსტებში. ამგვარ „აურატიულ ძიებას“ ხედავს მკვლევარი, როგორც თავად აცხადებს, მოჩვენებითად (!!! – კ.ლ.) აღმოსავლურ პიესაშიც „დედოფალი თამარ“, სადაც თამარი და მისი მეულე ცხოველი მონატრებით ისწრაფვიან იმ დაკარგული ჰარმონიისაკენ, რომელსაც პიესაში „თბილისის დრონი“ განასახიერებს. არნტზენი „აურატიული ტრანსცენდენტის ძიებას“ სრულიად აშკარად ხედავს ჰამსუნის „ზღაპრულ ქვეყანაშიც“ (ისევე როგორც სხვადასხვა ნანარმოებში, რომლის მოქმედებასაც ჰამსუნი მის მშობლიურ ნურლანდში ავითარებს). უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ სახის ძიებაა, რომელიც ჰამსუნისათვის კავკასიასაც ნურლანდივით მახლობელსა და მშობლიურს ხდის. როგორც ჩანს, ასე მყარდება დიდი ნორვეგიელის შემოქმედებაში მისტიკური კავშირი ორიენტულ და ოქსიდენტულ „ზღაპრულ ქვეყნებს“ შორის. ასე რომ, ჰამსუნის პიესა საქართველოზე გაცილებით მრავალპლანიანი და არაორდინალური ნანარმოები შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ეს მის ზოგიერთ ქართველ (ან ზოგჯერ თუნდაც არაქართველ) კრიტიკოსს ნარმოუდგენია.

როდესაც „დედოფალ თამარზე“, სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად, როგორც „ფსიქოლოგიურად მართებულ“ ნანარმოებზეც საუბრობენ, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ის, რასაც მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორი მონიკა ზაგარი უწოდებს „ბრძოლას სქესთა შორის“.²⁹ საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, თამარი მრავალი თვალსაზრისით მარ-

²⁸ Even Arntzen, *Se, Natten er livet og kvinden dets haersker*. გვ. 168.

²⁹ Monika Zagari, Knut Hamsun's *Taming of the Shrew?* A Reading of Dronning Tamara, *Scandinavian Studies*, 70/3 (1998), p. 346.

თლაც რომ იდეალად მოჩანს ჰამსუნის ქალ პერსონაჟთა გალერეაში. ამავე დროს, დიდ სკანდინავიულ მწერალს ქალის როლზე სამყაროსა და საზოგადოებაში თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულებები ჰქონდა, რასაც ის როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე (ალბათ, კიდევ უფრო მძაფრად) პუბლიცისტურ თხზულებებში გადმოსცემდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ „დედოფალი თამარ“ იმ დროისათვის იწერება, როცა ევროპაში უკვე იწყება „გენდერული ანარქია“. ჰამსუნი, როგორც ულტრაკონსერვატორი ამ საკითხებში, ხმალამოღებული ებრძვის მსგავს ტენდენციებს. არადა, მისი თამარი ხომ ყველაფერთან ერთად, თუნდაც გარკვეული პირობითობის დაშვებით, „თანამედროვე ქალია, გადაცმული შუა საუკუნეების ტანისამოსში“.³⁰ ის ძალმოსილი და უაღრესად წარმატებული ადამიანია, მაშინ როცა, მთლიანობაში, მისი ქმარი მაინც მხოლოდ მისი აჩრდილია თითქმის ყველა თვალსაზრისით. 1903 წელს ჰამსუნი წერს ვენცელ ჰაგელსტამს: „არ ვიცოდი, რომ ლერმონტოვს ჰქონია დაწერილი ლექსი თამარზე. მე განუწყვეტლივ ისტორიას მივსდევდიო“.³¹ მიუხედავად იმისა, რომ ჰამსუნი არსად აკონკრეტებს წყაროებს, რომელსაც ის ეყრდნობოდა, პიესაში, ჩემი აზრით, მართლაც არაერთხელ ჩანს, რომ მწერალმა თამარი და მისი ეპოქა, გარკვეულ დონეზე მაინც, სპეციალურად შეისწავლა. მაგალითად, პიესიდან ორკვევა, რომ მწერალმა ის, მეცნიერულად საკმაოდ საფუძვლიანი, მოსაზრებაც კი იცის, რომლის მიხედვითაც თამარის ბავშვების – გიორგისა და რუსუდანის მამა (ისტორიულად დავით სოსლანი, პიესაში კი პრინცი გიორგი) თავადაც ბაგრატიონია. სავარაუდოდ, ჰამსუნმა ძალიან კარგად იცის ისიც, რომ თამარს ქართულ სინამდვილეში ყოველთვის მეფე ენოდებოდა, მაგრამ ამ ფაქტს მწერალი, საკმაოდ თვითმიზნურად და, იმავე დროს, ლიტერატურული თვალსაზრისით ნამდვილად მოხდენილად, სიტუაციისთვის ერთგვარი გროტესკულობის მისანიჭებლად იყენებს. მართლაც, თითქოსდა რა შეიძლება გამოხატავდეს უფრო ნათლად „გენდერულ ანარქიას“, ვიდრე ის, რომ დედოფალს ერთ შშვენიერ დღეს, თუნდაც მისი ლაშქრის სამხედრო წარმატების აღსანიშნავად, მეფეს დაარქმევენ. ამის შესახებ პიესაში პრინცი გიორგი შეუფარავი უკმაყოფილებითა და თვითირონიით ამბობს:

³⁰ Monika Zagar, Knut Hamsun's Taming of the Shrew? A Reading of Dronning Tamara, გვ. 353.

³¹ Knut Hamsuns brev 1896-1907, II, გვ. 240.

კახაბერ ლორია

„ადრე დედოფლის ქმარი ვიყავი, ახლა მეფის ცოლი ვიქნებიო“.³² მაგრამ ყოველივე ამას შემდგომი განვითარება მოჰყვება: თამარი მალე მტრის მიერ თავისი ვაჟის გატაცების ამბავს გაიგებს, რასაც ის მის მიერ მეფის ტიტულის მიღებაზე თანხმობასთან აკავშირებს. ამავე დროს, თამარი თვლის, რომ ეს აგრეთვე ერთგვარი სასჯელია მისი მსუბუქი ფლირტი-სათვისაც ტოვინელთა ხანთან. ამ ფონზე დედოფალი აცნობიერებს, რომ ის უპირველესად დედაა (ჰამსუნის წარმოდგენით, ქალისათვის ყველაზე შესაფერისი მდგომარეობა სამყაროში) და მხოლოდ ამის შემდეგ მონარქი ან, მით უმეტეს, სექსუალური არსება. ასე რომ, როგორც მეტ-ნაკლებად სიღრმისეული დაკვირვებითაც ჩანს, ჰამსუნი თამარის სახეში, არც მეტი და არც ნაკლები, თავისი მსოფლმხედველობის ზოგიერთი უმთავრესი პრინციპის რეალიზებასაც საკმაოდ მიზანსწრაფულად და თანამიმდევრულად უნდა ცდილობდეს. ეს გარემოება ძალზე საგულისხმოა, რადგანაც არსებითად სხვა განზომილებას ანიჭებს ქართული ისტორიული სინამდვილის მიხედვით შექმნილ ამ „უპეტენზიო“ პიესას სრულიად ჰამსუნის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

დასასრულ, მინდა ალვნიშნო, რომ ჰამსუნის თხზულების – „დედოფალი თამარ“ არაერთგვაროვანი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი შეფასებაც კი ქართულ თუ დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში, თავის-თავად, სულაც არაა გასაკვირი. ჰამსუნის შემოქმედება, მთლიანობაში, უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, ხოლო დიდი სკანდინავიელი მწერლის კონკრეტული ნაწარმოებები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თავის თავშივე გულისხმობენ ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის გარდაუვალ შესაძლებლობას. ამ მხრივ ჰამსუნი თავის თავს არც ზემოხსენებულ დრამაში ღალატობს, რაც „ქართველთა ცხოვრებიდან აღებულ“ ამ პიესას გენიალური ნორვეგიელი მწერლის მრავალმხრივ ფენომენური შემოქმედების ორგანულ ნაწილად წარმოაჩენს.

³² Knut Hamsun, Dronning Tamara, გვ. 69.

ბიბლიოგრაფია

References

- A. Gatserelia, Knut Hamsun and Georgia, *Newspaper Sakhalkho Ganatleba (Public Education)* (in Georgian), 25. 01. 1989.
- Ph. Gogichaishvili, Norwegian Play from the Life of the Georgians, *Newspaper Tsnobis Purceli (A News Page)* (in Georgian), 27.01. 1904.
- N. Kakabadze, N. Rukhadze, Knut Hamsun and Georgia, *Newspaper Literaturuli Saqartvelo (Literary Georgia)* (in Georgian), 12. 02. 1971.
- K. Loria, Factual Reality and Artistic Mystification in Hamsun's "Fairy Land". *Modern Concerns of the Literary Criticism, International Symposium (materials)* (in Georgian) (Tbilisi, 2006), pp. 160-171.
- O. Zhgenti, Introduction to the Translation of Hamsun's "The Queen Tamar", in: Knut Hamsun, *The Experienced and Desired in the Caucasus* (in Georgian) (Tbilisi, 2006), pp. 197- 206.
- K. Hamsun, The Queen Tamar (Translation and Preface by A. Gelovani), *Anthology "Khelovneba"* (Art) (in Georgian), 3/1991, pp. 135-166.
- E. Arntzen, Se, *Natten er livet og kvinden dets haersker. En intertekstuell analyse av Knut Hamsuns dramatikk* (Universitetet i Tromsøe, 1988).
- Trygve Braatoy, *Livets cirkel: Bidrag til analyse av Knut Hamsuns diktning* (Oslo, 1954).
- K. Hamsun, *Samlede verk*, Bd. 7 (Oslo, 1934).
- Knut Hamsuns brev 1896-1907*, vol. II, ed. H. Naess (Oslo, 1995).
- T. Hamsun, *Knut Hamsun* (Oslo, 1959).
- A. V. Marken, Hamsuns Dronning Tamara – Et matematisk bevis?, *Proceedings of the Fifth International Conference on Scandinavian Literature* (University College London, 6-10 July 1964), pp. 23-42.
- M. Zagar, Knut Hamsun's Taming of the Shrew? A Reading of Dronning Tamara, *Scandinavian Studies*, 70/3 (1998).

Kakhaber Loria

Towards the interpretation of a play by Knut Hamsun in Georgian and Western Literary Criticism

In 1899, after his travels in Georgia and the Caucasus, Hamsun created two interesting plays which were published in quick succession in 1903. The first of these was an original book "*In a Fairytale Land*" based on the author's impressions of his travels, and the other was "*Queen Tamar*".

"Queen Tamar" was first staged in the National Theatre of Christiania in 1904. Afterwards it was performed twelve times, which was not a fact of insignificant importance for the Norwegian reality of that period. When Hamsun was awarded the Nobel Prize for Literature, the play enjoyed a revival of interest once more. This was particularly true in Germany where it was performed in almost every town with an unbelievable frequency.

It is worth noting that this play by Hamsun evoked and still evokes quite an extraordinary reaction in Georgia, Scandinavia and other Western countries. Georgian critics discussed it as early as in 1904. "*Hamsun's play is rather weak. The author must have spent little time on writing it and must have baked it according to the recipe well and frequently used in Europe on dramas of low quality,*" these dramatic words were used in an article published in "Tsnobis Purtseli" by a well-known writer and literary critic Philipe Gogichaishvili.

Later A. Gatserelia wrote, "*Queen Tamar can't be considered as a good historical play. It seems more to be a free stylisation on a historical theme. As Knut Hamsun visited Georgia incognito, he must have based his play about Tamar on oral information only.*"

"Queen Tamar" did not evoke admiration either in the article on "The Caucasian Works/Essays" by Knut Hamsun written by Nodar Kakabadze and Nodar Rukhadze.

A number of Scandinavian and Western literary critics make an attempt to read "*implicit, hidden facts*" of various characters and scopes. From this point of view, the words of one of the most original researchers, Trigge Brotooi, are particularly worth mentioning. As early as in the 1920s, he analysed the works by Hamsun against the background of the theories of Freud and Adler. Trigge sees the realisation of the complex of Oedipus in this drama.

Amy Van Marken, Hamsun's biographer, writes righteously that Tamar,

seen by Hamsun as an ideal woman, is mostly an exception from the gallery of the portraits depicted by the playwright. She also adds that this ideal woman depicted by Hamsun is in complete accord with the description of Tamar, which provides a traditional historical portrait of Tamar well-documented in our reality.

The fact that "Caucasian Essays" cannot be analysed in isolation from the context of Hamsun's works is a fact acknowledged more widely in Western Europe than in Georgia. From this point of view, the observation of a researcher and President of Hamsun Society, Arntzen, seems to be most interesting. In his work on Hamsun's plays, the researcher provides us with the inter-textual analysis of "Queen Tamar" against the background of other works by the writer. Arntzen is sure that Hamsun's works frequently reveal "*complex archetypal movement*", "*search for aурatian transcendent*", "*the endeavour to return to the lost primal natural state*". According to Arntzen, this is a major artistic tendency for many a figure in Hamsun's texts. This "auratian search" as argued by the scholar is seen, though not explicitly, in an oriental play "Queen Tamar".

While arguing about "Queen Tamar", I believe Monika Zagar's words "*battle between sexes*" should also be considered. On the one hand, Tamar is an ideal figure among the women-characters created by Hamsun. On the other hand, the great Scandinavian writer had well-established opinions about a woman's mission in the world and society. It should not be forgotten that "Queen Tamar" was being created in the period when "gender anarchy" was just starting in Europe. Hamsun, as an ultra-conservative in these matters, was fighting fiercely against such tendencies.

The analysis of previous interpretations of Hamsun's play "Queen Tamar" makes it obvious that this play was assessed from different and, sometimes even contradictory points of view, which is not a surprising fact. Hamsun's creative works are extremely complex and display many-fold phenomena. In addition, they include, by definition, the possibilities of various interpretations.

მანანა გელაშვილი

ფოლკნერის პერსონაჟები და დროის პრობლემა

მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი მახასიათებელი დროის პრობლემისადმი გაზრდილი ინტერესია. ძველი მწერლებისაგან განსხვავებით, რომლებიც დროს უფრო ინტუიტიურად აღიქვამდნენ, ანუ იღებდნენ დროსა და სივრცეს, როგორც მოცემულობას და არა როგორც პრობლემას, თანამედროვე მწერალთა უმეტესობისათვის იგი ურიცხვ რეფლექსიათა წყაროდ, ხშირად კი ესთეტიკური თამაშის საგნადაც კი იქცა. იმით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოდერნისტთა შემოქმედებაში დროის კატეგორია არა შხოლოდ შხატვრული ნაწარმოების აგების ანუ თხრობის საშუალებაა, არამედ პრობლემა, რომელსაც ავტორი და მისი პერსონაჟები თვისებურად გაიაზრებენ. ამიტომ, დროის პრობლემა მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთ ცენტრალურ თემად იქცა, დაკარგული დროის ძიება კი – პერსონაჟთა მამოძრავებელ იმპულსად.

ფოლკნერის მთელი შემოქმედება დროის პრობლემის მრავალ სხვა-დასხვა ასპექტს მოიცავს. დროის თავისებურმა გააზრებამ გამოხატულება პოვა, ერთი მხრივ, მის ნაწარმოებთა ნოვატორულ პოეტიკაში, მეორე მხრივ კი ერთ-ერთ ცენტრალურ კითხვადაც იქცა, რომელსაც ფოლკნერის პერსონაჟები სხვადასხვაგვარად პასუხობენ. ამჯერად ყურადღებას სწორედ იმ საკითხზე შევაჩერებთ, თუ როგორია პერსონაჟების დამოკიდებულება დროისადმი.

ცნობილმა ფოლკნეროლოგმა ო. ვიკერიმ ფოლკნერის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რომანს – „ხმაური და მძვინვარება“ – მოსაწრებულად „დროის წინააღმდეგ ამბოხი“ უწოდა.¹ ვფიქრობ, რომ ეს ფრაზა ფოლკნერის მთელ შემოქმედებაზე შეიძლება განვავრცოთ, რადგან მის რომანებში თითქმის ყველა გმირი დროსთან კონფლიქტშია. თუმც, ბუნებრივია, რომ ეს კონფლიქტი სხვადასხვა სახეს იღებს, რადგან სხვადასხვა პერსონაჟი სხვადასხვაგვარად რეაგირებს „დროთა კაგშირის

¹ O. W. Vickery, *The Novels of William Faulkner, A Critical Interpretation* (Louisiana State University Press, 1959), p. 24.

რღვევაზე“ და სხვადასხვაგვარ გამოსავალს ეძიებს. იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაში არიან ფოლკნერის პერსონაჟები დროის პრობლემასთან, ისინი რანდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

ამათგან ყველაზე საინტერესო გმირთა ის ჯგუფია, რომელსაც პირობითად „მაძიებელი პერსონაჟი“ შეიძლება ვუწოდოთ, რადგან მათი ცხოვრება ჩვეულებრივ ცხოვრების საზრისის და მასში საკუთარი ადგილისა და დანიშნულების, ანუ პიროვნული თვითობის ძიება. ამ ძიებაში დროის გააზრებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. მაძიებელი გმირი დროის შეუცნობადობასა და შეუქცევადობას მძაფრად ტრაგიკულად აღიქვამს. უან-პოლ სარტრი მაძიებელ გმირს „ფოლკნერის ადამიანს“ უწოდებს, რადგან ეს პერსონაჟი მეტნილად ფოლკნერის რომანების პროტაგონისტს წარმოადგენს. სარტრი მიიჩნევს, რომ „ფოლკნერის ადამიანი დიადი, უღმერთო, ღვთაებრივი ცხოველია, დაბადებიდანვე დაკარგული და თვითგანადგურებისაკენ მიდღრეკილი“.² ამგვარ გმირებს მიეკუთვნებიან ბაიარდ სარტორისი („სარტორისები“), კვენტინ კომპსონი („ხმაური და მძვინვარება“ და „აბესალომ, აბესალომ“), ჯო ქრისმასი („აგვისტოს ნათელი“), დარლ ბანდრენი („მომაკვდავი რომ ვესვენე“). ამ პერსონაჟთა არსებობა ფოლკნერის ცნობილი გამონათქვამის – „არ არსებობს არავითარი იყო, წარსული არის“ – მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ წარსული, რომელიც ფოლკნერის მაძიებელი პერსონაჟისათვის არა მხოლოდ საკუთარი წარსულია, არამედ უმეტეს შემთხვევაში ოჯახის, უფრო ვრცლად კი მთელი სამხრეთის კოლექტიური წარსული, ფოლკნერის ყველა მაძიებელი გმირის ბედის-წერად წარმოგვიდგება. ბაიარდ სარტორისიცა და კვენტინ კომპსონიც თავისი არისტოკრატიული ოჯახებისა და სამხრეთის რაინდული წარსულის შესახებ შეთხზული მითისა და მისი ეთიკური ნორმების დაცვას უძლვნიან სიცოცხლეს. ამოტომ, დრო მათი ყველაზე დიდი მტერია, რადგან მას ცვალებადობა მოაქვს და მითის ხელოვნურობას ააშკარავებს.

დროის წინააღმდეგ ამბოხი ყველაზე მძაფრ გამოხატულებას კვენტინ კომპსონის სახეში პოულობს, რომელიც ივიწყებს მამის შეგონებას, რომ დროსთან ჭიდილი შეუძლებელია, რადგან არათუ გამარჯვება, არამედ შებრძოლებაც კი მხოლოდ ფოლკნერისთვის და ბრიყვთა ილუზია და ამბოხის ნიშნად მამის ნაჩუქარ საათს ამტვრევს. კვენტინის აზრით, საა-

² Jean Paul Sartre, *Literary and Philosophical Essays* (London, 1958), p. 74.

მანანა გელაშვილი

თი მატყუარაა, რადგან იგი დროს წრეზე მბრუნავად წარმოადგენს და ამით ილუზიას ქმნის, რომ ადამიანის გამოცდილების დროც შეიძლება ციკლური იყოს (ეს საათი, რომელიც კვენტინის მამისთვის თავის მხრივ მამას უჩუქებია, ალბათ, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს წარსულის ტვირ-თზე, იმაზე, რომ წარსული კი არ იყო, არამედ არის). ეს ისრებმოტეხილი საათი, რომელიც დროს უკვე ველარ აჩვენებს, თუმც ჯიუტად წიკწის ისევ განაგრძობს (ალბათ, იმისათვის, რომ დროის არსებობა და მისი საქციელის აბსურდულობა შეახსენოს კვენტინს), კვენტინ კომპსონის მონაკვეთის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა.

მაძიებელი გმირის მიმართება დროის პრობლემისადმი მჭიდროდ უკავშირდება პიროვნების მიერ საკუთარი ადგილის ძიებას სამყარო-ში. ცნობილი ფოლკნეროლოგი დ. აბელი, რომელიც ბევრ საგულისხ-მო პარალელს ავლებს ფოლკნერის რომანის სამყაროსა და ბერგსონის შეხედულებებს შორის, ფოლკნერის ამ ტიპის პერსონაჟთა გაუცხოებას დროის მიმართ ბერგსონის ერთ-ერთ გამონათქვამს უკავშირებს: „რაც უფრო მაღალგანვითარებულია ცნობიერება, მით უფრო მეტია დაძაბ-ულობა, რომელიც პიროვნების კერძო ხანიერებასა და გარესამყაროს ხდომილებათა შორის არსებობს“.³ მართლაც, ფოლკნერის გმირი რაც უფრო მეტს გადის თვითობის, პიროვნული მეობის ძიების გზაზე, რაც უფრო მეტ კითხვას სვამს, მით უფრო იძაბება მისი და გარესამყაროს მიმართება და იმატებს უპასუხოდ დარჩენილი კითხვების რაოდენობა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გმირი ჯო ქრისმასია („აგვისტოს წათელი“), რომლის მთელი ცხოვრება კითხვების დასმაა, საკუთარი პიროვნულობის ძიებაა. ქრისმასის წარსული მისი წარმომავლობის საიდუმლოებას მაღავს და ამიტომ მის იდეა ფიქსად და მისი გაუცხოების მიზეზად ქცეულა. მისი გარიყულობა, სიმბოლურად წრეზე ბრუნვით არის გამოხატული, რომელიც სიზიფეს მითივით მთელი მისი რბოლის ამაოებასა და აბსურდულობაზეც მიუთითებს. ფოლკნერის რომანებში წრე ხშირად წარმოადგენს, ერთი მხრივ, ნანარმოების კონსტრუქციის საშუალებას, მეორე მხრივ კი ერთ-ერთ ცენტრალურ სიმბოლოს: ყოველი ადამიანი საკუთარ წრეზე ბრუნავს, რომელსაც იგი თავს ვერ აღწევს და ამიტომ ვერც სხვას უშვებს საკუთარ წრედ შეკრულ გაუცხოებულ

³ D. Abel, Frozen Movement in Light in August, in: *XX Century Interpretations of Light in August*, ed. D. L. Minter (New York, 1969), p. 105.

ფოლკნერის პერსონაჟები და დროის პრობლემა

და ჩაკეტილ სამყაროში. ამგვარი უკიდურესი გაუცხოების ბრალია, რომ ფოლკნერის მაძიებელ პერსონაჟებს ხშირად „უცხოდ“, „სხვად“, „ჩრდილად“, „მოჩვენებად“, „დაკარგულად“ მოიხსენიებენ (ალბათ, შემთხვევითი არ არის, ფრანგი ეგზისტენციალისტების დიდი ინტერესი ფოლკნერი-სადმი). სარტრიც, რომელმაც ესსები მიუძღვნა ფოლკნერის ორ რომანს – „სარტორისები“ და „ხმაური და მძვინვარება“ – და „უცხოს“ ავტორი ალბერ კამიუც, რომელმაც ფოლკნერს ერთ-ერთი ნაწარმოები პიესად გადააკეთა სათაურით „რეკვიემი მონაზვისათვის“, ფოლკნერს ეგზისტენციალური გაუცხოებისა და აბსურდის ერთ-ერთ უდიდეს წინამორბედად მიიჩნევდნენ).

ჩრდილის სიმბოლიკა მჭიდროდ უკავშირდება დროის პრობლემას. ე. თოფურიძე შენიშნავს, რომ ჩრდილის, როგორც სიცოცხლის განუყრელი ატრუქტის ხატი მაკბეტის მონოლოგში კარგად ჩანს და ამიტომ გასაკვირი არაფერია, რომ რომანში „ხმაური და მძვინვარება“, რომელსაც მაკბეტური სათაური აქვს, ჩრდილი ერთ-ერთ ცენტრალურ სიმბოლოს წარმოადგენდეს.⁴ ყველაზე მკაფიოდ ეს ხატი კვენტინ კომპსონის მონაკვეთში ვლინდება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩრდილი უპირატესად ფოლკნერის მაძიებელი გმირის ატრიბუტია. ჩრდილი საფიქრებელია, რომ გმირის „მეორე მე“, „მისი შემაძრნუნებლად სხვა“, იყოს, ანუ ქვეცნობიერში განდევნილი სურვილები და ის წარსული, ან უფრო სწორად ლეგენდა პერიოკულ წარსულზე, რომლის დაკრინებაც კვენტინისათვის მისი დის დაცემასთან ასოცირდება. ამიტომ ცდილობს კვენტინ კომპსონი მის მოკილებას, ხან ფეხს ურტყამს საკუთარ ჩრდილს და ხან მდინარეში სურს მისი დახრჩობა. თუმც, რაღა თქმა უნდა, ვერ იცილებს. კვენტინ კომპსონის მონაკვეთს ფოლკნერი ორპლანიან სტრუქტურას აძლევს, რაც საშუალებას იძლევა, ავტორის ცნობილი ფრაზა იმის შესახებ, რომ წარსული კი არ იყო, არამედ არის, არა მხოლოდ განაცხადს წარმოადგენდეს, არამედ მხატვრულ ქსოვილში განხორციელდეს და გარკვეული მხატვრული ფუნქცია ჰქონდეს. რეალურ აწმყოში კვენტინი მთელი დროის მანძილზე მექანიკურად ასრულებს ყველაფერს, რასაც დღევანდელი დღე ახვევს თავს და რაც ხელისშემსლელ ფაქტორად აღიქმება მის მიერ: აწმყოს კიდევ ერთი ხრიკია, ისეთივე, როგორც მისი უისრო საათის წიკწიკი ან სამრეკლოს საათის ჩამოკვრა.

⁴ ე. თოფურიძე, ფოლკნერის რომანის პოეტიკა (თბილისი, 1984), გვ. 78.

მანანა გელაშვილი

ჩვენ ამ ჯგუფში ვაერთიანებთ პორას ბენბოუს („სარტორისები“, „განსაწმენდელი“). რომანში „სარტორისები“ იგი, ერთი შეხედვით, ბაიარდ სარტორისის ანტითეზაა. ხმაურითა და მძვინვარებით სავსე ბაიარდის ფონზე იგი გაცილებით უფრო მშვიდი, გაწონასწორებული, შეიძლება ითქვას, უფრო რომანტიკული პერსონაჟი ჩანს. თუმც უფრო ღრმად თუ დავუკვირდებით, ორივე გმირი ერთი და იგივე, „დაკარგული თაობის“ ტრაგედიას გამოხატავს და ორივე აუტანელი რეალობიდან სხვადასხვა გზით ცდილობს გაქცევას. ბაიარდის მიერ ავტომობილის გიუური რბოლაცა და პორას ბენბოუს მიერ მინის ლარნაკების ბერვით გატაცება, ორივე ისკეიპიზმის გამოვლინებაა სხვადასხვა ფორმითა და სახით. თუმც ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფის გმირებიდან მხოლოდ პორას ბენბოუა, რომელსაც ეკუთვნის ერთადერთი მცდელობა ოპტიმისტურად აღიქვას დრო: „ბოლოს და ბოლოს დრო არც ისეთი ცუდი რამაა. თუ სწორად გამოიყენებ, ყველაფერი შეიძლება გამოსტყუო, რეზინასავით გაწელო... სანამ სადმე გაწყდება და მაშინ მთელი შენი ტრაგედია და სასოწარკვეთა ორ პანაზა კვანძში მოექცევა...“ თუმც, როგორც ამ ფრაზიდან ჩანს, მცდელობა მცდელობადვე რჩება და ომახიანად დაწყებული დროის შეფასება საბოლოოდ არანაკლებ ტრაგიკულად უღერს, ვიდრე ბაიარდ სარტორისის ან კვენტინ კომპსონის სასოწარკვეთილი სენტენციები.

ამ კონტექსტში კიდევ ერთი პერსონაჟი, გეილ ჰაიტაუერი („აგვისტოს ნათელი“), უნდა მოვიხსენიოთ, თუმც აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფის სხვა გმირებისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც დროსთან კონფლიქტი ტრაგიკული ბედისწერაა, ჰაიტაუერის სიცოცხლე წამიერად მაინც განათდა „აგვისტოს ნათელით“. ჰაიტაუერი ერთადერთი პერსონაჟია ფოლკნერის მაძიებელ გმირთა შორის, რომელმაც ბოლოს და ბოლოს წამიერად მაინც მოახერხა „მექანიკურ დროს“ გაქცეოდა. მან განვლო ჯოჯოხეთის ფაზა, მოწმე და მონაწილე გახდა ადამიანური ცოდვის, სამსჯავროსი, მოწამებრივი სიკვდილის: განვლო განსაწმენდელი – ახალი სიცოცხლის დაბადებითა და აგვისტოს ნათელის სახით – და ბორბლის (წრის) ხილვაში ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდა წარსულისგან, უფრო სწორად დროისგან, რადგან ხილულ ბორბალში ყველა დრომ ერთ მარადიულ „ახლაში“ მოიყარა თავი. „ახლა“ ჰაიტაუერის ხილვაში არის „უუამო უამი“, რომელიც უდროობას ნიშნავს. ამ ეპიზოდში ჰაიტაუერის მიერ ხილული ცეცხლოვანი ბორბალი, რომელშიც ყველა პერსონაჟის „განმხოლოებული წრე“ ბრუნავს, არქეტიპული ხატია, რომელსაც ფოლკნერის

ფოლკნერის პერსონაჟები და დროის პრობლემა

ნაწარმოებებში და ამ კონკრეტულ ეპიზოდში არა მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს, არამედ ნაწარმოების სტრუქტურული ელემენტიცაა. რაც იმას გულისხმობს, რომ თავად მონაკვეთს წრიული ფორმა აქვს, რითაც სიმბოლო მხატვრულ ქსოვილში რეალიზდება და ფორმა ნიშნადი ხდება.

პერსონაჟთა მეორე ჯგუფს პატრიარქები წარმოქმნიან: ტომას სატ-პენი, ჯონ სარტორისი, მაიორი დე სპეინი. დროის დინებასა და წარმავალობას ისინი აქტიურ საქმიანობას უპირისპირებენ: განავრცობენ მამულებს, აგებენ შენობებს, გაჰყავთ გზები, რკინიგზა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ცდილობენ ჰყავდეთ მემკვიდრე, რომელსაც გადასცემენ ლეგენდას მათი ოჯახის, გვარის, უფრო ვრცლად, სამხრეთის დიადი წარსულის შესახებ. ეს პერსონაჟები, როგორც წესი, ნაწარმოებში თავად არ მოქმედებენ: მათზე ყვებიან, მათი დანატოვარი, მათ მიერ შექმნილი ქცეულა იმ მითად, რომელიც ცოცხლობს და მოქმედებს ნაწარმოებში. გარდაცვალების შემდეგაც კი (ყველა ეს პერსონაჟი კარგა ხნის გარდაცვლილია ნაწარმოების ობიექტური დროით) მათი ყოფნა რეალურ სამყაროში იმდენად ხელშესახებია, რომ განსხვავებით ცოცხალი პერსონაჟებისა, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად „მოჩვენებად“, „ჩრდილად“, „სხვად“ მოიხსენიებენ, პატრიარქები არსად არ აღიქმებიან მოჩვენებად.

პატრიარქთა შორის ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი სახე ტომას სატპენია („აბესალომ, აბესალომ“), რომლის ამბის აღდგენა-გააზრებით იმდენად არიან დაკავებული ნაწარმოების პერსონაჟები, რომ მათთვის საკუთარ ცხოვრებასა და აწმყოზე უფრო მნიშვნელოვანი დიდი ხნის წინათ მომხდარი ისტორია ქცეულა. როგორც ყველა პატრიარქი, სატ-პენიც ცივი და პრაქტიკული ჭკუით გათვლის, თუ როგორ უნდა განახორციელოს თავისი დიადი გეგმა. დროის დასამარცხებლად სატპენმა სული ეშმაკს მიჰყიდა. შემთხვევითი არ არის, რომ ნაწარმოებში ორი მთხოობელი – შრივი და როუზ კორნფილდი – მას ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით ფაუსტს ადარქს. თუმც, თანამედროვე ფაუსტი რაციონალისტია და საზღაურად ცოდნასა და ახალგაზრდობას კი არ ითხოვს, არამედ თავისი გეგმის განხორციელებას, რაც თვითდამკვიდრებასა და ამით დროის დამარცხებას ნიშნავს.

ფოლკნერის პერსონაჟთა მესამე ჯგუფი მისი რომანების იმ გმირებს მოიცავს, რომლებიც ფოლკნერს ყველაზე მეტად ეჯავრება. ამ პერ-

მანანა გელაშვილი

სონაუებისათვის არც წარსული არსებობს და არც მომავალი, არამედ მხოლოდ აწმყო, რომელიც საკუთარი წარმატებისა და მოგებისათვის უნდა გამოიყენონ. ამგვარი პერონაუებია ბაირონ სნოუპსი („სარტორისები“), ფლემ სნოუპსი („სოფელი“, „ქალაქი“, „სახლი“) ჯეისონ კომპსონი („ხმაური და მძვინვარება“) და ბოლოს პოპაი („განსაზღვევი“), რომელის სახითაც ფოლკნერმა თანამედროვე „მექანიკური“ ადამიანის განზოგადებული სახე შექმნა, რომელიც შემაძრნუნებელია თავისი არაადამიანურობით. ამ ტიპის ადამიანი თანამედროვე მექანიკური, გაუცხოებული ცივილიზაციის პირმშოა, რომლისთვისაც ყველაფერი, მათ შორის დროც, მხოლოდ და მხოლოდ მოხმარების საგანია, როგორც, ვთქვათ ჯეისონისთვის, რომელსაც ზუსტად აქვს დათვლილი, რა ლირს დისთვის საკუთარი შვილის ჩვენების თითოეული წუთი, ან ამ ბავშვის გაზრდით ყოველთვიურად რა მოგება შეიძლება ნახოს. და მხოლოდ დისტვილის სახლიდან გაქცევისა და ფულის დაკარგვის შემდეგ ხვდება, რომ მისი მტერი კვენტინი და მისი სატრფო კი არ არიან, არამედ „ბუნებრივ მოვლენათა თანმიმდევრობა და მათი მიზეზები, რომელიც ყოველ ადამიანს შუბლზე აწერია“. „მოვლენათა თანმიმდევრობა კი სხვა არაფერია, თუ არა დროის მდინარება, რომელსაც მისთვისაც საბოლოოდ მხოლოდ დანაკარგი მოაქვს.

ფოლკნერის ნანარმოებში ძალზე ცოტაა ისეთი გმირი, რომელიც დროსთან კონფლიქტში არ არის და უნარი შესწევს ბუნებრივად და უნვალებლად, რეფლექსიების გარეშე მიიღოს დროის დინება და ის, რასაც იგი მოიტანს. ამ გმირს, ჩვეულებრივ, არც კომპსონთა და სარტორისთა საგვარეულოს დიადი წარსული აქვს, არც კვენტინის განათლება ან ჯეისონის, ან სნოუპსების გაქნილობა. ის, რასაც ისინი ფლობენ, ბუნებასთან სიახლოვე და ბუნებრივი სიბრძნეა. ამგვარი გმირებია: მონადირე მაკალუმები, მოხუცი ფოლზი („სარტორისები“), რომელიც მთელი სიცოცხლე „უბრალო ბარაქიან მინაზე“ მუშაობდა და „მხოლოდ 93 წლისაა“ (შეადარეთ ბაიარდ სარტორისს, რომელიც მხოლოდ 26 წლისაა, მაგრამ სიცოცხლე მობეზრებია). ამგვარ პერსონაუებს, ჩვეულებრივ, მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო როლი აკისრიათ ფოლკნერის რომანის სამყაროში. ერთი მხრივ, ისინი კონტრასტულ ფონს წარმოქმნიან პროტაგონისტის „ხმაურითა და მძვინვარებით“ სავსე ქმედებებისათვის (მაგ., კვენტინ კომპსონის მიერ დანახული ზანგი ბიჭი ჯორით, რომელსაც იგი ლანდშაფტის ნაწილად აღიქვამს და რომელიც სხვა დროით განზომილე-

ფოლკნერის პერსონაჟები და დროის პრობლემა

ბაში ცხოვრობს, ვიდრე დროის წინააღმდეგ ამბოხებული კვენტინი) და ამასთანავე, მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ნათელი შეაქვთ მასში, როგორც, მაგალითად, ლინა გროუზხს („აგვისტოს ნათელი“), რომელიც კლასიკური სიმპლეტონის ფოლკნერისეულ ვარიანტს წარმოადგენს და რომლის თავგადასავალი ერთგარ ბუკოლიკურ ჩარჩოს წარმოქმნის ჯო ქრისმასის ტრაგიკული ცხოვრებისა და მონამებრივი სიკვდილისათვის.

ბუნებრივი დრო, ბუნების დრო ფოლკნერის რომანში ყოველთვის სიმშვიდისა და პარმონიის მომტანია, თვით მაძიებელი გმირიც კი, როგორიც, ვთქვათ, ბაიარდ სარტორისია, რომანის ერთ მონაკვეთში მცირე ხნით მინას უბრუნდება, მიწათმოქმედებას მისდევს, წისქვილს აამუშავებს, „ბუნების რიტმით“ ცხოვრობს და მცირე ხნით ივინყებს დროსთან ჭიდილს. ბუნებრივი დროის მდინარების ერთ-ერთი ხატი ფოლკნერის რომანებში ჯორებშებმული ფურგონია, რომელიც პირველად ოკნაპატოფის ციკლის პირველ რომანში „სარტორისები“ გამოჩდა და შეძეგ ბევრ ნაწარმოებში („ხმაური და მძვინვარება“, „აგვისტოს ნათელი“, „მომაკვდავი რომ ვესვენე“) განმეორდა.

მეოთხე ჯგუფის პერსონაჟთა მის ყველაზე უკიდურესი გამოვლინება ფოლკნერის რომანში გონებრივად ჩამორჩენილი პერსონაჟი ან პატარა ბავშვია: ბენჯი („ხმაური და მძვინვარება“), აიკ სნოუპსი („სოფელი“), ვარდამანი („მომაკვდავი რომ ვესვენე“). ფოლკნერს განსაკუთრებით უყვარს ასეთი დაუცავი და ანალიზის უნარს მოკლებული გმირის მთხოვნელად შემოყვანა, რადგან ამგვარი მთხოვნელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წახნაგია. გულუბრყვილობა და, განსჯის ნაცვლად, გრძნობაა ამ ტიპის პერსონაჟთა მთავარი ძალა.

და ბოლოს, ამ ჯგუფს მიეკეუთვნება ფოლკნერისათვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პერსონაჟი დილსი („ხმაური და მძვინვარება“), რომლისთვისაც კომპსონების სახლში დაკიდებული ერთისრიანი, მოშლილი საათი, კვენტინისაგან განსხვავებით, ურიცხვ რეფლექსიებს კი არ იწვევს, არამედ უბრალოდ ძველი საათია, რომელიც ხუთჯერ ჩამოკრავს, როცა სინამდვილეში რვა საათია. ხოლო იმას, რომ სინამდვილეში რვა საათია, დილსის სიტყვებით ვიგებთ. ეს ეპიზოდი, სადაც დილსი საათს არაფრად აგდებს, საინტერესო კონტრასტს წარმოქმნის კვენტინ კომპსონის დროსა და საათთან მიმართებასთან. ფოლკნეროლოგები (პ. ზუიგარტი, მ. მილგეიტი) საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობენ: აღდგომის წირვის დროს დილსის სახე თავად იქცევა დროის სიმბოლოდ, რომელიც ყოვ-

მანანა გელაშვილი

ელოვის არსებობდა და ყოვლისმომსწრეა. ამას ადასტურებს დილსის სიტყვებიც, რომ კომპსონთა გვარის დასაბამი უნახავს, ახლა კი დასასრულს ხედავს.

თუ ამ პერონაჟებზე საუბრისას ბერგსონის უკვე ციტირებულ მოსაზრებას გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ფოლკნერის სამყაროში ნაივური ადამიანი არის ის, ვისაც ყველაზე იოლად იღებს ცხოვრება, ალბათ, იმიტომ, რომ თვითონაც ასევე იოლად იღებს ცხოვრებას.

გამოყოფილი ოთხი ჯგუფი მეტ-ნაკლებად სრულად ასახავს ფოლკნერის პერსონაჟთა დროისადმი სხვადასხვაგვარ მიმართებას, ერთიანობაში კი – დროის აღქმის იმ მრავალფეროვნებას, როგორც ამას ავტორი მოიაზრებდა.

ბიბლიოგრაფია

References

- D. Abel, *Frozen Movement in Light in August*, in: *XX Century Interpretations of Light in August*, ed. D. L. Minter (New York, 1969).
- O. W. Vickery, *The Novels of William Faulkner, A Critical Interpretation* (Louisiana State University Press, 1959).
- P. Swiggart, *The Art of Faulkner's Novels* (University of Texas Press, 1969).
- E. Topuridze, *Poetics of Novels By Faulkner* (Tbilisi, 1984) (in Georgian).
- M. Milgate, *The Achievement of William Faulkner* (The University of Georgia Press, 1989).
- J. P. Sartre, *Literary and Philosophical Essays* (London, 1958).

Manana Gelashvili

Faulkner's Characters and the Problem of Time

One of the major characteristics of modernist literature is its preoccupation with the problem of time. Time in modernist works has become not only a constructing element, i.e. a means of narration, but also one of the central themes of the work and one of the problems for the characters to reflect on.

The aim of the article is to study one of the aspects of Faulkner's time perception, namely the relation between his characters and the problem of time so as to reveal how crucial character's time perception is for the understanding of the character and of the novel as a whole.

"Past is never dead. It is not even past" – this many times cited phrase which is a remarkable summing up of Faulkner's time concept finds its appearance in all his novels where the pressure of the past affecting the psychology and morality of an individual is explored in a variety of complex ways. Nearly all Faulkner's characters are concerned with time problem and most of them are in conflict with time. According to their time-perception, Faulkner's characters can be divided into several groups:

a) 'Faulknerian Man' (Jean-Paul Sartre's term) who is obsessed with past. For them life is remembering and preserving the myth of the glorious past inherited from their ancestors. These characters who are nearly always protagonists (Bayard Sartoris, Quentin Compson, Joe Christmas, Darl Bundren) can be viewed as a quest hero who attempts to gain his personal identity by rage against time. Their extreme isolation is often expressed by the image of a circle, which stresses impossibility of communication, the hero's inability to admit another person into it. Another image associated with this type of character is the shadow, which can be viewed as their *alter ego*, their dark, irrational self which they vainly attempt to get rid of either by running away from the shadow (Joe Christmas in *Light in August*) or by drowning it (Quentin Compson in *The Sound and the Fury*). These heroes often frantically seek their own destruction as nearly all of them see death as a means to escape time.

b) The patriarchs (Thomas Sutpen, Colonel John Sartoris, Major De Spain) are men of action who oppose action to the flow of time. They attempt to control the future by realizing their design to build a dynasty and to leave descendants who will inherit and cherish the myth of the great past. It is this myth which appears as a doom for many of Faulkner's favourite heroes. The patriarchs are never presented in Faulkner's novels alive. Instead we see the effect of their deeds and their influence on the present. Their life stories are told and retold a number of times from different viewpoints (Aunt Jenny's stories in *The Sartoris*; Quentin Compson and Shreve reconstructing Thomas Sutpen's life-story in *Absalom, Absa-*

lom) until they turn into a timeless myth.

c) The mechanical man (Jason Compson, Byron Snopes, Flem Snopes, Popeye) is a product of the mechanical civilization with its consumer attitude towards everything including time. The Synopeses who appears in Faulkner's later works crowd out, rob or replace in their positions of influence the futile aristocrats like the Sartorises and the Compsons. Their frightening advance reinforces Faulkner's vision of destruction and futility and desintegration brought about by time.

The most violent image of this group is Popeye (*The Sanctuary*) whose sadism and impotence symbolize the evils of the dehumanized mechanical world.

d) The fourth group consists of characters whose degree of time awareness and, thus the degree of concern, is very low. Among them are Benjy (*The Sound and The Fury*), Ike Snopes (*The Hamlet*) whose idiocy reduces them to the existence where time does not matter.

Besides the above mentioned, there is a small number of characters in Faulkner's novels, mostly simpletons like Lena Grove (*Light in August*), Eula Varner (*The Hamlet*) who live in harmony with nature and natural time, intuitively accepting time as something given and not as a problem to reflect on or fight against. And finally above all there is Dilsey (*The Sound and the Fury*) whose ability to accept time and change while preserving her sense of continuity and dignity makes her one of the most memorable characters in Faulkner's novels.

რეცენზიები

**Damana Melikishvili, J. Daniel Humphries, Maia Kupunia,
The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis,
Dunwody Press (Washington, 2008), 288 pp.**

1. 2008 წელს ამერიკაში გამომცემლობა „Dunwody Press“-მა გამოსცა მონოგრაფია: *The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis* – ქართული ზმნა: მორფოსინტაქსური ანალიზი. წიგნის ავტორები არიან დამანა მელიქიშვილი, დანიელ ჰამფრისი და მაია კუჭუნია. ნაშრომი, ფაქტობრივად, გაფართოებული ვარიანტია პროფ. დ. მელიქიშვილის მიერ რვა წლის წინ გამოქვეყნებული მონოგრაფიისა ქართული ზმნის უდლების სისტემა (თბილისი, 2001).

დ. მელიქიშვილის მიერ თბილისში გამოცემული ნაშრომი 362-გვერდიანია, ხოლო იმავე ნაშრომის ამერიკული ვარიანტი – 724-გვერდიანი და თანაც ფორმატითაც საკმაოდ დიდი, კერძოდ, საქართველოში გამოსული წიგნი A5 ფორმატისაა, ხოლო ამერიკაში გამოცემული – A4-სა.

დ. მელიქიშვილის წიგნის ამერიკული ვარიანტი შედეგია ქართული ზმნისადმი იმ დიდი დაინტერესებისა, რაც დოქტორმა დანიელ ჰამფრისმა გამოიჩინა. იგი დ. მელიქიშვილის წიგნის ქართულ ვარიანტს ადრევე გასცნობია, ძალიან მოსწონებია და თავისი აზრიც გამოუთქვამს. კერძოდ, მისი ვარაუდით, დ. მელიქიშვილის მიერ ქართული ზმნის მორფოსინტაქსური კლასიფიკირების აკაკი შანიძისული უდლების 4 ტიპის შეცვლა 3 დიათეზით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. დ. მელიქიშვილს სემანტიკური ტერმინის გვარის ნაცვლად შემოაქვს დიათეზა, რომელიც დაფუძნებულია ზმნის ფორმასა და ვალენტობაზე (კონსტრუქციასა და სტრუქტურაზე), მოიცავს გვარს (აქტივს, ავტოაქტივს, პასივს) და ქცევას (წეიტრალურს, სუბიექტურს, ლოკატიურს).

დ. ჰამფრისი წერს: „მელიქიშვილის ამ ახალი სისტემის არგუმენტაცია ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც იყო თავის დროზე (1936) შანიძის მიერ ზმნის პარადიგმატულ დონეზე აღნერის მიზნით დროის კრიტერიუმის შეცვლა მწკრივის კრიტერიუმით“. მაგრამ, დ. ჰამფრისის აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ახალი სისტემით აიხსნება და დაიძლევა ის წინააღმდეგობები და შეუსაბამობები, რომლებიც ვერ აიხსნება ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტრადიციული კლას-

იფიკაციით, რომელსაც უღლებადი ფორმების გვარებად დაყოფა უდევს საფუძვლად.

ქვემოთ კონკრეტულად წარმოვადგენთ იმ წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებს, რომლებსაც და ჰამფრისი გულისმობს:

1. ტრადიციულად, გვარი გადმოსცემს დამოკიდებულებას ზმნის მოქმედება-მდგომარეობასა და მის პირებს შორის. კერძოდ, როცა სუბ-იუქტი ზმნაში აგენსი ანუ მოქმედია, მაშინ ზმნა მოქმედებითი გვარისაა (მაგ., წერს), ხოლო როცა სუბიუქტი პასიურია, მოქმედების განმცდელია (მაგ., იწერება) – ვნებითი გვარისაა. სხვადასხვა გვარის ზმნები ერთმანეთთან კონვერსიულ დამოკიდებულებაშია. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება არ გამოდგება დიდი რაოდენობის ქართული ზმნებისათვის, რომლებიც ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას გამოხატავენ, მაგალითად, წუხს. კანკალებს, ტირის. ასეთ ზმნებში მოქმედების აგენსი იგივე პაციენსია. ამ შემთხვევაში მოქმედი და განმცდელი ერთი და იგივეა. დ. მელიქიშვილის სისტემით ასეთ ზმნებს ავტოაქტივები ეწოდება, რადგან სუბიუქტი თვითმოქმედია, მისი მოქმედება ისევ სუბიუქტისაკენ მიემართება (დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა (თბილისი, 2001), გვ. 62-63).

2. ქართული ზმნის პასიურობის განსაზღვრა მხოლოდ ფორმალური ნიშნის მიხედვით ძალიან ძნელი და შეუძლებელიც კია. ამის მაგალითად და ჰამფრისი ასახელებს ვნებითი გვარის ზმნის ფორმებს, რომლებშიც სუბიუქტი აქტიური ელემენტია, აგენსია: ნუგზარი იმაღლება თვითონ (რეფლექსივი) და ნუგზარი ემაღლება ნანას (რელატიური).

3. ამის გარდა ზოგიერთი აბსოლუტური ზმნის სუბიუქტი აქტიურია, რაც ასევე ეწინააღმდეგება აქამდე მიღებულ პასიურობის განმსაზღვრელ სემანტიკურ კრიტერიუმს. ეს ზმნებია: ილანძღება, იყბინება, ილუკმება (რომელთაც ტრადიციულად დეპონენსებს უწოდებენ).

4. ერთ-ერთ წინააღმდეგობას წარმოადგენს ისიც, რომ ბევრ პასიურ ზმნას, რომლებიც ე-პრეფიქსით იწარმოება, არა აქვს შესაბამისი მონოპერსონალური ი-პრეფიქსიანი ფორმა და ისინი ავტოაქტივებს ეწყვილებიან: ლაპარაკობს – ელაპარაკება, მასხრობს – ემასხრება, კამათობს – ეკამათება და სხვ.

5. -ები-ი სუფიქსიანი პასიური ზმნები აქტიური ზმნებისა და ავტოაქტივების დაპირისპირებით ქმნიან ნებელობა-უნებლიობითობის სემანტიკის დაპირისპირებას: ვიხსენებ – მახსენდება, ვიგვიანებ – მაგვიანდება,

კნანობ – მენანება და სხვ.

1. დ. ჰამფრისი ასკვნის, რომ „ამა თუ იმ ზმნისათვის გვარის მიკუთვნება ქვემდებარესა და შემასმენელს (სუბიექტსა და პრედიკატს) შორის აქტიურ-პასიური დამოკიდებულების აღსანიშნავად შეიძლება ინდოევროპულ ენებში გამოდგეს, მაგრამ ქართულში ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს“ (ჯ. დანიელ ჰამპრისი, ქართულ ზმნათა პრაქტიკული ლექსიკონის შექმნისათვის, ქართველოლოგი №13 (2006), გვ. 80), რადგან ქართულში გვარი არ არის მკვეთრად გამიჯნული ქცევისაგან, ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციისათვის, დოქტორ ჰამფრისის აზრით, მისაღები სწორედ დ. მელიქიშვილის სისტემაა, რომელშიც გათვალისწინებულია გვარისა და ვერსის ურთიერმიართება, ზმნის სტრუქტურა (ვალენტობა), კონვერსია და ინვერსია, ზმნის სტატიკურობა, დინამიკურობა და ის, თუ როგორ იქცევიან სინტაქსურად ეკვივალენტური აქტანტები სულიერ – არასულიერის და პერსონალურ – არაპერსონალურის დაპირისპირების სემანტიკის ფარგლებში.

დ. ჰამფრისის ქართული ზმნური ფუძეების ახლებური ლექსიკონის შექმნისათვის დ. მელიქიშვილის სისტემა ძალზე მოხერხებულად მიაჩნია. ამ სისტემაზე და აქ მოცემულ ზმნათა კლასებზე დაყრდნობით საკმაოდ ტევადი ლექსიკონის შექმნას ფიქრობს დ. ჰამფრისი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უცხოელების მიერ ქართულის დაუფლებასა და მთარგმნელობით საქმიანობას.

ქართული ზმნური ფორმების კლასიფიკაციის საკითხები ბევრი ქართველი მკვლევრისათვისაა ძალზე აქტუალური და საკამათო. მაგრამ ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ სწორედ უცხოელმა, ქართულის შემსწავლელმა მკვლევარმა დაინახა ზემოთ აღნიშნული შეუსაბამობანი სხვა თვალით, ინდოევროპული ენების სისტემათა კუთხით. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ზემოაღნიშნული შეუსაბამობანი უფრო თვალსაჩინო გახდებოდა. მით უმეტეს, როგორც ცნობილია, დ. ჰამფრისი ქართულ ზმნურ ფუძეთა პრაქტიკული ლექსიკონის შექმნას აპირებს და ამ მიზნისათვის მას მწყობრი გრამატიკული კლასიფიკაცია ესაჭიროება, რომელზე დაფუძნებული პრიციპებითაც ლექსიკონს გამართავს. ასეთ სისტემად მას დ. მელიქიშვილის სისტემა მიაჩნია. სწორედ ამიტომაც გაჩნდა იდეა დ. მელიქიშვილის ზემოაღნიშნული წიგნის ინგლისურად თარგმნისა. თუმცა ამერიკაში გამოსული მონოგრაფია უშუალო თარგმანს არ წარმოადგენს, მასში დ. მელიქიშვილთან ერთად დ. ჰამფრისი და ამერიკაში

Damana Melikishvili, J. Daniel Humphries, Maia Kupunia

მცხოვრები ჩვენი თანამემამულე მასა ყუფუნია თანაავტორებად წარმოდგებან. წიგნის ამერიკულ ვარიანტში დ. მელიქიშვილის კონცეფცია გამლილია და ქართული ზმნის უმთავრეს მახასიათებლებთან ერთად მოწოდებულია იმგვარად, რომ გასაგები გახდეს უცხოელი სპეციალისტებისათვის; ამასთან ერთად აქვე მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ზმურ ფორმათა პარადიგმები.

ნაშრომი “The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis” ორი ნაწილისაგან შედგება, მათში 14 თავია გაერთიანებული, პირველში – ცხრა, მეორეში კი – ხუთი.

წიგნის პირველ ნაწილში შემდეგი თავებია:

1. The Structure and Construction of Non-Inverisive Georgian Verbs – არაინვერსიულ ზმნათა სტრუქტურა და კონსტრუქცია ქართულში, გვ. 1-44.
 2. Transitivity and Version in Georgian – გარდამავლობა და ქცევა ქართულში, გვ. 45-55.
 3. Form and function of Georgian Preverbs – ქართული ზმნისწინების ფორმა და ფუნქცია, გვ. 56-64.
 4. The Historical Interrelationship of Tense, Aspect, and Mood in Georgian – დროის, კილოსა და ასპექტის ისტორიული ურთიერთმიმართება ქართულში, გვ. 65-71.
 5. Inversion and Development of Series III Georgian Verbs – ინვერსია და ქართული ზმნის მესამე სერიის ფორმათა განვითარება, გვ. 72-114.
 6. The Paradigmatic Arrangement of Georgian Verbs – ქართული ზმნის პარადიგმატული განაწილებისათვის, გვ. 115-122.
 7. Inversion and the Development of Affective Stative Verbs in Georgian – ინვერსიისა და ქართული აფექტური სტატიკური ზმნების განვითარება, გვ. 123-128.
 8. Using Diathesis to Classify Georgian Verbs – დიათეზის გამოყენება ქართული ზმნის საკლასიფიკაციოდ, გვ. 129-154.
 9. The Syntactic Interrelationship of the Georgian Verbs and its Arguments – ქართული ზმნის სინტაქსური ურთიერთობანი, გვ. 155-180.
- მეორე ნაწილში შემდეგი თავები გვაქვს:
10. The first Diathesis – პირველი დიათეზა, გვ. 183-357.
 11. The Second Diathesis – მეორე დიათეზა, გვ. 359-475.
 12. The Second Diathesis – მესამე დიათეზა, გვ. 476-521.

რამაზ ქურდაძე

13. Irregular Verbs – არაწესიერი ზმნები, გვ. 522-529.

14. Conjoined Paradigms – შეერთებული პარადიგმები, გვ. 530-540.

ნიგნს ერთვის ნაშრომში გამოყენებულ ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი, გვ. 541-567.

აქვეა ქართულ ზმნურ ფორმათა ინდექსი (ზმნური ძირები ანბანის მიხედვითაა წარმოდგენილი), გვ. 569-663 და დამატების სახით მოცემულია ტაბულები, რომლებშიც პირველი და მეორე დიათეზების ზმნების სტრუქტურებია წარმოგენილი, გვ. 664-698. ტაბულები შემდეგ 25 გვერდზე გრძელდება, თუმცა ეს გვერდები აღარაა დანომრილი.

ვფიქრობთ, ნაშრომი არაერთხელ იქნება სპეციალური მსჯელობის საგანი როგორც ქართველ, ასევე არაქართველ მკვლევართათვის, რადგან ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო საკუთრივ ქართველობისათვის, არამედ ზოგადად თეორიული ენათმეცნიერებისათვის.

საზღვარგარეთ ქართული ზმნის შესახებ ასეთი პრესტიული გამოცემა ბოლო პერიოდის განსაკუთრებული მოვლენაა და სამართლიანი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში ის, რომ ეს ქართველი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის საერთაშორისო აღიარებაა ქართველობის დარგში.

რამაზ ქურდაძე

მიხეილ ქურდიანი,

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები,

თსუ გამომცემლობა (თბილისი, 2008), 1040 გვ.

თანამედროვე ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფესორ მიხეილ ქურდიანის ფუნდამენტური და კაპიტალური მონოგრაფია **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები** უმნიშვნელოვანესი მოვლენაა არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო საენათმეცნიერო საზოგადოებისათვის. წამრომი კომპარატივისტული მეთოდების კორექტული და ადეკვატური გამოყენებით ადგენს ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობას.

ამა თუ იმ ენობრივ ჯგუფთა თუ ცალკეულ ენათა ოჯახად მიჩნევის საფუძველი მათ შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბერძნებისა-ტყვისობათა დადგენაა და ეს მონოგრაფიაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სწორედ ასეთი საფუძვლის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებელს არნ. ჩიქობავას, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინციპულ მიმდევარს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის იდეის პერსპექტიულობა ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის „დასკვნით დებულებებში იგი წერდა: „იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობა მეცნიერულად ხელშესახებია ამ ენათა ოთხივე ჯგუფის საფუძველზე“ (გვ. 303-304).

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული თეორიის მიმდევარი მკვლევრები ნათლად ხედავდნენ ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის მიერ მათ წინაშე დასმულ პრინციპულ მოთხოვნას და ახლო მომავლისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებლადაც კი მიაჩნდათ. მკაცრი და თანმიმდევრული, ე. ი. მკვიდრი შედეგების მომტანი მეთოდით ლექსიკის შედარება და კანონზომიერ ფარდობათა დადგენა უპირველესი საკითხი იყო. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა: „ჯერ-ჯერობით ასეთი ფარდობა არაა დადგენილი არა თუ ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, არამედ თვით ამ უკანასკნელთა

შორისაც შესატყვისობის დადგენა ჭირს ერთი და იმავე ჯგუფის ენათა შორისაც. მიზეზი მარტივია: „შესადარებელ სიტყვებს იღებენ იმ სახით, რაც მათ დღეს აქვთ. „ისტორიული გაერთმნიშვნელიანების“ გარეშე ... ცხადია, ასეთი შედარება, როგორც წესი, ჯერ ფალკეული ჯგუფის შიგნით უნდა წარმოებდეს, შემდეგ კი ჯგუფებს შორის“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი (გვ. 225-226).

მ. ქურდიანმა, ზოგადი, ქართველური და კავკასიური ენების გამოცდილმა მკვლევარმა, ჩიქობავასეული მემკვიდრეობის მეცნიერული საფუძვლიანობის დასაბუთება დაისახა მიზნად. ენათმეცნიერებაში მეთოდური საფუძვლიანობა შესაბამისი კვლევის აუცილებელ პირობად მიიჩნევა. სხვა შემთხვევაში ცდომილება ნათელი ხდება.

მ. ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებს“ წინ ერთვის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. არაბულის წერილი შემაჯამებელი ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიაში (გვ. 19-72). ნაშრომი ასეთი სტრუქტურისაა: ტრანსკრიფცია (გვ. 73-82), იბერიულ-კავკასიური ენები და დიალექტები (გვ. 83-90), წინასიტყვაობა (გვ. 91-112), შესავალი – ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკვანძო საკითხები და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (გვ. 113-220); აქ განხილულია სინქრონიულ ბგერათშესატყვისობათა დიაქრონიაში ასახვის ჰოლოგრამული პრინციპი; ბგერათშესატყვისობანი და ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციის პრობლემა, ასევე მათი კვალიფიკაციის პრობლემა; ბგერათშესატყვისობათა რანჟირება მათი მტკიცებულებითი ძალის მიხედვით; ბგერათშესატყვისობათა სინქრონიული სისტემების იმპერატიული მნიშვნელობა დიაქრონიული რეკონსტრუქციებისას; ბგერათშესატყვისობები, როგორც დიაქრონიული რეკონსტრუქციების ერთადერთი შესაძლო საფუძველი; ინდუქციური და დედუქციური მიდგომების რანჟირება კომპარატივისტიკაში მათი მტკიცებულებითი ძალის მიხედვით; დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესების არათანაბარი მნიშვნელობა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით; ბგერათშესატყვისობათა თვისობრივი გამიჯვნისათვის პოზიციური და კომბინატორული ფონეტიკური პროცესებისა და ინდივიდის მეტყველების თავისებურებათაგან. მონოგრაფიის შესავლის საკითხთა წუსხა ცხადყოფს მკვლევრის ზოგადთეორიული ხასიათის დებულებათა სისწორე-ვარგისიანობის შემოწმების სიზუსტეს იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისათვის.

მიხეილ ქურდიანი

სარეცენზიო წიგნში ყოველი დებულება თუ განზოგადება-დასკვნა დამყარებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა კონკრეტულ მასალაზე. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ სახელმძღვანელო-ცაა მაგისტრანტებისათვის და ამიტომ ავტორი სათანადო მასალას გადმოსცემს აუდიტორიის მომზადებისა თუ ცოდნის კვალად. ივარაუდება, რომ სტუდენტმა უკვე მოისმინა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესაწინავლის ისტორია“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, რომლის ლოგიკურ გაგრძელებასაც ეს ნაშრომი წარმოადგენს. ივარაუდება, რომ სტუდენტები იცნობენ სათანადო ცნებებს, მათ მოსმენილი აქვთ ქართველურ ენათა და მთის კავკასიურ ენათა მეცნიერული კურსები.

მონოგრაფიაში დასმული საკითხების გასაგებად და მარტივად გადმოცემა არ ნიშნავს სათანადო მასალისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების სიმარტივეს. ამ თვალსაზრისით აღვნიშნავთ ზოგიერთ საკითხს:

პირველ თავში (გვ. 231-378) – ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორია და ფუძექმნადობის მოდელები იბერიულ-კავკასიურ ენებში – ავტორი განიხილავს ენობრივი ნიშნის სემიოტიკური იერარქიის კორექციის საკითხს, ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სტრუქტურებსა და კანონიურ კომბინაციებს იბერიულ-კავკასიურ ენებში, ფუძექმნადობის მოდელებს ბასკურში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. განხილულია ფუძექმნადობის მოდელების მნიშვნელობა შედარებითი მეთოდის პოზიციიდან.

მეორე თავში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება განხილულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით. აქ მეცნიერული არგუმენტირებით დასაბუთებულია ქართველური და დალესტნური ენების ნათესაობის საკითხი, დადგენილია ბგერათშესატყვისობები ლატერალთა რიგში, სიბილანტთა რიგში, დენტალურ ხშულთა რიგში; ასევე დასაბუთებულია აფხაზურ-ქართველური ბგერათშესატყვისობები დენტალურ ხშულ სიბილანტთა და ლატერალთა რიგებში.

მესამე თავი (გვ. 379-439) წარმოგვიდგენს ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას ისტორიულ-შედარებითი მეთოდზე დაყრდნობით, კერძოდ, ქართული და ბასკური ენების ნათესაობის საკითხს, განსაზღვრავს ბასკური ენის ადგილს იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის; საერთო-ბასკურ-ქართველური ენის კონსონანტურ სისტემას, ამ სისტემის ტრანსფორმაციას ბასკურში, ასევე საერთო-ქართველურში.

მეოთხე თავში (გვ. 501-550) იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის დასაბუთებათა დამატებითი ვერიფიკაცია მოცემული, კერძოდ, დაღესტნურ-ქართველური და ბასკურ-ქართველური ბგერათშესატყვი-სობების ურთიერთვერიფიკაცია ლატერალთა და სიბილანტურ აფრიკატა რიგში; მოცემულია ბგერათშესატყვისობათა ვერიფიკაცია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სამივე ჯგუფის მასალაზე ლატერალთა რიგში, განხილულია იბერიულ-კავკასიურ ბგერათშესატყვისობათა ვერიფიკაცია ძირულ და აფიქსალურ მორფემათა კომბინაციაში შემავალ ელემენტთა რაოდენობის მიხედვით.

მეხუთე თავში (გვ. 551-624) ავტორი ადგენს ლექსიკურ სესხებათა მიმართულებას ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე. მეექვსე თავი (გვ. 11-698) იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით (სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ) ლექსიკონებს განიხილავს. ნაშრომს ერთვის ძირითადი დასკვნები (გვ. 699-728), ბოლოსიტყვა (გვ. 729-742) და დანართი – იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის ისტორია თავის უმთავრეს მომენტში (გვ. 743-828); აქვეა ბიბლიოგრაფია (გვ. 829-912) და საძიებლები: 1. საერთო იბერიულ-კავკასიური სემანტიკების; 2. არქეტიპთა და სიტყვა-ფორმათა; 3. პირთა (გვ. 913-999).

ჩვენ წინაშეა იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის ისტორიის საეტაპო მონაბოვარი. დადგენილია ამ ენობრივი ოჯახის თითოეულ ჯგუფში შემავალ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი, ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგიური ინვენტარისა და სიტყვა-ფორმათა არქეტიპების ვერიფიცირებადი რეკონსტრუქციები და სარწმუნო ეტიმოლოგიები. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, საქმე გვაქვს XXI საუკუნის კავკასიოლოგიურ მეცნიერულ პარადიგმასთან, ეპოქალურ ნაშრომთან. მას შემდგომში უნდა დაეფუძნოს რაოდენობრივად ახალი ეტაპი – ახალი მასალისა და ახალი შეპირისპირებების გამოვლენა. შესატყვისობათა დადგენილი სისტემის რეინტერპრეტაციის პროცესში და სხვ. მთავარი კი ის არის, რომ დღეს უკვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება რწმენის კი არა, ცოდნის საგანია.

არნ. ჩიქობავამ თავის მოსწავლეებს გაცხოველებული მუშაობა დაუსახა მიზნად კომპარატივისტიკის მხრივ. დღეს ქართული კავკასიოლოგიური სკოლა ახალ სიტყვას ამბობს მსოფლიო საენათმეცნიერო საზოგადოების წინაშე.

არნ. ჩიქობავა კავკასიოლოგთა რეგიონალური სესიის დღეებში «Да-

მიხეილ ქურდიანი

гестанская правда»-ს ფურცლებზე წერდა: „ახლა შორს არ არის ის დღე, როცა ასეთი დღეები დაგვირგვინდება ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფებისა და ენათმეცნიერ-კავკასიოლოგების კონგრესით“.

ჭეშმარიტად იწინასწარმეტყველა დიდმა მეცნიერმა, ისევე როგორც იწინასწარმეტყველა თავის მოწაფეთაგან „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის“ ბუნებრივი და ლოგიკური გაგრძელება – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლით“ ამოყვანილი კედლების „სახურავი და დაგვირგვინება“ მისი გამოსვლიდან 30 წლის შემდეგ.

ცირა ბარამიძე

Elguja Khintibidze,

The Man in Panther-Skin in England in the Age of Shakespeare,

Kartvelology (Tbilisi, 2009), 149 pp.

რუსთველოლოგია ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სფეროა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა. თუმცა თანამედროვე კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკა ამოუწურავია და სულ ახალ და ახალ პერსპექტივებს შლის მეცნიერთა წინაშე. ამის თვალსაჩინო მაგალითია პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ბოლო ნაშრო-მი „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ეპოქის ინგლისში.

ამ წიგნის სათაურიც კი, დამეთანხმებით, ინტერესს იწვევს მკითხ-ველში თავისი არაორდინალურობით, საკითხის დასმის ორიგინალურო-ბით, რადგან ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დრომდე საკ-მაოდ მყარად მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული საკითხები ევროპულ ენებზე პირველად მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში წარმოჩნდა (არსებობს საეჭვო ცნობა, თითქოს რუსთველის ერთი ლექსი, სხვა უცნობ ლექსებთან ერთად, შუა საუკუ-ნეებშივე უნდა ყოფილიყო თარგმნილი არაბულად).

ამ ახალი წიგნის მთავარი მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მის ავ-ტორს „ვეფხისტყაოსნის“ ევროპულ სამყაროში შეღწევის თარიღი ორი საუკუნით ადრე გადააქვს. კერძოდ, გამოთქმულია ძალზე საინტერესო შეხედულება, რომ XVII საუკუნის ინგლისელი დრამატურგების, ბომონ-ტისა და ფლეტჩერის, ორი პიესის ლიტერატურული წყარო რუსთვე-ლის „ვეფხისტყაოსანი“ უნდა იყოს. ეს პიესებია: „მეფე და არა მეფე“ და „ფილასტერი“. მეცნიერი გრძნობს, თუ რამდენად საპასუხისმგებლოა ამგვარი ვარაუდის უდავო მტკიცებულებად ქცევა, ამიტომაც წიგნის და-საწყისშივე მიუთითებს: „პასუხისმგებლობა, რომელსაც ჩემში ამ გარე-მოების გააზრება იწვევს, მავალდებულებს, რომ წინამდებარე გამოკვლე-ვა ჩავთვალო მხოლოდ საკითხის დასმად, პრობლემის საკვლევად ჩამოყ-ალიბად და მისი შემდგომი დასაბუთებისათვის მუშაობა გავაგრძელო“. ამ სიტყვებით ცხადად ჩანს, თუ რა სიფრთხილით ეკიდება ავტორი საკვ-ლევ თემატიკას. თუმცა, თავიდანვე უნდა ითქვას, წიგნის სილრმისეული ანალიზი თვალსაჩინოს ხდის, რომ მასში წამოჭრილი პრობლემები დიდად

სცილდება ვარაუდის სფეროს და ღრმად დასაბუთებულ, მყარ არგუმენტებზე დაყრდნობილ დებულებებად გვევლინება.

საზოგადოდ, ამ სახის კვლევას ახლავს უმთავრესი სირთულე: განსხვავებული ეპოქისა და სტილის ლიტერატურულ ქმნილებათა შედარებისას აუცილებელია დადგინდეს, მათ შორის არსებული მსგავსებანი ტიპოლოგიურია, ე.წ. მოარული სიუჟეტების გავრცელების პრინციპებით უნდა აიხსნას, თუ ისინი აშკარად ავლენენ ფაბულურ, სიუჟეტურ, სტილურ ერთგვარობას, რაც მოგვცემს საფუძველს, ერთი თხზულება მეორის წყაროდ მივიჩნიოთ.

ერთ-ერთი მთავარი დებულება, რომლის დამტკიცებასაც მეცნიერი ცდილობს, არის ის, რომ ინგლისელ დრამატურგებს, ბომონტსა და ფლეტჩერს, „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი შორეულად, ყურმოკვრით კი არ გაუგიათ, არამედ ისინი მეტ-ნაკლებად იცნობენ პოემას. რა აძლევს ავტორს ამ ვარაუდის საფუძველს? როგორ, რა გზით უნდა შეეღწია XVII საუკუნის ინგლისში „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს ან თუნდაც ცნობებს მის შესახებ? ამ საკითხის განხილვას წიგნში რამდენიმე გვერდი ეძღვნება. ეს არის ვრცელი ისტორიული ექსკურსი, რომელსაც ჩვენ სრულად ვერ განვიხილავთ, მხოლოდ დასკვნებს წარმოვაჩენთ. მეცნიერის აზრით, XVII საუკუნეში საქართველოს სამეფო კარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ესპანეთის ხელისუფლებასთან. არ არის გამორიცხული, რომ რუსთველის სახელი ესპანეთში ჯერ კიდევ ამ დროს შესულიყო. სწორედ ამ პერიოდში ბომონტი და ფლეტჩერი ესპანეთში მოღვაწეობდნენ და ქართული კულტურის შესახებ გარკვეულ ცნობებს, შესაძლოა, იქვე გასცნობოდნენ. ეს დებულება ვრცელი ისტორიული მასალით დამაჯერებლად არის არგუმენტირებული.

წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ, მართალია, ბომონტისა და ფლეტჩერის პიესების ფაბულის წყარო „ვეფხისტყაოსნი“ უნდა იყოს, მაგრამ გამორიცხულია რაიმე ლიტერატურულ გავლენაზე საუბარი. ქართული პოემის ამბავი მხოლოდ იმპულსა აძლევს ინგლისური პიესების საყრდენ სიუჟეტურ ფაქტებს, რაც სიუჟეტის განვითარების შემდგომ ეტაპზე მეტ-ნაკლებად გამოიკვეთება. მთავარია, რომ ამ ფონზე იქმნება სრულიად ახალი ნაწარმოებები – განსხვავებული მიზანდასახულობით, სიუჟეტური დეტალებით და პრობლემატიკით.

მეცნიერი მიუთითებს, რომ თვით ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში უკანასკნელ დრომდე უცნობად არის მიჩნეული ბომონტისა და

ფლეტჩერის პიესების ფაბულის წყარო. მართალია, მიუთითებენ შორეულ და მიახლოებულ პარალელებს, მაგრამ არც ერთი მსგავსება საკმარისი არაა საიმისოდ, რომ სერიოზული დასკვნები გამოვიტანოთ. პიესათა ქარგის უშუალო წყარო მიუგნებელია. ამიტომაც ე. ხინთიბიძის ახალი წიგნი არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ევროპაში გავრცელების ისტორიის ერთ მნიშვნელოვან წახნაგას წარმოაჩენს, არამედ თვით ინგლისური ლიტერატურათმცოდნებისთვისაც ფასეულ დასკვნებს შეიცავს.

წიგნში გამოვლენილია სიუჟეტური ეპიზოდების თანხვედრის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტები „ვეფხისტყაოსანსა“ და ინგლისურ პიესებს შორის. მართალია, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა ადასტურებს, რომ მოძრავი შეიძლება იყოს არა მარტო ფაბულა, არამედ სიუჟეტური ეპიზოდებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში შეხვედრები და მსგავსებანი პრინციპული ხასიათისაა. ავტორის მიერ შემჩნეული პარალელები ნამდვილად სცდება ზეპირი ან წერილობითი გზით გავრცელებული მოძრავი ფაბულების სფეროს. მისივე აზრით, შესაძლოა ზოგი მსგავსება შემთხვევითი იყოს, მაგრამ თუ მთლიანობაში განვიხილავთ ყველა ეპიზოდს, შეუძლებელია ამდენი თანხვედრა.

მაინც რა არგუმენტებს მოიხმობს მეცნიერი იმის სამტკიცებლად, რომ ბომონტისა და ფლეტჩერის პიესების ფაბულა „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ქარგიდან მომდინარე ამბავს ემყარება?

ბომონტისა და ფლეტჩერის პიესა „მეფე და არა მეფე“ შეყვარებული წყვილის რომანტიკულ ისტორიას აღწერს. ე. ხინთიბიძის დაკვირვებით, ამ ნანარმოების „სიუჟეტური ფაქტები, დროული და სივრცული კოორდინატები, ანუ კარკასი „ვეფხისტყაოსნისეული“ ინდოეთის ამბავს ემთხვევა“. ორივე თხზულებაში საყრდენი სიუჟეტური ფაქტები აბსოლუტურად იდენტურია. ესენია: ტახტის მემკვიდრედ სხვისი შვილის აყვანა; მოგვიანებით სამეფო კარზე ღვიძლი ქალიშვილის დაბადება; მემკვიდრე ვაჟისა და პრინცესის მიერ ერთმანეთის თავდავინყებით შეყვარება. ამ საყრდენი კოორდინატების თანხვედრას შემდგომში სხვა მსგავსებებიც მოსდევს უკვე პიესის სიუჟეტში. ე. ხინთიბიძის დაკვირვებით, ა) ინგლისური პიესა მთავარი გმირის, უფლისწულ არბასესის, შვილად აყვანიდან პრინცესის დაბადებამდე იმდენივე დრო გადის, რამდენიც ტარიელის შვილად აყვანიდან ნესტანის დაბადებამდე. ბ) ორივე თხზულებაში ამ დროის ხანგრძლივობა ერთნაირად არის დაზუსტებული. გ) ორივეგან პრინცი და პრინცესა ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში განაცალკევეს და მათ

მხოლოდ დიდი ხნის განშორების შემდეგ ნახეს ერთმანეთი. დ) სწორედ აქ ინასკვება ორივე ამბის დრამატული კვანძი: ქალ-ვაჟს ერთმანეთი უზომოდ შეუყვარდა. ე) მსგავსება უფრო ღრმავდება, როცა იწყება პერ-სონაჟთა ემოციების აღწერა. არბასესიც და ტარიელიც სიყვარულისგან გონს კარგავენ, მათ მხლებლებს და ახლობლებს აშინებთ მათი სულიერი მდგომარეობა. ისინი ფიზიკურადაც დაძაბუნდებიან და საკუთარი სხეულის ზიდვაც კი უჭირთ.

აი, ამ არსებით მსგავსებათა საფუძველზე ე. ხინთიბიძე დაასკვნის: „ინგლისური პიესის რომანტიკული ინტრიგის ქარგის არა მხოლოდ ძირითადი კოორდინატები ემთხვევა „ვეფხისყაოსნის“ ინდოეთის ამბის სასიყვარულო ინტრიგის კარკასს, არამედ ორივე თხზულების დრამატული კვანძის განასკვნა თითქმის აბსოლუტურად ერთნაირად ხდება“.

ამის შემდეგ ავტორი საუბრობს იმ რემინესცენციებზე, რომელთაც აღძრავს ინგლისური პიესა რუსთველის ინდოეთის მხატვრულ სივრცეს-თან მიმართებით. უნდა ითქვას, რომ ეს ანალოგიები ძალზე არსებითია. ამიტომაც მათი რემინესცენციებად სახელდება საკმარისი არაა. ეს დე-ტალები ძალზე მნიშვნელოვანია და ავტორის არგუმენტებს უფრო დამაჯერებელს ხდის.

საინტერესო და ფასეულია დაკვირვება თხზულებათა მხატვრული სივრცის მსგავსებაზე. ინგლისურ პიესაში სამოქმედო ასპარეზი იბერიაა, ანუ საქართველო. ავტორის შენიშვნით, იბერიის თემის შემოტანა XVII საუკუნის ინგლისში მოულოდნელი არ არის, რადგან ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ ფილიპ სიდნის „არკადიაშიც“ რომანტიკული ეპიზოდების გარკვეული ნაწილი სწორედ იბერიაში მიმდინარეობს. მეცნიერი სვამს კითხვას: თუ ბომონტი და ფლეტჩერი იმპულს თავიანთი პიესის ფაბულისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთიდან იღებდნენ, რატომ გადაიტანეს ამბავი იბერიაში? ეს, მართლაც, საგულისხმო კითხვაა. ავტორი გრძნობს ამ დეტალის მნიშვნელოვნებას და რამდენიმე მოსაზრებას გვთავაზობს მის ასახსნელად: ჯერ ერთი, სამეცნიერო ლიტერატურის კვალობაზე, მხატვრული სივრცის სპეციფიკურობა არ განისაზღვრება ამა თუ იმ გეოგრაფიული გარემოს სახელწოდებით. იგი წარმოსახვითია, ილუზორულია (ი. რატიანი). მეორეც, თუ ამოსავლად მივიღებთ მოსაზრებას, რომ ბომონტი და ფლეტჩერი თავიანთი პიესის დროულ და სივრცულ კოორდინატებს „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთის ამბიდან იღებენ, მოსალოდნელია, რომ ამ ამბის ლოკალიზებისათვის რუსთველის ქვეყა-

ნას აირჩევდნენ. „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთი ხომ ალეგორიული ინტერ-პრეტაციის კვალობაზე საქართველოდ, ანუ იძერიად იყო გააზრებული. ეს ამბავი კი ინგლისელ ავტორებთან ქართველი კონსულტანტის ინტერ-პრეტაციით მიღიოდა.

ვფიქრობთ, ეს საგულისხმო დასკვნები კიდევ უფრო ამყარებს ავ-ტორის ძირითად დებულებას, რომ XVII საუკუნის ინგლისში ნამდვილად არსებობდა გარკვეული ცნობები შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანზე“. პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით პოემის ფაბულას შეულწევია ევრო-პულ სამყაროში და თავისი აშკარა კვალიც დაუტოვებია. ავტორი, რა თქმა უნდა, იმ განსხვავებებსაც წარმოაჩენს, რომლებიც თხზულებათა შორის არსებობს.

ძალზე საყურადღებოა მსჯელობა „მეფე და არა მეფის“ ერთ-ერთი პერსონაჟი ქალის პანთეას სახელზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნესტანის სახეში რუსთველი ვეფხის განსახიერებას ხედავს. პანთერა რუსთველის პოემის შესატყვისია ინგლისელის ცნობიერებაში. ე. ხინთიძი-ძე წერს, რომ სწორედ პანთერა შეიძლება იყოს იმ მშვენიერი პრინცესის სახელი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ნესტანის სახებადაა გააზრებული. ამ მოსაზრების დასადასტურებლად ავტორს სხვა დამაჯერებელი არგუ-მენტებიც მოჰყავს. აქ მათ სრულად ვერ განვიხილავთ.

ნიგნში მრავალი სხვა საბუთიცაა შემოთავაზებული მთავარი დებულების განსამტკიცებლად: მოტივაციური ქვეტექსტები, პერსონაჟთა კონტრასტულობა, გმირთა ხასიათის სპეციფიკა, პარალელური და სიმ-ეტრიული კონტრასტები და სხვა.

ასევე საყურადღებო და მნიშვნელოვანია პარალელები ბომონტისა და ფლეტჩერის მეორე პიესას, „ფილასტერსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. ავტორი გამოყოფს საერთო მახასიათებლებს, რომლებიც ამ ორ პიესას აკავშირებს რუსთველის პოემასთან. ეს მახასიათებლები პრინციპულია. ეს ორი პიესა განსხვავებულია ინგლისური ტრაგედიის საერთო სტილისაგან. ეს განსხვავებები მათ გენეტიკურად აკავშირებს „ვეფხისტყაოსანთან“.

„ფილასტერში“, როგორც მეცნიერი გვაუწყებს, უამრავი პრინციპუ-ლი პარალელი იჩენს თავს: ერთი ქვეყნის მეფის მიერ მეზობელი სამე-ფოს გაუქმება და შეერთება; უფლისწულისათვის მეფობის მემკვიდრეო-ბის ჩამორთმევა და ერთადერთი ქალისთვის ზედსიძედ სხვა ქვეყნის უფლისწულის მოწვევა; ქალის მიერ სამეფო მემკვიდრეობას ჩამოშორე-ბული უფლისწულის თავისთან ხმობა და სიყვარულის გაცხადება; ზედ-

Elguja Khintibidze

სიძედ მოწვეული სასიძოს ჩამოშორება; ამ ორი მემკვიდრე ქალ-ვაჟის შეუღლება და დიდი ქორწილი. გარდა ამისა, მეცნიერი გამოყოფს უამრავ პრინციპულ მსგავსებას თუ დეტალს, რომლებიც ასევე განამტკიცებენ მის ამოსავალ დებულებას. ყურადღება გამახვილებულია თხზულებებში ასახულ სამეფოთა სახელმწიფო წყობაზე, ჰუმანიზმზე, ტოლერანტობაზე, ყოველივე ეს მეცნიერს აძლევს უფლებას დაასკვნას, რომ „ფილასტ-ერის“ სიუჟეტური კარკასი „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთის სამეფო კარი-დან მოდის.

წიგნში კიდევ უამრავი მნიშვნელოვანი საკითხია წინ წამოწეული და სიღრმისეულად განხილული. სამწუხაროდ, ყოველ მათგანს ვერ მიმოვინილავთ. თუმცა, ვფიქრობთ, ისიც კი, რაც ამ წერილში წარმოვაჩინეთ, სრულიად საქმარისია იმის სამტკიცებლად, რომ ე. ხინთიბიძის ახალი ნაშრომი ძალზე ღირებული სამეცნიერო გამოკვლევაა. „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკა პატივცემული მეცნიერის დიდი და ნაყოფიერი მოლგანეობის ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა. ვფიქრობთ, ქართული რუსთველოლოგისთვის ძალზე მნიშვნელოვანი და ფასეული უნდა იყოს ამ ახალ წიგნში შემოთავაზებული ღრმად არგუმენტირებული დებულებები. ეს ყოველივე დიდ პერსპექტივას სახავს ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავების გზაზე.

ელისო კალანდარიშვილი

რისმაგ გორდეზიანი,

ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა,

მეორე გამოცემა,

გამომცემლობა „ლოგოსი“ (თბილისი 2009), 568 გვ.

ანტიკურ ლიტერატურას, რომელიც მხოლოდ ნაწილია ანტიკური კულტურისა, უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ-კულტურულ ფასეულობად, არამედ ცხოველმყოფელ სულიერ ძალად, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას. ანტიკური სამყაროს შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ იმით, რომ პირველად აყენებს იმ ეთიკურ-ესთეტიკურ პრობლემებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ თავის ცხოველმყოფელობას. უფრო მნიშვნელოვანი თანამედროვეობისათვის არის პრობლემის ამოცნობის ესთეტიკური სრულყოფილება, სახეთა მსატერული გააზრება და სიცოცხლისუნარიანობა. ეს არის ცოცხალი ხელოვნება, სადაც ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ესთეტიზმი და მაღალი ზნეობრიობა. და მართლაც, ჰომეროსის პოემები გვევლინებიან ეპიკური ლიტერატურის განვითარების არა პირველ სტადიად, არც გვიანი გამოცდილების ეპოპეად (ვოლტერის „ჰენრიადას“ მსგავსად), არამედ თავისთავად არსებულ, გარდაუვალი ლირსების მქონე ქმნილებებად. იგივე შეიძლება ითქვას ძველი ბერძნული ლიტერატურის ნებისმიერ ძეგლზე. ანტიკური კულტურის გააზრებით, შეფასებითა და შერჩევით დიდად იყო დაინტერესებული მთელი შემდგომი ეპოქების განათლებული საზოგადოება. ანტიკური არქიტექტურის, პლასტიკისა და გამომსახულებითი ხელოვნების უზადოება, მეცნიერულ და ფილოსოფიურ სისტემათა ცხოველმყოფელობა და ბოლოს, ლიტერატურულ-მსატვრული ტრადიციის მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება – აი, ის არსებითი ფასეულობანი, რომლებიც მუდამ ხიბლავდა ევროპას და აიძულებდა ჰქონიდა განუწყვეტელი კავშირი ანტიკურობის სულიერ სამყაროსთან. ზიარების ეს პროცესი, ბუნებრივია, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში

რისმაგ გორდეზიანი

სხვადასხვაგვარი იყო, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებდა ანტიკური ტრადიციის გავრცელების ზეპირი, ლიტერატურული თუ მეცნიერული ხასიათი. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ლიტერატურა, როგორც ადამიანური შემოქმედების დამოუკიდებელი სფერო, პირველად ძველ საბერძნეთში აღმოცენდა. ელინთა აგონისტურმა და კრიტიკულად განწყობილმა აზროვნებამ მითოსოფიურობასთან ერთად ესთეტიზმის მომენტებიც წამონა წინ, რამაც ლიტერატურის დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობებს დაუდო სათავე. წარმოიშვა ლიტერატურული შემოქმედების განსაკუთრებული სფერო, რომელმაც ისეთი კანონზომიერებები თუ პირობითობათა სისტემა შეიმუშავა, რომელიც დღემდე მოქმედებს და რაც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა კულტურის ისტორიაში. საუკუნეთა განმავლობაში აღაფრთოვანებდა რა განათლებულ საზოგადოებას ძველი ბერძნული ლიტერატურის დიდებული ქმნილებები, მათ გაცნობიერებასა და შესწავლას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. ამ ლიტერატურას დიდი რუდუნებითა და გულისხმიერებით ეუფლებოდნენ ქართველი მოღვაწეებიც მოყოლებული შუა საუკუნეების ადრეული პერიოდიდან, რადგანაც მათ ელინური სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობასთან ერთად მუდამ ჰქონდათ გაცნობიერებული ძველი კოლხეთის ძველბერძნულ ცივილიზაციასთან ურთიერთობის ისტორიული ფაქტიც. თანამედროვე მეცნიერებაში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ქართველური ტომების გენეტიკური კავშირის დადგენას წინაპერძნული ცივილიზაციის შემქმნელ ტომებთან. აქედან გამომდინარე, უკვე არა მხოლოდ ქართველ მეცნიერთათვის გახდა ცხადი, რომ ამ პრობლემის საფუძლიანი შესწავლა აუცილებელია ევროპული ცივილიზაციის უძველესი ეტაპების გამოსავლენად.

ასე რომ, ელინური ლიტერატურის ლრმა ცოდნა ქართული საზოგადოებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს კარგად მოეხსენებოდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლებს, მათ შორის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პირველ წინამძღვარს, გრიგოლ წერეთელს, რომელმაც 1927-1935 წლებში „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ ორი წიგნი გამოსცა. გასული საუკუნის 50-იან წლებში ასევე დიდმა ქართველმა მეცნიერმა სიმონ ყაუხჩიშვილმა განახორციელა „ბერძნული ლიტერატურის ისტორიისა“ და „ანტიკური ლიტერატურის ისტორიის“ იმ დროისათვის ფუნდამენტურ წიგნთა გამოცემა. მას შემდეგ კლასიკური ფილოლოგიის კვლევაში მრავალი სიახლე შეი-

ტანეს როგორც ევროპელმა, ასევე რუსმა და ქართველმა მეცნიერებმა. საქართველოში საფუძველი ჩაეყარა კლასიკური ფილოლოგიის სკოლას, რომელსაც გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის ტრადიციების გამგრძელებელი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი უდგას სათავეში. 1997 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული რეფორმის შედეგად შეიქმნა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, რომელიც დღეს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში ევროპული მასშტაბის საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრად იქცა. სწორედ ამ მასშტაბების შესაბამისია აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის წიგნი „ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის 2002 წელს გამოცემული ამავე სახელწოდების მქონე სახელმძღვანელოს შევსებული და განახლებული ვარიანტი. პირველი გამოცემა მისი გამოსვლიდან სულ რამდენიმე თვეში გაქრა წიგნის თაროდან, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ წიგნით სპეციალისტების გარდა საკმაოდ ფართო აუდიტორიაც არის დაინტერესებული. ქართველი მკითხველი მიიზიდა თავად ძველი ბერძნული ლიტერატურის მნიშვნელობამ, ხოლო ჰუმანიტართა მრავალრიცხვანი წრე – იმ მაღალმა პროფესიონალიზმა, რომელიც ნიშანდობლივია ავტორისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფილოლოგ-ელინისტთათვის „ბერძნული ლიტერატურა“ მისი გამოცემის დღიდან სამაგიდო წიგნად იქცა, რადგანაც მასში გათვალისწინებულია თითქმის ყველა უახლესი გამოკვლევა და სტატია იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებზეც მსჯელობს ავტორი. მსჯელობა კი ენციკლოპედიურია: ავტორი ბერძნული და რომაული ლიტერატურის სახელმძღვანელოს გამოცემას სამ წიგნად აპირებს. ამიტომ წარმოდგენილი, ერთობ ვრცელტანიანი წიგნი მხოლოდ ელინური პერიოდის ეპოსს, ლირიკასა და დრამას ეთმობა (მეორე წიგნში გათვალისწინებულია ელინური ეპოქის ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, მჭევრმეტყველება, მხატვრული პროზა და კლასიკურის შემდგომი პერიოდის ბერძნული ლიტერატურა; მესამეში – რომაული ლიტერატურა). მისი მკითხველი მიიღებს სრულყოფილ ინფორმაციას არა მხოლოდ ელინური პერიოდის ეპოსის, ლირიკისა და დრამის (ტრაგედია, კომედია) თითქმის ყველა წარმომადგენელზე, არამედ იმ ზოგად საკითხებზეც, რომელთაც დასაბამი ანტიკურ სამყაროში დაედოთ და რომელთა გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ლი-

რისმაგ გორდეზიანი

ტერატურული პროცესების შესწავლა. ასე მაგალითად, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ჟანრის (ეპოსის, ლირიკის, დრამის) განსაზღვრის, თეატრის წარმოშობის, ტრაგიულისა და კომიკურის გაგების, კლასიკური ტრაგედიის თანამედროვე ტრაგედიასთან მიმართების, ანტიკურ ლიტერატურაში „ავანგარდისტული“ ტენდენციების, ძველი ბერძნული ლიტერატურული ტრადიციების მუდმივობისა და სხვა პრობლემებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყოველ თავს თან ერთვის მსჯელობის საკითხთან დაკავშირებული უახლესი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც შევსებულია ქართველ მეცნიერთა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გამოკვლევითა თუ სტატიით, რაც წიგნის ავტორის თავისი მოწაფებისადმი (და მათი რიცხვი საკმაოდ ვრცელია) გამოვლენილ ყურადღებასა და დელიკატურობაზე მეტყველებს.

ასე რომ, ქართველმა მკითხველმა მიიღო დიდებული ნობათი, რომლის გაცნობითაც იგი ევროპული ცივილიზაციის საფუძველთაგან უმნიშვნელოვანესას, ძველი ბერძნული მწერლობის ყველაზე უფრო საინტერესო პერიოდს ეზიარება იმ განცდით, რომ მას ექნება სრულყოფილი, შეიძლება ითქვას, ენციკლოპედიური ინფორმაცია მოწოდებული ფრიად ერუდირებული და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე ავტორის კალმით.

ნანა ტონია

მერაბ ტიკაძე,

არაპთა ისტორია (V-XV საუკუნეები),

თსუ გამომცემლობა (თბილისი 2008), 267 გვ.

ისტორიული, რელიგიური, გეოპოლიტიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება. რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის არაბულ სამყაროს, განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს ისტორიაში. არაპთა ბატონობის პერიოდმა (VII-X სს.) გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ განვითარებაზე და დაუკავშირა საქართველო ისლამურ სამყაროს. საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხის ახსნა და გარკვევა შესაძლებელია სწორედ არაპთა ისტორიისა და შესაბამისად, ისლამის ისტორიის ღრმა ცოდნის საფუძველზე. ამის პარალელურად ახლო აღმოსავლეთის ისტორია არის მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამ ისტორიის კანონზომიერებათა გააზრება. ამდენად, ახლო აღმოსავლეთისა და არაბული ქვეყნების ისტორიის შესწავლას დღეს არა მარტო სამეცნიერო, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება. ამის გათვალისწინებით ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ ღირებულია ნაშრომი, რომელიც შედგენილია მრავალფეროვანი ორიენტალისტური ლიტერატურის გაცნობის, ქართველ და უცხოელ მკვლევართა შეხედულებების და კონცეფციების შეჯერების საფუძველზე. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ნაშრომის ავტორი არის კვალიფიციური ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-არაბისტი, რომლის სალექციო კურსებზე თაობები აღიზარდა და სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომის შედგენის სათანადო ცოდნა და გამოცდილება გააჩინა. ამასთან ეს არის არაპთა ისტორიაში ამ ხასიათის პირველი ნაშრომი ქართულ ენაზე.

სარეცენზიონ ნაშრომი, რომელიც არაპთა ისტორიის მხოლოდ პირველ ტომს წარმოადგენს, ქრონილოგიური თანამიმდევრობით განიხილავს არაპთა ისტორიას ისლამამდელი (ჯაპილია) პერიოდიდან 1517 წლამდე, ოსმალთა მიერ არაბული ქვეყნების დაპყრობამდე. ნაშრომის სტრუქტურა 12 თავით არის წარმოდგენილი და საკმაოდ სრულია ინ-

მერაბ ტიკაძე

ფორმაციული თვალსაზრისით. ავტორი აანალიზებს არაბულ-ისლამურ სამყაროში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, რაც მოითხოვს არაბ-თა ბუნებრივი, სოციალურ-კულტურული გარემოს, ისტორიული წანამდ-ღვრების ერთგვარ გაშუქებასაც. ყურადღება გამახვილებულია პირველი მუსლიმური სახელმწიფოს შექმნაზე მედინაში, არაბთა დაპყრობით ომებ-ზე, არაბების პოლიტიკურ ჰეგემონიაზე ახლო აღმოსავლეთში (VII-X სს.). ფართო ისტორიულ ფონზე განხილულია არაბთა პოლიტიკური და ადმი-ნისტრაციული სისტემა, საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა და ვაჭრობა, ფისკალური სისტემა, რელიგიურ უმცირესობათა სტატუსი სახალიფოში და ისლამური ინსტიტუტების ევოლუცია. მნიშვნელოვანი ადგილი ეთ-მობა ისლამს, როგორც შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის იდეო-ლოგიას. გაშუქებულია არაბთა მიერ ძველბერძნული და ელინისტური მემკვიდრეობის მიღება, არაბული სამეცნიერო და ფილოსოფიური აზრის განვითარება, არაბთა მიღწევები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიე-რებებში (მათემატიკა, ასტროლოგია, ასტრონომია, მედიცინა), ისტო-რიაში, გეოგრაფიაში, ლიტერატურაში, არქიტექტურასა და მუსიკაში, განსაზღვრულია ისლამური ცივილიზაციის როლი და ადგილი მსოფლიო ისტორიაში. სათანადოდ არის გათვალისწინებული და გაშუქებული არა-ბულ სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის საკითხები, ესპანეთის ისლამიზაცია, ბერბერ მუსლიმთა როლი შუა საუ-კუნეების მაღრიბის ისტორიაში და ფატიმიანთა ეგვიპტის ადგილი X-XII სს. ისლამურ სამყაროში, აიუბიანთა სასულთნოს წარმოქმნა, ბაჰრელ და ბურჯელ მამლუქთა სასულთნოების სამხედრო სისტემის სტრუქტურა და მისი თავისებურებები. ისტორიის ყოველი პერიოდი მკაფიოდ არის შემოსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოებით.

ნაშრომს თან ახლავს დინასტიური სქემები, რუკები და თემატური პრინციპებით განაწილებული ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც თვალ-ნათლივ გვიჩვენებს ქართველი ორიენტალისტების წვლილს არაბთა ისტორიის, ისლამის, არაბეთ-საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კვლევის საქმეში. ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების უკეთ წარმოჩენის მიზნით ავტორი ხშირად იმოწმებს ქართველ მკვლე-ვართა მოსაზრებებს არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის საკვანძო საკითხებთან მიმართებაში. ნაშრომის სასწავლო დანიშნულების გათ-ვალისწინებით არაბული ტერმინები, გეოგრაფიული და საკუთარი სა-ხელები მოცემულია სამეცნიერო ტრანსლიტერაციის გამარტივებული

ნანი გელოვანი

ვარიანტით: აღნიშნულია გრძელი ხმოვნები და ის ნიშნები, რომელიც შეესაბამება არაპ. ჰამზას (') და აინს ('). თარიღები ჰიჯრით მოტანილია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში.

ნაშრომში გათვალისწინებულია სახელმძღვანელოსათვის დამახა-სიათებელი ყველა სპეციფიკური თავისებურება, როგორიცაა: სტუდენტ-თა მომზადების დონე, კონკრეტული ფაქტების, თარიღების, სახელებისა და სხვა ისტორიული დეტალების აუცილებელი მინიმუმი, ახალი მასალის მოცულობა, რთული ისტორიული ცნებებისა და ტერმინების განმარტება, საცნობარო ხასიათის მასალა, თეორიულ განზოგადებათა სილრმის ფარგ-ლები. სახელმძღვანელო იძლევა აგრეთვე ფართო შესაძლებლობებს და-მატებით მასალებზე მუშაობისათვის, ისტორიული ფაქტების ანალიზის, შეფასებისა და განზოგადებისათვის. ნაშრომი პასუხობს ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონეს და იმავდროულად შეესაბამება სას-წავლო პროგრამის შინაარსს. ისტორიული მასალის თითოეული ელემენ-ტი კარგადაა გააზრებული, დამუშავებული და დაგეგმილი. ისტორიული ცოდნა ცალკეული ეპოქის გარშემო გამდიდრებულია ახალი დეტალებით, ცალკეული ისტორიული პირების გაცნობით, კონკრეტული ფაქტებით, განზოგადებულ დებულებათა გარკვეული სისტემატიზაციით, თითოეულ დებულებაზე მოკლე კომენტარით და დასკვნებით. არაბთა ისტორიის ყველა ქრონოლოგიური პერიოდის განხილვა მთავრდება კულტურის ისტორიის საკითხებით, რათა უჩვენოს მკითხველს, თუ რა ზეგავლე-ნა მოახდინეს ისტორიულმა მოვლენებმა მოცემული ეპოქის კულტურის განვითარებაზე. კულტურულ-ისტორიული მასალა აჩვენებს აგრეთვე მეცნიერებისა და ლიტერატურის როლს ისტორიულ განვითარებაში.

მიგვაჩნია, რომ მაღალ, პროფესიულ დონეზე შესრულებული ეს ნაშ-რომი დაეხმარება სტუდენტებს და დაინტერესებულ პირებს, უკეთ გაე-რკვენენ არაბეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობებში, ახლებურად გაიაზრონ შუა საუკუნეების არაბულ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მოვლენათა ფართო სპექტრი.

ნანი გელოვანი

ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე,

აკადემიური წერა,

გამომცემლობა „საიმედო“ (თბილისი 2008), 204 გვ.

„აკადემიური წერა“ ახალი საგანია ქართულ საგანმანათლებო სივრცეში. წერის კულტურის სწავლების პრობლემები ყველა დროსა და ქვეყანაში აქტუალურია. ევროპასა და ამერიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წერის სწავლების მეთოდების, ხერხებისა და სტრატეგიების შემუშავებისა და დახვენის საქმეში. ახლა საქართველოში ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ვინაიდან ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე წიგნი შეიქმნა.

ამ რეცენზიაში განვიხილავთ ქეთევან გოჩიტაშვილის, გიული შაბაშვილისა და ნინო შარაშენიძის სახელმძღვანელოს „აკადემიური წერა“. წიგნი 2008 წელს გამოიცა გამომცემლობა „საიმედოს“ მიერ. ის შედგება 204 გვერდისაგან და მოიცავს სამ ნაწილსა და დანართს.

სტუდენტთა დაინტერესება წერითი კომპენტენციის ამაღლების თვალსაზრისით ამ ბოლო წლებში იზრდება, რაც ერთობ მისასალმებელი მოვლენაა, მაგრამ თანამედროვე მეთოდოლოგით აგებულ სახელმძღვანელოთა ნაკლებობა ამ პროცესს აფერხებდა. ამ თვალსაზრისით აღნიშნული წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია და იგი უთუოდ შეუწყობს ხელს დამწყებ ავტორებს წერის კულტურის განვითარებაში. თეორიულ მასალას თან ერთვის მრავალფეროვანი ნიმუშები და პრაქტიკული დავალებები. მიცემული წერითი სამუშაოები წინასწარ ისეა განსაზღვრული ავტორების მიერ, რომ სტუდენტი ეტაპობრივად დაძლევს სიძნელეებს და დახვეწს წერის მანერას „მარტივიდან რთულისკენ“ მიმავალი პრინციპით.

წიგნის ავტორები ლინგვისტები არიან და მათ ბევრი რამ იციან სტუდენტთა წერის სირთულეების შესახებ. ამდენად, მათ საუკეთესო გზას მიაგნეს – თანამედროვე მეთოდოლოგითა და უდავოდ საჭირო ლინგვისტური ალლოთი მართლაც ისეთი სტრუქტურა შექმნეს, რომელშიც გაითვალისწინეს ყველა ის პრინციპი, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება ნებისმიერი ტიპის ტექსტის შექმნაში. ამაში მათ გამოცდილებაც დაეხმარა – ისინი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტში რამდენიმე წლის მანძილზე ასწავლიდნენ ამ საგანს და ატარებდნენ მრავალ პრაქტიკულ სამუშაოს. ყოველივე ამან წიგნს გამორჩეული მნიშვნელობა შესძინა.

წიგნის განსაკუთრებულ ღირსებად მიმაჩნია მასალის ადვილად და მოხერხებულად მიწოდება. წიგნის პირველი ნაწილია „ესეს შექმნის ძირითადი პრინციპები“. ეს თავი აგებულია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე. ამავე ნაწილში რვა თავი აქვს დათმობილი სხვადასხვა ტიპის ესეს შექნის ხერხებსა და საშუალებებს. I თავი ეთმობა თემის განსაზღვრას; თემის მოსახები სტრატეგიების შესწავლას; შემდეგ ეხმარებიან სტუდენტებს, თუ როგორ უნდა აარჩიონ საგნობრივი და სასურველი სფერო; თუ როგორ შეკრიბონ ინფორმაცია, დააჯგუფონ და მოპოვებულ მასალას როგორ უნდა გაუკეთონ ორგანიზება; მიცემულია რჩევები ეფექტური სათაურისა და, საერთოდ, აღნიშნულია სათაურის მნიშვნელობა. II თავში ესეს მიზანი და სტილი განისაზღვრება; III თავი ესესა და მის სტრუქტურას მოიცავს; IV თავი არგუმენტის, ქვეარგუმენტისა და კონტრარგუმენტის შესწავლას ეთმობა; V თავი აბზაცსა და მის სახეებს წარმოადგენს; VI თავი ესეს ტიპებს განიხილავს; VII კი გეგმის შედგენას, შავი პირის შექმნას და ნაწერის საბოლოო მომზადებას ეძღვნება. ამით სრულდება I ნაწილი და მასში განხილულია ყველა საჭირო და სავალდებულო პრინციპი, რაც აუცილებელია ესეს შესაქმნელად.

ეს ყოველივე მარტივად, ეტაპობრივად და გეგმაზომიერადაა განთავსებული. თითოეულ მოკლე თეორიულ ახნა-განმარტებას მოჰყვება ნიმუში და პრაქტიკული სამუშაო. ეს მიდგომა გაუმყარებს მიღებულ ცოდნას სტუდენტს და შეუქმნის გარკვეულ საფუძველს, რომელსაც თანდათან განავითარებს წიგნის კონსტრუქციის მიხედვით.

სტუდენტის ინტერესის წარმოჩენა – აი, ესაა განმსაზღვრელი ავტორთათვის და ამიტომაც წიგნში ვერაფერს ნახავთ ისეთს, რაც არ დააინტერესებს აკადემიური წერის შემსწავლელს. II ნაწილი სტუდენტებს დაახელოვნებს საჯარო გამოსვლისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ტექსტის მომზადებაში. ძირითადად განხილულია სამეცნიერო მოხსენება, ესეს პრეზენტაცია და დისკუსია. აქვეა მიწოდებული დიდი არჩევანი, ნუსხა ენობრივი საშუალებებისა, რომელიც შეუძლია სტუდენტს თავისუფლად გამოიყენოს და თავად ჩასვას ადვილად მუშაობის პროცესში. ეს ერთგვარი ბიძგი და წამახალისებელი საშუალებაა მათვების. წიგნში

ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე

შეტანილი საჯარო გამოსვლისთვის ტექსტის მომზადების ხერხების გაცნობაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტათვის.

ამასთანავე, მიზანშეწონილადაა დართული (დანართის სახით) ისეთი ტიპის ტექსტები, რომელთა შექმნა და გამოყენება სტუდენტებს ხშირად დასჭირდებათ. მაგალითად, სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია, რეფერატი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები და ა. შ. უნდა აღვნიშნო, რომ ავტორებს წიგნის ყოველ ეტაპზე შესასწავლი საკითხი წარმოდგენილი აქვთ მარტივად, გასაგებად, ნათლად და მუდამ პრაქტიკული ნიმუშით. სტუდენტს როცა თვალსაჩინოდ უდევს წინ მზა მასალა, მისთვის უკვე ადვილია მსგავსისა და შესაფერისის შექმნა. ასე რომ, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა, თუ როგორ უნდა მოამზადონ წარმატებული საპრეზენტაციო ტექსტი, რომ არ შეექმნათ პრობლემა საპრეზენტაციო ტექსტის წარდგენისას, რაც ხშირია ქართულ სინამდვილეში.

წიგნს დანართის სახით ერთვის თავები, რომლებშიც დატვირთული თეორია კი არ შეგხვდებათ, არამედ გარკვეული სისტემით დალაგებული ფუნქციური წერის ელემენტების მეტად პრაქტიკული და გამოსადეგი მასალა. დანართი იყოფა ორ თავად: I თავში წარმოდგენილია საქმიანი მიმოწერა, საქმიანი წერილი და ელექტრონული წერილი. აქ ავტორებს განსაკუთრებით დეტალურად და მისხალ-მისხალ აქვთ მოცემული თითოეული ნაბიჯი შესაქმნელი ტექსტისა. შეუძლებელია, რომ სტუდენტმა ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ვერ მოახერხოს მისი სწორად და წარმატებით წარდგენა საზოგადოებისთვის. II თავი კი განცხადებას, მოხსენებით ბარათს, ახსნა-განმარტებას, მოკლე ბიოგრაფიას, სამოტივაციო წერილს, დახასიათებასა და რეკომენდაციას განიხილავს. ეს ის მონაპოვარია ახალგაზრდებისთვის, რომლის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელი იქნება მათი დამკვიდრება ქართულ საზოგადოებაში.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ავტორების, ქეთევან გოჩიტაშვილის, გიული შაბაშვილისა და ნინო შარაშენიძის, სახელმძღვანელო „აკადემიური წერა“ დიდი შენაძენია არა მხოლოდ ქართველ სტუდენტთათვის, არამედ ქართული წერის კულტურით დაინტერესებული ყოველი ადამიანისათვის.

ნანა შავთვალაძე

პუბლიკაცია

გრიგოლ კიკნაძე – 100

100 წელი შესრულდა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ლიტერატორისა და სახალხო განათლების ამაგდარის, პროფ. გრიგოლ კიკნაძის დაბადებიდან (1909.III.15 – 1974.IV.16).

გრიგოლ კიკნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერული პატიოსნების, პრინციპულობისა და მაღალი ზნეობრიობის ნიმუშია. თავისი ცხოვრების უმძიმეს დღეებშიც კი ქედი არ მოუხრია და შეუბლალავად ატარა მეცნიერისა და პიროვნების სახელი. თავისი საქმიანობით მან თანამედროვეთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

გრიგოლ კიკნაძემ შრომითი საქმიანობა ქ. ფოთში დაიწყო, მალევე გადავიდა ქ. ბათუმში. მუშაობდა განათლების სისტემაში (1930-1935 წწ.) სხვადასხვა თანამდებობაზე, მასწავლებლობდა. ბათუმში მოღვაწეობის დროს კარგად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ტალანტი. თავისი პედაგოგის, პროფ. დიმიტრი უზნაძის, რჩევითა და თანადგომით ჩამოაყალიბა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სადაც სამუშაოთი დაინტერესებული პედოლოგ-ფსიქოლოგები მიიზიდა.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ კვლავ განათლების სისტემაში განაგრძო მუშაობა (კითხულობდა ლექციებს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე, ასწავლიდა სკოლაში). წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, კითხულობდა ქართული ლიტერატურის კურსს თეატრალურ ინსტიტუტში, ხელმძღვანელობდა კათედრას.

გრიგოლ კიკნაძისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის ის პერიოდი, როცა მას მიეცა ნორმალური მუშაობის საშუალება და თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელება – გენიალური პოეტისა და მოაზროვნის, ვაჟა-ფშაველას, კაბინეტის დაარსება (რექტორი ევგენი ხარაძე). კაბინეტის საქმიანობით კიდევ ერთხელ (ბათუმის შემდეგ) და უფრო ფართოდ წარმოჩნდა გრ. კიკნაძის ორგანიზატორული ნიჭი, შერწყმული დიდ ენერგიასთან, რაც ფიზიკურ და სულიერ ძალთა ერთობლიობის შესანიშნავი, შესაშური და მისაბაძი მაგალითი გახდა მსგავსი წამოწყებებისათვის.

პუბლიკაცია

დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ქართული საზოგადოება პატივს მიაგებს გრიგოლ კიკნაძის ხსოვნას.

გვეძლევა საშუალება მისი პირადი არქივიდან მკითხველს შევთავაზოთ გამოჩენილ პიროვნებათა, გრ. კიკნაძის პედაგოგთა, კოლეგათა და ყოფილ სტუდენტთა რამდენიმე წერილი, ადრესატი გრიგოლ კიკნაძეა.

წერილები პირველად ქვეყნდება.

ინეზა კიკნაძე

P.S. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. საჭიროების შემთხვევაში ვურთავთ მცირე კომენტარს. ავტორთა სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია უცვლელია.

წერილები

პ. გრიგოლ!

თქვენი წერილი მივიღე ჩემი ბათუმში ჩამოსვლის შესაძლებლობის შესახებ. თუ მოულოდნელად არაფერმა შემიშალა ხელი, ჩამოვალ ბათუმში ივნისის პირველ რიცხვებში.

თქვენი დ. უზნაძე

25.V.1933

ძვირფასო გრიშა!

ამ დღეებში თქვენთან მოვა პროკ. ვადაჭკორია, რომელსაც ბათომში უნდა სამუშაოდ გადმოსვლა. მისი ამბავი თქვენ იცით. იცით ის უსიამოვნო ფაქტი, რომელსაც მის მუშაობაში ჰქონდა შარშან ადგილი. ჩემი შეხედულება ვადაჭკორიაზე ასეთია: მას იმდენი ინტერესი აქვს და იმდენი მომზადება აქვს ჩვენს დარგებში, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ მასზე: იმდენი მუშაკი არა გვყავს და უახლოეს ხანში არც გვეყოლება, რომ მისი დაკარგვა შეუმჩნეველი შეიქნეს ფსიქოლოგიური მუშაობისათვის ჩვენში. მეორეს მხრივ, აქ მისი დარჩენა

არ შეიძლება ჯერ-ჯერობით. საქმისათვის უკეთესია, თუ ის დროებით აქაციურობას მოშორდება. მაშასადამე, უეჭველია, ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი ჩვენს წრეში დარჩეს და ნაყოფიერი მუშაკი შეიქნეს, მაგრამ ჯერხნობით სადმე, ტფილისა გარეთ. – უნდა იცოდეთ, რომ მისი შეცომა, რომელმაც ყველაფერი ეს გამოინვია, მისი მოუმზადებლობის ან უნიჭობის ბრალი კი არ არის, არამედ გაუგებარი დაუდევრობის, რომლის ახსნაც ადვილი არაა, გაუფრთხილებლობის შეიძლება; ვფიქრობ, ეს ფაქტი საკმაოდ შთამაგონებელი იქნება მისთვის; არა თუ ვფიქრობ, ამაში დარწმუნებულიც ვარ და ამიერიდან საკმაო სიფრთხილით იმუშავებს, – მით უმეტეს, რომ იგი დაინტერესებულია თავისი მეცნიერული რენომე რაც შეიძლება მალე აღიდგინოს. ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ მას მიეცეს შესაძლებლობა ჩადენილი შეცომის გამოსწორებისა და კვლავ პასუხსაგებ სამეცნიერო სამუშაოზე დაბრუნებისა. მე სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია, ამის შესაძლებლობა ეხლავე წავართვათ მას: ეს ჩვენის მხრივ დიდი შეცომა იქნებოდა, ტფილისა გარეთ სხვაგან, გარდა ბათუმისა, ეს არსად არ მოხერხდება სათანადო დაწესებულებათა უქონლობის გამო. დარწმუნებული ვარ, თქვენ ჩაუკვირდებით საქმის მდგომარეობას და ჩემს მოსაზრებებს გაიზიარებთ. თქვენი ლაბორატორიისათვის იგი, დარწმუნებული ვარ, სასარგებლო იქნება, საზოგადოდაც ბათუმისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მომზადებას, ფსიქოლოგიური ლიტერატურისა და კვლევის პრაქტიკის ცოდნას. ტფილისში იგი სამი წელი ჩვენი ლაბორატორიის ასისტენტად ითვლება; ამასთან ერთად იგი კურსებსაც კითხულობდა პედინსტიტუტის ზოგიერთ ფაკულტეტზე. ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ აქ იგი უსარგებლო იქნება. არა, მაგრამ ეხლა იგი ტფილისში ვერ დარჩება და უკეთესია ამ პირობებში არც დარჩეს... ერთი სიტყვით, უნდა ვცადოთ, და ეს თქვენთან შეიძლება ეხლა მოხერხდეს. საქმე რომ მის უნიჭობაში, მოუმზადებლობაში ან საქმის უცოდინარობაში ყოფილიყო, მაშინ სხვაა, მაგრამ საქმე მხოლოდ გაუფრთხილებლობაში იყო, და მაშასადამე ისეთ რამეში, რაც ადვილად შეიძლება თავიდან იქნეს აშორებული. ერთი სიტყვით, საჭიროა იგი ბათუმში მოეწყოს და მოეწყოს რასაკვირველია ისე, რო, შესაძლებელი შეიქნეს მისი არსებობა და მუშაობა.

მოკითხვა თქვენს მეულლეს.

თქვენი დ. უზნაძე

10.X.1933

პუბლიკაცია

ძვირფასო გრიშა!

დღემდე თქვენს წერილზე პასუხი ვერ გაგეცით. სხვათა შორის მიტომაც, რომ პედ.-პედ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შეიცვალა, და არ ვიცი, იქ როგორ მოეწყობა საქმე: იქნება იქ ახალი კაცი საჭირო, თუ არა. ეს მალე გამოირკვევა და გაცნობებთ; ოლონდ ერთია: ძალიან სამნუხაროა, რომ ბათუმს თავს ანებებთ. მანდ ეწყობოდა საქმე, და ალბად ეხლა ისევ ჩაშლება. ეს ძალიან სამნუხარო იქნება. ვფიქრობ, რომ შეცდომაა თქვენი ეხლა ბათუმიდან წამოსვლა. მაგრამ თუ ეს აუცილებელია, ალბად აქ სადმე მოხერხდება თქვენი მოწყობა. თუ გვიან არ არის, მოიფიქრეთ კიდევ...

პროკოფი იყო ჩემთან და შევთანხმდით მის თემებზე. ჩემის აზრით, საინტერესო იქნება განაგრძოს იმ საკითხზე მუშაობა, რომელიც მას უკვე აქ ყოფნის დროს (ჩემს ლაბორატორიაში) დავავალე. რა თემაა, თვითონ გეტყვის.

თქვენი დ. უზნაძე

7.I.35

ძვირფასო გრიშა!

ა) ჩემი წარმატებების შესახებ ახალ პროფესიაში არაფერს გწერდით არა იმიტომ, რომ მეთაკილება, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ახალი პროფესია საინტერესო არაა თვით ჩემთვისაც და იმიტომაც, რომ არავითარ წარმატებას არა აქვს ადგილი. როდესაც წიგნს ვკითხულობ, ან წერილს ვწერ ხოლმე, ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის ისაა, რომ იმ წუთებში მოწყვეტილი ვარ ჩემს ახალ პროფესიას და ახალ გარემოს. ეს შეეხება თქვენს წიგნსა და თქვენდამი წერილსაც. მე არ მინდოდა ამ უკანასკნელ სიხარულზე უარის თქმა, თანაც ხომ ვიცოდი, რომ არც თქვენ მოგანიჭებთ დიდ სიამოვნებას იმის გამეორება, რაც ალბათ არაერთხელ მოგისმენიათ. რაც შეეხება „სათაკილოს“, – მე მეთაკილება არა ის, რომ დაზგას ვუზივარ, არამედ მხოლოდ ის, რომ ამაოდ ვშვრები – არაფერი გამომდის: შვიდ თვეზე მეტ ხანს ვითვლებოდი მოწაფედ და მხოლოდ ძალიან მარტივი შეკეთება ვისწავლე. 1. ოქტომბრიდან სტიპენდიიდან ხელფასზე გადამიყვანეს და იმ დღესვე უარი განვაცხადე ფულზე ერ-

თერთი ოსტატის სასარგებლოდ, რომელმაც სამაგიეროდ უნდა უხელმძღვანელოს ჩემს მუშაობას; უკვე ათი დღეა მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობ – ვასრულებ სხვადასხვა ოპერაციას ახალი ჩექმის კერვისას და თანდათან ვრწმუნდები, რომ ნაკლები წარმატება არ მექნებოდა – ვახტანგ ჭაბუკიანს რომ დავმონაფებოდი. და მიკვირს, ღმერთმანი მიკვირს – როგორ მოვახერხე ამ ოცდაათი წლისწინათ წერაკითხვის შესწავლა. ვიცოდი თავისდროზედაც, რომ ვერაფერი შვილი ნიჭიერი ვიყავი, მაგრამ ასეთ სირევვნეს მაინც არ ველოდი! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ – რა ხასიათზე ვიქნები. ყოველ დილით, როცა დაზგას მივუჯდები, იმაზე ვოცნებობ – ნეტა დღეს მაინც ისე დაღამდეს – მათრახი არ მომხვდეს უფროსისაგანმეთქი, და საღამოთი, როცა წინსაფარს ვიხსნი – მტერსაც არ ვუსურვებ ისეთ ხასიათზე ვარ. ალბათ წაგიკითხავთ ამ რამდენიმე წლის წინათ დაბეჭდილი ლექსი „დღე-ვატერლოო“, ნუ გაგეცინებათ. ხომ გახსოვთ მარკ ტვენის ერთი მოთხრობიდან, რომ საიქიოში უდიდეს მხედარმთავრად სწორედ საწყალი მენაღე ითვლებოდა. გარდა ამისა, ბრძოლის წასაგებად სრულიად არაა სავალდებულო ნაპოლეონის ნიჭიერება. ყოველ შემთხვევაში, მე ყოველ დილით ვიწყებ სადგისითა და ჩაქუჩით წამდვილ ვატერლოოს ბრძოლას და, რა თქმა უნდა, ყოველდღე ვაგებ... შემიძლია ასეთი მარგალიტებით მთელი რვეული ავაგსო, მაგრამ, მოდი, თქვენც დაგზოგავთ და საკუთარ თავსაც: ამით დავამთავრებ ამ წერილის ა პუნქტსზე და გადავალ **ბ-ზე**.

ბ უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამჟამად ასე თუ ისე დროისა და სივრცის გარეშე ვიმყოფები და ამ მარადიულობის თვალსაზრისით ვუდგები ზოგიერთ საკითხს. იქ, სადაც თქვენ დიდეკაციობის თამაშის სურვილს ხედავთ, მე მეჩვენება მსხვერპლი, გაღებული არსებითის გადასარჩენად. სამწუხაროდ, მე ფაქტები ცოტა ვიცი, მაგრამ რაც ვიცი იმის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მე მგონია, თუ გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი, ეს ნაწილობრივ მაინც იმიტომ, რომ მასწავლებლის წარმატებებით ზომაზე მეტად აღფრთოვანებულ მონაფებს იქნებ დაავინყდათ, რომ საქმის წინწასაწევად მარტო კუდის ქნევა არ კმარა. ახლავე, ჩანს, ისეთი სიტუაცია მანდ ჩემი ძველი პროფესიის მაღალ და დაბალ სფეროებში, რომ საქმისთვის სჯობია ისევ მან მოიგოს. ქ-ნი დარეკანის სტატიას ვიცნობ და დასაზრახს ვერაფერს ვხედავ შიგ. სხვა და სხვა ფრაზა და გამონათქვამი რომ აუცილებელია (სათანადო შორისდებულებით) ეს კარგად ჩანს თუნდ თქვენთვის და ჩემთვისაც კარგად ცნობილი წიგნიდან „ქართული სატირისა...“ და. სხვ. მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, თუ რამდენად

პუბლიკაცია

ლირს საქმე ამ მსხვერპლად, საქმე კი ნამდვილად ლირს, რაკი ამ გზის გარდა მხოლოდ ერთი გზა არსებობს – კრასნოგორკისკენ (თვითონვე მოგეხსენებათ, რომ ეს არაა გზა). თინას საქმე მაფიქრებს. ეს მართლაც იშვიათი ნიჭიერების ქალი ამ თავბრუდამხვევი ტემპით შეიძლება ისე გა-დავიდეს მარადიულობაში, რომ იმის მეათედიც ვერ დაუტოვოს ამ ქვეყანას, რაც ნორმალურ პირობებში არის მოსალოდნელი მისგან. არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე და მანდაურ ვითარებას ვერ ვითვალისწინებდე – იქნებ მართლაც მოსასასწრები საქმეა ახლა მისი ხარისხი და იქნებ მერე მაინც ექნეს საშუალება გულდინჯად ჩაუჯდეს საქმეს და აუჩქარებლად იმუშავოს, რომ მის ნამუშევარს ცომის გემო არ გაკრავდეს. ჩვენ, მეტი წილი, თითქმის ყველანი, ნახევარ-ფაბრიკატის მუშაკები ვიყავით (და არ-იან); ჩვენ შორის ვგონებ ერთადერთი თინაა ისეთი, რომელსაც შეუძლია ნამდვილი პროდუქციის მოცემა. ამიტომ სხვებს შეიძლება მათრახით ერ-ეკებოდნენ, სულ ერთია, ღერლვის მეტი არაფერია მოსალოდნელი მათ-გან, თინას კი სწორედ აღვირი სჭირდება.

გ) რაღაც გაუგებრობაა: ბარათი მე სრულებით არ შემიკვეცია: ჯერ ერთი, წიგნის უკანასკნელ თავებში (ჩემი ფიქრით, ძირითად ნაწილში) კლანჭგასაკრავი თითქმია არაფერია. მეორეც, შენიშვნები იწერებოდა წიგნის კითხვის პროცესში, ამიტომ თუ ერთხელ შემჩნეული გაუგებრობა წიგნის მომდევნო გვერდებზედაც მხვდებოდა, აღარ ვიმეორებდი (რა აზრი აქვს?). ჩემი გულწრფელი სურვილია ვნახო ამ წიგნის მეორე გამოცემაც – იმ ნაკლულევანებათა გარეშე, რომელიც მე მეჩვენება. მე წერაკითხვა „ეშმაკის მათრახზე“ ვისწავლე, ამიტომ ბუნებრივია, თუ ნაშრომი ქართული სატირისა და იუმორის შესახებ ჩემი წიგნების „ძირითად ფონდში“ შევა.

ჯერჯერობით მეტს არაფერს გწერთ. ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ როგორ გამახარებს თქვენი ის წერილი, რომელიც დარწმუნებული ვარ, გამიფანტავს ყველა გაუგებრობას, თქვენი წიგნის კითხვისას რომ გამიჩნდა.

ქალბატონ დარჯვანს ისევ ორსიტყვიანი სალამი (სულ ერთია, ვიცი, წერილს მაინც არ მომწერს და ტყუილუბრალოდ რაღად გავისარჯო). ასევე ყველა იმ შინაურს, ვისაც ვახსოვარ და ჩემი მოკითხვა არ შეაშინებს.

მუდამ თქვენი ბიძინა

დიდად მადლობელი ვარ, რომ წერილში მხოლობით პირში მომმართავთ. კიდევ უფრო მადლობელი ვიქნები, თუ მომავალ წერილში თ-ების გადაშლა არ დაგჭირდებათ.

პუბლიკაცია

ჩემდა სამარცხვინოდ უნდა აღვიარო, რომ თქვენი წერილის კონვერტი მეზობლის ბავშვებმა გამინადგურეს, ამიტომ წერილს თ. ჭანიშვილის მისამართით ვგზავნი.

ბ....

11.X.53

პატივცემულო გრიშა! 10.X.53

ცოტა არ იყოს შორი მანძილიდან მიხდება გასაუბრება. არც თუ დროს გაუვლია მცირეს. ამიტომ საგნის პოვნაც ჭირს. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, არაერთხელ აღებული კალამი ყოველთვის მშრალი დამიტოვა. ამას ისიც ერთვის, რომ ჩვენ არა მხოლოდ გეოგრაფიულად ვიმყოფებით სხვადასხვა სამყაროში, არამედ ფსიქოლოგიურადაც, და, ალბათ, ჭუებიც სხვადასხვანაირადა გვაქვს მოწყობილ-განწყობილი.

ამ წერილს იმ ბედნიერთავანს ვატან, რომელსაც ელირსა თავი დაეღნია ვორკუტული ბედნიერებისაგან, არაერთი ქართველი რომაა ზიარებული, და ისიც, იქნებ, უვადოდ. ჰო და, იმას მაინც მოახერხებს და მოასწრებს გამძქვენიურებამდე ვორკუტულად დაწყობილი გული და გონება ქართულად რომ აშალოს...

თქვენი წიგნის ზოგადი ნაწილის გადათვალიერება მოვასწარი. თქვენი თეორია სატირა-იუმორისა ჭკუასთან ახლოა; შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკის ერთი თავი დამაჯერებლადაა დახასიათებულ-აღნერილი. მხოლოდ უნდა შეგნიშნოთ, რომ თქვენი თეორიიდან გამომდინარე ყველა დასკვნის გამოტანა დაგზარებიათ, რაც თეორიას ნაკლებ ზოგადობას ანიჭებს. როდესაც ესთეტიკური განცდის საგანია ადამიანი, მაშინ პიროვნება – ქცევის დაპირისპირება საკმარისი აღმოჩნდება თუ არა ეგევე დაპირისპირება, როცა სატირული თუ იუმორული დამოკიდებულება თავს იჩენს რომელიმე კოლექტივის ან საზოგადოებრივი ფენის თუ კლასის ანდა მთლიანად ერის მიმართ? ასეთი განზოგადების შემთხვევაში პიროვნება – ქცევის დაპირისპირების ანალოგი იქნება: კოლექტივი – წევრი, საზოგადოებრივი ფენა (კლასი) – კოლექტივი, საზოგადოებრივი ფენა (კლასი) – წევრი, ერი – კლასი, ერი – კოლექტივი, ერი – წევრი... მაგალითად, „კაცია-ადამიანი?“ თვით თათქარიძის მიმართ სატირაა, მაგრამ თავად-აზნაურობის მიმართ უთუოდ მხოლოდ იუმორი; ანდა

პუბლიკაცია

ვაჭრებს რომ დასცინიან და ჰქიცხავენ, ეს ასე ნიშნავს რომ მთელს ერს დასცინიან, და მეტიც, ნაგულისხმევია, რომ მთლიანად ერი ზნეობრივად ჯანსაღია და ა. შ. რასაკვირველია, რათა ამ განზოგადებას უფრო ზუსტი ხასიათი მიეცეს, პირობით ყოველთვის შეიძლება კოლექტივი წარმოვიდგინოთ პიროვნებად, ხოლო მისი წევრები მის გამოვლინებებად.

ერთი რამ კი უნდა გისაყვედუროთ, და მეტად მკაცრადაც. მხედველობაში მაქვს თქვენი სტილი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ არაქართულ ენაზე უნდა აზროვნებდეთ (რაც სხვათაშორის იუ-მორულ განწყობილებას ქმნის ქართველ მკითხველში და უთუოდ ლრმად ნააზრევის გაფასებას იწვევს). მოკლედ წიგნი აუტანელი საკითხავია: რუსული ფრაზები, გამოთქმები, რუსულად აგებული წინადადებები; მე მგონი, ქართული მხოლოდ-ლა სიტყვებია და ასოები. არ გეპატიებათ!

პირშიმთქმელობისათვის გთხოვთ მომიტევოთ. მეპატივება!

რა ხანია ვემუდარები მანდაურთ გამომიგზავნონ და უზნაძის უკანასკნელი გამოკვლევა „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიშოვეს (!!!). ქ. დარეჯანის იმედილა დამრჩენია და ვიმედოვნებ, არ გამაწილებს.

ფაქტიურის მხრით მანდაური სასახლისგადატრიალებათა და სხვა არეულ-დარეულობათა კურსში ვარ, მაგრამ პრინციპში არა გამეგება რა. ყოველ შემთხვევაში, ვერ მიპატივებია ქართული კულტურის მესვეურთათვის ის ამბავი, რომ ვერ გამოიყენეს უაღრესად მარჯვე და ხელსაყრელი მომენტი თუნდაც ზოგიერთი პარაზიტის ალაგმვისათვის. ამას ინტელექტუალური უხერხემლობა-იმპოტენტობის მეტი არაფერი დაერქმის.

გულითადი მოკითხვა ქ. დარეჯანს.

თქვენი ზურაბ (მიქელაძე)

იაკობ ნიკოლაძის ქუჩა, 4

გრიგოლ კიკნაძეს

თბილისი, პეროვსკაიას ქ. 4.

გ. ახვლედიანი

ძალიან ვწუხვარ, ძვირფასო გრიგოლ, რომ შინ არ დაგხვდით მღვიძარე (ე. ი. ვისვენებდი დალლილი, გამოკიდებული წარწერით დაცული, რაც

ცნობილია ჩემთან ხშირად მომსვლელთათვის), თორემ გაჩვენებდით, რომ ეს თქვენი წიგნი კარგა ხანია ჩემ მაგიდაზე დევს და დროგამოშვებით სიამოვნებით ვკითხულობ მას. ჩემთან მისი №-ია 5491.

რაც შეეხება თქვენს წარწერას: მხოლოდ ერთხელ მქონდა შემთხვევა გამომეთქვა ანალოგიური ჩემი გრძნობა თქვენდამი, მაგრამ არა ასე კოხტად.

გულწრფელი სალამითა და მადლობით საიუბილეო საჩუქრისათვის

გ. ახვლედიანი

1957 წ.

გთხოვთ გაასწოროთ, მაგ. 147 გვ. „ასეთივე“ (ასეთსავე), სტრ. 2. ბოლოდან; სარჩევში 184 (196) და 195 (309) და სხვა.

გრიგოლ, გამარჯობა! რამდენჯერაც ამ თბილი წყლის მდინარეს (ნაკადულზე მეტია!) ვხედავ, თქვენ მაგონდებით: როგორ საჭიროა თქვენთვის ეს აბაზანები! სრული შეგრძნება ამ საჭიროებისა ყოველგვარ დაბრკოლებას გადაგალახვინებდათ. რამდენიმე წელია აქ არ ვყოფილვარ, ცოტა არ იყოს მეეჭვებოდა – შეეწყობა თუ არა ეს დანჯლრეული ორგანიზმი ახლა ამ წყლებს მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ისე გაუმჯობესდა ძილი და თავის გრძნობა, რომ ვნანობ: რატომ აქამდე არ მოვაკითხე ამ დალოცვილ წყალს. ნერვების მოშამვას აქრობს – ესაა, ვფიქრობ, მთავარი. ერთი სიტყვით: დაივიწყეთ ყველაფერი (და ყველანი), მოიგონეთ ენდარტერიტი და გადაწყვიტეთ აქეთ წამოსვლა. ქვეყანა (და მისი მკვიდრნი) უჩვენოდაც კარგად ძლებენ, ჩვენს შემდეგაც იქნებიან კეთილად – ისტორიას ამ მხრივ საინტერესო გამოცდილება აქვს.

ეს – ერთი. მეორე – თუ კომისიის საკითხი დადგეს, იქნებ, მიხ. ზანდუკელი, როგორც ვარაუდობდით, იგულით. მთაა მაინც და რიგიანობით სხვებზე უკან არა დგას. ეს აზრი ადრე გამიჩნდა, მაგრამ წამოსვლის წინ ვერ შეგხვდით.

ნავლადიმერევს რაც შეეხება, ჩანს, ოპტიმალური შედეგი – პირადად თქვენთვის! – მიღწეულია. რექტორსაც ჩაახედებს: რა გარემო ახლავს (რაც ჩვენ ვიცით, იმან საიდან უნდა იცოდეს). ისე კი მისმა იდეამ კარგი ნაყოფი კიდევ ის გამოიღო, რომ კაბინეტის საკითხი მოგვარდა (მართა-

პუბლიკაცია

ლია, თქვენი წინდახედულებით, – მე აზრად არ მომივიდა მაშინ ასეთი საკითხი დასმულიყო.

საქმისთვის კი... ეჰ, საქმეს ვინ და რა უშველის?! ექსპერიმენტი რომ განხორციელებულიყო, ვინ იცის, რა „სიკეთეები“ შეითხვზებოდა!

იყავით სულ კარგად! ენდარტერიტს მეტი ყურადღება!

თქვენი არნ. ჩიქობავა

14.III.1964.

P.S. აქ ავდრებია, მაგრამ ქარი არ არის. ბინაში თბილა. წყალტუ-
ბოსთვის ასეთი უქარო ამინდი ბედნიერებაა. ალბათ, მალე გნახავთ.

დარეჯანი მოიკითხეთ, თუ არ გაიყინა ამ ცივ ამინდში. თუ გაიყინა-
და... იქნებ, მისი მიზეზითაა ეს სუსზიანი მარტი?!

ბატონო პროფესორო!

ეს წერილი თქვენმა სულგრძელობამ დამანერინა.

დიდი ხანია მინდოდა თქვენს წინაშე ბოდიმის მოხდა, მაგრამ გამბე-
დაობა არ მეყო.

მე დღესაც არ შემიძლია ახსნა იმისა, თუ რატომ გავედი თქვენს
გამოცდაზე მოუმზადებელი, თუმცა კი წინასწარ სპეციალურად მომზადე-
ბა მქონდა გადაწყვეტილი. მიძნელდება, ძალზე მიძნელდება ამის დაწერა.

თქვენმა სულგრძელობამ მატერიალურად და სულიერადაც დიდი
დახმარება გამინია და ახლა თქვენს ნაჩუქარ „ბახტრიონს“ რომ დავხე-
დავ, სინდისის ქეჯნა მაწუხებს მუდამ.

მშობლიური ლიტერატურისადმი სამსახურით ვეცდები გამოვისყიდო
თქვენს წინაშე ჩადენილი დანაშაული.

მარად თქვენი მადლიერი სტუდენტი

ნოშრევან ჯიშვარიანი

28.03.73

ქრონიკა

ქრონიკა – 2008

08.01.08 აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა და სამეცნიერო კონფერენცია; ვ. თოფურიას არქივის ოფიციალური გადაცემა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. **ლონისძიების ორგანიზატორები:** თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

17.01.08-18.01.08 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, აღ-საყდრების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. **ლონისძიების ორგანიზატორები:** პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კარავი“, თსუ მუზეუმი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული „ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი“.

27.02.08 სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართველური ონომასტიკის საკითხები“, მიძღვნილი პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი. **ლონისძიების ორგანიზატორები:** თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრი.

24.03.08 აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. **ლონისძიების ორგანიზატორი:** თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგის ინსტიტუტი.

28.03.08 ოლეს გონჩარის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. **ლონისძიების ორგანიზატორი:** თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტი.

14.04.08-15.04.08 სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: „სწავლა, სწავლება, შეფასება“. **ლონისძიების ორგანიზატორები:** პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ქრონიკა

16.04.08 უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 121-ე წლისთავი-სადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ლონისძიების ორგანიზატორი: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი.

30.04.08 კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო სესია. ლონისძიების ორგანიზატორი: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

05.05.08 ანთიმოზ ივერიელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „საქართველო და ევროპული სამყარო: ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი“. ლონისძიების ორგანიზატორი: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

20.05.08 სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქვემო ქართლი: ისტორია, კულტურა, ხელოვნება“. ორგანიზატორი: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

24.05.08 გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვანის, ნიკო ჭავჭავაძის, დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორები: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

07.06.08 გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, გურამ რამიშვილის, დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ორგანიზატორები: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი.

09.06.08 პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ძველი ქართული სამართალი“. ორგანიზატორები: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, არასამთავრობო ორგანიზცია „კარავი“.

11.06.08-12.06.08 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ॥ სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი შალვა ნუცუბიძის 120 წლის იუბილესადმი. ორგანიზატორი: თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

13.06.08 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „პასუხისმგებლობა, ტრადიციული ღირებულებები, მდგრადი განვითარება“. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

13.06.08 ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90-ე წლისთავის იუბილესადმი: ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი, უურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“.

18.06.08 საგანმანათლებლო სემინარი თემაზე: „ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანა და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის, ლოგიკისა და გამოთვლების ახალგაზრდული ჯგუფი.

27.10.08 ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ აკაკი ურუშაძის, დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

17.11.08-18.11.08 რესპუბლიკური კონფერნცია თემაზე: „წარმართობიდან ქრისტიანობამდე“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

20.11.08 იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღი-სადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ფილოსოფია და დღევანდელობა“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოხუმის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

8.12.08-10.12.08 ნმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერნცია: „ქრისტიანობა – წარსული და თანამედროვეობა“. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ქრონიკა

18.12.08 აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

19.12.08 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰაინრიხ თეოდორ ველეს მოგზაურობა საქართველოში“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რუსისტიკის ინსტიტუტი, ენების შემსწავლელი ცენტრი და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი.

23.12.08 აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

24.12.08 გიორგი მელიქიშვილის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

26.12.08 აკაკი წერეთლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

30.12.08 თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის | ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ქრონიკა – 2009

06.03.09 წიგნის „The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis“ (Dunwoody Press, 2008) პრეზენტაცია (ავტორი: დამანა მელიქიშვილი; თანავაჭორები: ვაშინგტონის ენების კვლევითი ცენტრის პროფესორი, დოქტორი დენიელ ჰამფრისი და ამავე ცენტრის ლინგვისტი მაია ყუფუნია). ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

17.03.09 პროფ. ზურაბ სარჯველაძის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სა-

ხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

31.03.09 სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ტექნიკური საშუალებების გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, AUF-ის ციფრული ცენტრი.

31.03.09 პროფ. ოთარ ბაქანიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

02.04.09 წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევის ცენტრის უურნალ „ქრისტიანობის კვლევებისა“ და ცენტრის ვებგვერდის პრეზენტაცია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

14.04.09 ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ლონისძიებები: ა. 1978 წლის 14 აპრილის აქციის მონაწილეთა მოგონებები; ბ. სამეცნიერო კონფერენცია ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მონაწილეობით; გ. 14 აპრილისადმი მიძღვნილი გამოფენა; დ. ქართველური ენათმეცნიერების მუდმივმედი სემინარის დაარსება. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

02.05.09 პროფ. კონსტანტინე ფალავას დაპადგენიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის დეპარტამენტი.

11.05.09 სამეცნიერო კონფერენცია „თინათინ ყაუხჩიშვილი – 90“. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

14-15.05.09 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვერა ბარდაველიძე – 110“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

21-23.05.09 საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია თემაზე: ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში (იბერიულ-კავკასიური და მსოფლიოს სხვა ენები). ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი.

ქრონიკა

28-30.05.09 ამერიკისმცოდნეობის X ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: **ამერიკული დემოკრატიის გამოცდილება.** ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია.

11-13.06.09 თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი **გრიგოლ კიკნაძის** იუბილესადმი.

17.06.09 V რესპუბლიკური ონომატოლოგიური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსების 40 წლისთავისადმი. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტისთან არსებული ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრი.

20.06.09 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის დღისადმი მიძღვნილი სხდომა. ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტი.

22.10.09 ცნობილი ქართველოლოგების, პროფ. ვინფრიდ ბოედერისთვის (გერმანია), პროფ. იოსტ გიბერტისთვის (გერმანია), პროფ. ბერნარ უტიესთვის (საფრანგეთი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალი. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების საშსახური.

17.11.09 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „**დაბრუნება ზღაპრულ მხარეში: კნუტ ჰამსუნი**“.**ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრი, კნუტ ჰამსუნის საზოგადოება კავკასიაში.

20.11.09 იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „**ფილოსოფია თანამედროვე სამყაროში**“. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

20.11.09 **პროფ. ეკატერინე ოსიძისადმი** მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი.

21-23.11.09 IV საერთაშორისო კონფერენცია „ვია ეგნატია: ხალხები და სახელმწიფოები – კულტურული, პოლიტიკური, რეგიონალური იდენტობანი წარსულში და დღეს“. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „აბრეშუმის გზის“ კვლევითი ინსტიტუტი.

14.12.09 პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტექნიკური საშუალებების გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში“. ორგანიზატორი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, AUF-ის ციფრული ცენტრი.

15.12.09 პროფ. დავით კაციტაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო.

18.12.09 პროფ. კორნელი დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

24-25.12.09 თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა 2009 წლის საველე ექსპედიციის ანგარიში და ფოტოგამოფენა, ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

საერთაშორისო თანამშრომლობა

12 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩატარდა ცნობილი ფილო-ლოგის, ენათმეცნიერის, ჰიბრუს უნივერსიტეტის (ისრაელი) პროფესორის, კონსტანტინე ლერნერის, ლექციები თემაზე: „მოქცევა ქართლისა“ და „ნინოს ცხოვრების“ ზოგიერთი საიდუმლოებანი“.

2009 ნოემბერში ჩატარდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის, უილიამ ტომას, ლექციები თემაზე: „სირიული ლიტერატურის დიაპაზონი“.

2009 წლის 8-20 ოქტომბერს ჩატარდა ცნობილი ლიტერატორის, მთარგმნელის, ნანტის უნივერსიტეტის პროფესორის, გასტონ ბუაჩიდის საჯარო ლექციები თემაზე: „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობები“.

ქრონიკა

2009 წლის 28-30 სექტემბერს შედგა ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლების (ვიადრინა, გერმანია) ვიზიტი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენების ცენტრში ჩატარდა საჯარო ლექცია.

თსუ საპატიო დოქტორების დაჯილდოება

2009 წლის 27 ოქტომბერს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა თსუ საპატიო დოქტორების დაჯილდოების ცერემონიალი. გამოჩენილ მეცნიერებს, ქართველოლოგებს, პროფ. ვინფრედ ბოედერს (გერმანია), პროფ. იოსტ გიბერტს (გერმანია) და პროფ. ბერნარ უტიეს (საფრანგეთი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობისათვის, ქართველოლოგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით მიენიჭათ საპატიო დოქტორის წოდება.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლები, ქართველი მეცნიერები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, პროფესორ-მასწავლებლები და საპატიო სტუმრები.

საპატიო დოქტორების მოკლე პიოგრაფიული მონაცემები

პროფ. ვინფრედ ბოედერი. თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთა შორის ვინფრიდ ბოედერს გამორჩეული ადგილი უჭირავს. პირველი სერიოზული გამოკვლევა ბოედერმა 1968 წელს დაბეჭდა ჰამბურგში – „ქართული ზმის ქცევის შესახებ“. მას შემდეგ მან არაერთი შრომა გამოაქვეყნა როგორც ქართულ, ისე უცხოურ უურნალებში. მათ შორის აღსანიშნავია „ძველი ქართული ენის ანბანის ანალიზი“, „ქართველი ბერები ათონის მთაზე და ქართული სამწერლო ენის ისტორია“, „ქართველური ენების წოდებითი ბრუნვის შესახებ“, „ხევსურული ანდაზების სტრუქტურის ინტერპრეტაციისთვის“, „რუსთაველის პოეტიკა“, „ანაფორა სვანურში“, „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწყობებები“ და სხვა. 1995-2001 წლებში ვინფრიდ ბოედერი ოლდებურგის უნივერსიტეტში

მუშაობდა, სადაც ყოველ ორ წელიწადში აწყობდა სიმპოზიუმებს თემაზე „კავკასიური ენების პრობლემები“. ვინფრიდ ბოედერი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა. აღსანიშნავია 1982 წელს გამოქვეყნებული გერმანული თარგმანი თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მონოგრაფიისა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. იგი ამჟამადაც მონაწილეობს ქართულ-გერმანულ ერთობლივ სამეცნიერო პროექტში. არის ინგლისურენოვანი ქართული სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლო-რედაქტორის“ რედაქტორის წევრი.

პროფ. იოსტ გიბერტი. საინტერესოა ევროპული მასშტაბით აღიარებული ენათმეცნიერის, იოსტ გიბერტის სამეცნიერო მიღწევები. ცნობილია, რომ იგი კარგა ხანია იყვლევს ქართველურ ენებსა და დიალექტებს. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია „ირანულიდან ნასესხები სიტყვები სომხურსა და ქართულში“, აგრეთვე სტატიები: „ქართულის ისტორიული ონომასტიკის შესახებ“, „ძველი ქართული თვეების სახელწოდებები“, „სვანური ხალხური სიმღერების სტრუქტურული ასპექტი“, „ქართული ლექსიკოგრაფიის ახალი გზები“, „წმინდა ნინოს ლეგენდა – განსხვავებულ წყაროთა კვალი“ და ა. შ.

იოსტ გიბერტმა შეადგინა და გამოსცა სვანური ტექსტების სიტყვა-ფორმათა ინდექსი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა. მან გერმანულ ენაზე თარგმნა გიორგი კლიმოვის მონოგრაფია „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტში წლების განმავლობაში იკითხებოდა ქართველოლოგიური დისციპლინები: ძველი ქართული ენა, ახალი ქართული ენა, ლაზური ენა, სვანური ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული ტექსტების ანალიზი, საქართველოს ეთნოგრაფია. ამასთან, რამდენიმე გერმანულ-ქართული სამეცნიერო პროექტს ხელმძღვანელობს, რომელთა მიზანია ქართული ენისა და მისი დიალექტების შესწავლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ქართული ენის მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნის საქმეში. საერთაშორისო პროექტის, „არმაზის“, განხორციელების შემდეგ იოსტ გიბერტმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და, მათ შორის, ქართველი მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ძველი, საშუალი და ახალი ქართული ენის ძეგლების დიგიტალიზირებული ვერსიები. იოსტ გიბერტი რამდენიმე ხელნაწერის გამომცემელია. განსაკუთრებით აღ-

ქრონიკა

სანიშნავია ახლახან გამოცემული პალეოგრაფიული აღმოჩენი, რომელიც ქართული პალიმფსეტების ტექსტს შეიცავს. იგი დღემდე თანამშრომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, არის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ქართულ-გერმანული და ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტების კოორდინატორი.

პროფ. ბერნარ უტიე. არანაკლებ გამორჩეულია ფრანგი ქართველოლოგისა და პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ბერნარ უტიეს, ლვანლიც. მეცნიერს ძველი ქართული ლიტერატურისა და ენის საკითხებზე რამდენიმე ათეული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ძველი ქართული ხელნაწერების მკვლევარი და გამომცემელი, ქართული კულტურის დიდი პოპულარიზატორი მეცნიერი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა არაერთ ქართულ-ფრანგულ სამეცნიერო პროექტში, ინტენსიურად თანამშრომლობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან და თსუ ძველი ქართული ენისა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებთან. ბერნარ უტიე ქართველოლოგის საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა – ამ სიმპოზიუმებზე ქართულად წაკითხული მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მან ქართველი მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადა უცხოეთის სიძველეთსაცავებში, კერძოდ, ვატიკანში, სინას მთაზე, ავსტრიაში, საფრანგეთსა და სომხეთში დაცული ხელნაწერები. 1975 წლიდან დახურვამდე იგი იყო უურნალ „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს, ხოლო 1985 წლიდან დღემდე უურნალ „ქართველური და სომხური კვლევების“ სარედაქციო კომიტეტის წევრი. არის საერთაშორისო სამეცნიერო უურნალ „ქართველოლოგის“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ნელინდეულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ამჟამად ბერნარ უტიე დირექტორი და პასუხისმგებელი პირია ქართული ენის სწავლებაზე ლევილის უნივერსიტეტში. 1991 წლიდან ატარებს სირიული და ძველი ქართული ენის ინტენსიურ კურსებს საფრანგეთის რამდენიმე უნივერსიტეტში. 1996 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია, 1998 წლიდან კი გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

თსუ საპატიო დოქტორთა საზეიმო გამოსვლები

პროფ. ვინცერიდ ბოედერი: ამ ჯილდოს, პირველ რიგში, უცხოური ქართველოლოგის შეფასებად ვთვლი. ქართველოლოგია მხოლოდ ეროვნული მეცნიერება როდია, იგი საერთაშორისოა. ჩემთვის დიდი პატივია მივიღო ალიარება იმ უნივერსიტეტისგან, რომელთანაც 35 წელი მაკავშირებს. მინდა გავიხსენო ჩემი მასწავლებლები თბილისში: ივანე იმნაიშვილი, ტოგო გუდავა. ისინი არა მარტო ბრწყინვალე მასწავლებლები იყვნენ, არამედ იზიარებდნენ იმგვარ ენათმეცნიერებას, რომელიც მე უსაზღვროდ მომწონდა; ასევე, ალექსანდრე ონიანი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ჩემი მეგობარი და დაუღალავი დამხმარე იყო. კარგ მოგონებად დამრჩა თამაზ გამყრელიძის საინტერესო სემინარები და მოხსენებები, რომელიც საშუალებას მაძლევდა შემეცნო, როგორი მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა მას, როგორც დასავლური ენათმეცნიერების შუამავალს საბჭოთა საქართველოში. ბევრი რამ ვისწავლე ბაქარ გიგინეიშვილთან, ზურაბ სარჯველაძესთან და მერი დამენიასთან საუბრებით. ჩემი ოფიციალური ხელმძღვანელი გახლდათ გივი ნებიერიძე, რომელმაც ზემო სვანეთში გამაცილა, კოტე ჭრელაშვილმა კი მომცა საშუალება, პირველად და ერთადერთხელ მენახა კახეთი და წოვათუშური ქვემო ალვანი. მოგონებები შეიძლება დიდხანს გამეგრძელებინა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ფურცელია იმისა, რასაც ჩემთვის ეს უნივერსიტეტი ნიშნავს. იმედი მაქვს, რომ ამ უნივერსიტეტის დამაარსებელთა განზრახვები და ლირებულებები დავიწყებას არ მიეცემა და ჩვენ, უცხოელი ქართველოლოგები, მომავალშიც კვლავ იმ განწყობით ავივლით ამ უნივერსიტეტის მაღალ და ფართო კიბეებს, რომლის სემიოტიკას ჩემთვის ყოველთვის ღრმა მეტაფორული მნიშვნელობა ჰქონდა.

პროფ. იოსტ გიპერტი: ეს წოდება მავალდებულებს კვლავაც გავაგრძელო ჩემი მოღვაწეობა ქართველოლოგის პოპულარიზაციისთვის და გერმანელი და ქართველი მეცნიერების თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა, რომ საქართველოს მთავრობამ ყველანაირად მხარი უნდა დაუჭიროს უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებს და ქართველოლოგიურ ცენტრებს. ვფიქრობ, მხარდაჭერა ორმხრივი უნდა იყოს. ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ქართველი მეც-

ქრონიკა

ნიერები რამდენჯერმე მივლინებით იმყოფებოდნენ ფრანკფურტის უნივერსიტეტში და დაგვეხმარნენ ქართველოლოგის სასწავლო პროგრამის შემუშავებაში, რომელიც ამჟამად გერმანიაში კავკასიურ ენათა პირველი აკრედიტებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა გახდავთ. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების: ვახტანგ იმნაიშვილისა და ზურაბ სარჯველაძის წვლილი ამ საქმეში. მოხარული ვიქნები, თუ მომავალში ამ პროგრამის ბაზაზე ფრანკფურტის უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის სტუდენტთა გაცვლა განხორციელდება.

ქართველ მეცნიერებთან ჩვენი თანამშრომლობა 1980-იანი წლებიდან დაიწყო. ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო, სანამ ინტენსიურ და მასშტაბურ პროექტებს განვახორციელებდით. 1996 წლიდან დაიწყო ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელება, რომელმაც ქართველოლოგია თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა. ამ დროდან დღემდე შვიდი ერთობლივი პროექტი განხორციელდა, რომელშიც 213 ქართველმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა და გერმანული ფონდების ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის ახალი ეტაპი. იმედი მაქს, რომ ასეთი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და ახალგაზრდა ქართველოლოგთა პროფესიული გაზრდის მყარ საფუძველს კვლავაც შექმნის.

პროფ. ბერნარ უტიე: მე ვიხსენებ იმ დროს, როცა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ელენე მეტრეველის, მოწვევით საქართველოში პირველად ჩამოვედი, ეს იყო 1975 წელს. მახსოვს აკაკი შანიძე, არა მხოლოდ როგორც არაჩვეულებრივი მეცნიერი, არამედ, როგორც გულთბილი მასპინძელი. მინდა აღვნიშნო, რომ ახალი თაობაც ისეთივე ნიჭიერია, როგორიც წინაპრები იყვნენ. სიამოვნებით ვთანამშრომლობ მათთან და მონაწილეობას ვიღებ საერთაშორისო კონფერენციებში, ვკითხულობ მოსენებებს. მიღებული მაქს მარი ბროსეს პრემია, რაც ფრანგისთვის დიდი პატივია; ვარ ქართული უურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი. ვამყობ, რომ ვიყავი ოპონენტი ერთ-ერთი სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს. უკვე რამდენიმე წელია ქართველ მკვლევრებთან ერთად ვმუშაობ სახარების ქართულ ტექსტზე. ევროპაში მზადდება მარკოზის სახარების თარგმანი სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, ქართულად. მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა ჩემთვის დიდი პატივია.

გამომცემლობის რედაქტორები: ცირა ჯიშკარიანი
ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ვაჩეიშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32) 25 14 32

www.press.tsu.ge